

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



მკმპიზი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

თბილისი
2019



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

X სტუდენტური რეგიონთაშორისი კონფერენცია

ურთიერთობათა და კონფლიქტების
დარგმშლირებისათვის

ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო
მიმართულების პროექტი



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედკოლეგია:

თამარ პაიჭაძე (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

კახაბერ ლორია (რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ნინო მინდიაშვილი (კოორდინატორი) პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოფიკო ძნელაძე (კოორდინატორი)

პროფესორები: **დიმიტრი გეგენავა, გიორგი რუსიაშვილი, ვასილ გონაშვილი, ლელა ჯანაშვილი, ოთარ ჩხუნაშვილი, ინეზა გაგნიძე, ირინა გოგორიშვილი, ლაშა ლორია, თამარ შარაბიძე, ნანა გონჯილაშვილი, ნინო ჭალაგანიძე, ნათია კუპრაშვილი, ნინო წერეთელი, დავით მაზიაშვილი, რევაზ ჯორბენაძე, ეფემია ხარაძე, ია ხუბაშვილი, ნანი გელოვანი, ნათელა მოსიაშვილი, ინგა სანიკიძე**
თამარ კვიციანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ავტორთა სტილი დაცულია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში ტრადიციისამებრ თავმოყრილია გასულ 2018 წელს სტუდენტთა X რეგიონთაშორისი კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილ მოხსენებათა შორის შერჩეული მასალები. 178 შემოსული განაცხადიდან კონფერენციაზე წარსადგენად შეირჩა 11 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მომზადებული 82 მოხსენება. კონფერენციაზე შემოსული და შერჩეული მასალების მრავალფეროვანი და მრავალმიმართულებრივი პრობლემატიკის კვალობაზე ჩამოყალიბდა 10 სხვადასხვა თემატიკის სამუშაო სექცია. კონფერენციის მუშაობის დროს თითოეულ სექციაზე მოხსენებების წარმოდგენის შედეგად სექციის ხელმძღვანელების მიერ გამოქვეყნებისათვის რეკომენდაცია გაენია ნაშრომთა ერთ ნაწილს.

შემდგომ ეტაპზე სარედაქციო კოლეგიამ იმუშავა კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებზე, ნაშრომებში წარმოჩენილი კვლევისა და ანალიზის კომპონენტების, ინდივიდუალიზმის, აკადემიური უნარების, მეცნიერული, მორალური პოზიციისა და ხარისხის გათვალისწინებით წარმოდგენილ მასალათა შორის შერჩეულ იქნა მოხსენებები, რომლებიც მომზადდა „მერმისის“ ახალი კრებულისათვის.

ამ შერჩევისა და შესრულებული სამუშაოს შედეგები აისახა „მერმისის“ წინამდებარე კრებულში, შეირჩა რა 31 მოხსენება სხვადასხვა სპეციალობებიდან.

კრებულის სპეციფიკისა და ჩვენი სამუშაო ფორმატის გათვალისწინებით, ამჯერადაც „მერმისის“ ახალი ნომერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქნება წარდგენილი.

ჩვენი საორგანიზაციო ჯგუფი და ჩვენი პროექტი – „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ წინამდებარე კრებულით კვლავ ერთგული რჩება იმ მთავარი სამუშაო იდეისა და პრინციპებისა, რასაც აკადემიურობა, ინტერგრირება და სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების მკვლევრებთან და სტუდენტებთან თანამშრომლობა ჰქვია.

ამ პრიციპთა და ტრადიციათა კვალობაზე „მერმისის“ წინამდებარე კრებულიც ამ ღირებულებათა წარმომჩენია.

თამარ პაიჭაძე

ვახტანგ ნოლაიძე, თამარ კაპანაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ ჯიქია

**ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, როგორც ქართული სამოსამართლო სამართლის
განვითარებისა და უფლებათა დაცვის სტანდარტების კონტროლის მნიშვნელოვანი მემკვიდრე**

რა როლი ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს (პრეცედენტებს) ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაში? უნდა გამოიყენოს თუ არა საქართველოს სასამართლოებმა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ევროპის კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს? და რა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების თვალსაზრისით? – ეს ის ძირითადი კითხვებია, რომლებსაც ამ ნაშრომში გაეცემა პასუხი.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარების შედეგად კონვენციით გათვალისწინებული ნორმები შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყარო გახდა, თუმცა ევროპის კონვენცია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, რჩება საერთაშორისო სამართლის წყაროდ. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, როგორც საერთაშორისო სამართლის წყარო, საქართველოსათვის სავალდებულოა საერთაშორისო დონეზე და ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად მისი აღიარების შედეგად იგი იურიდიულად სავალდებულო გახდა ეროვნულ დონეზეც და, შესაბამისად, წარმოშობს უფლებებსა და მოვალეობებს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის.

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების გამოყენების ზოგადი მიმოხილვა

იყენებენ თუ არა ევროპული სახელმწიფოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს?! ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად, ხშირია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება გერმანიის სასამართლოების მიერ.¹ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ავსტრიის სასამართლოთა პრაქტიკაზე.² ავსტრიაში როგორც საკონსტიტუციო სასამართლო, ისე საერთო იურისდიქციის სასამართლოები იყენებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.³ ევროპის

¹ J. Frowein, Federal Republic of Germany, in: *The Effect of Treaties in Domestic Law*, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987, 77; H. Steinberger, Reference to the Case-Law of the Organs of the European Convention on Human Rights before National Courts, in: *Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights*, 13-16 November 1985, 1988, pg. 748-750.

² Second Report, Committee on International Law in National Courts, International Law Association, 1996, 7; H. Tretter, Austria, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 117 et seq.

³ Judgements of the Constitutional Court of 16 March 1987, Collection (VfSlg) No. 11297/82 (cit.: საქმე – სანდი თაიბსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, Collection (VfSlg) No. 10948/86; Judgements of the Supreme Court of 18 March 1987, 9 Os 1819/87 and of 27 January 1986, EvBl, 1987/126; the Judgement of

კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს რეგულარულად იყენებს ნიდერლანდების სასამართლოები. ნიდერლანდების სასამართლოები არ იყენებს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს, თუ აღმოაჩენს, რომ ის ეწინააღმდეგება კონვენციასა და მის განმარტებას, რომელიც მოცემულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.⁴

ევროპის კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ხშირად გამოიყენება რევიციარის სასამართლოების მიერ.⁵ რმაგალითად, შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ საქმეში, რომელიც სატელეფონო მოსმენის კანონიერებას ეხებოდა, დავის მოგვარების მიზნით ევროპული სასამართლოს რამდენიმე პრეცედენტი გამოიყენა.⁶ ევროპული სასამართლოს პრეცედენტის (საქმერდეკუბერიზბელგის რწინააღმდეგ) გათვალისწინებით, შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ შეცვალა თავისი მიდგომა მიუკერძოებელი სასამართლო პროცესის კონცეფციის მიმართ.⁷ ამ გადაწყვეტილებით ფედერალურმა სასამართლომ აკრძალა ერთი და იმავე მოსამართლის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებასა და საქმის არსებითად განხილვაში, რადგან მიიჩნია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულება ეწინააღმდეგებოდა ევროპის კონვენციის მე-6(1) მუხლს (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება).⁸ საფრანგეთის სასამართლოები, მიუხედავად თავდაპირველი თავშეკავებისა ევროპის კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების მიმართ, ამჟამად ხშირად იყენებს კონვენციას და პრეცედენტულ სამართალს თავის პრაქტიკაში.⁹ განსაკუთრებით განვითარებულია ესპანეთის სასამართლოების, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს, პრაქტიკა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების თვალსაზრისით.¹⁰

პორტუგალიის სასამართლოები საკმაოდ ხშირად იყენებს ევროპის კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.¹¹ მართალია, პორტუგალიის კონსტიტუცია დეტალურად აწესრიგებს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს, პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გათვალისწინებული უნდა იქნეს კონსტიტუციის ადამიანის უფლებათა

the Vienna Court of Appeal of 2 December 1986, 27 Bs 545/86, *Medien und Recht* 1986, 11 (cit.: საქმე ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ). ასევე იხ. A. Morawa & C. Schreuer, *The Role of Domestic Courts in the Enforcement of International Human Rights-A View from Austria*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 177.

⁴ H. Fox, P. Gardner & C. Wickremasinghe, *The Enforcement of International Judgements in the Domestic Legal System*, *L'integration du droit international et communautaire dans l'ordre juridique national*, 1996, 66; 602-604.

⁵ M. Borghi, Switzerland, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 864 et seq.

⁶ მაგ., სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; კლასი გერმანიის წინააღმდეგ.

⁷ M. Borghi, Switzerland, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 867.

⁸ G. Ress, *The Effect of Judgements and Decisions in Domestic Law*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 829-830.

⁹ C. Dupré, France, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 321-324.

¹⁰ G. E. Roca, Spain, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 815 et seq; G. Ress, *The Effect of Judgements and Decisions in Domestic Law*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 841; ასევე იხ. T. Buergenthal, *Self Executing and Non-Self-Executing Treaties in National and International Law*, 235 *Recueil des Cours* IV 1992, 355.

¹¹ J. Madureira, Portugal, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 686 et seq.

დებულებების განმარტებისათვის.¹² კვიპროსის სასამართლოები ასევე იყენებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.¹³ ნორვეგიის სასამართლოები ხშირად ხელმძღვანელობენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალით.¹⁴ რნორვეგიაში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ევროპის კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-6 მუხლებთან (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი.¹⁵ დანიის სასამართლოები, ევროპის კონვენციასთან ერთად, ითვალისწინებენ ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.¹⁶ ფინეთის სასამართლოები იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.¹⁷

შედეგის სასამართლოები პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ ევროპის კონვენციას.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების გამოყენების პრაქტიკა საქართველოში

შესაძლოა ითქვას, რომ საქართველოს სასამართლოებში თანდათან მკვიდრდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა. განვიხილოთ რამდენიმე კონკრეტული ქეისი, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართული სასამართლოების ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელშიც, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად, დადგა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების საკითხი, ეხებოდა ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობის რეგისტრაციას.¹⁸ ეს საქმე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა 2001 წლის 22 თებერვალს.

ჩვენ წარმოვადგენთ ამ საქმის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ეხება ჩვენი ნაშრომის ძირითად ასპექტებს: სასამართლო პროცესის დროს კასატორი მხარის ადვოკატმა თავისი პო-

¹² Ibid, 685.

¹³ Para. 43, Report of the Supreme Court of the Republic of Cyprus, XIIth Congress of the Conference of the European Constitutional Courts: “The Relations between the Constitutional Courts and the Other National Courts, Including the Interference in this Area of the Action of the European Courts”, 14-16 May 2002, Brussels. მოხსენება ხელმისაწვდომია კონფერენციის ინტერნეტ-გვერდზე: [[http:// www. confueconstco. org](http://www.confueconstco.org)]; ასევე იხ. A. Loizou, Cyprus, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 220, 222-225.

¹⁴ E. Møse, Norway, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 644 et seq.

¹⁵ R. Ryssdal, Norwegian Problems of Compliance with the Convention and Norwegian Perspectives on Incorporation of the Convention, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law, J.P. Gardner (Ed.), 1993, 35-36.

¹⁶ P. Germer, Denmark, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 265-270; H. Fox, P. Gardner & C. Wickremasinghe, The Enforcement of International Judgements in the Domestic Legal System, L'integration du droit international et communautaire dans l'ordre juridique national, 1996, 66.

¹⁷ A. Rosas, Finland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 301.

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, განჩინება N3კ/599, 2001 წლის 22 თებერვალი. დავის საგანი: „პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კომპის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების საქართველოს წარმომადგენლობის” 1998 წლის 11 მაისის და „იეჰოვას მოწმეთა კავშირის” 1998 წლის 17 აპრილის რეგისტრაციის გაუქმება.

ზიციის დასასაბუთებლად, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად,¹⁹ მიუთითა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე.²⁰

მან მოიშველია ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, მათ შორის საქმეები: სიდროპულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ, ჰასანი და ჩაუში ბულგარეთის წინააღმდეგ და მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოშველიებით თავისი პოზიციის დასაბუთების დროს ადვოკატს სასამართლომ შეაწყვეტინა სიტყვა და აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ ევროპული სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებები ეხება სხვა სახელმწიფოებს (და არა საქართველოს) და, შესაბამისად, მან არ უნდა მიუთითოს ამ გადაწყვეტილებებზე. სასამართლოს ამ არგუმენტის საპასუხოდ ადვოკატმა განუმარტა სასამართლოს, თუ რატომ ეყრდნობა იგი ევროპული სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებს, კერძოდ, განაცხადა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე მითითება ევროპის კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შინაარსის დადგენის საშუალებაა. ადვოკატის ამ არგუმენტზე სასამართლოს კომენტარი არ გაუკეთებია. ადვოკატმა გააგრძელა მითითება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე თავისი პოზიციის დასასაბუთებლად.

საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი. მიღებულ განჩინებაში უზენაესმა სასამართლომ არ მიუთითა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე. მან მხოლოდ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-9, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებზე.

სასამართლო პროცესის ამ ეპიზოდთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა. სასამართლოს აზრით, მხარეს არ შეეძლო ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ადვოკატს შეეძლო დაყრდნობა ევროპული სასამართლოს მხოლოდ იმ გადაწყვეტილებაზე, რომელშიც საქართველოა დავის მხარე.

ამდენად, როგორც ჩანს, სასამართლომ მისცა ადვოკატს თავისი პოზიციის გასამყარებლად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილების მოშველიების უფლება, თუმცა, საბოლოოდ, სასამართლომ თავი შეიკავა მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ამ პრეცედენტებზე მითითებისგან.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებასთან დაკავშირებით სასამართლოსა და ადვოკატს შორის განსხვავებული შეხედულების წარმოშობის საფუძველს სწორედ, მათ მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლის განსხვავებულად აღქმა წარმოადგენდა. რაც შეეხება სასამართლოს პოზიციას, ვფიქრობთ, რომ იგი არ არის მცდარი, ერთი შეხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ, სავარაუდოდ, მისი პოზიცია იდგა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლზე, რომელშიც ნათქვამია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ დავის მონაწილე მხარეებისათვის. შესაბამისად, თუკი ამოვალთ ამ მუხლის პირდაპირი განმარტებიდან, მაშინ სასამართლოს პოზიციაც გასაგები იქნება, თუმცა საკითხავია, ამტკიცებდა ადვოკატი, რომ ევროპული სასამართლოს მის მიერ მოშველიებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა ქართული სასამართლოსათვის?!

ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით ადვოკატი ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ ევროპულმა სასამართლომ ისე განმარტა კონვენციის დებულება, რომ სა-

¹⁹ მხარის ადვოკატი ამტკიცებდა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-9, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლების დარღვევას. იხ. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის მე-9 პუნქტი.

²⁰ იხ. კასატორის მიერ მომზადებული ზეპირი არგუმენტები უზენაესი სასამართლოს სხდომისათვის და საკასაციო საჩივარი. დოკუმენტები ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ინტერნეტ-გვერდზე: [www.jv-georgia.org].

ხელმწიფოს მხრიდან განხორციელებული მსგავსი მოქმედება ჩათვალა ევროპის კონვენციის დარღვევად. ადვოკატის პოზიციიდან გამომდინარე, თუ ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს კონკრეტული მოქმედება ჩათვალა ევროპის კონვენციის დარღვევად, საქმის გარემოებების მსგავსების გათვალისწინებით, უზენაესმა სასამართლომაც ასეთი მოქმედება უნდა მიიჩნიოს კონვენციის დარღვევად.²¹

ამ სასამართლო საქმიდან გამომდინარეობს, რომ ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც საქართველო არ არის დავის მხარე, მართალია, ქვეყნისათვის სავალდებულო არ არის, მაგრამ ისინი საქართველოს სასამართლოებმა უნდა გამოიყენოს ევროპის კონვენციის ცალკეული დებულების შინაარსის დადგენის მიზნით. საქართველოსათვის არ შეიძლება სავალდებულო იყოს ის გადაწყვეტილება, რომელშიც საქართველო მხარე არ არის. ლოგიკას მოკლებულია, საქართველო იყოს ვალდებული, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, გადაუხადოს კომპენსაცია პირს იმ საქმეზე, რომელშიც საქართველო მოპასუხე არ არის.²²

საქმე, რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა 2001 წლის 22 ივნისს, ეხებოდა საქართველოს პარლამენტის წევრის რომან კვაჭაძის სარჩელს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შესახებ გაზეთ „ლანჩხუთი პლუსის“ ჟურნალისტების, ზ. ნაკაშიძისა და ქ. ნაკაშიძის წინააღმდეგ.²³

ლანჩხუთის რაიონიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი რ. კვაჭაძე სარჩელის საფუძვლად მიუთითებდა, რომ მოპასუხეებმა ხსენებულ გაზეთში გამოაქვეყნეს სტატია „ეჰ, რომან, რომან“, სადაც მის მიმართ გავრცელდა ცრუ მონაჭორი, რითაც მას მიაყენეს შეურაცხყოფა, განზრახ დაამცირეს მისი პატივი და ღირსება ამომრჩევლებისა და თანამოქალაქეების თვალში. გამოქვეყნებულ სტატიაში რ. კვაჭაძე მოხსენიებულია როგორც კაცი, რომელმაც „თავი დაკარგა“. მის მიმართ გამოყენებულია ისეთი ფრაზები, როგორიცაა: „ვინ ხარ შენ და როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში, რასაც პარლამენტის წევრობა ჰქვია?“, „დავიჯერო, სამივე მოსმენის დროს გეძინა?“, „ლანჩხუთში ფეხებს გეჭრის და პარლამენტში თავს“, „ისე ნელა მნიფდება, ვაი, რომ ლანჩხუთს ამდენი დრო არა აქვს, რომ ამ უიმედო პროცესის დასასრულს დაელოდოს“, „მატყლის საჩრად გაგიშვა ლანჩხუთმა პარლამენტში?“, „კანონის წაკითხვაც ვერ გისწავლია ერთი რიგითი მოქალაქის დონეზე“, „გაზეთის წაკითხვა არ გცოდნია კიდევ“, „ამგვარი გამომტომებისათვის თავში წაუთაქებენ ხოლმე, ჩემო რომან, მაგრამ ვაი, რომ მარტო ეს არ უშველის შენს გაჭირვებას“, „ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა“.

კვაჭაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა პირველი ორი ინსტანციის სასამართლოში და იგი უზენაეს სასამართლოს გადაეცა განსახილველად.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა რ. კვაჭაძის საკასაციო საჩივარი. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. სასამართლო ასევე დაეყრდნო „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება

²¹ <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10-4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.5&d=HASH01be2bedca2f017714024820.8&x=1>

²² იქვე.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, განჩინება, 2001 წლის 22 ივნისი. იხ. „ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები“ (2001 წ.), თბილისი, 2002 წელი, გვ. 76-79.

აქვთ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ. ამავდროულად უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, ერთი მხრივ, პირთა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის აუცილებლობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, სიტყვის თავისუფლებაზე.

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. საქართველოს უზენაესი სასამართლო დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ, რომლის თანახმად, „აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ისეთი განცხადებებისა და გამოთქმის უფლებასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, აღმამფოთებელი და შემანუხებელია“. ამ პრეცედენტის მოშველიებით უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ პირის, მათ შორის ჟურნალისტის, მიერ გამოხატული აზრი შეიძლება იყოს არა მხოლოდ პოზიტიური, არამედ ნეგატიური. ნეგატიური შეფასება შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, აღმამფოთებელი და შემანუხებელიც კი.

მაგრამ უზენაესი სასამართლოსათვის არ იყო საკმარისი იმის დადასტურება, რომ გამოხატული აზრი შეიძლება იყოს როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური. სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ სად უნდა გაივლოს ზღვარი, ერთი მხრივ, კრიტიკის დასაშვებ ფარგლებსა და, მეორე მხრივ, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფას შორის.

ამისათვის უზენაესმა სასამართლომ ისევ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოიყენა. მან გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიტიკური მოღვაწის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი ინდივიდის მიმართ. უზენაესმა სასამართლომ ასევე მიუთითა მოხსენიებული პრეცედენტის იმ ნაწილზე, რომლის თანახმად, პოლიტიკური მოღვაწე, ჩვეულებრივი ინდივიდისაგან განსხვავებით, წინასწარ შეცნობილად და აუცილებლად უქვემდებარებს თავის ქმედებებს და შესტებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოების კონტროლს. ამ პრეცედენტის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ „პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუ ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს მათ პირად ცხოვრებას და ხელშეუხებლობას“.

ამ პრეცედენტის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ დაასაბუთა, რომ პოლიტიკური მოღვაწე ან სახელმწიფო მოხელე თავის საქმიანობას თავად, წინასწარ შეცნობილად უქვემდებარებს საზოგადოებრივ კონტროლს, რის გამოც მისი საქმიანობა შეიძლება გახდეს მძაფრი საზოგადოებრივი კრიტიკის ობიექტი, რაც ასეთმა პირმა უნდა ითმინოს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. თავისი საქმიანობის დაქვემდებარება საზოგადოებრივ კონტროლს, რაშიც ჟურნალისტებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ, გამომდინარეობს იქიდან, რომ პოლიტიკური მოღვაწის ან სახელმწიფო მოხელის საქმიანობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს.

სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ზემოხსენებული გადაწყვეტილებების მოშველიებით ნათელი და მკაფიო გახდა მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და პრაქტიკულად, თუკი ამ გადაწყვეტილებათა გარეშე, სასამართლო მარწუხებში იქნებოდა მოქცეული და მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის დონეზე ვერ მიაგნებდა მთავარ გასაღებს, ამ გადაწყვეტილებათა მეშვეობით გაფანტა ამ საქმის ირგვლივ არსებული ყოველგვარი ეჭვი.

აღსანიშნავია, რომ გარდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებისა, გარკვეულ საქმეებზე, პირველი ინსტანციის სასამართლოც კი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს.

ეს ნათლად ჩანს ქიათურის რაიონული სასამართლოს მიერ 2002 წლის 3 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში.²⁴ საქმე ეხებოდა ქიათურის რაიონის გამგებლის დ. ივანიშვილის სარჩელს რამდენიმე პოლიტიკური პარტიის წევრთა წინააღმდეგ, რომელშიც იგი მოითხოვდა თავისი და ქიათურის რაიონის გამგეობის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების საჯაროდ უარყოფას.

ქიათურის რაიონულმა სასამართლომ ქიათურის რაიონის გამგებლის დ. ივანიშვილის სარჩელი უსაფუძვლოდ ჩათვალა და არ დააკმაყოფილა იგი. თავისი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. ამას გარდა, რაიონული სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლს და მის განმარტებას ევროპული სასამართლოს პრეცედენტის (საქმე კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ) მიხედვით. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფო მოხელეთა დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ, რის გამოც სახელმწიფო მოხელეებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა უნდა ითმინონ მათ სამსახურებრივ (საზოგადოებრივ) საქმიანობასთან დაკავშირებული კრიტიკა. პრაქტიკულად, იგივე განმარტება მისცა პირველი ინსტანციის სასამართლომ ანალოგიურ სიტუაციაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტს, როგორც ზემოხსენებულ კვაჭაძის საქმეში უზენაესმა სასამართლომ.

ზოგადად საქართველოს სასამართლოების პრაქტიკასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ნაწილში სასამართლო, მართალია, პირდაპირ ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას, მაგრამ არ მოიხსენიებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს თავის გადაწყვეტილებაში. მიუხედავად ამისა, საქართველოს სასამართლოების ზოგიერთი გადაწყვეტილების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ეროვნულმა სასამართლომ დავის გადასაწყვეტად გაითვალისწინა არა მხოლოდ ევროპის კონვენციის კონკრეტული დებულებები, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებაში ამ უკანასკნელზე პირდაპირ არ მიუთითა.

ამის მტკიცების საფუძველს იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ისეთი განმარტება, რომელიც კონვენციის კონკრეტული დებულებიდან არ გამომდინარეობს, მაგრამ ასახავს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში გამოხატულ განმარტებასა და არგუმენტაციას. ხსენებულის მტკიცების საფუძველს ასევე იძლევა საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოყენებული ფორმულირებები, რომლებიც ანალოგიურია ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში გამოყენებული ფორმულირებებისა.²⁵

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის შედეგად ასევე აღმოჩნდა გადაწყვეტილება, რომელშიც, მართალია, გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, მაგრამ იმის გამო, რომ საერთო სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მან კონვენცია არ განმარტა იმ მნიშვნელობით, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.

საქმე ეხება მარნეულის რაიონულ სასამართლოში ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობის მიმდევრების მიერ შეტანილ სარჩელს რაიონის გამგებლისა და ადგილობრივი პოლიციის რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის წინააღმდეგ, რომელშიც ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ არ მიეცათ უფლება, დასწრებოდნენ ამ რელიგიური მიმდინარეობის მომხრეთა შეხვედრას.²⁶ ამის მიზე-

²⁴ ქიათურის რაიონული სასამართლო, გადაწყვეტილება №2/64, 2002 წლის 3 აპრილი.

²⁵ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0prompt-10-4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.5> &d= HASH0 1be2bedca 2f 017714024820.8&x=1

²⁶ იხ. მარნეულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, N3/9-2002, 2002 წლის 13 მაისი; ასევე იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პა-

ზად ისინი ამტკიცებდნენ, რომ რელიგიურ ნიადაგზე მათთან დაპირისპირებულმა მხარემ დაარბია ეს შეხვედრა და მათ მიაყენეს მატერიალური ზიანი და მორალური შეურაცხყოფა.

მოსარჩელები ასევე ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა არ დაიცვეს მათი უფლებები, რის გამოც მონინალმდეგეებმა შეძლეს შეხვედრის ჩაშლა და მათი უფლებების ხელყოფა. საყურადღებოა რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ჩვენება, რომლის თანახმად, „პოლიციის კომპეტენციაში არ შედის სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წევრების დაცვა, ამისათვის არსებობს დაცვის პოლიცია“.

მოპასუხეებმა სარჩელი უსაფუძვლოდ ჩათვალეს იმის გამო, რომ რაიონის პოლიციის თანამშრომლებს მოსარჩელებისათვის არ მიუყენებიათ არც სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა და არც მორალური თუ მატერიალური ზიანი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მის მარწმუნებლებს არ დაურბევიათ შეხვედრა და რომ არც ერთ მოსარჩელეს არ დაუსახელებია პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც მათ მიაყენეს შეურაცხყოფა ან დაეხმარნენ მათთან დაპირისპირებულ მხარეს რელიგიური შეხვედრის დარბევაში.

სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა და არ დააკმაყოფილა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიცია ხელს არ უშლიდა რელიგიური მიმდინარეობის მომხრეებს რელიგიურ შეხვედრაზე დასასწრებად. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელებს შეურაცხყოფა და მატერიალური ზიანი მიაყენა მათთან დაპირისპირებულმა მხარემ, რაშიც პოლიციის თანამშრომლებს ხელი არ შეუწყვიათ. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ვიდეომასალებით არ დადასტურდა პოლიციის თანამშრომელთა ჩარევა რელიგიური შეხვედრის დარბევაში.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია, რომლის თანახმად, პოლიციამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13 და მე-14 მუხლები. კონვენციის ამ მუხლების შინაარსის დასადგენად რაიონულმა სასამართლომ არ მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რაც, სავარაუდოდ, დაეხმარებოდა მას კონვენციის სწორ განმარტებასა და გამოყენებაში.

საინტერესოა, რამდენად იყენებს საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო-საკონსტიტუციო სასამართლო, ადამიანის უფლებათ ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. ამისათვის რელევანტური იქნება განვიხილოთ მისი პრაქტიკა.

დავინწყოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმით – „ლელა ინკირველი, ნინო გახოკიძე და ეკა ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.²⁷ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელები მოითხოვდნენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას. კერძოდ, მოსარჩელები მიუთითებენ საგადასახადო კოდექსის ხსენებული მუხლების შეუსაბამობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან (საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება).

მათი აზრით, სანოტარო საქმიანობა გადასახადების დაკისრების თვალსაზრისით არ შეიძლება გაუთანაბრდეს სამეწარმეო საქმიანობას. სარჩელის თანახმად, „არამეწარმის დაბეგვრა მეწარმის რეჟიმით, ანუ შესაბამისი გადასახადების დაკისრებით, არაკონსტიტუციურია და იგი ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ საკუთრების უფლებას, რომლის მიხედვით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია და უზრუნველყოფილია.“²⁸

ლატის განჩინება, №3/413, 2000 წლის 24 მარტი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ნაწილი I, №8, 2000 წელი, გვ. 373-376.

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია, განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, N2/81/2, 1999 წლის 11 მაისი, იხ. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 1999, გვ. 108-119.

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია, განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, N2/81/2, 1999 წლის 11 მაისი, იხ. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 1999, გვ. 110.

ამ საქმეზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა თავისი პოზიციის დასასაბუთებლად საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან ერთად, მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – დარბი შვედეთის წინააღმდეგ.²⁹ ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საეკლესიო ბეგარის დანესება იმ პირისათვის, რომელიც არ არის ეკლესიის წევრი, ხელყოფს ევროპის კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკუთრების უფლებას.³⁰ ამ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, სამწუხაროდ, არ მიეცა შესაძლებლობა, გამოეხატა თავისი შეხედულება სარჩელის მიმართ, განსაკუთრებით მოსარჩელის არგუმენტზე (რაც ამ ნაშრომის ინტერესის საგანია), რომელიც ემყარებოდა ევროპული სასამართლოს მოხსენიებულ პრეცედენტს. ამის მიზეზი ის იყო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოუხდა ამ საქმეზე სამართალწარმოების შეწყვეტა სადავო აქტების გაუქმების გამო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის დამთავრების შემდეგ, როდესაც სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილების დასადგენად სათათბირო ოთახში გავიდა, საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლითაც გააუქმა სადავო დებულებები.³¹

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია შევაჯამოთ ზემოაღნიშნული. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ საქართველოს სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რასაც არგუმენტებით ასაბუთებენ.

სამართლის თეორიაში მიღებულია სამართლებრივი სისტემების გამიჯვნა ანგლოსაქსურ და კონტინენტურ სისტემებად. ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის მიმდევარ ქვეყნებში, რომლებსაც ხშირად პრეცედენტული სამართლის ქვეყნებს უწოდებენ, ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება (პრეცედენტი) მომდევნო სასამართლო საქმესთან დაკავშირებით გამოიყენება როგორც სამართლის წყარო. ამ სისტემის მიმდევარ სახელმწიფოებში ეროვნული სასამართლოების პრეცედენტული სამართალი ხდება იურიდიულად სავალდებულო სხვა სასამართლოებისათვის. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება (პრეცედენტი) სამართლის წყაროა დიდი ბრიტანეთის სასამართლოებისათვის. კონტინენტური სამართლის სისტემის მიმდევარ სახელმწიფოებში სასამართლოს გადაწყვეტილებები არ არის სამართლის წყარო და, შესაბამისად, ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები (პრეცედენტები) იურიდიულად სავალდებულო არ არის ეროვნული სასამართლოებისათვის მომდევნო საქმეებზე.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არ არის ანგლოსაქსური სამართლის ქვეყანა და იგი განეკუთვნება კონტინენტური სამართლის ქვეყნებს, ცხადია პრეცედენტული სამართალი ქართული სასამართლოებისათვის არ წარმოადგენს სამართლის წყაროს და სწორედ ამიტომ, კითხვაზე – უნდა გამოიყენოს თუ არა საქართველოს სასამართლოებმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი? – უარყოფითად პასუხობს.

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია, განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, N2/81/2, 1999 წლის 11 მაისი, იხ. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 1999, გვ. 110; ასევე იხ. დერბი შვედეთის წინააღმდეგ, 1990 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 1990, შერიეს A, N187.

³⁰ პირველი ოქმის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება, მშვიდობიანად სარგებლობდეს თავისი საკუთრებით. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით. [...]“

³¹ <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10--4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-1-outfZz-8-00&cl=CL4.5&d=HASH01 be2bedca 2f017 71 4024820.8&x=1>

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მიმდევარ ქვეყნებში ეროვნული სასამართლოების გადანყვეტილებებს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებებს ეწოდება „პრეცედენტული სამართალი“, ამ ტერმინების მნიშვნელობა პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მიმდევარ ქვეყნებში დადგენილია, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება სამართლის წყაროა და სავალდებულოა ქვეყნის ყველა სხვა სასამართლოსათვის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები სავალდებულო არ არის ყველა სახელმწიფოსათვის.

კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც კონკრეტული სასამართლო დავის მხარეა მხოლოდ კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით. ამდენად, იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ არიან კონკრეტული დავის მხარენი, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება (პრეცედენტი) არ არის სავალდებულო.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მცდარია დასკვნა, რომლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი იმის გამო, რომ საქართველო არ არის პრეცედენტული სამართლის ქვეყანა.

ბიბლიოგრაფია:

1. კონსტანტინე კორკელია და ირინა ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004.
2. მ. ჯიქია, ინდივიდის სტატუსი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2011.
3. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004.
5. კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში.
6. ალექსანდრე ორახელაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია;
7. ჰ. სტინერი, პ. ალსტონი და რ. გუდმენი საერთაშორისო ადამიანის უფლებები კონტექსტში (International Human Rights In Context, law politics morals).
8. ფილიფ ლინჩი, საქმის წაღება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში (Taking a case to the European Court of Human Rights).
9. Theory and Practice of the European Convention on Human Rights – by Pieter Van Dijk, Fried Van Hoof, Arjen Van Rijn, and Leo Zwaak.
10. Sassoli & Olson, The Relationship between International Humanitarian and Human Rights Law where it matters, Admissible Killing and Internment of Fighters in Non-international Armed Conflicts, International Review of the Red Cross, Volume 90 Number 871 September 2008.
11. J.A.G. "The Brave New World of Sir John Laws", The Modern Law Review, Vol.63, No2, March 2000.
12. Jeremy Waldron "Liberal Rights, Collected Papers 1981-1991", Cambridge University Press (1993).
13. Henry J. Steiner, Phillip Alston and Ryan Goodman, International Human Rights in Context, Law, Politics and Morals (2007).
14. Steven Greer, The European Convention on Human Rights, Achievements Problems and Prospects.

15. Wadham, J. and Said, T. 'What price the right of Individual Petition: report of the evaluation group to the Committee of Ministers on the European Court of Human Rights' (2002) European Human Rights Law Review (HRLR).
16. Human Rights in the "War on Terror" ed. By Richard Ashby Wilson, Cambridge (2005).
17. UK House of Lords Judgement on "A v Home Office".
18. Richard Vogler, A World View of Criminal Justice, preface, Part I and II (2005).
19. UK House Of Lords Judgement on "A v Home Office".
20. Human Rights in the "War on Terror" ed. By Richard Ashby Wilson, Cambridge (2005).
21. Carolyn Evans, Freedom of Religion Under the European Convention on Human Rights, Oxford ECHR Series (2001).
22. Peter G. Danhin and Elizabeth A. Cole, Ed. Protecting the Human Rights of Religious Minorities in Eastern Europe, Columbia University Press (2002).
23. Women, Gender, and Human Rights, A Global Perspective, Ed. By Marjorie Agosin, Rutgers University Press (2001).
24. Peter G. Danhin and Elizabeth A. Cole, Ed. Protecting the Human Rights of Religious Minorities in Eastern Europe, Columbia University Press (2002).
25. <http://www.echr.coe.int>
26. www.coe.int

ანა დემურაშვილი, დავით ჯიბლაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ ჩხაიძე*

აბსტინენციის სინდრომი

დღესდღეობით კაცობრიობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით აკრძალული ნარკოტიკი დაახლოებით 246 მილიონ პირს მიუღია. აბსტინენციის სინდრომი, იგივე თავშეკავების სინდრომი, არის მდგომარეობა, რომელიც ვითარდება ორგანიზმისთვის ნარკოტიკული დამოკიდებულების გამომწვევი ნივთიერებების მიწოდების მკვეთრი შეწყვეტის შედეგად. აბსტინენციის სინდრომი ვითარდება ნარკომანიის (ტოქსიკომანიის) და ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს. აბსტინენციის სინდრომის მსუბუქი ფორმა ვლინდება ძილის მყარი დარღვევით, ალგზნებადობის მომატებით, უმადობით, გულის არეში უსიამოვნო შეგრძნებით (ჰაშიშომანია, ტრანკვილიზატორებსა და ანტიდეპრესანტებზე დამოკიდებულება და ნაბახუსევის სინდრომი).

ნარკომანიის სხვა სახეების დროს (მორფინი, ბარბიტურატები) ვითარდება აბსტინენციის კლასიკური სურათი: პრეპარატის ბოლო მიღებიდან 6-18 საათის შემდეგ აღმოცენდება მთქნარება, ცრემლდენა, ნერწყვდენა, ცხვირისა და ცხვირ-ხახის ქავილი, ოფლის გამოყოფის მატება, შემდეგ ამათ ერთვის ანორექსია, ტრემორი, ბატის კანი, გუგების გაფართოება, მფრინავი ტკივილი სახსრებში. დაახლოებით 36 საათის შემდეგ ვითარდება კიდურების კრუნჩხვა, შფოთვა, უძილობა, შემცივნება, ტაქიკარდია, არტერიული წნევის მატება. 2-4 დღის შემდეგ ეს გამოვლინებები პიკს აღწევს, მერე კი 5-11 დღის განმავლობაში ცხრება. აბსტინენციის მდგომარეობისათვის დამახასიათებელია გაღიზიანებადობა, ფსიქოპათიური რეაქცია, ქვითინი, თვითშენიღების დემონსტრირება და აგრესია. იშვიათად ვითარდება აბსტინენციური ფსიქოზი: დელიროზული მდგომარეობა (მეხსიერების დარღვევების შერწყმა ალქმის დარღვევასა და ფსიქომოტორულ ალგზნებასთან) და იშვიათად – ჰალუცინოზის სურათი (ვლინდება უხვი და ხანგრძლივი ჰალუცინაციებით, მიმდინარეობს გონების დაკარგვის გარეშე).

ჩვენი მიზანია აბსტინენციის სინდრომის მკურნალობის თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმაციის მოწოდება. განვიხილოთ „წამალზე დამოკიდებულების“ გენეტიკა. რატომ არის, რომ ერთი და იგივე გარემოში მცხოვრები ადამიანების ნაწილი „წამლის არადანიშნულებით მომხმარებელია“, ხოლო სხვანი არა. მაგალითად, ეკონომიკურად დაბალგანვითარებული ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებსაც ცხოვრების გაუმჯობესების იმედი გადანურული აქვთ, „სუბსტანციებთან დაკავშირებული ქცევითი დარღვევები“ უფრო ხშირად უვითარდებათ.

შესაძლებელია, რომ ამ დარღვევათა მძიმე სოციალურ პირობებში უსიამოვნო განცდების თავიდან აცილების სურვილით არის განპირობებული. მაგრამ, ღარიბი ან პრივილეგირებული ადამიანებიდან, მხოლოდ ზოგიერთი ხდება წამლის არადანიშნულებით მომხმარებელი. ნათელია, რომ ამის მიზეზი, მათ გენეტიკურ აპარატებს შორის არსებულ განსხვავებაში უნდა ვეძიოთ. „მავნე ჩვევის“ მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა შედარებით კარგად არის შესწავლილი ალკოჰო-

ლიზმის მაგალითზე. ქცევით დარღვევათა მემკვიდრეობითი გადაცემის შესახებ მონაცემები, ძირითადად, მიღებულია ტყუპებისა და ნაშვილები ბავშვების ქცევაზე დაკვირვებით. როგორც ცნობილია, არსებობს ტყუპების ორი ტიპი – „მონოზიგოტური“ და „დიზიგოტური“. მონოზიგოტური ტყუპები ერთი ზიგოტიდან ვითარდებიან, იდენტური გენეტიკური აპარატი აქვთ. განვითარების პროცესში, თანდათან შორდებიან ერთმანეთს და დამოუკიდებელ ინდივიდებად ყალიბდებიან. „დიზიგოტური“ ტყუპები სხვადასხვა ზიგოტიდან ვითარდებიან და ერთმანეთისაგან განსხვავებული გენეტიკური აპარატი აქვთ. რადგანაც ინდივიდისათვის დამახასიათებელი თვისებები მემკვიდრეობით გადაეცემათ, მოსალოდნელია, რომ „მონოზიგოტურ“ ტყუპებს სხეულის ფორმა, სახის ნაკვეთები, თმისა და თვალის ფერი მსგავსი ექნებათ. ასევე მსგავსია მათი მრავალი პიროვნული თვისებებიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს თვისებები მემკვიდრეობით გადაეცემა.

აღმოჩნდა, რომ ალკოჰოლიზმისაკენ მიდრეკილება ერთ-ერთ იმ ნიშანს წარმოადგენს, რომელიც გენეტიკურად გადაეცემა. დადგენილია, რომ ალკოჰოლისადმი მიდრეკილების მიხედვით, „დიზიგოტურ“ ტყუპებთან შედარებით, „მონოზიგოტური“ ტყუპები ერთმანეთის მსგავსნი არიან. ეს ფაქტი „ნამალზე დამოკიდებულების“ მემკვიდრეობით გადაცემის კარგ არგუმენტს წარმოადგენს. ალკოჰოლიზმის განვითარებაში გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის, აუცილებელია, „ნამალზე დამოკიდებულების“ ფენომენის ჩამოყალიბებაში გარემო ზემოქმედებათა ფაქტორის როლის გარკვევა. ამ მიზნით, კვლევა ჩატარებულია ბავშვებზე, რომლებიც მათთან არანათესაური კავშირის მქონე ადამიანების მიერ არიან ნაშვილები. ასეთი სახის გამოკვლევები როგორც ოჯახის ფაქტორის (გარემო), ასევე გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელობის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ამ საკითხის კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მემკვიდრეობითობა უფრო ძლიერი ფაქტორია, ვიდრე გარემო. მაგალითად, ლოთი ბიოლოგიური მშობლების ვაჟიშვილები სმას იწყებენ მიუხედავად იმისა, სვამენ თუ არა მისი არაბიოლოგიური ოჯახის წევრები. ლოთი ბიოლოგიური მშობლების ქალიშვილები იშვიათად ყალბდებიან ალკოჰოლის მომხმარებლებად. ლოთი მამის ქალიშვილებს უპირატესად, სომატური ხასიათის დარღვევები აღენიშნებათ.

ასეთ დარღვევათა მქონე ქალებს ქრონიკულად აქვთ სიმპტომები, რომელთა გამომწვევი ფიზიოლოგიური მიზეზების გამოვლენა შეუძლებელია და მათ მუდმივად ესაჭიროებათ სიმპტომური მკურნალობა. ამრიგად ირკვევა, რომ მამაკაცებს ლოთობისაკენ, ხოლო ქალებს სომატური ხასიათის დარღვევებისაკენ, გენები განაწყობს.

მარიამ ასპანიძე, ლიკა გიგია
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ა. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტი*
ხელმძღვანელი: პროფესორი **ინგა სიხარულიძე**

თანკბილვის ანომალიების თავისებურებები


თანკბილვის („ოკლუზიის“ – ქვედა და ზედა ყბის კბილთა მწკრივების ყოველგვარი შესაძლო შეთანასოვნების) ანომალიები საკმაოდ ხშირია სტომატოლოგიურ პრაქტიკაში, რომლის გათვალისწინება აუცილებელია პრევენციის და შემდგომ მკურნალობის სწორად წარმართვაში. სტატისტიკის თანახმად, ადამიანთა დაახლოებით 80%-ს თანკბილვა დარღვეული აქვს. ჯვარედინი თანკბილვა გვხვდება ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების 26% შემთხვევაში.

სალექ-სამეტყველო აპარატის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ინდივიდის მთელი ორგანიზმის განვითარებასთან. იგი იწყება ემბრიონული პერიოდის მე-5 კვირიდან, როდესაც საფუძველი ეყრება სარძევე კბილების პირველ ჩანასახებს, გრძელდება დაბადებიდან მრავალი წლის განმავლობაში მონიფულობის ასაკში მუდმივი თანკბილვის სრულ წარმოქმნამდე. იყოფა ორ პერიოდად: 1. მუცლად ყოფნის პერიოდი (დამოკიდებულია დედის მდგომარეობაზე და ნაკლებად, გარეგან ფაქტორებზე). 2. პოსტნატალური პერიოდი (გარემოს ზეგავლენის პირობებში, მემკვიდრეობით და თანდაყოლილ ფაქტორებზე).

პირველი ცნობები თანკბილვის ანომალიების კლასიფიკაციის შესახებ ეკუთვნის კნეიზელს (1836). შტერნფელდის, კარაბელს (1842), ველკერს (1862), ველდის (1867), ისლაის (1891), კანტაროვიჩს და სხვა., კლასიფიკაციები უმთავრესად ეხებოდა ფრონტალურ არეში განლაგებული წინა კბილების ანომალიებს.

შედარებით უფრო გაუმჯობესებული და მეცნიერულად დასაბუთებული თანკბილვის ანომალიების კლასიფიკაცია მონოღებულია ე. ენგლეს (1899), სიმონის, ნ. აგაპოვის (1928), ა. კატცის (1933), ა. ზლოტკინის (1952), ა. ბეთელმანის (1956), დ. კალველისის (1957), ვ. კურლიანდსკის (1958), ლ. ილინა-მარკოსიანის (1967), ს. კალამკაროვის (1972) მიერ. მიუხედავად ამისა ერთიანი სრულყოფილი კლასიფიკაცია არ არსებობს.

ე. ენგლეს კლასიფიკაცია მოიცავს პირველი მუდმივი მოლარების ურთიერთშეთანასოვნებას. კბილთა მწკრივების ყველა სახის ანომალიები ენგლემ დაყო III კლასად. I კლასი ხასიათდება მოლარებს შორის ნორმალური შეთანასოვნებით, ნორმიდან გადახრა უმთავრესად არის წინა კბილების არეში. II კლასი (პროგნათია) – ქვედა პირველ მოლარს აქვს დისტალური მდებარეობა, ზედა პირველ მოლართან შედარებით. III კლასი (პროგენია) – ქვედა პირველ მოლარს აქვს მედიალური მდებარეობა, ზედა პირველ მოლართან შედარებით (სურათი 1).




სწორი თანკბილვა

ე. ენგლეს მიერ შემუშავებული თანკბილვის ანომალიების კლასიფიკაცია არ მოიცავს ყბაკბილთა სისტემის განვითარებაში ისეთ დარღვევებს, როგორც არის: ღია დიზოკლუზია, ღრმა დიზოკლუზია, ყბების შევიწროება და სხვა. ამ კლასიფიკაციით შეუძლებელია ასევე სარძევე თანკბილვის ანომალიების განსაზღვრა.

თანკბილვა შეიძლება იყოს ფიზიოლოგიური და პათოლოგიური. ფიზიოლოგიური თანკბილვის ჯგუფს ეკუთვნის: 1. ორთოგნათიული. 2. პირდაპირი. 3. ფიზიოლოგიური პროგნათია და 4. ოპისტოგნათიური თანკბილვა. პათოლოგიური თანკბილვა მოსალოდნელია ფიზიოლოგიური თანკბილვის გარკვეული ცვლილებების შედეგად, მაგალითად ზოგიერთი კბილის დაკარგვის გამო, პაროდონტოპათიისა და სხვა მიზეზით. სერიოზული პრობლემა, რომელიც თანკბილვის ანომალიებს მოჰყვება, ესაა პაროდონტის დაავადება. კბილის მთავარი ფუნქცია ღეჭვაა. თუ არ ხდება მისი სათანადო დატვირთვა ღეჭვითი ძალით, ირგვლივმდებარე ქსოვილში იწყება მიკროცირკულაციის დარღვევა, ძვლოვანი ქსოვილის კვების მოშლის გამო მისი განლევა ხდება და კბილი იწყებს მორყევას.

პათოლოგიური თანკბილვის შემდეგი ფორმებია: 1. საგიტალურ სიბრტყეში – დისტალური ოკლუზია (პროგნათია), მეზიალური ოკლუზია (პროგენია). 2. ვერტიკალურ სიბრტყეში – ღრმა დიზოკლუზია, ღია დიზოკლუზია. 3. ჯვარედინი დიზოკლუზია. (სურათი 2)



დიაგნოზის დადგენა ხდება კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე. ორთოდონტიული მკურნალობის ძირითადი მიზანია არასწორად განვითარებული ყბებისა და კბილების გასწორება. სახის გარეგანი ფორმის, მოყვანილობისა და საღეჭი აპარატის დაქვეითებული ფუნქციის აღდგენა. უმეტესად გამოიყენება აპარატით მკურნალობა.

პროფილაქტიკა – 1. ყოფა-ცხოვრების არახელსაყრელი პირობები. 2. გენეტიკური ფაქტორი. 3. ორსულობის პერიოდში ჩანასახის განვითარების არახელსაყრელი პირობები (ტრავმა, ორსულის მიერ გადატანილი ინფექციური დაავადებები, ინტოქსიკაცია და სხვა.). 4. რაქიტი, რომლის დროს

ორგანიზმში ირღვევა კალციუმისა და ფოსფორის ცვლა. 5. ბავშვის პირის ღრუს და სხეულის საერთო ჰიგიენის დაცვა. 6. ფარისებრი და ფარისებრიახლო ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა. 7. ზედა სასუნთქ გზებში ნორმალური სუნთქვის დარღვევა. 8. ბავშვთა მავნე ჩვევების დროული აღკვეთა. 9. სარძევე კბილების ფიზიოლოგიური ცვლა. 10. მუდმივი მე-6 კბილების შენარჩუნება ყველა მუდმივი კბილის ამოჭრამდე. 11. ბავშვთა ასაკში გადატანილი დაავადებები (კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებები, ტუბერკულოზი, წითელა, ქუნთრუშა, ტიფი). 12. დამწვრობის შედეგად სახეზე ნაწიბურების წარმოქმნა. 13. მაკროგლოსია და სხვა.

ჩვენ მიერ გამოკვლეული იყო თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის I კურსის 54 სტუდენტი, პირის ღრუსა და გარეგანი დათვალიერებით. გამოკვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ 34 სტუდენტს პრაქტიკულად ჰქონდა ოკლუზია ნორმის ფარგლებში, დისტალური ქონდა 3 სტუდენტს, მეზიალური – 3, ღია – 1, ღრმა – 7, ხოლო ჯვარედინი – 6.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრეგაძე 1987; გ. ბრეგაძე, ორთოპედიული სტომატოლოგია. თბილისი 1987.
2. ბრეგაძე 1996; ა. ბრეგაძე, ო. ბრეგაძე, კლინიკური სტომატოლოგია. თბილისი 1996.
3. საყვარელიძე 2009; ზ. საყვარელიძე, ნ. საყვარელიძე, ა. საყვარელიძე, ორთოპედიული სტომატოლოგია. თბილისი 2009.
4. Ngan 2015; Ngan P., Moon W. Evolution of Class III treatment in orthodontics // Am. J Orthod Dentofacial Orthop. 2015. Vol. 148, №1. P. 22-36.
5. Jeffrey 2011; Jeffrey A. Dean, David R. Avery. Ralph E. Dentistry for the Child and Adolescent. Mosby Elsever. 2011.
6. <https://orthodontge.com>
7. <https://zubidesny.ru>

შალვა ბერიანიძე

საქართველოს დავით აღმაშენებლის

სახელობის უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი, პროფესორი მარინე ლომიძე

ელექტრონული მედიის ზოგადი პრინციპების გამოყენების ტენდენციები საქართველოში

ტექნოლოგიების ევოლუციამ ადამიანს ინფორმაციაზე მაღალი ხელმისაწვდომობის საშუალება და მარტივად გავრცელების შესაძლებლობა მისცა, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა მედია და თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით ის უფრო პლურალისტური გახდა. ინტერნეტმედიის შესაძლებლობების გამოყენება ხშირად დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიზნით ხორციელდება, რასაც შეცდომაში შეჭყავეს ახალი მედიის მომხმარებელი, თუმცა ფაქტია, გადაუმონმებელი ინფორმაციების გავრცელების მიუხედავად, ახალი მედია საკმაოდ დიდ კონკურენციას უწევს ტრადიციულ მედიას.

ნაშრომის მიზანია, წარმოჩინდეს ინტერნეტმედიის ეთიკურობა და მისი თვითრეგულირების პრინციპების გამოყენება საქართველოში, რათა გარკვეულწილად გამოვლინდეს ინტერნეტჟურნალისტიკის სამართლიანი გამოყენების აუცილებლობა. წინამდებარე რეკომენდაციები ეყრდნობა საერთაშორისო მედიის სარედაქციო დოკუმენტებსა, პრესის საბჭოების კოდექსებს და მიზნად ისახავს დაეხმაროს ახალი მედიის მომხმარებლებსა და ჟურნალისტებს, რათა აღიჭურვონ ყალბი ინფორმაციის გადამონმების და დეზინფორმაციასთან გამკლავების უნარებით, რომლებიც მათ სწორი ინფორმაციის მიღებაში და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში დაეხმარებათ.

ნაშრომში განხილულია ინტერნეტმედიის ეთიკური თვითრეგულირებისათვის საჭირო 6 საკითხი: პირადი ანგარიშის გამოყენება; ეთიკური და პროფესიული სტანდარტები; ყალბი ინფორმაციის გავრცელების აღბათობა ონლაინ სივრცეში; გამოხატვის თავისუფლების სარედაქციო რეგულაციები სანდოობის უზრუნველყოფისათვის; სოციალური მედიასაშუალებების რეპუტაცია და რისკები; როგორ გადავამონმოთ ვებგვერდის სანდოობა www.liberali.ge-ს მაგალითზე. ელექტრონული მედიის ზოგადი პრინციპების გამოყენების ტენდენციები საქართველოში რეკომენდაციებითაა წარმოდგენილი, ისინი ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტული დეტალები თავად მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეთანხმდეს და დარეგულირდეს.

❖ პირადი ანგარიშის გამოყენება

ახალ მედიაში სოციალური ქსელების პირად ანგარიშებს ჟურნალისტები ხშირად იყენებენ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია „სოციალური მედიის გამოყენების სახელმძღვანელო წესებში“³² პირდაპირ განმარტავს, რომ ჟურნალისტმა სოციალური მედიის პირადი ანგარიში შესაძლოა გამოიყენოს, როგორც პირადი, ისე პროფესიული მიზნებისთვის.

ნებისმიერ ჟურნალისტს, რომელიც ახალ მედიასივრცეს ემსახურება უნდა ახსოვდეს, რომ მისი პროფილი Facebook-ზე, Twitter-ის, Instagram-ის ან პირადი ბლოგის მიმონერა შესაძლოა, მისი

³² <http://qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/29249-socialuri-mediis-gamoyeneba>.

პოლიტიკური და მედიისადმი პლურალისტური შეხედულების ანარეკლი გახდეს, ამდენად ის კარგად უნდა დაფიქრდეს, ვიდრე რაიმეს დაწერს სოციალურ ქსელში.

დღესდღეობით ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ინტერნეტის მეშვეობით, რომელიმე სოციალურ ქსელში სასურველი ადამიანის „პორტრეტი“ შექმნას, რომელიც დაეყრდნობა ინტერნეტმონაცემებს, ამდენად ახალი მედიის ჟურნალისტს მაქსიმალური პასუხისმგებლობა და სიფრთხილე მართებს პერსონალური ინფორმაციის გაზიარებისას. თუ რომელიმე ტრადიციულ მედიაში მომუშავე ჟურნალისტს არ აღელვებს „იარლიყები“, რომლებსაც საზოგადოება ანიჭებს, ელექტრონულ მედიაში მუშაობისას ჟურნალისტი კარგად უნდა დაფიქრდეს პირადი ანგარიშის მოხმარების წესებზე, რათა შეძლოს საკუთარი მონაცემების განზოგადება და გარკვეული ინფორმაციების კონფიდენციალურად დატოვება.

❖ ეთიკური და პროფესიული სტანდარტები

ინტერნეტ მედიაში მომუშავე ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ეთიკური და პროფესიული სტანდარტები ისე, როგორც ეს რეალურ სივრცეში ხდება. სამსახურეობრივი მოვალეობის განსხვავებული ფორმით შესრულება არ ცვლის ძირეულ ნორმებსა და პრინციპებს.

თუ კიდევ შეიძლება მოვძებნოთ ვინმე, ვინც განასხვავებს ტრადიციული მედიის ჟურნალისტისა და ახალი მედიის ჟურნალისტის ეთიკურსა და პროფესიულ სტანდარტებს, მათ საყურადღებოდ განვმარტავ, რომ ისინი არაფრით არ განსხვავდებიან, და საერთოდაც ჟურნალისტური ეთიკა არანაირად არ განსხვავდება ჩვეულებრივი ზოგადსაკაცობრიო ადამიანური ეთიკისაგან, შესამჩნევი განსხვავება ჩვეულებრივ მოქალაქეებსა და ჟურნალისტებს შორის შესაძლოა მოვძებნოთ მხოლოდ პროფესიულ სტანდარტებში, რადგანაც ჟურნალისტური პროფესიული სტანდარტები პირდაპირ გულისხმობს ამ პროფესიის ადამიანების სისტემატურ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ჩვენს რეალობაში.

აბსოლუტური მსგავსებით ხორციელდება სტანდარტების დაცვა ონლაინ დისკუსიების დროსაც, ცხადია, ჟურნალისტმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიტყუოს და არასწორად არ მიუთითოს საკუთარი ვინაობა. ამასთან, არ უნდა ეცადოს, არაკანონიერი გზით მოიპოვოს ინფორმაცია ინტერნეტში.

❖ ყალბი ინფორმაციის გავრცელების ალბათობა ონლაინ სივრცეში

სოციალური ქსელებით გავრცელებული ინფორმაციის გამოყენება დაშვებულია, თუმცა, აუცილებელია გადამოწმება, ვინაიდან ონლაინ სივრცეში ყალბი ინფორმაციის გავრცელება ძალიან მარტივია. თუ ახალი მედიის ჟურნალისტები ნათლად არ განმარტავენ ყველაფერს, მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებისთვის არ იყენებენ ე.წ. „სკრინშოტს“³³ იმ ვებგვერდიდან, საიდანაც ინფორმაციას მოიპოვებენ და არ მიმართავენ არანაირ თავდაცვას, ცხადია, ყალბი ინფორმაციის გავრცელება და საავტორო უფლებების დარღვევის ალბათობა ონლაინ სივრცეში გაიზრდება.

ამავე დროს ახალ მედიას საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის ფიშინგი³⁴, რაც კიბერთაღლითობის გავრცელებული ფორმაა. ამ შეტევის დროს ძირითადად გამოიყენება ელექტრონული ფოსტის შეტყობინება, რომელიც იგზავნება კიბერ კრიმინალების მიერ. ხშირ შემთხვევაში ელექტრონულ ფოსტაზე მისული შეტყობინება წარმოადგენს სანდო წყაროსაგან გაგზავნილ ინფორმაციას, როგორცაა მაგ.: ბანკი, გლობალური თუ რეგიონალური ორგანიზაცია თუ პირი, ვისთანაც

³³ ინგ.: Screenshot – კომპ. „სკრინშოტი“, ეკრანის სურათი (სურათი, რომელზედაც გამოსახულია კომპიუტერის ეკრანი მასზე არსებული ყველა დეტალით).

³⁴ ფიშინგი (ინგლ. phishing : fishing – თევზაობა + phreaching – სატელეფონო თაღლითობა) – ინტერნეტთაღლითობის და კიბერდანაშაულებრივი ფორმა, ელფოსტის ან სხვაგვარი შეტყობინებების გაგზავნა ცნობილი რეალური ორგანიზაციის სახელით ან ლოგოთი (მაგალითად: ბანკი, Hotmail, eBay, Mail.ru, Facebook). ფიშინგის სუბიექტის მიზანია, აიძულოს მიმღები (ობიექტი), გამოავლინოს პირადი დაცული ინფორმაცია შემდგომი ქურდობის მიზნით.

მსხვერპლს შესაძლოა ურთიერთობაც ჰქონოდა. ელექტრონული ფოსტის შეტყობინება შენიღბულია სასწრაფო გზავნილის მსგავსად, სადაც ვრცელი ინფორმაცია ელექტრონული ბმულების სახით არის მოთავსებული, ასევე, შესაძლოა რომ ერთვოდეს მიმაგრებული დოკუმენტები.

„ფიშინგში“ მოთავსებულ ბმულზე გადასვლის, ან ფაილის გახსნის შედეგად კიბერ-კრიმინალები მსხვერპლის კომპიუტერში აღწევენ ან მისგან დამატებით ინფორმაციას იღებენ (პაროლი, მომხმარებლის სახელი, ბარათის ინფორმაცია და სხვა)³⁵. კიბერ დამნაშავეები ცდილობენ, „ფიშინგ მეთოდები“ მასიურად დაუგზავნონ საზოგადოებას, რაც მათი წარმატების ალბათობას რეალურს ხდის. ამდენად, საჭიროა საზოგადოების დაეჭვება, მსგავსი მეთოდების მიღების შემთხვევაში, რათა თავიდან ავირიდოთ კრიმინალების მიერ გამოგზავნილი საფრთხეები.

❖ გამოხატვის თავისუფლების სარედაქციო რეგულაციები სანდოობის უზრუნველყოფისათვის

რედაქციის მიერ საკუთარი ჟურნალისტებისთვის სოციალურ ქსელში მუშაობის რეგულაციების დანერგვისას დაცული უნდა იყოს ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და მედიის მიმართ აუდიტორიის სანდოობის უზრუნველყოფას შორის. რედაქციამ შრომითი ურთიერთობის დანერგვისთანავე უნდა აცნობოს ჟურნალისტს, სოციალურ ქსელში სამუშაო ქცევის შესახებ თუ რა შედეგი იქნება მისი დარღვევის შემთხვევაში.

ამდენად, ყველა ონლაინ გამოცემა ატარებს საკუთარ მედია პოლიტიკას, რომელსაც ავრცელებს საკუთარ სივრცეში მომუშავე ჟურნალისტებზე. იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი შრომითი ურთიერთობის დანერგვისთანავე ვერ მიიღებს ინფორმაციას ელექტრონული მედიის ქცევის პრინციპების შესახებ სარედაქციო საბჭოსგან, მას, ცხადია, შეუძლია მოითხოვოს ეს ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ.

❖ სოციალური მედიასაშუალების რეპუტაცია და რისკები

ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში ახალი მედიის ჟურნალისტმა უნდა გაარკვიოს მისი სინამდვილე. თუკი სოციალურ მედიაქსელს ჟურნალისტი იყენებს პირადი ან პროფესიული საქმიანობისთვის, ძალიან ძნელია ამ ორი ინტერესის ერთმანეთისგან გამიჯვნა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ისინი ყოველთვის დაკავშირებული იქნება მის სახელთან.

დღეს ახალმა მედიამ საგრძნობლად შეცვალა სოციალური ქსელების გამოყენების პოლიტიკა: ადრე თუ ადამიანი მათ მოიხმარდა მხოლოდ გასართობად, დღეს უკვე ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ პოპულარულ და უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს.

ისე, როგორც ტრადიციულ მედიასაშუალებებს (პრესა, რადიო, ტელევიზია), ინტერნეტმედიასაც ევალება საგანმანათლებლო, გასართობი და შემეცნებითი ფუნქციების განხორციელება, რასაც განაპირობებს იმ ჟურნალისტთა ძალისხმევა, რომელთაც შექმნეს პირადი ანგარიშები სოციალურ ქსელებში და გამიჯნეს პირადი და პროფესიული საქმიანობა. ამის დამსახურებაა, რომ ახალ მედიას გაუჩნდა მაღალი რეპუტაციის ამბიცია, რაც პირდაპირ გულისხმობს საზოგადოების ჩართულობას არავერბალურ კომუნიკაციაში.

ამ დროს, გარკვეულწილად გამოიკვეთა ინფორმაციათა დამახინჯების რისკებიც, თუმცა არც ამას არ შეუძინდა სოციალური მედია და თითქმის ყოველწლიურად აუმჯობესებს და მაქსიმალურად ცდილობს, რომ გაზარდოს სანდოობის ხარისხი საზოგადოებაში გავრცელებულ ინფორმაციაზე.

❖ როგორ გადავამოწმოთ ვებგვერდის სანდოობა www.liberali.ge-ს მაგალითზე

მედია საქმიანობის პროცესში სხვადასხვა ელექტრონულ რესურსს ეყრდნობა. მაგრამ ყველა არ არის სანდო. მათი სანდოობის გადასამოწმებლად უნდა გავიგოთ რეგისტრაციის ადგილი და მივიღოთ სხვა მნიშვნელოვანი რეკვიზიტები. ჩვენ შეგვიძლია, ვისარგებლოთ შემდეგი ვებგვერდით www.scamadviser.com.

³⁵ <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/phishing>

საქართველოში არსებული ერთ-ერთი რეიტინგული ვებგვერდის www.liberali.ge³⁶-ს ინფორმაციის სანდოობა სწორედ ამ საიტის მეშვეობით გადავამოწმეთ. აღმოჩნდა, რომ საიტის სანდოობა 100%-ით არის დაცული. ამასთან აღნიშნული პლატფორმა, ვებგვერდის რეგისტრაციის ადგილის დადგენის შესაძლებლობასაც იძლევა. როგორც გაირკვა, საიტი საქართველოშია დარეგისტრირებული, თუმცა შესაძლოა მისი ერთ-ერთი მფლობელი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იმყოფებოდეს, რადგანაც ვებგვერდის ინფორმაცია მომხმარებელთა 31%-ს ამ ქვეყნიდან აქვს მიღებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. თუშმალიშვილი: მედიაპოლიტიკა. თბილისი. 2017.
2. დ. ქურდაძე, ს. გელავა, ლ. გორდაძე, ქ. გიგაშვილი: მედიანიგნიერების გზამკვლევი, როგორ ვებრძოლოთ მანიპულაციას და ყალბ ინფორმაციას. თბილისი. 2017.
3. ს. ასათიანი, თ. დვალიშვილი: ახალი მედია ჟურნალისტებისთვის. თბილისი. 2011.
4. Lotfi Maherzi: World communication report, The media and the challenge of the new technologies, UNESCO Publishing. Paris. 1997.
5. <http://qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/29249-socialuri-mediis-gamoyeneba>
6. <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/phishing>
7. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98>
8. <http://techdict.ge/ka/word/screenshot/>

³⁶ დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ონლაინგამოცემა.

თინათინ იზორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: პროფესორი კახა გაბუნია

წიგნის კითხვის ხელშეწყობა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის წიგნის კითხვის უდიდეს მნიშვნელობაზე ბავშვთა ფსიქოლოგები, პედაგოგები, პედაგოგები დიდი ხანია შეთანხმდნენ. თანამედროვე მსოფლიოში მრავალი კვლევა ტარდება, რომელსაც ერთსა და იმავე შედეგამდე მივყავართ – ბავშვისთვის წიგნის კითხვის დროს მშობელსა და შვილს შორის უდიდესი დადებითი ფსიქოემოციური კავშირი მყარდება, რაც სიყვარულის გამოხატვა-გადაცემას ნიშნავს.³⁷ ცნობილია, რომ მოზარდები, რომელთა წიგნიერების განვითარებას ოჯახში ხელს უწყობენ, კარგი მკითხველები არიან. კარგი მკითხველები არიან მოზარდები, რომელთაც აქვთ კითხვის სწავლის მხარდამჭერი სასწავლო რესურსი სახლში. მათ შორის: წიგნები, მშობლები, რომელთაც უყვართ კითხვა.³⁸ შესაბამისად, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, დაბადებიდანვე მოზარდის წიგნთან მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას.³⁹

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? რამდენად აქვთ გათვითცნობიერებული მშობლებს ადრეული ასაკიდან შვილებისთვის წიგნის კითხვის მნიშვნელობა? როგორ ზრუნავს სახელმწიფო სკოლამდელი ასაკის მოზარდების განვითარებაზე? PIRLS 2016 საერთაშორისო კვლევის შედეგად ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელი საკმაოდ არასახარბიელოა. კერძოდ, წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მონაწილე 50 ქვეყნიდან საქართველო 37-ე ადგილზეა და მისი მაჩვენებელი PIRLS 2011 წლის კვლევის შედეგის მსგავსია (488 ქულა). 2016 წლის კვლევით დადგინდა, რომ ქართველ მოსწავლეთა მაჩვენებელი საერთაშორისო მიღწევების (ნაკითხულის გააზრება) დაბალ დონეზეა.⁴⁰ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის 2012 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოკითხულ მშობელთა 51% საერთოდ არ უკითხავს წიგნებს ბავშვებს. მშობლების მხოლოდ 21 % უკითხავს ხშირად ბავშვებს წიგნებს. გამოკითხულ მშობელთა 54 %-ის თქმით, მათ მიერ შეძენილ წიგნებში საბავშვო წიგნების ხვედრითი წილი 0%-ია.⁴¹ ეს მაშინ, როცა რუსეთში მშობლების 22 % უკითხავს რეგულარულად წიგნებს ბავშვებს,⁴² აშშ-ში 33 %, ⁴³ ხოლო პოლონეთში- 54%.⁴⁴

საქართველოში სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის წიგნის კითხვის ხელშეწყობის მეთოდების, არსებული პრობლემების და მათი აღმოფხვრის შესაძლო გზების გასარკვევად, ჩავატარეთ ინტერნეტგამოკითხვა. კითხვარები დაეუფზავნეთ მშობლებს, საბავშვო ბაგა-ბაღების გამგეებსა და აღმზრდელებს, გამომცემლობებისა და წიგნის მალაზიების წარმომადგენლებს, თბი-

³⁷ <https://www.unce.unr.edu/programs/sites/storyteller/help/reasons/>

³⁸ <http://naec.ge/#/ge/post/1759>

³⁹ http://www.naec.ge/images/doc/SXVA/pirls_2011_2013.pdf

⁴⁰ <http://naec.ge/#/ge/post/1759>

⁴¹ http://www.bookplatform.org/images/activities/17/brochure_geo1.pdf

⁴² <http://fom.ru/Rabota-i-dom/11848>

⁴³ <http://www.slj.com/2013/06/research/two-thirds-of-parents-dont-read-to-their-kids-every-night-reveals-poll/>

⁴⁴ <http://www.allofpolandreadstokids.org/abcxxi-foundation-activities>

ლისის საბავშვო ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს.

ინტერნეტგამოკითხვის (თბილისი, ზუგდიდი, ფოთი, მარნეული) შედეგად იმ მშობელთა 60% რომელთათვისაც ინტერნეტი ხელმისაწვდომია, ყოველდღე უკითხავს წიგნს შვილს, კვირაში სამჯერ – 14 %, მხოლოდ შაბათ-კვირას -26 %. წიგნის შერჩევის კრიტერიუმებში მშობლებისთვის პირველ ადგილზე დგას შინაარსი – 40%, შემდეგ ფასი – 22%, ილუსტრაცია – 17 %, ბეჭდვისა და აკინძვის ხარისხი -7%, ბესტსელერი -7%, ბავშვობის წიგნი – 7%. ინტერნეტკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მშობელთა 75% საბავშვო წიგნებს ყიდულობს ყოველთვე, ორ თვეში ერთხელ – 13%, თვეში ორჯერ -12%. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ ასაკში რომელი წიგნი უნდა ნაუკითხონ ბავშვებს მშობელთა 45 % იგებს ინტერნეტიდან, 36 % პირად გამოცდილებას ეყრდნობა, 10 % მალაზიის რეკომენდაციას უწევს ანგარიშს, ხოლო 9 % ფსიქოლოგის რჩევას ენდობა.

სკოლამდელი ასაკის მოზარდთა ჰარმონიული განვითარების საქმეში ოჯახთან ერთად, დიდია საბავშვო ბაგა-ბალების წილიც. PIRLS 2016 კვლევის მიხედვით, ქართველი ბავშვების დაახლოებით 16 %-ს არ აქვს მიღებული სკოლამდელი განათლება.⁴⁵ არა და, სწორედ სკოლამდელი აღზრდის დანებსებულებებმა უნდა მოახერხონ იმ საჭიროებების მოგვარება, რომელთაც ბავშვები სხვადასხვა მიზეზების გამო (ეკონომიკური მდგომარეობა, მშობელთა მოუცლელობა, მშობელთა განათლება და სხვა) ოჯახებში ვერ იღებენ (მოზარდთათვის საბავშვო ლიტერატურის კითხვა, ბავშვთა გასაგვითარებელი აქტივობები და ა.შ.) ამ შემთხვევაში, გამოკითხვის მიზანი ბაგა-ბალებში მხოლოდ საბავშვო ლიტერატურის კითხვას შეეხებოდა. კვლევაში მონაწილეობდნენ თბილისის, ზუგდიდისა და მარნეულის საჯარო საბავშვო ბაგა-ბალების გამგეები და აღმზრდელები. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხვაში მონაწილე ბაგა-ბალების ნახევარში აღსაზრდელებს საბავშვო ლიტერატურას უკითხავდნენ მხოლოდ კვირაში სამჯერ. დანარჩენ ბალებში კი – ყოველდღე. ბაგა-ბალების ბიბლიოთეკებში არსებული საბავშვო ლიტერატურის მხოლოდ 20 პროცენტია სახელმწიფოს მიერ შეძენილი, წიგნების დაახლოებით 30 % გამგემ შეიძინა, დაახლოებით 20-20 % კი მასწავლებლებისა და მშობლების მიერ ნაყიდი წიგნებია.

საკმაოდ საინტერესო სურათი გვაჩვენა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს წარმომადგენლების მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ: საქართველოში 1136 საბავშვო ბაგა-ბაღი და 100-მდე ალტერნატიული სკოლამდელი ცენტრია. 2007 წლიდან საბავშვო ბაგა-ბალებში გაეროს ბავშვთა ფონდის მეთოდოლოგიური და სახელმძღვანელო მასალა ვრცელდება, 2016 წელს კი თითოეულ ბაღს გადაეცა 20-მდე საბავშვო ლიტერატურა; შექმნილია და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საიტზე განთავსებულია სასკოლო მზაობის პროგრამა, რაც თავის თავში მოიცავს აღმზრდელის გზამკვლევსა და აქტივობების კრებულს. მშობლებისა და ბაგა-ბალების წარმომადგენელთა გამოკითხვა გვაჩვენებს, რომ ეს მინიმალური საჭიროების მხოლოდ მეხუთედი ნაწილია. სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სამმართველოს უფრო აქტიური მუშაობა მართებს. აღმოჩნდა, რომ სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს არ აქვს სტატისტიკა ქვეყანაში სკოლამდელი ასაკის ბავშვების, ამავე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვების რაოდენობის და ბაგა-ბალებსა და სასკოლო მზაობის ცენტრებში რეგისტრირებულ და, შესაბამისად, ბაგა-ბალებს გარეთ დარჩენილ ბავშვთა რაოდენობის შესახებ. ვფიქრობთ, ამ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის უქონლობა ბუნდოვანს ხდის იმ მეთოდებს, ხერხებს, პროგრამებს, რომლითაც ახერხებს ან აპირებს სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველო მუშაობას ამ კუთხით.

⁴⁵ <http://naec.ge/#/ge/post/1759>.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბალების მართვის სააგენტოსთვის ცნობილია დედაქალაქის 160 საჯარო ბაღში რეგისტრირებულთა (55 800 აღსაზრდელი) რაოდენობა. აგრეთვე, ცნობილია ბაგა-ბაღის გარეთ დარჩენილ ბავშვთა (6500-მდე ბავშვი) რაოდენობა. გაირკვა, რომ არც თბილისის სააგენტოსთვისაა ცნობილი სკოლამდელი ასაკის სოციალურად დაუცველ ბავშვთა რაოდენობა. თბილისის მერიას მხოლოდ 18 წლამდე სოციალურად დაუცველ მოზარდთა საერთო რაოდენობის შესახებ მოეპოვება ინფორმაცია. რაც შეეხება საბავშვო ლიტერატურას – თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ცნობით, შარშან დედაქალაქის ყველა საჯარო ბაგა-ბაღში შევიდა (თითოეულში დაახლოებით 20-მდე) საბავშვო ლიტერატურა.

სოციალურად დაუცველ სკოლამდელი ასაკის მოზარდთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოგვანოდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტომ. ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულია 54 ათასამდე სოციალურად დაუცველი სკოლამდელი ასაკის ბავშვი, რომელიც სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას იღებს. თუმცა, სხვა რაიმე სახის (ამ შემთხვევაში, საგანმანათლებლო) პროექტის განხორციელების შესახებ ინფორმაცია შესაბამის უწყებებს არ გააჩნია.

იმის გასარკვევად, არის თუ არა მოთხოვნა საბავშვო წიგნებზე, როგორია ამ კატეგორიის წიგნების შექმნის დინამიკა, იყიდება თუ არა საბავშვო ლიტერატურა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოზარდთათვის, სრულდება თუ არა სახელმწიფო შეკვეთები – გამოკითხვა ჩავატარეთ გამომცემლობებსა (კვირის პალიტრა, ლოგოს პრესი, ბაკურ სულაკაური) და წიგნის მალაზიებს (პარნასი, ბიბლუსი, რუსთაველის 16, სანტა ესპერანსა) შორის. გამომცემლობებისგან მიღებული ინფორმაციით გამოცემულ წიგნებში საბავშვო წიგნების ხვედრითი წილი 61%-ია. ამ კატეგორიის ლიტერატურის გაყიდვა წიგნის მალაზიებში ბოლო 3 წლის განმავლობაში ოდნავ შემცირდა. გამომცემლობებისთვის წიგნის გამოცემის კრიტერიუმი ბაზარზე მოთხოვნა და ამა თუ იმ ნაწარმოების პოპულარობაა მსოფლიოში. აღმოჩნდა, რომ გამომცემლობები არ გამოსცემენ და არც წიგნის მალაზიებს შემოაქვთ წიგნები ეთნიკური უმცირესობების ენებზე. რაც, ცხადია, უარყოფითად აისახება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოზარდთა სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციაზე. გამომცემლობები არც უსინათლოთათვის გამოსცემენ წიგნებს, რადგან ასეთი წიგნების გამოცემა ფინანსურად არამომგებიანია. წიგნის მალაზიებიდან მხოლოდ „პარნასში“ იყიდება აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირის მიერ მოწოდებული აუდიო წიგნები.

სახელმწიფოს მხრიდან საბავშვო გამოცემების ხელშეწყობის თუ ნახალისების მიზნით, გამომცემლობები სახელმწიფოს გამოცემათა თანადაფინანსებას, ბაგა-ბაღების ბიბლიოთეკებისთვის წიგნების შესაძენად თანხის გამოყოფას და კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სასწავლო პროცესთან ინტეგრაციას ურჩევენ. ეს ნაბიჯები კი ხელს შეუწყობენ მშობლებისთვის (განსაკუთრებით სოციალურად დაუცველთათვის) საბავშვო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას, ბაგა-ბაღების ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგებას.

საერთაშორისო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ მხოლოდ ფინანსური დახმარება თუ საგადასახადო შეღავათების დაწესება ვერ მოაგვარებს ქვეყანაში წიგნიერების მხრივ არსებულ პრობლემებს. საჭიროა რეალური პროექტების განხორციელება, რისთვისაც სახელმწიფოს გვერდით საერთაშორისო ფონდები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები დადგებიან. ზემოთ მოტანილი კვლევის თანახმად, პოლონეთში მშობელთა 54% რეგულარულად უკითხავს წიგნებს ბავშვებს. ასეთი მაჩვენებლის მიღწევაში ლომის წილი აქვს პოლონურ ფონდს „მთელი პოლონეთი უკითხავს ბავშვებს“ (ყოფილი ABCXXI), რომელიც 1998 წლიდან ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას: „კითხვის კვირეული“, „კითხვა სკოლებში“, „კითხვა საბავშვო ბაღებში“, „წიგნების დონორების მარათონი“, „ჰარი პოტერი ბიბლიოთეკებისთვის“, „ჩემი შვილის პირველი წიგნი“. წარმატებული იყო ფონდის სარეკლამო აქციები – „მამა, შეგიძლია წამიკითხო?“, „კაცური საუბრები“, „ოჯახი,“ რომლის მთავარი მი-

ზანი ბავშვთა აღზრდის საქმეში მამების ჩართვაა. დაწესდა ასტრიდ ლინდგრენის სახელობის ლიტერატურული კონკურსი, რამაც ხელი შეუწყო თანამედროვე ლიტერატურის შექმნასა და გამოცემას ბავშვებისთვის. გამოიცა, აგრეთვე, საბავშვო ლიტერატურის 23-ტომიანი კოლექცია „მთელი პოლონეთი უკითხავს ბავშვებს“ 2 მილიონ ეგზემპლარად, რომელიც პოპულარული ყოველკვირეული ჟურნალის უფასო დანამატი იყო. ამასთან, დადებითი შედეგი გამოიღო კონფერენციებმა, ტრენინგებმა მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, ჟურნალისტებისთვის, პოლიციელებისთვის, ეკლესიის წარმომადგენლებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, პოლიტიკოსებისთვის; გამოიცა სახელმძღვანელო ლიტერატურა ბავშვთა განათლებისა და კითხვის ხელშეწყობის საკითხებზე.⁴⁶

საინტერესო და შედეგიანია ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის „მინვდი და ნაუკითხეს“ მიერ აშშ-ის პედიატრიის აკადემიასთან ერთად სახელმწიფო დაფინანსებით განხორციელებული პროგრამა, რომელიც პირველადი ჯანდაცვის ქსელში დაინერგა. პროგრამის ფარგლებში პედიატრთან ვიზიტის დროს ბავშვებს გადაეცემა წიგნები. პროგრამაში ჩართული პედიატრები და ექთნები ტრენინგს უტარებენ მშობლებს ბავშვებისთვის ხმამაღლა კითხვის მნიშვნელობაზე. ეს პროგრამა აშშ-ის ორმოცდაათივე შტატში 4,5 მილიონ ბავშვს და მათ ოჯახს წელიწადში 6,5 მილიონ წიგნს აწვდის. აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამა ყველა ბავშვის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს და იგი აშშ-ში სიღარიბეში მცხოვრებ ყოველ მეხუთე ბავშვს ემსახურება.⁴⁷

საქართველოში გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA), გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით განახორციელა სარეკლამო ხასიათის აქცია „მამა, წიგნი წამიკითხე“,⁴⁸ თუმცა, ამ აქციას მხოლოდ კამპანიური ხასიათი ჰქონდა და რეალური შედეგი არ მოუტანია.

საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევების შედეგებიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა წიგნიერების ხელშეწყობა-გაზრდასთან დაკავშირებით დასახვეწია. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს არ გააჩნიათ მიზნობრივი ჯგუფის შესახებ, თუნდაც, სტატისტიკური მონაცემები. საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის მხოლოდ აღმზრდელის გზამკვლევისა და აქტივობათა კრებულის გავრცელება საკმარისი არ არის. საჭიროა მეტი ზრუნვა ბაგა-ბაღების წიგნადი ფონდის შესავსებად. სკოლამდელი ასაკის მოზარდებში წიგნიერების დონის ასამაღლებელი აქტივობები, რომელსაც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ახორციელებენ, ძირითადად კამპანიურ ხასიათს ატარებს და შედეგზე ნაკლებადაა ორიენტირებული.

საქართველოში სკოლამდელი ასაკის მოზარდებში წიგნის კითხვის ხელშეწყობისთვის საჭიროა ქმედითი, კარგად გათვლილი, შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა. ხელისუფლებაში არსებობს ამ პრობლემის თუნდაც თეორიული შესწავლა-გაანალიზების, მოქმედების გარკვეული გეგმის დასახვისა და ამ გეგმის განხორციელების საკმარისი სტრუქტურული რესურსი და ვალდებულება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა გააგრძელოს რეკომენდებული ლიტერატურის ბაგა-ბაღებისთვის მიწოდება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელოს პროექტები, პირველ რიგში, სოციალურად დაუცველი ბავშვების საბავშვო ლიტერატურით უზრუნველყოფისთვის, რაშიც უნდა ჩაერთონ სამშობიარო სახლები, პედიატრები, ფსიქოლოგები. შესაბამისმა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩაატარონ ტრენინგები მშობელთა განათლების ხელშეწყობისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგები არ შემოიფარგლოს მხოლოდ დიდი ქალაქებით. საჭიროა რეგიონების, სოფლების ჩართვა. არასამთავრობო სექტორმა, სახელმწიფო სტრუქტურებმა და გამომცემლობებმა დაგეგმონ და განახორციელონ რეალურ შედეგზე ორიენტირებული

⁴⁶ <http://www.allofpolandreadstokids.org>.

⁴⁷ www.reachoutandread.org.

⁴⁸ <https://dadreadmeabook.wordpress.com>.

ლი ღონისძიებები. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა (უნივერსიტეტებმა) შექმნან სხვადასხვა მიმართულების დისტანციური სწავლების კურსები, რაც ხელს შეუწყობს მშობლებისა და ბავშვების აღმზრდელთა განათლებასა და კვალიფიკაციას. მნიშვნელოვან შედეგს გამოიღებს არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებული ტრენინგები, რომელშიც მშობლებსა და აღმზრდელთან ერთად ჩაერთვებიან ფსიქოლოგები, პოლიცია, ეკლესია. ყოველივე ამისათვის საჭიროა სკოლამდელი ასაკის მოზარდთა განათლების პოლიტიკის შემუშავება და რეალურ დროში განეროლი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.preschooleducation.ge>
2. <http://mes.gov.ge/content.php?id=4908&lang=geo>
3. www.unce.unr.edu/programs/sites/storyteller/help/reasons/
4. <http://liberali.ge/articles/view/3620/ratom-unda-vukitkhot-bavshvs-adreuli-asakidan>
5. <http://naec.ge/#/ge/post/1759>
6. http://www.naec.ge/images/doc/SXVA/pirls_2011_2013.pdf
7. http://www.bookplatform.org/images/activities/17/brochure_geo1.pdf
8. <http://fom.ru/Rabota-i-dom/11848>
9. <http://www.slj.com/2013/06/research/two-thirds-of-parents-dont-read-to-their-kids-every-night-reveals-poll/http://www.slj.com/2013/06/research/two-thirds-of-parents-dont-read-to-their-kids-every-night-reveals-poll/>
10. <https://dadreadmeabook.wordpress.com>
11. <http://www.allofpolandreadstokids.org/abcxxi-foundation-activities>
12. <http://www.gpba.ge/ge/home/>

www.reachoutandread.org

CLIL გაკვეთილის გეგმა და მისი მნიშვნელობა სასწავლო პროცესისთვის

საქართველოსა და მსოფლიოს მრავალი სხვა ქვეყნის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ენობრივი პოლიტიკა.

საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებულ ენობრივ პოლიტიკაში იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება; ერთ-ერთია მულტილინგვური განათლება.

უცხო ენების ცოდნა, რამდენიმე ენის სწავლა, გაგება, გააზრება და მეტყველება ამ ენაზე – ეს მულტილინგვიზმია. რამდენიმე ენის ცოდნას ფართო ასპარეზზე გაჰყავს ადამიანი, აძლევს შესაძლებლობათა გამოყენების საშუალებას.

გაკვეთილის გეგმის არსი და მნიშვნელობა (გაკვეთილის გეგმის ძირითადი ნაწილები)

მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა დაგეგმონ გაკვეთილები. გაკვეთილის გეგმას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პედაგოგს მოსწავლისთვის სათანადო ცოდნის სწორი გზით მიწოდებაში დიდად ეხმარება გეგმის შემუშავება. ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ საქართველოს სასკოლო პრაქტიკაში ჯერჯერობით აქტიურად არაა დამკვიდრებული სასწავლო გეგმების დაგეგმვა-გამოყენება. მასწავლებლებს ურჩევნიათ „ძველებური“ გაკვეთილის ტიპების ჩატარება, რაც მოიცავს გაკვეთილზე, პირველ რიგში, მოსწავლეთა სიის ამოკითხვას, შემდეგ დავალების შემოწმებას ინდივიდუალურად ან ჯგუფურად – ხმამაღალი კითხვით, ახალი გაკვეთილის ახსნას, სახელმძღვანელოს მიერ შეთავაზებული სავარჯიშოების გაკეთებას, დავალების მიცემას და, ბოლოს, შეფასებას – ნიშნების დაწერას. ეს მეთოდი ძალიან დიდ ზიანს აყენებს თანამედროვე მოსწავლეს, რადგან განათლების სისტემა და მოსწავლეთა აზროვნება შეიცვალა და ის მიდგომები და მეთოდები, რომლებსაც იყენებდნენ გასულ საუკუნეში, ეხლა უკვე შეუსაბამოა სკოლების სასწავლო სისტემებისთვის. გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებით მაინც დიდი პრობლემები დგას სკოლებში – მასწავლებლებს ურჩევნიათ გაკვეთილის გეგმის შედგენისგან თავი შეიკავონ, რადგან ეს მათი დროის დიდ ნაწილს მოითხოვს და თვლიან, რომ არა აქვთ შრომის შესაბამისი ანაზღაურება.

იმისათვის, რომ მასწავლებლის მიერ შედგენილი გეგმები მოქნილი და კრეატიული იყოს, აუცილებელია წინასწარ ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლეების ინტერესების, უნარების, შესაძლებლობების შესახებ, ასევე სწავლებისა და საგნების შესახებ.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორ იმუშაოს ჯგუფებში, როგორ გამოიყენოს მასალა და ტექსტები და მოახდინოს მათი ადაპტირება, როგორ გამოიყენონ ეს ცოდნა პრაქტიკაში. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ **არ არსებობს ეფექტური დაგეგმვის ერთი კონკრეტული მოდელი**, ანუ ერთი მოდელი ერთი კონკრეტული საგნის შემთხვევაში წარმატებულია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები. კერძოდ, ის, რომ ყველა კლასში თითოეული მოსწავლე განსხვავებულია და, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება რომ მეექვსე კლასის მასწავლებლის მიერ შემუშავებული გაკვეთილის გეგმა (ბუნებისმცოდნეობის საგანში) წარმატებით გამოიყენოს მეორე მასწავლებელმა სხვა კლასში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაკვეთილის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას, ითვალისწინებდეს მასში მოცემულ საკითხებსა და მისაღწევ მიზნებს.

მასწავლებელმა კარგად უნდა გაიაზროს გაკვეთილის ეტაპები/ფაზები. პირველ ეტაპს წარმოადგენს მოსწავლეთა მოთელვა, ანუ მათი წინარე ცოდნის გარკვევა შესაბამის მასალასთან და-

კავშირებით. მასწავლებლის მიზანია არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურება. გაკვეთილის ცენტრალური ნაწილი სიღრმისეული წვდომის ფაზაა, როდესაც მოსწავლე ბოლომდე გაიაზრებს ახალ მასალას და შეძლებს ახლადშეძენილი ცოდნა დაუკავშიროს ადრე ნასწავლს. შემდეგ ფაზას წარმოადგენს შეჯამება, ანუ მოსწავლეები აჯამებენ მიღებულ ცოდნას და გამოაქვთ დასკვნები. აუცილებელია, მასწავლებელმა წინასწარ გათვალისწინოს, თუ რა სტრატეგიებს გამოიყენებს, როგორ შეაფასებს, შეფასების რომელ მეთოდებს გამოიყენებს და რატომ. უნდა იფიქროს იმაზე, გაკვეთილს დედუქციური მიდგომით (ზოგადიდან კონკრეტულისკენ) წარმართავს, თუ ინდუქციურით (კონკრეტულიდან ზოგადისკენ). გაკვეთილის გეგმა შედგება აუცილებელი კომპონენტებისგან: თემა და მიზანი (სასწავლო მიზნები უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან), სასწავლო აქტივობები და მეთოდები, რომელთა შერჩევისა და განხორციელებისათვის წინასწარ უნდა გვექონდეს მიზნები ჩამოყალიბებული: რამდენი აქტივობა მიგვიყვანს მიზნამდე, შეესაბამება თუ არა ჩვენს მიერ შერჩეული აქტივობა მოსწავლეების ცოდნას, უნარებს, მათ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას, როგორი იქნება აქტივობების თანმიმდევრობა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა და დროის გადანაწილება. გაკვეთილის გეგმაში მასწავლებელმა თითოეულ აქტივობაზე, მათი განხორციელების ფორმასა და შედეგებზე უნდა ისაუბროს. ბოლოს აუცილებელია შეფასება. გეგმაში წინასწარ უნდა იყოს გაწერილი ისიც, თუ რა ტიპის შეფასებას იყენებს მასწავლებელი – განმსაზღვრელს თუ განმავითარებელს..

CLIL გაკვეთილის არსი

დასავლურ ქვეყნებში შემუშავდა და უკვე აქტიურად დაინერგა მეორე ენის სწავლება შინაარსზე დაფუძნებით, ანუ საგნობრივი შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლება. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეს კონკრეტული საგნის სწავლებასთან ერთად ეხმარება იმ ენის ცოდნის გაღრმავებაში, რომელ ენაზეც ხორციელდება საგნის სწავლება.

CLIL არის განათლების გადაცემის თანამედროვე, ინოვაციური მეთოდოლოგია, რომლის მთავარი არსი არის ინტეგრაცია. **CLIL** მასწავლებელს მოეთხოვება ენის სწავლება. კერძოდ კი, მან უნდა იზრუნოს მოსწავლისათვის ენის სათანადო დონის ამალგებაზე, რომელიც გამოადგება საგნობრივი შინაარსის დაუფლებისას. **CLIL** აერთიანებს საგნობრივ შინაარსსა და ენას, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელ სწავლებას. მაგალითად, აფრიკელი ბავშვები **CLIL** – ის გამოყენებით ფიზიკასა და მათემატიკას სწავლობენ ფრანგულ ენაზე. აქ ხდება არა მარტო საგნების, არამედ სხვა – მეორე უცხო ენის ათვისება-სწავლება.

კვლევების თანახმად, დაბალი მოსწრების მოსწავლე **CLIL** პროგრამის გავლის შემდეგ ისევ დაბალ დონეზე რჩება, მაგრამ იგი წარმატებით ეუფლება ახალ ენას და იძენს სოციო-კულტურულ უნარს, რომლებიც მას პროფესიულ და პირად ცხოვრებაში გამოადგება. **CLIL** გაკვეთილზე კომუნიკაცია და სწავლა ხდება მოსწავლის მეორე ენაზე. ჩვეულებრივი გაკვეთილისაგან **CLIL** გაკვეთილებისთვის გამოიყენება ისეთი ავთენტური – ბუნებრივი მასალები, როგორებიცაა საგაზეთო სტატიები, წიგნები, ვებგვერდები და ბლოგები. ტექსტები, რომლებსაც იყენებენ ამ გაკვეთილზე, ადაპტირებულია და ადვილად გასაგები. ასევე, მოსწავლეებისთვის ძალიან კარგია ვიზუალური ან ტექსტური ორგანიზატორები.

CLIL გაკვეთილის პრაქტიკული მაგალითი

გთავაზობთ CLIL გაკვეთილის დაგეგმვის მაგალითს :

გაკვეთილის თემა რიცხვები 1-დან 100-მდე, მოქმედებანი მათზე

სწავლების საფეხური დაწყებითი, პირველი კლასი

საგანი მათემატიკა

მოსწავლეთა რაოდენობა 15

მასწავლებელი

გაკვეთილის მიზნები და მისაღწევი შედეგები :

- შეძლოს რიცხვების წაკითხვა 1-დან 100-მდე
- დაასახელოს მათი წინა და მომდევნო რიცხვები
- მოახდინოს შეკრება – გამოკლება სხვადასხვა ხერხებით
- შეძლოს ამოცანის ამოხსნა
- შეძლოს უცნობი კომპონენტის პოვნა

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი/ინდიკატორები

I.1. კითხულობს რიცხვებს, ასახელებს მათ წინა და მომდევნო რიცხვებს, ორნიშნა რიცხვის ჩანაწერი. მიუთითებს ათეულების და ერთეულების თანრიგებს.

I.2. ახდენს შეკრება-გამოკლების დემონსტრირებას.

I.3. ამოცანის პირობის მიხედვით განსაზღვრავს, თუ რაა მოცემული და რაა საძებნი

I.4. პოულობს უცნობ შესაკრებს, საკლებს, მაკლებს. ახდენს გამოყენებული ხერხის დემონსტრირებას. **აქტივობა I** (დრო 12 წუთი).

მოსწავლეებს წარვუდგენთ რიცხვებისა და მათემატიკურ მოქმედებათა ნიშნების პლაკატს.

ვთხოვთ, გამოთქვან ვარაუდი, თუ რა შეიძლება იყოს ამ პლაკატზე. შემდეგ გავშლით პლაკატს და ვაჩვენებთ, თუ რამდენად გამართლდა მათი ვარაუდები.

ვინყებთ ახსნას

როგორ მიიღება რიცხვი (საგანთა დათვლით)

რით გამოვსახავთ რიცხვებს

რამდენია ციფრი

რამდენია რიცხვი

შემდეგ წავაკითხებ პლაკატზე დაწერილ რიცხვებს და დაახასიათებენ თითოეულ მათგანს.

დავასახელოთ უდიდესი ერთნიშნა რიცხვი.

დავასახელოთ უდიდესი ორნიშნა რიცხვი.

დავასახელოთ უმცირესი ორნიშნა რიცხვი.

დავასახელოთ რიცხვი, რომელიც შედგება:

2 ათეულისა (20) და 3 ერთეულისაგან (3) == $20 + 3 = 23$

3 ათეულისა და 5 ერთეულისაგან == $30 + 5 = 35$

7 ერთეულისა და 4 ათეულისაგან ...

3 ოცეულისაგან (60)

რომელია მეტი 2×20 თუ 4 ათეული /ტოლია

3×20 თუ 6 ათეული / ტოლია

აქტივობა II (დრო 6 წუთი) მათემატიკური თამაში

დაფაზე დაკრული იქნება სურათები ცხოველების, ფრინველების და სხვა გამოსახულებების და მოსწავლეებს დაევალებათ ფურცლებზე ჯგუფებში დაწერონ, თუ რამდენი ერთეული და რამდენი ათეულია თითოეულ სურათზე...

გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელსაც მეტი პასუხი ექნება.

ორგანიზება – 2 ჯგუფი.

აქტივობა III (დრო 15 წუთი)

(მუშაობა ჯგუფებში ბარათებით)

ურიგდებათ მაგალითები ჯგუფების მიხედვით. აკეთებენ შეკრება-გამოკლებას. შემდეგ თითო ჯგუფიდან თითო მოსწავლე მაგალითსა და პასუხს ამბობს და მეორე ჯგუფი უნდა მიხვდეს, სწორია თუ არა პასუხი.

ორგანიზება – ჯგუფური.

გამარჯვებულია ჯგუფი, რომელსაც მეტი სწორი პასუხი ექნება.

შემდეგ ურიგდებათ ამოცანები:

I ჯგუფი

ერთ ყუთში 30 კილოგრამი ვაშლია, მეორეში კი 10 კგ-ით მეტი.

რამდენი კილოგრამი ვაშლია ორივე ყუთში?

II ჯგუფი

ერთ კლასში 20 მოსწავლეა, მეორეში კი 5-ით ნაკლები. რამდენი მოსწავლეა ორივე კლასში?

III ჯგუფი

ნინიკოს ჰქონდა 30 ლარი. იყიდა წიგნი, რომელში გადაიხადა 12 ლარი და პენალი, რომელშიც გადაიხადა 8 ლარი. რა თანხა დარჩებოდა ნინიკოს?

აქტივობა IV (დრო 5 წუთი) უცნობი რიცხვის პოვნა

კლასს ვეკითხებით ხმამაღლა:

ჩავიფიქრეთ რიცხვი, მივუმატეთ 4 და მივიღე 20. რა რიცხვი ჩავიფიქრებია?

ჩავიფიქრეთ რიცხვი, გამოვაკელით 6 და მივიღე 12. რა რიცხვი ჩავიფიქრებია?

აქტივობა VI (დრო 2 წთ)

სახელდებული რიცხვების შედარება:

5 * 6 * 30

20 * 2 * 50

აქტივობა VII (დრო 2 წთ)

ვინ გამოიცნობს?

გუდაში მოთავსებულია ორნიშნა რიცხვები. თითო – თითოდ ამოვიღებთ ბარათებს და ზედ დაწერილ რიცხვებს ნაიკითხავენ.

აქტივობა VIII (დრო 2 წთ)

კლასს ეძლევა დავალება:

დახაზონ სამი მრავალკუთხედი, რომელთა შორის იქნება:

1 კვადრატი

2 მართკუთხედი

1 სამკუთხედი

გაკვეთილის შეჯამება

შეფასება (3 წუთი) მოსწავლეთა შეფასება ხდება სავარჯიშოებში მოპოვებული ქულების დათვლის შედეგად და მიიღებენ სტიკერებს.

სასწავლო რესურსები ტექნიკა და ინსტრუმენტები – სტიკერები, ფერადი ფურცლები, გუდა..

ინფორმაციის წყაროები (ნაბეჭდი, ელექტრონული...) სახელმძღვანელო, ბარათები, დაფა, ცარცი.

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის CLIL გაკვეთილის ჩასატარებლად

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები: ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, გერმანელები და სხვ. ეთნიკური უმცირესობის დიდ ნაწილს წარმოადგენენ სომხები და აზერბაიჯანელები. ამჟამად საქართველოში 300-მდე არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და სექტორია, სადაც სწავლების ენას არ წარმოადგენს ქართული და საგნების შესწავლა მიმდინარეობს უმცირესობათა მშობლიურ ენაზე.

მასწავლებელთა პროფესიული წინსვლა წარმატებით აისახება მოსწავლეთა განათლებაზეც: როდესაც მასწავლებელი ეცნობა თანამედროვე კვლევებს, იღრმავებს ცოდნას და გამოცდილებას, ეს მოსწავლეების განვითარებაზე წარმატებით მოქმედებს. იმისათვის, რომ მასწავლებელმა გაკვეთილები წარმატებით ჩაატაროს და, ამასთანავე, იმ მიზანს მიაღწიოს, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით, საჭიროა მან წინასწარ დაგეგმოს გაკვეთილი და არა მარტო ერთი დღის გაკვეთილის გეგმა შეადგინოს, არამედ, სემესტრისაც და წლიურიც. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე წესი, რომელთა გამოყენებითაც იგი დასახულ მიზანს მიაღწევს. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს განათლების სამინისტრომ დაიწყო ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მასწავლებელთა მომზადება. ისინი აღჭურვილნი იქნებიან იმ სპეციალური ცოდნით, რომელიც საჭიროა არაქართველი მოსწავლისთვის ქართული ენის სრულფასოვნად სწავლებისათვის. მულტილინგვურ მასწავლებელს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მისი საქმიანობა მნიშვნელოვანია და ამ საქმეში სიზარმაცე და გარკვეული საკითხების უგულვებელყოფა დაუშვებელია. მულტილინგვალმა მასწავლებელმა აუცილებლად კარგად უნდა შეისწავლოს ის კონტინგენტი, რომელიც წარმოადგენს სწავლების ობიექტს. ეს საქმიანობა მოითხოვს როგორც თითოეული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნას, ასევე იმ ეთნიკური თემის კულტურის ცოდნასაც, რომელთანაც მას უნევს მუშაობა. ეს ყველაფერი პედაგოგს დაეხმარება სასწავლო გეგმის წარმატებით შესრულებაში.

დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ CLIL გაკვეთილის არსი და მისი მნიშვნელობა საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისთვის. მოგეხსენებათ, ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილი თანამედროვე მსოფლიოში მეტად აქტუალური გახდა და საქართველოს განათლების სისტემა ძალიან საჭიროებს CLIL პროგრამის განხორციელებას.

ამასთანავე, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მოამზადოს ბილინგვალი / მულტილინგვალი მასწავლებლები, რომლებიც იქნებიან არაქართულენოვანი სკოლების კვალიფიციური კადრები. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ყველა იმ რესურსითა და ცოდნით, რომლის საჭიროებაც გაჩნდება მულტიკულტურულ / მულტილინგვურ სკოლებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ირინე შუბითიძე, „ბილინგვური განათლება ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოში“, გვ. 570.
2. „მულტილინგვური/ბილინგვური განათლების განხორციელების პრობლემები საქართველოში“, „ენობრივი პოლიტიკა და საქართველოს განათლების სისტემა“, გვ. 13-26.
3. კ. ბეიკერი „ბილინგვიზმისა და ორმაგი წიგნიერების განათლება“, გვ. 230-238.

მარიამ სეხნიაშილი, ნინო კალანდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა

ხელმძღვანელები: პროფესორი ნინო დურგლიშვილი,

პროფესორი რევაზ ჯორბენაძე

მშობლებზე მოქმედი გარემოფაქტორების გავლენა გადაწყვეტილების მიღებისას სკოლის შერჩევის პროცესში

სკოლის შერჩევის პროცესში მშობლებზე, შვილისთვის განათლების მიცემის მოტივაციის პარალელურად, მოქმედებს სხვადასხვა გარემო ფაქტორები, რომლის აქტუალურობა ცვლადია. 2010 წლიდან მოყოლებული ჩვენს მიერ განათლების მიმართულებით ჩატარებულ სამ დამოუკიდებელ კვლევაში მოხდა დინამიკაში დაკვირვება თუ როგორ შეიცვალა მშობლებზე მოქმედი ფაქტორები, რა იყო ამ ფაქტორების გააქტიურების მიზეზი და რა გავლენას ახდენდა სოციალური გარემო აღნიშნულ ტენდენციაზე.

კვლევა მიმდინარეობდა 2010-2018 წლის ჩათვლით 3-5 წლიანი ინტერვალით.

კვლევის მეთოდი მოიცავდა: 1) კერძო და საშუალო სკოლების სააღწერო კვლევას – სენსუსი; 2) დამკვეთის კონტექსტში ინტერნეტსაძიებო სისტემის, სოციალური ქსელის და საიტის ანალიზს; 3) თვისებრივ კვლევას, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებს; 4) რაოდენობრივ კვლევას.

კვლევისთვის შეირჩა შემდეგი სეგმენტი: 1) კერძო და საჯარო სკოლის სამომხმარებლო ბაზრის, ანუ 5-დან 18 წლამდე ბავშვების მშობლები; 2) კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეები; 3) კერძო და საშუალო სკოლის მასწავლებლები.

ჩამოთვლილი სეგმენტიდან, ნაშრომში წარმოდგენილია, მხოლოდ მშობელთა დამოკიდებულებები და პრიორიტეტული ფაქტორები სკოლის შერჩევის პროცესში;

კერძო და საშუალო სკოლების სააღწერო კვლევის – სენსუსის მონაცემების თანახმად 2017/2018 წლის მონაცემებით ქვეყანაში 518038 საჯარო და 57143 კერძო სკოლაა. თბილისის მასშტაბით ყველაზე მაღალი ფასია – 24 000 ლარი ქართველი მოსწავლეებისათვის და 77100 ლარი უცხოელი მოსწავლეებისათვის. კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შერჩევის პროცესში ფასი არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რადგანაც მშობლები სასურველ სკოლას წინასწარ განსაზღვრული გადაწყვეტილებით თავიანთ საფასო კატეგორიაში ეძებენ.

ინტერნეტსაძიებო სისტემის, სოციალური ქსელის და საიტის ანალიზის თანახმად, არცერთი მახასიათებლის მიხედვით, არ არსებობს სკოლების ოფიციალური რეიტინგული სისტემა. ინტერნეტში მოცემულია მხოლოდ საფასო კატეგორიით დალაგებული ყველაზე ძვირადღირებული და პოპულარული კერძო სკოლების არასრული ჩამონათვალი და მოკლე აღწერა.

ჩვენი კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, სკოლის შერჩევის პროცესში, რვანლიან ქრილში მშობლების გადაწყვეტილების მიხედვით გამოვლინდა რამდენიმე უცვლელი და ასევე სოციალურ/პოლიტიკური გარემოს გავლენით განპირობებული პრიორიტეტული ფაქტორი.

კვლევის პროცესში მშობლები ადარებენ ერთმანეთს საჯარო და კერძო სკოლებს. 2010 წელს ჩატარებული კვლევისას მშობლების არჩევანზე გადამწყვეტი მოქმედი 5 პრიორიტეტული ფაქტორი იყო: განათლების ხარისხი, პროფესიონალი პედაგოგები, ინფრასტრუქტურა, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა და დისციპლინა. 2015 წელს მშობლები ძირითად განმასხვავებელ ფაქტორებში ასახელებენ: ინფრასტრუქტურას, კლასში მოსწავლეთა რაოდენობას, პროფესიონალ პედაგოგებს, განათლების ხარისხსა და დამატებით აქტივობებს. ხოლო 2018 წელს ჩატარებული კვლევისას მშობლების

არჩევანზე გადამწყვეტი 5 მოქმედი ფაქტორი შემდეგნაირად გადანანილდა: უსაფრთხო გარემო, განათლების ხარისხი, პროფესიონალი პედაგოგები, სახელმძღვანელოები, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა. გამოიკვეთა განმეორებადი ფაქტორები როგორცაა განათლების ხარისხი, პროფესიონალი პედაგოგები და კლასში მოსწავლეთა რაოდენობა. ამ სამ ფაქტორს მშობლები ინდივიდუალურ მიდგომაში აერთიანებენ, რაც გულისხმობს მოსწავლეების მცირე ჯგუფში, პედაგოგების მეტ ყურადღებას, თითოეული მოსწავლის უნარების გათვალისწინებას, მისი შესაძლებლობების გამოვლენას და განვითარებას, თანამედროვე სწავლების მეთოდის გამოყენებით – მეტ თვალსაჩინოებას, დამატებითი მასალების ჩართვას და სწავლის პროცესის საინტერესო ფორმით წარმართვას, როდესაც მოსწავლეები ხალისით და ენთუზიაზმით ერთვებიან ცოდნის მიღების პროცესში.

საჯარო და კერძო სკოლებს შორის აღნიშნული განსხვავების გათვალისწინებით გამოკვლეული მშობლების ნაწილმა, საჯარო სკოლაში სწავლების პროცესშივე გადამწყვეტა კერძო სკოლაში შვილის შეყვანა/გადაყვანა. სამივე ჩატარებულ კვლევაში კერძო სკოლაზე არჩევანის გაკეთებისას ზემოქმედი ფაქტორები მსგავსია, თუმცა განსხვავდება ყველაზე პრიორიტეტული ზემოქმედი კრიტერიუმი.

2010 წელს ჩატარებული კვლევისას მშობლების არჩევანზე გადამწყვეტი მოქმედი ფაქტორი **ინდივიდუალური მიდგომა და განსხვავებული გარემოა**, 2015 წელს ჩატარებულ კვლევაში მონაწილე მშობლები ყურადღებას **ინფრასტრუქტურაზე** ამახვილებენ, ხოლო 2018 წელს – მშობლებისთვის გადამწყვეტი ზემოქმედი ფაქტორი – **უსაფრთხოება** აღმოჩნდა. სოციალური გარემო პირდაპირპროპორციულად აისახება მშობლების მიერ სკოლის შერჩევის კრიტერიუმებზე; უსაფრთხოების თემა⁴⁹, რომელიც წელს მთავარ პრიორიტეტად სახელდება საერთოდ არ იყო გადამწყვეტილების მიღების პროცესში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს შორის 2010 წელს, როდესაც აქცენტი კეთდებოდა განსხვავებულ გარემოზე და მშობლები ყურადღებას ამახვილებდნენ მოსწავლეზე ორიენტირებულ, ინდივიდუალურ მიდგომაზე. ამასთან, ინდივიდუალურ მიდგომად 2010 წელს მშობლები აღიქვამენ მასწავლებლის მეტ ყურადღებას და მოსწავლისთვის უკუკავშირის მიწოდებას, ხოლო 2018 წლის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მშობლები ინდივიდუალურ მიდგომაში კონკრეტული ბავშვის მისწრაფებების გამოვლენას, პიროვნების განვითარებას და თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებას გულისხმობენ.

ინდივიდუალური მიდგომის ახსნისას მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რა იგულისხმება აღნიშნულ ტერმინში, რათა არ მოხდეს მისი აღრევა „პიროვნულ მიდგომასთან“, რომელიც მიმართულია პიროვნების ინდივიდუალურობის (პიროვნების განუმეორებელი უნიკალურობის) მხარდაჭერისა და განვითარებისაკენ. ინდივიდუალური მიდგომა – ეს არის ბავშვის ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინება სწავლების პროცესში. მიდგომის გამოყენებისას მნიშვნელოვანია ასევე განისაზღვროს რომელი ინდივიდუალური თვისებებია გასათვალისწინებელი სწავლის პროცესში: ინტელექტუალური თვისებებები – ყურადღება, კონცენტრაცია, აღქმა, აზროვნება, მეხსიერება, წარმოსახვა, მეტყველების თვისებებები, ემოციური თვისებებები (ტემპერამენტი, ემოციურობა, ალგზნებადობა); ქცევის თვისებებები; ფიზიოლოგიური თვისებებები – მხედველობა, სმენა; ფიზიკური თვისებებები – შრომისუნარიანობა, მუშაობის ტემპი; კოგნიტური თვისებები – ინტერესი, შემეცნების სურვილი, ცნობისმოყვარეობა. ასევე გასათვალისწინებელია თუ საიდან იღებს მასწავლებელი მოსწავლეების ინდივიდუალური თვისებებების შესახებ

⁴⁹ 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, აკ. ხორავას ქუჩაზე, ერთ-ერთ ეზოში, მოზარდებს შორის დაწყებული შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა, რა დროსაც ერთი მოზარდი სასიკვდილოდ დაიჭრა, ხოლო მეორე არასრულწლოვანი მრავლობითი ჭრილობებით საავადმყოფოში მეორე დღეს გარდაიცვალა. კონფლიქტი ორი სკოლის წარმომადგენლებს შორის სკოლის ტერიტორიაზე დაიწყო და შემდგომ ხორავას ქუჩაზე გაგრძელდა. <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/466364-khoravas-quchaze-momkhdar-faqthan-dakavshirebith-erthi-piri-daakaves.html?ar=A>

ინფორმაციას, იღებს კონსულტაციას სკოლის ფსიქოლოგისგან, თავად ახდენს დიაგნოსტიკას, იღებს ინსტრუქციას ადმინისტრაციისგან, გადის კონსულტაციას მშობელთან და ა.შ. და კიდევ ერთი ყურადღება მისაქცევი საკითხი ეს არის თუ როგორ ხდება სწავლების პროცესში ამ თავისებურებების გათვალისწინება – სტიქიურად, იქ სადაც საჭიროება წარმოიქმნება, გარკვეული სქემის და ალგორითმის მიხედვით, თუ მეთოდის უცვლელი ნაწილია, რომელიც მასწავლებელმა თავად გამოიმუშავა. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდივიდუალური მიდგომა იქნება ეფექტური მოსწავლისათვის სწავლების პროცესში და ის კონკრეტულ დადებით შედეგს მოუტანს მას. შესაბამისად, რადგანაც მიდგომა კომპლექსურ გადამწყვეტას მოითხოვს რეკომენდებულია თითოეული აღნიშნული პუნქტის შესწავლა, დამუშავება და სისტემაში მოქცევა, მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ინდივიდუალური მიდგომა გახდეს სწავლების მეთოდის ნაწილი.

ეს ფსიქოლოგიური სხვაობა კოლექტიური ურთიერთობის აღქმიდან ინდივიდის – პიროვნების დაყვანამდე დასავლური განათლებისადმი მიდრეკილებით აიხსნება.

სტუდენტების საერთაშორისო შეფასების პროგრამა (PISA)⁵⁰ – ეს არის სამწლიანი საერთაშორისო გამოკითხვა, რომლის მიზანია განათლების სისტემის შეფასება მთელს მსოფლიოში 15 წლის მოზარდების უნარებისა და ცოდნის ტესტირების გზით.

2015 წელს ნახევარ მილიონზე მეტმა სტუდენტმა, რომლებიც წარმოადგენენ 15 წლის მოზარდებს 72 ქვეყნიდან, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო დონეზე შემუშავებულ ორსაათიან ტესტში. სტუდენტები ფასდებოდნენ საბუნებისმეტყველო, მათემატიკის, კითხვისა და ერთობლივი პრობლემის გადაწყვეტის და ფინანსური ცოდნის მიხედვით. გასული ათწლეულის მანძილზე, საერთაშორისო სტუდენტური შეფასების პროგრამა გახდა საზომი სკოლების სისტემის ხარისხის შეფასებისთვის. პისა ავლენს აღნიშნული სისტემების მახასიათებლებს და აძლევს საშუალებას მთავრობასა და განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებს მოახდინონ ეფექტური პოლიტიკის იდენტიფიცირება, რომლის ადაპტირებასაც მოახდენენ ადგილობრივ კონტექსტში. პისა 2015-ის მონაცემებით⁵¹ ფინური განათლების სისტემა და ფინელი მოსწავლეები მაღალი შეფასებით რეიტინგის სამეულში შედიან.

ფინელი ჟურნალისტი და წიგნის „ყველაფრის ჩრდილოეთ თეორია“ ავტორი ანუ პარტანენი (Anu Partanen) ფინური განათლების სისტემის ახსნისას ხაზს უსვამს სამართლიანობის მნიშვნელობას.

„1980 წლებში ფინური საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად მამოძრავებელ ძალად იქცა იდეა იმის თაობაზე, რომ ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა მიიღოს განათლება მიუხედავად ოჯახური მდგომარეობის, შემოსავლის ან გეოგრაფიული მდებარეობისა. განათლება განიხილებოდა არა როგორც „ვარსკვლავების“ შემქმნელი, არამედ სოციალური უთანასწორობის გასათანაბრებელი ინსტრუმენტი“.⁵²

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი მშობლები შერჩევის პროცესში ნაკლებად ან საერთოდ არ ხელმძღვანელობენ სასწავლო პროგრამით; ახლო პერსპექტივაში პროგრამის უგულვებელყოფა და აქცენტის გაკეთება ფასადურ მონაცემებზე/მოთხოვნილებებზე იწვევს საჯარო სკოლების რეიტინგის დაწევას, რადგანაც საჯარო სკოლებს კონკურენციას უწევს კერძო სკოლა სამი მთავარი ფაქტორით, რომელიც გამოვლინდა კვლევისას – ინდივიდუალური მიდგომა, ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობამ საგრძნობლად დაიკლო, თუ 2000-2001

⁵⁰ <http://www.oecd.org/pisa/aboutpisa/>.

⁵¹ <https://minedu.fi/en/pisa-en>.

⁵² <https://www.theatlantic.com/national/archive/2011/12/what-americans-keep-ignoring-about-finlands-school-success/250564/>.

სასწავლო წლებში მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლაში შეადგენდა 699483, 2017-2018 სასწავლო წლებში მონაცემი 518038 მოსწავლეა⁵³. კერძო სკოლების მონაცემის დინამიკა კი მზარდია, 2000-2001 წლებში კერძო სკოლებში 12137 მოსწავლე სწავლობდა, ხოლო 2017-2018 წლებში ეს მონაცემი მკვეთრად გაზრდილია და 57143 მოსწავლეს შეადგენს⁵⁴. კერძო სკოლებში სწავლების ეს მზარდი დინამიკა პირდაპირპროპორციულად აისახება დამამთავრებელი კლასების და აბიტურიენტების გადინებაზე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. 2016-2017 წლების სასწავლო წლის დასაწყისის მონაცემებით, საზღვარგარეთ, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში საქართველოს 565 მოქალაქე სწავლობს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ეს რაოდენობა 162-ით მეტია წინა სასწავლო წლის მაჩვენებელზე. ქართველი სტუდენტების უმეტესობა – 400 სტუდენტი საზღვარგარეთ სახელმწიფო სასწავლებელში სწავლობს. მათ შორის, 154 სტუდენტი გერმანიაში ეუფლება განათლებას⁵⁵.

კვლევის თანახმად პროგრამის და სასწავლო ორიენტაციის აქტუალურობა დამამთავრებელ კლასებში იმატებს და ძირითადი აქცენტი კეთდება ევროპულ და ამერიკულ განათლებაზე, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში კერძო სკოლების მზარდი დინამიკის და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობის მატების გათვალისწინებით, საბოლოოდ, ქართული უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობას აქვეითებს და ახალი თაობის საგანმანათლებლო მიგრაციას უწყობს ხელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდებულია:

1. უსაფრთხო გარემოს შექმნა. სკოლის უსაფრთხოება შედგება რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტისაგან: ჯანმრთელი უფასო კვება, სამედიცინო მომსახურება, ფსიქოლოგის კონსულტაცია, ადაპტირებული გარემო, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემო (ნაკლები კუთხოვანი და შემადლებული ადგილები), ეზოს და სკოლის ტერიტორიის დაცულობა. ამიტომ სკოლის მიერ მშობლებისათვის უნდა მოხდეს უსაფრთხოების, როგორც რამდენიმე კომპონენტის პაკეტის შეთავაზება.

2. თანამედროვე მიდგომების გამოყენება სწავლების პროცესში. აღნიშნული მიდგომა რამდენიმე კომპონენტს აერთიანებს, მნიშვნელოვანია ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინება, ინფორმაციის მიღების პროცესში სკოლის ფსიქოლოგის და მშობლის ჩართულობა, კონკრეტული ალგორითმის შემუშავება და სიტუაციის შესაბამისად ადაპტირება.

3. მასწავლებლის პროფესიონალიზმი: შეძლოს მოსწავლეების საჭიროებების გამოვლენა, ყურადღების თანაბარი განაწილება ყველა მოსწავლეზე, გამოიყენოს შემოქმედებითი მიდგომა სწავლების პროცესში, მეთოდულად იხელმძღვანელოს ინდივიდუალური მიდგომით.

4. პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და ცხოვრებისთვის მომზადება. დასავლური განათლების სისტემა გულისხმობს იმ უნარ-ჩვევების შესწავლას, რომელიც მოსწავლეს მომავალ ცხოვრებაში გამოადგება. ცურვის გაკვეთილზე გარდა ცურვისა მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ თუ როგორ ამოიცნონ როდის სჭირდება ადამიანს დახმარება, რომ არ დაიხრჩოს, ასევე აღმოუჩინონ მას პირველადი სამედიცინო დახმარება. შრომის გაკვეთილებზე შესაძლოა დაეუფლონ კერძების მომზადებას, ქსოვასა და კერვას. ყურადღება უნდა დაეთმოს ბუნების სიყვარულსა და მის გაფრთხილებას, თეორიულ ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თავად ჰქონდეთ შეხება ბუნებასთან; თანამედროვე ციფრული ეპოქის გათვალისწინებით კი, აუცილებელია მოსწავლემ შეძლოს დამოუკიდებლად შექმნას ელექტრონულ პორტფოლიო და ისწავლოს საიტის აგება.

⁵³ http://geostat.ge/cms/site_images/_newimg/socialuri/ganatileba/sajaro_skolebi_moswavleta_raod_geo.png.

⁵⁴ http://geostat.ge/cms/site_images/_newimg/socialuri/ganatileba/kerdzo_skolebi_geo.png.

⁵⁵ http://geostat.ge/cms/site_images/_newimg/socialuri/ganatileba/sur11_geo.png.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია განათლების სტრატეგიული რეფორმა, რომელიც მიმართული იქნება ყველა საჯარო სკოლის ეფექტიანობის ზრდაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, ნაცვლად „გამორჩეულთა ლიგის“ ჩამოყალიბებისგან, სადაც წარმატებული მოსწავლეები ერთმანეთს უწევენ კონკურენციას, ყველასთვის შეიქმნას თანაბარი ცოდნის მიღების შესაძლებლობა. ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებით სწავლების პროცესში მოხდება თითოეული მოსწავლის საჭიროებების გამოვლენა/გათვალისწინება, პიროვნული მიდგომით მოსწავლეების უნარების განვითარება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში სასწავლო პროგრამის აქტუალურობას გაზრდის და მშობლების არჩევანზე ზემომქმედ ფაქტორებში პრიორიტეტულ ადგილს დაიკავებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/466364-khoravas-quchaze-momkhdar-faqtthan-dakavshi-rebith-erthi-piri-daakaves.html?ar=A>
2. <http://www.oecd.org/pisa/aboutpisa/>
3. <https://minedu.fi/en/pisa-en>
4. <https://www.theatlantic.com/national/archive/2011/12/what-americans-keep-ignoring-about-finlands-school-success/250564/>
5. http://geostat.ge/cms/site_images/_newimg/socialuri/ganatileba/sajaro_skolebi_moswavleta_raod_geo.png
6. http://geostat.ge/cms/site_images/_newimg/socialuri/ganatileba/kerdzo_skolebi_geo.png
7. http://geostat.ge/cms/site_images/_newimg/socialuri/ganatileba/sur11_geo.png

ლანა ფორჩხიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ხელმძღვანელი: პროფესორი მიხეილ ქართველიშვილი

ათეიზმის კათედრის იდეოლოგიური მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1960–1965 წლებში

ჩვენი თემის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ათეიზმი, როგორც რელიგიის წინააღმდეგ შექმნილი იარაღი, ამ იდეოლოგიის გავრცელების მიზნები საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, უფრო კონკრეტულად იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ და შედეგები, რომელშიც დიდ როლს თამაშობს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ათეიზმს, როგორც რელიგიის ერთ-ერთ ასპექტს, ხანგრძლივი ისტორია აქვს, შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოიშვა რელიგიურ შეხედულებებთან ერთად, როგორც კი გაჩნდა პირველი წარმოდგენები ზებუნებრივზე და არამიწიერზე, მაშინვე ჩნდება ეჭვი, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეს არ შეესაბამება და ამ ყველაფერს სხვა უფრო რეალური ახსნა აქვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ათეიზმი თავის მხრივ წარმოადგენს რელიგიური მსოფლმხედველობის, რელიგიური წესის ალტერნატივას, თუმცა ადრე მას არასდროს მიუღია მთავარი როლი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის განვითარებაში, როგორც ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა.⁵⁶

პირველ რიგში, იმისათვის, რომ მარტივად გასაგები იყოს, თუ რა პროპაგანდას ეწეოდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლება, ვისაუბრებთ ზოგადად ამ იდეოლოგიის დამოკიდებულებაზე რელიგიასთან მიმართებაში. ალბათ ამ მხრივ უცნაური არ იქნება თუ თემის განხილვას ლენინის სიტყვებით დავიწყებთ. 1905 წლის სტატიაში „სოციალიზმი და რელიგია“ იგი წერდა „მთელი ჩვენი პროგრამა აგებულია მეცნიერულ და ამასთანავე, სწორედ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე. ამიტომ ჩვენი პროგრამის განმარტება აუცილებლად სარწმუნოებრივი ბურჟუასის ქვეყნის ისტორიული და ეკონომიკური ფესვების განმარტებასაც შეიცავს. ჩვენი პროგრამა აუცილებლად ათეიზმის პროპაგანდასაც შეიცავს.“^{57 58} ამ სიტყვებში ნათლად ჩანს, რომ ლენინი პირდაპირი ღია პროპაგანდის მომხრე იყო, მეტიც ერთ-ერთ თავის თხზულებაში⁵⁹ იგი რელიგიას სულიერ მათრობელად მოიხსენიებს, რომელშიც კაპიტალისტები ახრჩობენ თავიანთ ადამიანურ სახეს. ასევე იგი ყურადღებას ამახვილებს მარქსიზმის დამოკიდებულებაზე რელიგიის მიმართ, მისი თქმით მარქსიზმი ყოველთვის განიხილავს ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციას, როგორ ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოებს, რომლებიც ექსპლოატაციის დაცვას და მუშათა კლასის გაბრუებას ემსახურებიან.

ამ სიტყვებით ლენინი რეალურად ცხადყოფს, რომ საბჭოთა იდეოლოგია დგას მარქსიზმის ფესვებზე, რომელიც თავისი არსით წინააღმდეგობაში მოდის რელიგიასთან. ცხადია, ყოველივე ამის გამო კომუნისტური პარტია ვერ დაიჭერს ნეიტრალურ დამოკიდებულებას რელიგიასთან მიმართებაში. ამიტომ მიმართავს შესაბამის რეაქციულ ზომებს და აწარმოებს კიდევ რელიგიის წინააღმდეგ მტკიცე, სერიოზულ და მოთმინებით იდეოლოგიურ. კომუნისმი ნათლად მოუწოდებს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ამასთან ერთად ისინი მიიჩნევენ, რომ ბრძოლას არ უნდა

⁵⁶ თ. ფანჯიკიძე, რელიგიური პროცესები XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე.

⁵⁷ გულაშვილი. ათეიზმის თეორიის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975.

⁵⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ, მე-4 გამოცემა ტ.10, გვ. 87.

⁵⁹ იქვე, ტ.15, გვ. 493.

ჰკონდეს პოპულარულ-პროპაგანდისტული ხასიათი, საჭიროა მისი ღრმა მეცნიერულ-ფილოსოფიური კრიტიკა, ვინაიდან სხვაგვარად (ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე) ვერავითარი მატერიალიზმი ვერ გაუძლებს ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეათა თავდასხმისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის აღდგენის წინააღმდეგ.⁶⁰

მარქსისტული ათეიზმის ძირითადი აქცენტი ღმერთის უარყოფაზე კი არ არის გადატანილი, არამედ ადამიანის განმტკიცებაზე, რომელიც გათავისუფლებული იქნება ყოველგვარი ბორკილებისა და ილუზიებისაგან.⁶¹ არც რელიგია გამოირჩევა კომუნიზმთან მიმართებაში შემწყნარებლობით.

ეკლესიის მიერ ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება აიხსნება იმით, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მძლავრი განვითარებისა სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ათეისტური შეხედულებანი მშრომელთა მასებში

თანამედროვე რელიგიის მესვეურები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ათეიზმი მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელი მასიური მოვლენა გახდა. ვატიკანის მეორე საეკლესიო კრებაზე აღინიშნა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის 1/3 ათეიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მისი საშიშროება სამყაროს დანარჩენ ნაწილსაც ემუქრებაო. ეკლესია შემფოთებულია ათეიზმის სულ უფრო და უფრო მზარდი გავლენითა და გავრცელებით.

ამასთან ერთად როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ათეიზმს დიდი როლი ეკავა მარქსისტულ ხედვაში, რომელსაც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა საბჭოთა იდეოლოგია, ხოლო თანამედროვე დასავლურ და რუსულ საისტორიო მეცნიერებაში დიდი ყურადღება ექცევა საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის შესწავლას, სადაც მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს სფეროს წარმოადგენს რელიგიური პოლიტიკის ცალკეული მახასიათებლები და თავისებურებები. ამ კუთხით, ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია ნიკიტა ხრუშოვის მიმართელობა, რომლის იდეოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენდა დესტალინიზაცია.

ნიკიტა ხრუშოვის ათეისტური პოლიტიკის გააქტიურება 1954 წლიდან იწყება, როდესაც ჯერ კიდევ 7 ივლისს მიიღეს საიდუმლო დადგენილება „მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდისას დიდი დანაკლისისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“⁶², ხოლო 10 ნოემბერს კი გამოქვეყნდა სკკპ-ს (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ. ამ ორ დადგენილებას დაეფუძნა ანტირელიგიური პოლიტიკა; განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ „დადებითი შედეგები აღმზრდელობით მუშაობაში, რომლის მიზანია რელიგიური გადმონაშთების დაძლევა, შეიძლება მიღწეულ იქნას, მხოლოდ და მხოლოდ, იმ პირობით თუ ამაღლდება ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მშრომელთა რიგებში.

ამ მიზნით 1959 წლიდან საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულო გახდა „მეცნიერული ათეიზმის პრინციპების“ შესწავლა.⁶³ სწორედ ამ დადგენილებას უკავშირდება ათეიზმის კათედრის დაარსება საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, რომელიც იმ დროს მოიხსენიებოდა როგორც სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ამ საკითხის განხილვისას მთავარ სირთულეს წარმოადგენს კათედრის დაარსების თარიღი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ფანჯიკიძე, რომელიც თავად გახლდათ ათეიზმის კათედრის პირველი ასპირანტი აღნიშნავს: „1961 წლის თბილისის სახელმწიფო

⁶⁰ გულაშვილი, ათეიზმის თეორიის საკითხები.

⁶¹ გულაშვილი, ათეიზმის თეორიის საკითხები.

⁶² მიხეილ ქართველიშვილი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ათეიზმის კათედრის დაარსებისა და იდეოლოგიური მუშაობის ისტორიიდან“.

⁶³ [Вопросы, 1961: 111], მიხეილ ქართველიშვილი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ათეიზმის კათედრი დაარსებისა და იდეოლოგიური მუშაობის ისტორიიდან“.

უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე, შეიქმნა მეცნიერული ათეიზმის კათედრა, ეთიკასა (ეთიკასა და ესთეტიკასთან ერთად), რომელსაც იგივე მიზნები და ამოცანები ჰქონდა, რაც მისი ტიპის სხვა კათედრებს მთელ საბჭოთა კავშირში.⁶⁴

1960 წლის 28 სექტემბერს შედგა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათეიზმის, ეთიკისა და ესთეტიკის კათედრის პირველი სხდომა. ზემოთ აღნიშნული ფაქტი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სწორედ 1960 წლის 28 სექტემბერი არის კათედრის დაარსების თარიღი. თავისი მუშაობის განმავლობაში კათედრამ რამოდენიმეჯერ შეიცვალა დასახელება, კერძოდ, 1960 წლის 10 ოქტომბრის ოქმში მოიხსენიება მეცნიერული ათეიზმის საფუძვლების კათედრის სახელით. პირველ სხდომას ესწრებოდნენ: დც. ს. სახაროვი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატები: გ. ბანძელაძე, ო. გაბიძაშვილი, ამხ. ზ. ფორაქიშვილი და უფროსი ლაბორანტი ზ. კორაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ სხდომაზე დღის წესრიგში შედიოდა კათედრის დაკომპლექტების საკითხი. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა სათანადო კადრების შერჩევაზე, რაც კონკურსის ჩატარების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. რაც შეეხება მეორე პუნქტს, რომელშიც მოიაზრებოდა ლექტორთა ინფორმაციები ათეიზმსა და ეთიკაში ლექციების მიმდინარეობის შესახებ. საინტერესოა, რომ ლექტორები ძირითადად დადებითად საუბრობენ ლექციების მსვლელობაზე და აღნიშნავენ, რომ ერთადერთ პრობლემად მათ ცხრილის ხშირი ცვლილება მიაჩნიათ, რაც, თავის მხრივ, კათედრის სიახლით იყო გამოწვეული. მესამე პუნქტი კი ეხებოდა საათობრივ დატვირთვას და აქ აქცენტი ძირითადად კეთდებოდა მოწვეულ ლექტორებზე და საათობრივ ანაზღაურებაზე. პირველივე ოქმიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება რომ, ამ საგნების ნაკითხვა ლექტორებს ევალებოდათ ყველა არსებულ ფაკულტეტზე, საბუნებისმეტყველო – ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ჰუმანიტარული-ალმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი, ფილოლოგია, ტექნიკური – მათემატიკა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ზემოაღნიშნულ დისციპლინებში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოების, წიგნების და ბროშურების შექმნას. 1961 წლიდან უკვე ვხვდებით სახელმძღვანელოს სახელწოდებით „**Основы научного атеизма**“ – მეცნიერული ათეიზმის საფუძვლები.

ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია 1961 წლის 8 სექტემბრის შეხვედრა, რომელზეც განიხილებოდა საქართველოს კპ (კომუნისტური პარტია) ცკ-ის (ცენტრალური კომიტეტი) 1961 წლის 13 ივნისს დადგენილება მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის განხილვის შესახებ. დადგენილებაში აღინიშნა, რომ კათედრამ უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა. პარტიულმა, კომკავშირულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა აქტიურად ჩართონ კათედრის მუშაკები ათეისტურ პროპაგანდაში, ფართოდ უნდა ეწყობოდეს კათედრის წევრთა გამსვლელი სესიები რესპუბლიკის შორეულ რაიონებში. გამსვლელი სესია ჩატარდა ქ. რუსთავსა და სამტრედიისაში, სადაც განიხილებოდა შემდეგი თემები: „რელიგია და კომუნიზმი“, „რელიგიური სექტანტობა და მისი იდეოლოგიის რეაქციულობა“, „იუდაიზმის წარმოშობა და რეაქციული არსი“. (მომხსენებლები: დოც. ს. სახაროვი, ბ. ნონონავა, ო. გაბიძაშვილი, დ. გეგეგიშიძე). ათეიზმის დარგში მეცნიერთა ყურადღება მიპყრობილი იქნეს ყველაზე აქტუალური პრობლემების დამუშავებისაკენ, რომელსაც პრაქტიკულად აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს.

ასეთი პოლიტიკის დამადასტურებელია იმ თემების სათაურები, რომლის დაწერაც დაავალეს ლექტორებმა მეოთხე კურსელ სტუდენტებს და ეს სახელწოდებები შემდეგნაირებია „რელიგიური სექტანტობის წარმოშობა და იდეოლოგიური რეაქციულობის შესახებ“, „რელიგიური მორალის რეაქციულობა“ „რელიგია და ხელოვნება“. ლექტორებს კი დაევალებათ ლექციების ნაკითხვა შემდეგი

⁶⁴ ფანჯიკიძე, 1998:389; ფანჯიკიძე, 2003:301.

სათაურების ქვეშ „რელიგიური სექტანტობა საქართველოში „რელიგიური მორალის რეაქციულობა „რელიგია და ხელოვნება“.

როგორც, ჩვენთვის ცნობილია ამ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ნამდვილად პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა სექტანტების არსებობა და იგი პირდაპირ პროპაგანდას ატარებდა არსებული ორგანოების წინააღმდეგ (მათში მოიაზრებოდნენ საეკლესიო პირებიც) სწორედ ამ პრობლემის ძირეულად აღქმასა და მოგვარებას ემსახურებოდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათეიზმის, ეთიკისა და ესთეტიკის კათედრის მიერ გატარებული ღონისძიებები. კერძოდ, მათ დაევალათ გამოეყენებინათ საქართველოში არსებული მასალები, რათა შეესწავლათ რელიგიური სექტანტობის არსებობის და გავრცელების მიზეზები, დაემუშავებინათ აღნიშნული მასალა და საბოლოოდ შეემუშავებინათ ამ პრობლემის გადაჭრის, დაძლევის გზები და ამის საფუძველზე 1962 წლის განმავლობაში მომზადდეს და გამოიცეს კრებული სახელწოდებით „რელიგიური სექტანტობა საქართველოში და მათი დაძლევის გზები“. კათედრამ გააძლიერა ხელმძღვანელობა და დახმარება იმ მეცნიერ მუშაკებისადმი, ვინც რელიგიური სექტების პრობლემებზე მუშაობდა.

სექტანტები და საეკლესიო პირები სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ ადამიანების გონების „მოშხამვას“. ყურადღებას კი განსაკუთრებით ამახვილებდნენ ახალგაზრდებსა და ქალებზე. ხალხის მოსაზიდად იყენებდნენ ორკესტრებს, ანსაბლებს – რის შედეგადაც იზრდებოდა ადამიანების ინტერესი წმინდა ადგილების მიმართ. რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა ხშირად დაღვრა, ღრეობით, საქონლის დაკვლით აღინიშნებოდა, რაც დიდ ზიანს აყენებდა სახალხო მეურნეობას, ადამიანებს წყვეტდა თავისი სამსახურეობრივი მოვალეობებისაგან. რელიგიური ცრურწმენები წამლავდა საბჭოთა ხალხის ცნობიერების ნაწილს, ხელს უშლიდა მათ გააზრებულ და აქტიურ მუშაობაში, კომუნიზმის ასაშენებლად.

კათედრის განხილვის საგნად იქცა ასევე რელიგიური დღესასწაულების საკითხი, კერძოდ, კი რელიგიური დღესასწაულების შრომითი დღესასწაულებით შეცვლის შესახებ. დაბადების დღისა და საბჭოთა ადამიანის პირადი ცხოვრების სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენების ახლებურად აღნიშვნის ახალი ფორმების შემუშავების საკითხი.⁶⁵ სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სინამდვილეში ადგილი ჰქონდა რელიგიური დღესასწაულების, დაბადების დღისა და ადამიანის პირადი ცხოვრების სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენების აღნიშვნას დამახინჯებული ფორმით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კათედრამ შეიმუშავა გარკვეული ღონისძიება და საზოგადოების გამგეობას მიმართა თათბირის მოწვევის შესახებ.⁶⁶

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ კათედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ლექციების წაკითხვა ანტირელიგიურ თემებზე, მეცნიერული ხედვის საშუალებით მინასთან გაესწორებინათ რელიგია. აქსნათ რისთვის არსებობდა რელიგია, რაში მდგომარეობს მეცნიერებასა და რელიგიას შორის ბრძოლა.

მეცნიერული ათეიზმის უკეთ გასავრცელებლად ყველანაირი ხერხი უნდა ყოფილიყო გამოყენებული: -ლექციები, დიალოგები ბეჭდური მედია, რადიო, კინო, თეატრი.

ასევე კათედრის მიზანს წარმოადგენდა ისეთი თაობების აღზრდა, რომელიც შემდგომ გააგრძელებდა ამ კუთხით მოღვაწეობას. თუ ვიმსჯელებთ ლექტორების მიერ გამოთქმული დადებითი შეფასებებით თითოეულ სხდომაზე, რომ ლექციებს თითქმის სრული შემადგენლობებით ესწრებოდნენ და ჩათვლებიც წარმატებულად მიმდინარეობდა, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სრულიად შესაძლებელი იყო აღეზარდათ თაობა რომელიც იქნებოდა მომავალში მათი იდეოლოგიების გამტარებელი, გარდა ამისა კათედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი ათეისტური კადრების აღზრდისათვის.

⁶⁵ ოქმი №16.

⁶⁶ ოქმი №19.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ფანჯიკიძე, რელიგიური პროცესები საქართველოში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე. თბილისი 2003 წელი. გამომცემლობა „ლეგა“.
2. ა. გელაშვილი, ათეიზმის თეორიის საკითხები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1975.
3. მ. ქართველიშვილი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ათეიზმის კათედრის დაარსებისა და იდეოლოგიური მუშაობის ისტორიიდან“. ჩვენი სულიერების ბალავარი. VII. თბილისი, 2015, გვ. 351-357.
4. ВОПРОСЫ ИДЕОЛОГИЧЕСКОЙ РАБОТЫ. Сборник важнейших решений КПСС 1954-1961 гг.
5. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471.

თათია სიბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი, პროფესორი დავით მაზიაშვილი

სენეკას „ფედრადან“ სარაკინის „ფედრას სიყვარულამდე“

„ტრადიცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ისტორიის შეგრძნებას, და ეს შეგრძნება მეტ-ნაკლებად აუცილებელია ყველასათვის, ვინც ოცდახუთი წლის ასაკის შემდეგაც პოეტად დარჩებოდა; ისტორიის შეგრძნება გულისხმობს, რომ წარსული არა მარტო წარსულად აღვიქვათ, არამედ თანამედროვეობადაც, ისტორიის შეგრძნება აწერინებს კაცს არა მხოლოდ თავისი თაობის პოზიციიდან გამომდინარე, არამედ ისე, თითქოს მთელი ევროპული ლიტერატურა, ჰომეროსიდან მოკიდებული, და მასთან ერთად მისი მშობლიური ქვეყნის ლიტერატურა, ერთდროულად არსებობენ და ერთიან წესრიგს ქმნიან. ისტორიის შეგრძნება, რომელიც შეგრძნებაა დროისა და წარმავლობისა, – ორივესი ერთად, – მწერალს ტრადიციულობას ანიჭებს. აგრეთვე მძაფრად შეაგრძნობინებს ადგილს დროსა და თანადროულობაში“. (ელიოტი: 1919) წერდა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი ტომას ელიოტი თავის ესეში „ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება“. ვფიქრობ, ეს სიტყვები სამართლიანად შეიძლება გავრცელდეს სარა კეინის ცნობილ პიესაზე „ფედრას სიყვარული“, რადგანაც ავტორი 1996 წელს დაწერილ და მისივე რეჟისორობით დადგმულ პიესაში ფაქტობრივად სიუჟეტურ ქარგად იყენებს სენეკას ცნობილ ტრაგედიას „ფედრა“ რომელის სიუჟეტიც სენეკამ, თავის მხრივ, ევრიპიდესაგან აიღო. მოგვიანებით ჟან რასინმა თავისი პიესის წინასიტყვაობაშიც აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფედრას საერთო იდეის გარდა შეიძლება ევრიპიდესაგან დავალებული არაფრით ყოფილიყო მაინც მის დამსახურებად მიაჩნდა საკუთარი პიესისა და მისეული ხედვის შექმნა. ის ფედრას სწორედ ისეთ ტრაგედიად მიიჩნევს, რომელსაც ნებისმიერ დროში შეუძლია თანაგრძნობა და შეშფოთება გამოიწვიოს მყარებელში. თუკი ისტორიას გადავხედავთ, შეუძლებელია რასინს არ დავეთანხმოთ მით უფრო, როცა სარა კეინის სახელი ვახსენებთ და რაღა თქმა უნდა, მისეული გააზრება მარადიული ტექსტისა თანამედროვე ეპოქის ღირებულებებს ეფუძნება და უკეთ წარმოაჩენს მასში არსებულ პრობლემებს და გამოწვევებს. თუკი ამას იმასაც დავუმატებთ, რომ კეინმა ეს პიესა 25 წლის ასაკში დაწერა მისი ავტორიტეტი ერთი-ორად იწვევს მკითხველის თვალში. სარა კეინის სახელი მისი კარიერის დასაწყისშივე ტაბლოიდების მონიწივე გვერდებზე მოხვდა რადგანაც მისი პირველი პიესის „აფეთქებულის“ პრემიერამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და აზრთა სხვადასხვაობაც დაიმსახურა. როგორც დევიდ გრეგი წერს სარა კეინის პიესების წინასიტყვაობაში პიესის მარტივი კონცეფცია, რომელიც გულისხმობდა, რომ ლონდონის ფემინებელური სასტუმროს ნომერში მომხდარი გაუპატიურება კავშირშია სამოქალაქო ომის გამანადგურებელ, ჯოჯოხეთურ შედეგთან, ბევრმა აღიქვა, როგორც მყარებლის შოკში ჩაგდების ბავშვური, უმნიშვარი მცდელობა. 1998 წელს, „წყურვილის“ დადგამამდე, კეინის ტექსტებზე საზოგადოებრივი რეაქციები ვერ გასცდა „აფეთქებულის“ მიერ გამოწვეულ მძაფრ, წინააღმდეგობრივ შეფასებებს. მას დიდი ხნით მიაკრეს „სკანდალური“ ავტორის იარლიყი.

თუმცაღა შემდეგი პიესა სწორედ „ფედრას სიყვარული“ იყო, რომელიც ფედრას მითის ერთგვარი გადააზრება გახლავთ. სამეფო ოჯახში განვითარებულ ტრაგედიაში კეინის მთავარი თემა სიყვარულია და ის დამანგრეველი შედეგები რომელიც მას შეიძლება მოჰყვეს ამ სამყაროში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პიესაში მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური ტრაგედიის მსგავსად მთავარ გმირებს ფედრასა და ჰიპოლიტუსის სახელები ჰქვიათ პოსტმოდერნისტულ რეალობაში ვხვდებით, რაზეც პირველივე სტრიქონები ცხადად მიგვანიშნებს. თანამედროვე სამყაროში მცხოვრები ჰიპოლიტუსი სამეფო სასახლეში ჩაბნელებულ ოთახში ზის, ჰამბურგერს ჭამს და ტელევიზორში ჰოლივუდურ ფილმს უყურებს. გარშემო კი ძვირიანი ელექტრონული სათამაშოები, ცარიელი ჩიპსის პაკეტები, ნახმარი საცვლები და ნინდები უწყვია.

ვფიქრობ, კითხვაზე არიან თუ არა ფედრა და ჰიპოლიტუსი თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქის გმირები პასუხი პირველივე სტრიქონებიდან გაცემულია. დავით მაზიაშვილი თავის ნიგნში „ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი“ განიხილავს რა სტოპარდის ცნობილ პიესას „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“ ანალოგიურ კითხვაზე დადებითად პასუხობს და იმავე პიესიდან რამდენიმე მაგალითი მოჰყავს. კერძოდ ის რომ ორივე (როზენკრანცი და გილდენსტერნი) თანამედროვე ინგლისურით საუბრობენ, და შესვენებისას ტყეში როზენკრანცი ჯიბიდან სწორედ ბიგ-მაკის მსგავს ჰამბურგერს იღებს და მიირთმევს. ამ პიესაშიც პერსონაჟების ენა თანამედროვეა და პირველივე დეტალები რაც თვალში გვხვდება თანამედროვე სამყაროს არსებობაზე მიგვანიშნებს. ჰიპოლიტუსი მშვიდად უყურებს ძალადობრივი სცენებით სავსე ფილმს და მასტურბირებს

მეორე სცენაში კი უკვე მის დედინაცვალს ვხვდებით რომელიც ექიმს ესაუბრება მისი გერის ჯანმრთელობის თაობაზე, მათი დიალოგიდან ვხვდებით, რომ თეზესი წასულია და ფედრას ის თითქმის იმ დღიდან არ უნახავს, რაც დაქორწინდნენ (*I haven't seen him since we married*) რასაც ექიმის რეპლიკა მოსდევს – *You must be very lonely (Kane 2011: 5)*.

მიუხედავად იმისა, რომ დიალოგები მეტისმეტად მოკლე და მინიმალისტურია, თავიდანვე ექიმისა და ფედრას დიალოგიდან ეჭვი გვიჩნდება მისი გრძნობების შესახებ, რადგანაც ექიმი მოურიდებლად უსვამს კითხვებს საკუთარ გრძნობებზე და დამოკიდებულებაზე გერის მიმართ:

ექიმი: კლინიკურად არაფერი სჭირს. თუ ოთხ საათამდე საწოლში დარჩება რა თქმა უნდა თავს უენერგიოდ იგრძნობს. მას ჰობი სჭირდება.

ფედრა: მას აქვს ჰობი

ექიმი: სექსი თქვენთან აქვს ხოლმე ?

ფედრა: უკაცრავად ?

ექიმი: სექსი თქვენთან აქვს ხოლმე ?

ფედრა: მე მისი დედინაცვალი ვარ. ჩვენ სამეფო ოჯახის წარმომადგენლები ვართ....

ექიმი: გიყვარს ?

ფედრა: მე მამამისზე ვარ დაქორწინებული.. (კეინი 2011: 4).

მესამე მოქმედებაში კი ფედრასა და მისი ქალიშვილი სტროფეს საუბრიდან ირკვევა რომ ფედრა საკუთარი გრძნობების მსხვერპლია და ვერ ახერხებს მათ გაუმკლავდეს.

ფედრა: თავიდან მომწყდი, არ შემეხო, არ დამელაპარაკო, ჩემთან დარჩი.. მისი სასონარკვეთილი ფრაზა უნებურად ტომას ელიოტის „უნაყოფო მინის“ ერთ-ერთ ნაწილს გვახსენებს – *“My nerves are bad to-night. Yes, bad. Stay with me.*

'Speak to me.“

ფედრა: ოდესმე გიფიქრია რომ გული გაგისკდება ?

სტროფე: არა

ფედრა: გდომებია რომ მკერდიდან გული ამოგეგლიჯა, რათა ტკივილი შეგეჩერებინა?

სტროფე: ეგ მოგკლავდა.

ფედრა: არა, ეს შეგრძნება მკლავს...

სტროფე: ჰიპოლიტუსი. შენ ის გიყვარს.

ფედრა: არა.

სტროფე: უყურებს.

ფედრა: განა ეს ასე აშკარაა? (კეინი 2011: 7).

ამავე დიალოგში იმასაც ვიგებთ რომ სტროფესა და ჰიპოლიტუსს ერთმანეთთან სექსუალური ურთიერთობა ჰქონიათ და ის დედას არწმუნებს, უარი თქვას საკუთარ გრძნობებზე და ვინმე სხვაზე გადაერთოს თუმცაღა ვხვდებით, რომ ეს შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ მანამდე დანერგულ ტრადიციებში მთავარი გმირი ფედრაა აქ, ამ პიესაში ავტორი ცდილობს, აქცენტი ჰიპოლიტუსის შინაგან დრამაზე გადმოიტანოს და მისი განწყობა გვაჩვენოს. შეიძლება ითქვას, რომ პრინცი ამქვეყნიური ამაობისგან დაღლილა, რაც მას თითქოსდა კიდევ ერთ დანიელ პრინცს ამსგავსებს. ფედრას კითხვაზე თუ რა სჭირს და რა არის იმის მიზეზი რომ დაბადების დღეც კი არ უხარია ის პასუხობს: „ახალი ამბები, კიდევ ერთი გაუპატიურება. ბავშვის მკვლელობა. სადღაც ისევ ომი. რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილი გაუქმდა. თუმცა ამას არაფერს მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ რომ სამეფო ოჯახის წევრის დაბადების დღეა“ (კეინი 2011: 12). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფერს ხვდება და პროტესტიც აქვს, ჰიპოლიტუსი არაფრის გაკეთებას არ აპირებს. ის სრულიად ინდიფერენტულია ყველასა და ყველაფრის მიმართ. ასეთივე რჩება, როცა ფედრა სიყვარულში გამოუტყდება და თუმცა ქალი აცნობიერებს იმას, რომ ის რთული ასატანია, უყმური, ცინიკოსი, მწარე ენის პატრონი, მსუქანი, მთელ დღეს სანოლში ატარებს და ღამით ტელევიზორს უყურებს, სახლში ნამძინარევი თვალებით დაძრწის და არავისზე ფიქრობს, ფედრას ის მაინც უყვარს და აღმერთებს მას. არალოგიკურია – მაგრამ სიყვარული ლოგიკას არ ემორჩილება.

ფედრასა და იპოლიტოსის სახით კეინმა წარმოგვიდგინა ორი პოლუსი, ორი უკიდურესობა, თუ როგორ რეაგირებს ადამიანი სიყვარულზე. მწარე ირონია კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ორი პოლუსი ერთმანეთისკენ ილტვის და ერთმანეთს ანადგურებს. ტექსტის შავი იუმორი ავტორისეული გაუცხოებითაც აიხსნება. თავგაბებრებული და ხშირად ცინიკური იპოლიტოსი ღამის ერთადერთ ხმად წარმოგვიდგება პიესაში – აღნიშნავს დევიდ გრეგი და მართლაც, სწორედ მისი მემკვიდრით აღვიქვამთ იმ გაუცხოებასა და სასტიკ სამყაროს, რაც გმირების გარშემო გამეფებულია. საინტერესოა ისიც, თუ როგორ მშვიდად იღებს ის ფედრას ბრალდებას და მიუხედავად სტროფეს თხოვნისა სიმართლე თქვას, დუმს და ბრალდებას არც ეთანხმება და არც უარყოფს. გაიგებს რა, რომ ფედრამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა ის სტროფეს ეუბნება, რომ ყველაფერი მისი ბრალია და უნდა ჩაბარდეს.

რასინი თავის ტრადიციებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ევრიპიდე და სენეკა მართლა აბრალებენ ჰიპოლიტუსს დედინაცვლის გაუპატიურებას, თავის ტრადიციებში კი მხოლოდ ამგვარი განზრახვა ედება ბრალად, მე ისიც ვცადე – აგრძელებს იგი, რომ ფედრა ნაკლებად ამაზრზენი ყოფილიყო და თავადვე არ მოგვევლინებოდა ჰიპოლიტუსის ბრალმდებლად, ამიტომ ეს ყველაფერი ძიძას დავაკისრეო. სარა კეინთან მსგავს შებრალებას ვერ ვხვდებით, რაც ალბათ იმიტომ აიხსნება რომ მასზე იმ ეპოქამ და მასში არსებულმა სისასტიკემ იქონია გავლენა. კეინი არავის ინდობს, არც ჰიპოლიტუსს, რომელიც სიცოცხლეს სასტიკად დაასრულებს. მას ქუჩაში გამოსული ხალხი, რომლებსაც თან ბავშვებიც ჰყავთ გამოყვანილი ჯერ დანით მიაყენებენ ჭრილობებს, შემდეგ კასტრაციას ჩაუტარებენ და და მის გენიტალიებს ცეცხლში შეყრიან. ამ ყველაფრის შემყურე ბავშვები მხიარულობენ. აქვე იმყოფებიან თეზესი და სტროფე რომელიც ცდილობს ჰიპოლიტუსი დაიცვას, მას განრისხებული თეზესი აუპატიურებს და მხოლოდ ბოლოს მიხვდება რა ჩაიდინა და ვინ არის მისი მსხვერპლი, რომელიც კვდება. თეზესი დანას იღებს და საკუთარ ვაჟს ფატრავს, შემდეგ კი

თავადაც თავს იკლავს. პიესა იმით სრულდება, რომ ჰიპოლიტუსი სვავებს ხედავს და მოახერხებს გაიღიმოს. სვავი კი მის სხეულთან ჯდება რათა სხეული დაუძიძგნოს.

რთული სათქმელია ამგვარი სისასტიკით რისი თქმა უნდა კეინს, ალბათ იმის, რომ ადამიანები არ იცვლებიან და შეუძლიათ დაუნდობლები იყვნენ ერთმანეთის მიმართ, რომ თანამედროვე სამყაროში სიყვარული აღარ არსებობს ან თუ არსებობს ეს გრძნობა ადამიანებს ანადგურებს და არ აბედნიერებს, რადგან როგორც თვითონ აღნიშნავს, ის უბრალოდ ისე ყვება ადამიანების საქციელს როგორც ხედავს. პიესა უდავოდ ერთ-ერთი საინტერესო ვერსიაა და ღირსეული გაგრძელებაა ევრიპიდეს, სენეკას და რასინის ტრადიციისა. ჩემი აზრით, ის სრულფასოვან ადგილს დაიკავებს მათ შორის როგორც ანტიკური ლიტერატურის შედეგის ხელახალი ნაკითხვა და გააზრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიოტი 1919, ელიოტი, ტომას, ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება, თარგმნეს ჰაატა და როსტომ ჩხეიძეებმა http://vangogen.blogspot.com/2015/02/blog-post_25.html
2. კეინი 2011, კეინი, სარა, ფედრას სიყვარული
3. <https://www.scribd.com/document/257563045/Sarah-Kane-s-Phaedra-s-Love>
4. დევიდ გრეგი სარა კეინის შესახებ
5. <http://arilimag.ge/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8/>

მარიამ რაზმაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა
ხელმძღვანელი, პროფესორი დავით მაზიაშვილი

ანტიუტოპიური ელემენტები დევიდ მიჩელის „ღრუბლიან ატლასში“

„ყველა სახელმწიფოში სამართლიანობად ერთი და იგივე რამაა მიჩნეული, სახელდობრ ის, რაც არსებული ხელისუფლებისათვის ხელსაყრელია. ხელისუფლება კი ძალაა; ასე რომ, თუ მართებულად განვსჯით, სამართლიანობა ყველგან ერთი და იგივეა: ის, რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისათვის“ (პლატონი, „სახელმწიფო“, თავი 1).

თანამედროვე ბრიტანელი მწერლის, დევიდ მიჩელის „ღრუბლების ატლასი“ მრავალმხრივი და კომპლექსური პოსტმოდერნისტული რომანია. მისი მიკუთვნება რომელიმე კონკრეტული ჟანრისთვის წარმოუდგენელია, რადგან ის თავის თავში აერთიანებს სათავგადასავლო, სამეცნიერო, ფანტასტიკურ, ანტიუტოპიურ და ფილოსოფიურ ჟანრებს.

რომანი ექვსი სრულიად განსხვავებული ეპოქის შესახებ მოგვითხრობს და თერთმეტ ნაწილადაა დაყოფილი. არა მხოლოდ ამბები, არამედ თხრობის სტილიც რადიკალურად იცვლება თავების მიხედვით. თუმცა, წიგნში მიმდინარე ყველა მოქმედება პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენს სხვა ისტორიაში განვითარებულ მოვლენებზე და საბოლოოდ თხრობის ერთი ჯაჭვი იკვრება.

ნაწარმოები იწყება მე-19 საუკუნეში მიმდინარე ამბებით, თხრობა შუაზე წყდება და წიგნი მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მომხდარი ისტორიებით გრძელდება და ასე ვითარდება პოსტ აპოკალიპტიკურ მომავლამდე, რომლის შემდეგაც იგივე ისტორიები ქრონოლოგიურად უკან იწყებენ სვლას და ბოლოს წიგნი ისევ მე-19 საუკუნეში განვითარებული ამბებით მთავრდება.

რომანის მეხუთე თავი „სონმი 451-ის ორისონი“ ანტიუტოპიურ ჟანრს მიეკუთვნება. ანტიუტოპია, როგორც ჟანრი მე-20 საუკუნის 40-50-იან წლებში გაფორმდა, თუმცა ანტიუტოპიური იდეები ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ლიტერატურაში უნდა ვეძებოთ (მითი კრონოსის შესახებ). შუა საუკუნეებში კიდევ უფრო აქტიურდება ანტიუტოპიური განწყობა. ამ პერიოდში იქმნება თ. ჰობსის „ლევიათანი“ (სადაც მე-16 საუკუნის ინგლისელმა ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ წარმოადგინა ტრაქტატი საზოგადოების კეთილმოწყალების შესახებ და შეუდარა იგი ბიბლიური ურჩხულის ლევიათანის არქეტიპს), ნ. მაკიაველის „მთავარი“, ჯ. სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“ და სხვა.

ხოლო რაც შეეხება მე-20 საუკუნის კლასიკურ ანტიუტოპიურ რომანებს, მათ საერთო ძალა ამოძრავებთ: პროტესტი „ახალი სამყაროს“ მიმართ. „ანტიუტოპიურ რომანებში ასახული სამყარო მკაცრ ჩარჩოებში მოთავსებული განზომილებაა, რომელიც აზროვნების დოგმატიზაციისკენ უბიძგებს მის ბინადართ“ (რატინი 2010 : 74). მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ოლდოს ჰაქსლის „საოცარი ახალი სამყარო“, ჯორჯ ორუელის „1984“, ჯულიან ბარნისის „ინგლისი, ინგლისი“.

დევიდ მიჩელის „ღრუბლიანი ატლასი“ კი, რომელიც 2004 წელსაა დაწერილი, მათ მემკვიდრეა. მეხუთე ისტორიის სათაური და სონმის ნომერი 451 კი ალუზიურად გვახსენებს ცნობილი ამერიკელი მწერლის, რეი ბრედბერის ანტიუტოპიურ რომანს „451° ფარენჰეიტით“, სადაც მოქმედება არარეალურ ქალაქში ხდება. ვფიქრობ, ავტორის მხრიდან აღნიშნული სათაურის აღება ერთგვარი გათვლაა, რომ მკითხველი წინასწარ განაწყობს შემდგომ განვითარებული მოვლენებისთვის.

ანტიუტოპიური სიუჟეტი, აღწერს „ახალი წესრიგის“ წნეხის ქვეშ გათელილი ადამიანური „მე“-ს საბედისწერო ჯანყს. როგორც ირმა რატინი თავის წიგნში – „ტექსტი და ქრონოტოპი“ აღ-

ნიშნავს „ანტიუტოპიურ რომანში წარმოდგენილი მასა „თავისუფალი მონების“ ერთობლიობაა, ნე-ბაყოფლობით მორჩილთა მთლიანობა, რომელიც იერარქიული სახელმწიფო მანქანის მეშვეობით იმართება. შრომა, რომელიც ადამიანთა მოდემის უმძიმეს სასჯელად მოიაზრება, ანტიუტოპიურ რომანში თითქმის ბიოლოგიურ მოთხოვნილებად არის ქცეული“ (რატიანი 2010 : 71). სწორედ მსგავს რეალობას ასახავს მიჩელი რომანის ერთ-ერთ თავში „სონმი 451-ის ორისონი“.

აღნიშნულ თავში განვითარებული ისტორია შორეულ მომავალში, ფუტურისტულ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს აღწერს. ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე მოსახლეობა მომხდარი ძლიერი რადიაციის გამო განადგურებულია. მოქმედება ვითარდება მომავლის კორეაში, სადაც სამხრეთი და ჩრდილოეთი გაერთიანებულია ერთ სახელმწიფოდ.

ნეა-სო-კოპრო წარმოადგენს ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელს. ტოტალიტარიზმი, თავისი არსით, არის ძალადობაზე დამყარებული იდეოლოგია, ყველაზე შემზღუდავი პოლიტიკური სისტემა, რომელიც თავის განუსაზღვრელ ძალაუფლებას ცხოვრების ყველა სფეროს კონტროლის-თვის იყენებს.

მსგავსად სხვა ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელისა, კორპო „ერთსულოვნება“ მკაცრად ორგანიზებული და იერარქიულია – იქმნება ერთგვარი სახელისუფლო, კორპოკრატიული პირამიდა, რომლის სათავეშია თავმჯდომარე თავის მრჩეველთა გუნდთან – ჩუჩხესთან ერთად. უფრო დაბალ საფეხურს წარმოადგენენ მხედველები და მათი შემნეები, რომლებიც მეთვალყურეობას უწევენ კლონ-ფაბრიკანტების ქცევასა და მუშაობას. (კლონ-ფაბრიკანტების სხვადასხვა სახეები არსებობს: იუნები, ჰუა-სუნები, მა-ლიუ-დები, სონმები და სხვა.) თუ რომელიმე არ შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას, მათ ჰუამდონგლში გზავნიან, სადაც უნტერმენშებად იქცევიან. უნტერმენშები პირამიდის ყველაზე დაბალ საფეხურს წარმოადგენენ. ისინი იძულებულნი არიან ნახევრად დანგრეულ ქოხებში, საშინელ პირობებში იცხოვრონ. როგორც სონმი – 451 ამბობს. „ჰუამდონგლს ქიმიურ ტუალეტად მიიჩნევენ, სადაც უსარგებლო ნარჩენები უჩუმრად, მაგრამ არცთუ ისე შეუმჩნეველად იშლება. უნტერმენშების ჯურღმულების არსებობა დაბალი ფენის მომხმარებლების მოტივირებას უწყობს ხელს, რადგან ისინი უკვე საკუთარი თვალთ ხედავენ, რა ემართება მას, ვინც სანიმუშო მოქალაქესავით არ მუშაობს“ (მიჩელი 2018 : 478).

ისტორია ინტერვიუს სახითაა მოთხრობილი, სადაც სონმი – 451 აძლევს ინტერვიუს არქივისტს, რომელიც ჰყვება „პაპა სუნ კორპოში“ მიმტანად მუშაობისას თავს გადახდენილ ამბებს, თუ როგორ ემსახურებოდნენ ის და სხვა ფაბრიკანტები წმინდასისხლიანებს, რომლებიც ბუნებრივად დაბადებული ადამიანები არიან. თუმცა, ვერ აცნობიერებენ არსებულ მდგომარეობას, რადგან ისინი თავიანთ მოვალეობად მხოლოდ მუშაობას მიიჩნევენ. კლონების ლექსიკაც შეზღუდულია და მხოლოდ საჭირო სიტყვები და ფრაზები იციან. 12 წლის შემდეგ, როდესაც ამონურავენ წინასწარ განსაზღვრულ მუშაობის პერიოდს, როგორც ნეა-სო-კოპროს ზედამხედველები ეუბნებიან, ისინი პაპა სუნის ოქროსფერ კიდობანში ჩასხდებიან და ჰავაის კუნძულებისკენ, ეგზალტაციაში წავლენ, სადაც თავისუფალი, სრულყოფილი ცხოვრება ელოდებათ. კლონებს გამუდმებით აყურებინებენ სამგანზომილებიან ეკრანებზე თუ როგორი ბედნიერი ცხოვრება აქვთ მათ ეგზალტაციაში წასულ დებს, რათა კორპოში დარჩენილებს საქმის შესრულებისას მეტი მოტივაცია ჰქონოდათ. მოგვიანებით კი ირკვევა, რომ ეგზალტაცია მხოლოდ სონის მეშვეობით გენერირებული და დაშოპებული სიმულაკრიაა. რეალურად კი ფაბრიკანტები სასაკლაოზე მიჰყავთ, სადაც მათ გვამებს პროტინის მისაღებად გადაამუშავებენ. აღდგენილ პროტინს კი „პაპა სუნ კორპოს“ საკვები პროდუქტების წარმოებაში იყენებენ.

არქივისტზე, რომელიც ინტერვიუს იღებს სონმი 451-ისგან, იმდენად დიდია „ერთსულოვნების“ პროპაგანდის გავლენა, მისთვის დაუჯერებლად ჟღერს მსგავსი რეალობის არსებობა. „არა. ვერ დავიჯერებ... შეუძლებელია, ჩვენს ცივილიზებულ სახელმწიფოში ასეთმა ბოროტებამ გაიდგას ფესვი. ნეა-სო-კოპროსი სამართლიან სავაჭრო ურთიერთობებზეა აგებული“ (მიჩელი 2018 : 523).

კოლექტიური შრომის რეგულატორი სახელმწიფო, ირმა რატიანის მიხედვით, ბედნიერების ლოზუნგით იმონებს ადამიანებს და უსპობს მათ ინდივიდუალური თვითმყოფადობის გამოვლენის ყოველგვარ შანსს. ადამიანები შრომობენ ცხოველების მსგავსად და თანდათანობით კარგავენ ღირსების გრძნობას. უსახელოდ, უგვაროდ ინტეგრირდებიან მასაში (რატიანი 2010: 71). ხშირად ხდება მათი უბრალოდ გადანომვრა. მიჩელის რომანშიც კონკრეტული სახელები და გვარები არ გააჩნიათ პერსონაჟებს, ისინი მხოლოდ გადანომრილები არიან მაგ: სონმი 451, იუნა 939, მა-ლიუ-და 108, კელიმ 889.

ნეა- სუნ-კოპროში ყველა თვალთვალის ობიექტია. თითოეულ მოქალაქეს მიკრო ჩიპი აქვს იმპლემენტირებული, რომლის საშუალებითაც კონტროლდება მათი გადაადგილება. ამასთანავე, ჩიპი მათთვის ასრულებს საკრედიტო ბარათის ფუნქციასაც.

ფაბრიკანტ-კლონებს არ გააჩნიათ სული, თავისუფლება, შესაბამისად არც საკუთარი აზრის და ემოციის ქონის უფლება. ვიზუალურ დონეზეც კი ყველა ერთნაირად გამოიყურება. მათთვის ნებადართული მხოლოდ სამუშაოს შესრულებაა. სრულიად იზოლირებული არიან დანარჩენი საზოგადოებისგან. „პაპა სუნ-კოროს“ სასადილო წარმოადგენს დახშულ, უფანჯრო შენობას, რომელიც ჩონჩიოს მოედნის ქვეშ, მინუს მეცხრე სართულზე მდებარეობს. შენობაში შიდა ტემპერატურა გარე ტემპერატურის მიხედვით იცვლება. ფაქტობრივად, მათთვის გარესამყაროსთან კონტაქტის ერთადერთ საშუალებას „პაპა სუნ-კოროს“ მოსადილეები წარმოადგენენ. ფაბრიკანტები არა მხოლოდ სივრცით ტყვეობაში იმყოფებიან, არამედ დროის აღქმაც დაკარგული აქვთ. უფანჯრებო სივრცე, საათისა და კალენდრის არარსებობა შეუძლებელს ხდის დროის განსაზღვრას.

ანტიუტოპიურ რომანში პერსონაჟებს სიტყვის, აზრის და საკუთრების უფლებასთან ერთად სექსუალური ცხოვრების უფლებაც წართმეული აქვთ. თავის მხრივ, ვნება წარმოადგენს ადამიანის პერსონალურობის ერთ-ერთ მაჩვენებელს, შესაბამისად, ტოტალიტარული რეჟიმები ყოველთვის ცდილობენ, მსგავსი ურთიერთობების განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევას. ირმა რატიანის თქმით, „ანტიუტოპიურ რომანში ხშირად ინტიმისა და ინდივიდუალურობის წართმევით გამოწვეული სიცარიელე აძლიერებს ნონკონფორმისტი პერსონაჟის სურვილს გააღწიოს ჩაკეტილი სივრციდან“ (რატიანი 2010:78). თუმცა, ამ შემთხვევაში სონმი 451-ისთვის „ერთსულოვნების“ წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის მთავარ სურვილს ეს არ წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ფაბრიკანტებისთვის სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები, გარკვეულწილად, ტაბუირებული და მექანიკურობასთან ასოცირებულია. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს სონმი 451-ის მიერ ჰე-ჯუსთან, „კავშირის“ ერთ-ერთ ნევრთან დამყარებული სექსუალური კავშირის აღწერა: „ჩვენი სქესობრივი აქტი უსიხარულო, გლანქი და აუცილებლობით განპირობებული იყო. სამაგიეროდ, ეს ცოცხალთა აქტი იყო“ (მიჩელი 2018:524).

„შიში ამბლევიატურ დატვირთვას იძენს ანტიუტოპიურ რომანში: ერთი მხრივ, იგი განსაზღვრავს მასის მორჩილებას ლიდერისა და სახელმწიფო სტრუქტურისადმი, მეორე მხრივ, შიში აგრძნობინებს პროტაგონისტს რეალობის, ანუ ემპირიული სამყაროს სისასტიკეს, აძლიერებს მისი პროტესტის განცდას და მაკოორდინებელ როლს ასრულებს გმირის მიერ ალტერნატიული რეალობის გამომუშავების საქმეში“ (რატიანი 2010 : 75).

მიუხედავად იმისა, რომ ტოტალიტარული მმართველობა ნებისმიერი სახის ორგანიზებულ ოპოზიციას კრძალავს, ყველა ეპოქაში არსებობს ძალა, რომელიც ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას. ნეა სო კოროპოშიც არსებობს „ერთსულოვნების“ მოწინააღმდეგე ძალა – „კავშირი“, რომლებიც ფაბრიკანტების დამონების წინააღმდეგ იბრძვიან, ცდილობენ, ამაღლებული კლონები გადაიბირონ. ერთსულოვნების ნევრები „კავშირს“ ტერორისტებად მოიხსენიებენ და მკაცრად აკონტროლებენ კლონებს, რომ არ მოხდეს „კავშირის“ ნევრებთან მათი რაიმე ფორმით ურთიერთობა. თუმცა, „კავშირი“ მაინც ახერხებს ამაღლებული კლონის, სონმი 451-ის გადაბირებას. სონმი – 451 არის ამ შემთხვევაში გმირი, რომლისთვისაც შიში „მაკოორდინირებელ როლს ასრულებს ალტერნა-

ტიული რეალობის გამომუშავების საქმეში“ (რატინი 2010 : 75). ის აცნობიერებს, რომ „ყველაფერი უმეცრებით იწყება. უმეცრება წარმოშობს შიშს. შიში წარმოშობს სიძულვილს, სიძულვილი კი ძალადობას. ძალადობა იწვევს უფრო მეტ ძალადობას, სანამ ერთადერთი კანონი არ გაბატონდება, ის, რომელსაც ყველაზე ძლიერი და გავლენიანი დაადგენს“ (მიჩელი 2018 : 523.)

გეგმის მიხედვით, „კავშირს“ ექვსი მილიონი ფაბრიკანტის ერთდროულად ამალლების ორგანიზებით უნდა დაემხო სახელმწიფო, რაც წარმოუდგენლად ჟღერდა, თუმცა სონმი – 451 მაინც დათანხმდება მათთან თანამშრომლობას, რადგან „ყველა რევოლუცია წარმოუდგენელია, სანამ მოხდება“ (მიჩელი 2018 : 494).

სონმი – 451 გადაწყვეტს, დაწეროს დეკლარაციები – 12 კატეხიზმოსგან შემდგარი მანიფესტი, რომელიც ამალლებულ ფაბრიკანტებს დაეხმარება, მეტი გაიგონ თავიანთ უფლებებზე.

ამის შემდეგ სონმი – 451-ს აპატიმრებენ. აღმოჩნდება, რომ ეს ყველაფერი, რაც მის თავს ხდება, წინასწარ მოფიქრებული სცენარის ნაწილი იყო. სონმის ამალლება „ერთსულოვნების“ მიზანი იყო და არა „კავშირის“. „კავშირი“ არ წარმოადგენდა ნამდვილ რევოლუციონერთა ერთობას. მას იგივე ფუნქცია ჰქონდა, რას საძმოს ორუელის 1984-ში, ანუ „კავშირი“ ნეა-სო-კოპროსისთვის განასახიერებს მტერს, რომელიც ნებისმიერ იერარქიულ სახელმწიფოს სჭირდება საზოგადოებრივი ერთიანობის შესანარჩუნებლად.

სონმი – 451-ის მიერ დეკლარაციების დაწერა „ერთსულოვნების“ წევრებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა – მისი მეშვეობით მოქალაქეები დაინახავდნენ რამდენად საშიში იყვნენ ფაბრიკანტები და მათ მიმართ ყოველგვარ ნდობას დაკარგავდნენ. თუმცა, სონმისთვის სიტუაციის ასე წარმართვა მოულოდნელი სულაც არ იყო, რადგან კარგად იცნობდა, როგორც თვითონ ამბობს, ორი ოპტიმისტის, ორუელისა და ჰაქსლის წიგნებს. შესაბამისად, ის სცენარი, რაც უნდა გათამაშებულიყო, წინასწარ იცოდა, მაგრამ მაინც არ თქვა უარი, მონაწილეობა მიეღო ცრუ ამბოხში. ვფიქრობ, მისი გადაწყვეტილება სწორი იყო, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სონმი საბოლოოდ დააპატიმრეს, მან იბრძოლა არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვა კლონ-ფაბრიკანტების გადარჩენისთვისაც. მისი დეკლარაციები ნეა-სო-კოპროსის ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. ჩნდება იმედი, რომ მომავალში სხვებს შთააგონებს მისი მანიფესტი, მათაც გაუჩნდებათ პროტესტის გრძნობა და ბრძოლის სურვილი არსებული რეალობის წინააღმდეგ.

ამრიგად, დევიდ მიჩელის „ღრუბლიან ატლასში“ იკვეთება ანტიუტოპიური რომანისთვის დამახასიათებელი ელემენტები. სრულიად დასაშვებია, რომ ჰაქსლის „საოცარი ახალი სამყაროსა“ და ორუელის „1984-ის“ მსგავსად, „ღრუბლიანი ატლასიც“ წინასწარმეტყველური რომანი აღმოჩნდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რატინი 2010; რატინი, ირმა, ტექსტი და ქრონოტოპი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
2. მიჩელი 2018; მიჩელი, დევიდ, ღრუბლების ატლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018.

**პოეტის შიში და თამაში-კაცი „მთავარი გამთამაშებელი“ მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების
ქართულ პოეზიაში**

ჩვენი მიზანია გავანალიზოთ XX საუკუნის პოეტის, ბესიკ ხარანაულის, 70-80-იან წლებში შექმნილი და უკვე თანამედროვე („მთავარი გამთამაშებელი“ 2012 წ.) ტექსტები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ქართულ პოეტურ აზროვნებაზე.

მოდერნიზმი რელიგიური კრიზისის ფონზე ეგზისტენციალური შიში წარმოიშვა, ამიტომაც, პოეზია კისრულობს რელიგიის ფუნქციას, რომლის მთავარ როლს ინდივიდის კათარზის წარმოადგენს. უკვე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში შიშის იმიტირებას ვხვდებით თამაშის სახით. იქმნება ტექსტები, რომლებშიც პოეტი და მისი ლირიკული გმირი თამაშობენ საკუთარ თავს.

ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება შექმნას თავისი იდეალური სახელმწიფო, სადაც შიშის გარეშე იცხოვრებს.

ეგზისტენციალური, პოეტად ყოფნის შიში. პოეტისთვის არსებობა გამორჩეულად ყოფნას ნიშნავს. („რაც არ ითამაშება, არ იცხოვრება“) ხოლო მასისთვის გამორჩეულად არსებობას ისევ ნიღაბი სჯობს, რადგან ცხოვრება მიბაძვავა, ამიტომა საჭიროა თამაში, გარდასახვა, რაც არაგულწრფელობის პირდაპირპროპორციულია:

„და... განა შეიძლება იყო გულწრფელი

და არ იყო წასაგებად გამზადებული?“¹ („რაც არ ითამაშება, არ იცხოვრება“).

პოეტობა არა მატერიალური ფასეულობებისკენ სწრაფვას, არამედ სამყაროს განსხვავებულად ხედვას ნიშნავს.

პოეტისთვის ის, რაც ამ ცხოვრებაში აკრძალულია, სიზმრებშია ნებადართული. „პოეტი თუ ჭეშმარიტებისკენ გადაიხარა, იმის საქმე დაკარგულია. პოეტი კიდეებს შორის უნდა დაძრწოდეს. ის ხომ ქანქარაა“ (71)².

1. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: ლექსები, პოემები, „მერანი“, თბილისი, 1988.

2. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: „მთავარი გამთამაშებელი“, „ინტელექტი“, 2012.

„ერთი უბედურება მჭირს, შინ სიძე ვარ და გარეთ გლახაკი“ (142)¹ – პოეტობა გამუდმებით თამაში და ნიღბების ცვლაა.

მას თამამად შეუძლია აღიაროს თავისი ვინაობა და სხვა არაფერზე აქვს ამბიცია გარდა იმისა, რომ ქალაქის დამარცხება შეძლო:

„მე ვარ ბესიკ ხარანაული,

და სხვა არაფერზე არ მიზრუნია,

ვინც დავამარცხე მხოლოდ ქალაქი!“ (ხარანაული, „ღმერთს მე აქ ცოდვილი ვესაჭიროები“).²

ია ანთაძესთან ბოლოდროინდელ ინტერვიუში ბესიკ ხარანაული აღნიშნავს, რომ ის, როგორც პოეტი, თუ ვინმეს (იგულისხმება მკითხველი – ნ.ბ.) მოეწონა, ე.ი. კარგად მოატყუა, რადგან სიმართლე არავინ იცის, ტყუილი კი ხელოვნებაა – „რაში სჭირდება ადამიანს სინამდვილე? სინამდვილე ღორისაა...“. (23)³

ტოტალიტარული სამყაროს შიში. მე-20 საუკუნის ავსტრიელი ფილოსოფოსი, ფსიქოანალიტიკოსი ზიგმუნდ ფროიდი საუბრობს „მე“-ზე. აღნიშნავს, რომ „მე“ ერთგვარი კომპლექსია აზროვნების, გრძნობის, შეგრძნებისა და ინტუიციისა“, ამიტომ როდესაც, „მე“-ს ეს ოთხი პოლუსი ეხმობა, იგი ითრგუნება, რაც ინვესს შიშს.

იგი არსებითად გარესამყაროს რეალობის წარმომადგენელია⁴. ფროიდი ერთგან შიშს ძლიერი მოთხოვნების გამოხატულებადაც აღიქვამს, რომელიც თვით მე-20 საუკუნეს მოაქვს.

1. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: „მთავარი გამთამაშებელი“, „ინტელექტი“, 2012.

2. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: ლექსები, პოემები, „მერანი“, თბილისი, 1988.

3. ია ანთაძის ინტერვიუ ბესიკ ხარანაულთან რუბრიკით „საინტერესო ადამიანები“. სათაური – „რაში მჭირდება ტოტი, რომელზეც ვერ ვიქანავებ?!“ – <http://sainteresoadamianebi.1tv.gel?id=36>. ნანახია: 16. 05.2018.

4. ფროიდი ზიგმუნდ „ფსიქოანალიზი“, თბილისი, „სიახლე“ 2008, გვ 127.

ბესიკ ხარანაულის 70-80-იან წლებში დაწერილ ლექსებში კარგად ჩანს, რომ როგორც კი პოეტი გაიაზრებს სისტემის კონტროლს უკვე შემოდის შიში და ამ სისტემის ფონზე ლირიკული გმირისთვის სარკე და თამაში ადამიანის ყოველდღიური ყოფაა, ეს იდეა იკვეთება პოეტის ბოლოდროინდელ ტექსტშიც („მთავარი გამთამაშებელი“ 2012 წ.) ადრინდელ ლექსებში კი ვაწყდებით ეგზისტენციალური და ტოტალიტარული სამყაროს შიშს.

„...საქმე და თამაში ის ორი სარკეა,

სადაც ადამიანს თავის სახის ხილვა შეუძლია

და, რომ განუწყვეტელ გადანაცვლებებში

ეს ორი სარკე ერთმანეთს ერწყმის“¹ („მკვდრების სიმღერა“).

სიორინ კირკეგორი ნაშრომში „შიში და ცახცახი“ საუბრობს თანამედროვე ავტორის შესახებ და აღნიშნავს, რომ თანამედროვე ავტორი არ არის ფილოსოფოსი, იგი პოეტიკასა და დახვეწილ გზაზე მოსიარულეა.²

ის დრო დამდგარა, როცა მორალისტობა, ღვთისმოსაობა და პატრიოტობა უკვე შენიღბვად ითვლება, რადგან სწორედ მათ დაუკარგავთ თავიანთი რეალური სახე, ამით ადამიანები ყოველგვარ სიძნელეს არიდებენ თავს.

„რომ განსაკუთრებით სახიფათონია

ღვთისმოსავეები და პატრიოტები

და მორალისტის ერთადერთი თავშესაფარიც – უზნეობა“³ (ხარანაული, „მკვდრების სიმღერა“).

ინდივიდის სურვილია, იხილოს ჭეშმარიტი რეალობა. იგი დრო და დრო საქმიდან თამაშში ინაცვლებს.

1. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: ლექსები, პოემები, „მერანი“, თბილისი, 1988.

2. Fear and Trampling (Dialectical Lyric) by Soren Kierkegaard, pg.7; <http://web.jst.ufl.edu/pdf/fearTrampling.pdf>

3. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: ლექსები, პოემები, „მერანი“, თბილისი, 1988.

ინდივიდი თუ აღმოაჩენს, რომ საკუთარ თავში რამის შეცვლაა საჭირო, მიდის იმ დასკვნამდე, რომ მას მეტამორფოზა სჭირდება. ამ პრობლემას აჩვენებს მკითხველს ლექსი „მეტამორფოზა გადაიდო“. წუთიერად ინტერესდება, თუ რა ხდება სამყაროში მის გარშემო. ლირიკული გმირი იღლება და „ფიქრს ასვენებს“¹. პოეტის შენიშვნით, მნიშვნელოვანია დალლა, რომელმაც სამყაროს სხვა თვალთ ხედვაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, ლექსის პერსონაჟის ფანჯარაში გახედვაც საკუთარი თავისა და სამყაროს სარკეში ყურების, გამოფხიზლების ტოლფასია. ეს მისი არსე-

ბისტვის სიახლეა, რადგან თვით წარმოადგენს ერთ სქემაზე მორგებულ ადამიან-მანქანას, რომელიც ამავე ყალიბის მასას მართავს:

„მიადგა თავის კაბინეტის
ფართო ფანჯარას
და მათე სართულიდან უწყო ყურება
ტრანსპორტის ნაკადს,
პანანინა ადამიანებს
და ფუსფუსა და ქუჩის ცხოვრებას,
რომელსაც სხვებთან ერთად წარმართავდა
იმისი ხელიც“² („მეტამორფოზა გადაიდო“).

ლირიკული გმირი თავს ამ ძიებისთვის უფრო იდნაშაულებს, რადგან მისთვის „პანანინა ადამიანების“ მართვა უფრო იოლია, ვიდრე სინდისთან შეჭიდება.

„თავი დატუქსა:

– ბიჭოს, ეს რა სისულელეა!“³ („მეტამორფოზა გადაიდო“) – ადამიანად ყოფნა უფრო სისულელედ ეჩვენება, ვიდრე რობოტად.

1,2,3. ხარანაული 1988; ბ.ხარანაული: ლექსები, პოემები, „მერანი“, თბილისი, 1988.

ე. ნ. „რკინის ფარდის“ მიღმა ამავე ტექსტს ეხმიანება ამერიკელი პოეტი ქალის, მიურიელ რაკეისერის, ლექსი „ფორთოხლისა და ყურძნის ბალადა“. აქ ლირიკულ გმირს რეალობისთვის თვალის გასწორება არ უჭირს. მასში პროტესტს ინვეეს არა ინდივიდისა და, საერთოდ, სამყაროს ჭეშმარიტი სახის დანახვა, არამედ ყველაფრის დამალვა და გისოსებში მოქცევა:

„დარაზეს დარაბები, დარაზვა რას უშველის სანაგვეს, გისოსებში – ვირთხების გადი-გადი, ფარფარა ფარეხიდან დიდი და წარუშლელი ნახევრად ამოზრდილა კრიალა კადილაკი“¹

მკვლელობები, ნარკომანია, ძალადობა თუ კანონი ლირიკულ გმირში ინვეეს სასონარკვეთას და თანამედროვე სამყაროს შემდეგნაირ ეპითეტს გვთავაზობს: „სამყარო არც თუ ისე ზუსტი და ფართო ხედი“...

„მთელი ეს ყველაფერი (ის ისევ ისე ურევს), კანონი, ძალადობა, ნაკლებად, გაცილებით, შავ-თეთრი, მტერ-მოყვარე, უღირსი, ღირსეული, მორალი, უფლებები და დეკლარაციები...“²

მიურიელ რაკეისერი აღნიშნავს, რომ თანამედროვეობა მოიცვა უშუალოდ პოეზიის შიშმა. ხოლო პოეზიისადმი წინააღმდეგობის განევა ამერიკული ცხოვრების ამ ომების დროს აქტიური ძალაა. პოეზია არ არის; ან არ ჩანს. საჭიროა ჩვენი რესურსებისა და საკუთარი თავის გაგება.³

ამერიკელი პოეტის, გოლუეი კინელის, ლექსში მკითხველი ხედავს, რომ პარალელურად იქმნება ტექსტები, რომლებიც უპასუხოდ არ ტოვებენ ინდივიდის სულში თუ სამყაროში არსებულ ძვრებს.

1.2-www.arilimag.ge. 2010წ. 18 ნოემბერი (ნანახია, 11. 06. 2018.).

3.Chapter one from “The resistances,” The life of poetry. **Authors: Rukeyser, Muriel, 1913-1980, American Poetry Review**; September/October 1996, Vol. 25, p17-21, 5p.

თუ გავითვალისწინებთ ჰაროლდ პინტერის აზრს, რომლის მიხედვითაც „მწერალმა ზოგჯერ უნდა დაამსხვრიოს სარკე, რადგან ჭეშმარიტება შეიძლება სარკის მიღმა იმალებოდეს“.¹

შუშის კოშკები სარკის ეფექტის მეტაფორით არის გააზრებული, რომლის დამსხვრევის შემდეგაც რეალობა და ათასგვარი მოვლენა ათასგვარად გარდატყდება:

„ამ კომპეებს თითქოს არავინაც არ შეხებია,
თვითონ იფეთქეს და შიგანი ამოანთხიეს...
და მერე იქცნენ პატარა ღრმულად.
შავ, უმცირეს, უსივრცო მასად,
რომელშიც ყველა ჩამქრალი შუქი

და ჩამქრალი ყველა სიცოცხლე სამარადისოდ შეენივთა ჩვენს მახსოვრობას“.² (გოლუეი კინელი, „კომპეების დამხობა“).

თამაში. იდეალური სახელმწიფოს შექმნა.

მეტაპოეტურ კრებულში „მთავარი გამთამაშებელი“ (2012წ.) მთავარი გამთამაშებელი მეტა-მორფოზას განიცდის. იგი გადაიქცევა დიდი ევროპული ქალაქის სტილისტად, რომელიც ქალების გალამაზებით ფართო ინფორმაციას ფლობს.

1. http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=22&id=32 – ჰაროლდ პინტერი „ხელოვნება, ქეშმარიტება და პოლიტიკა“.

2. www.arilimag.ge; 14.01. 2011 (ნანახია – 1.05.2015; 21:15).

ხარანაულის ლირიკული გმირი უამბობს მკითხველს თუ როგორ ჩაუვარდა ხელში ლეპტოპი, რომელიც სარკე ეგონა და არ აღმოჩნდა.

ლეპტოპში ნაწერი ქართულ ენაზე იყო და ეს წამოაძახებინებს ორ სიტყვას: „აღსდგა ლაზარე!“ ენა „მოქნილი და კეთილზმოვანი იყო“ „განწირულობა და სიხარული ქართულ ენაზე ეწერა“ (45)¹. პოეტს უჩნდება ღმერთად ქცევის ამბიცია. შემოაქვს „ეკლესიასტეს“ ინტერპრეტირებული ფრაზები: „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ისე იყო, როგორც ერთი დღე“ – გვ.(45)² („ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე“ – „ეკლესიასტი“)³.

პოეტის აზრით, „სამყარო დიდი გუბეა, რომელშიც განუწყვეტლივ პულსირებს სიტყვა“(138)⁴ –სიტყვაც სარკის როლშია.

ამ შემთხვევაში, სამყაროს, როგორც გუბეს ფუნქცია აქვს დაკარგული და საკმარისია მასში ჩაენვეთოს სიტყვა, მაშინვე რეალობის ამსახველად წარმოგვიდგება. ლირიკული გმირი გვეუბნება, რომ თავადვე ასრულებს სარკის ფუნქციას სამყაროს სახის წარმოსაჩენად.

მაია ჯალიაშვილი ბესიკ ხარანაულის „მთავარ გამთამაშებელზე“ წერს, რომ, ეს არის წიგნი, რომელშიც ადამიანი სულ მიედინება“⁵ და აღარებს მარსელ პრუსტის რომანს „დაკარგული დროის ძიებაში“. არგუმენტად მოჰყავს თხრობის ის განსაკუთრებული მანერა, რომლის მეშვეობითაც ორივე ავტორი დროის ძიებას გადმოსცემს:

1, 2. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: „მთავარი გამთამაშებელი“, „ინტელექტი“, 2012.

3. ქართული კლასიკური მწერლობა, ტ. I, 2010, გვ.290.

4. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: „მთავარი გამთამაშებელი“, „ინტელექტი“, 2012.

5. ჯალიაშვილი 2013; მ. ჯალიაშვილი: „განზომილებებით თამაში“ – ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებელი“, ჟ., კრიტიკა“, №8, 2013.

„წინასწარი ცოდნა. ეს არის სამყაროს ხედვის უნარი, რომლის თანახმადაც სამყაროს ჩვენ მიმართ არავითარი განზრახვა არ ამოძრავებს და უპირველესად ვხედავთ იმას, რაც ჩვენგან ამოიზრდება“.¹ **მამარდაშვილი, „ცნობიერების ტოპოლოგია, ლექციები პრუსტზე“ მე-4 ლექცია:**

ადამიანი გვახსენებს, რომ მეტაპოეტური წიგნის დანერის საჭიროება დამდგარა:

„ამიტომაც გადავწყვიტე, გამოვძვრე ლიტერატურის ტყავიდან, ავინიო, ავინიო და მივალნიო იმ ზღვარს, სადაც სუფევს მეტა-პოეზია-ლექსის იქით, ფურცლის იქით, აზროვნების იქით, სახელ-შერქმეული გრძნობებისა და საგნების იქით...“(54).² „თამაშში შექმნილი ცოდნა უფრო ღრმაა, მოთამაშეც უფრო ემოციურია“ (58).³

პოეტები ლექსებით ოპერირებენ ადამიანებზე, რათა გამოაფხიზლონ იმ ძილისგან, რომელსაც „უკვდავი სიმთვრალე“⁴ ჰგვრის მათ. ლექსებიც შიშის ანარეკლია.

შესაბამისად, საჭირო ხდება შენიღბვა, ინყება თამაში, რომელიც ქმნის ერთგვარ უტოპიას, სადაც პოეტს შეუძლია იყოს ხან ჩვეულებრივი ადამიანი, რეჟისორი, ზოგჯერ მთავარი როლის შემსრულებელი და მაცურებელი. მხოლოდ იქ ეძლევა სრულ თავისუფლებას. მკითხველს თავს „პოეტ-გამთამაშებლად“⁵ (ბესიკ ხარანაული) წარმოუდგენს.

1. მამარდაშვილი 2011; მ.მამარდაშვილი: „ცნობიერების ტოპოლოგია“, სამოქალაქო განათლების განყოფილება, <http://www.nplg.gov.ge>

2,3. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: „მთავარი გამთამაშებელი“, „ინტელექტი“, 2012.

4. www.arilimag.ge; 14.01. 2011 (ნანახია – 1.05.2015; 21:15).

1. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: „მთავარი გამთამაშებელი“, „ინტელექტი“, 2012.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ბიბლია პოსტმოდერნისტული პერსპექტივიდან,“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2013, რედ. თამარ ცოფურაშვილი.
2. კირკეგორი 2014; ს. კირკეგორი: „შიშის ცნება“, თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, „უნივერსალი“, 2014.
3. ია ანთაძის ინტერვიუ ბესიკ ხარანაულთან რუბრიკით „საინტერესო ადამიანები“. სათაური – „რაში მჭირდება ტოტი, რომელზეც ვერ ვიქანავებ?!“ – <http://sainteresoadamianebi.ltv.ge/?id=36> (ნანახია: 16. 05.2018, 16:07)
4. მამარდაშვილი 2011; მ. მამარდაშვილი: „ცნობიერების ტოპოლოგია“, სამოქალაქო განათლების განყოფილება, <http://www.nplg.gov.ge>
5. პინტერი; ჰ. პინტერი: „ხელოვნება, ჭეშმარიტება და პოლიტიკა“ http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=22&id=32
6. ქართული კლასიკური მწერლობა, ტ. I, 2010, გვ.290.
7. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: ლექსები, პოემები, „მერანი“, თბილისი, 1988.
8. ხარანაული 1988; ბ. ხარანაული: „მთავარი გამთამაშებელი“, „ინტელექტი“, 2012.
9. ჯალიაშვილი 2013; მ. ჯალიაშვილი: „განზომილებებით თამაში“ – ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებელი“, ჟ., კრიტიკა“, №8, 2013.
10. www.arilimag.ge; 14.01. 2011 (ნანახია – 1.05.2015; 21:15).
11. Fear and Trampling (Dialectical Liric) by Soren Kierkegaard, pg.7-<http://web.jst.ufl.edu/pdf/fearTrampling.pdf>
12. Chapter one from “The resistances,” The life of poetry. **Authors: Rukeyser, Muriel, 1913-1980, American Poetry Review**; September/October 1996, Vol. 25, p17-21, 5p.
13. www.arilimag.ge. 2010 წ. 18 ნოემბერი (ნანახია, 11. 06. 2018. 17:00).

მაია კობიაშვილი

ნმინდა ანრია პირველნოდებულის ქართული
უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო მინდიაშვილი

ბელადის რეფლექსიები ქართულ მწერლობაში

როცა ვლაპარაკობთ სოციალისტური რეალიზმის კლასობრივ, პარტიულ, იდეოლოგიურ კრიტიკრიუმებზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მწერლები დაემსგავსნენ მარიონეტებს, სათამაშო თოჯინებს, ისინი პათეტიკურად იმეორებდნენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებებს. პარტიის „აღმშენებლობითი“ ბრძოლა გულისხმობდა ლიტერატურას უმაღვე აესახა თავის ლექსებში, პიესებში და მოთხრობებში ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, ელექტროფიკაციის მიღწევები.

ინტელიგენტი „გაბედნიერებისა“ თუ თვითგადარჩენის მცდელობით უმღერდა სტალინს. ორივე შემთხვევა ეპოქის მესაჭეთა ნაკარნახევი იყო. აქ მნიშვნელოვანია გაივლოს ზღვარი ბელადზე შეყვარებულ და „ვითომ შეყვარებულ“ ინტელიგენტებს შორის.

ზოგადად, უხერხულობას ქმნის საბჭოეთისა და ბელადის სახობტო შემოქმედება, რომელსაც კითხულობდა ხალხი, საბჭოთა საზოგადოება და ძნელი იქნებოდა მათთვის შავისა და თეთრის გარჩევა მაშინ, როცა ტრიბუნა ეპყრათ პროლეტარ მწერალთა გვერდით „ცისფერყანწლებს“, „აკადემიურ ჯგუფსა“ თუ „არიფონელებს.“ თანამედროვე კრიტიკა რამდენად მკაცრი, რადიკალური იქნება მათ მიმართ, რა კვალიფიკაციას მისცემს ბელადზე და კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციაზე სიმღერათა სერიას?

საბჭოთა პოეზიის „პატრიარქს“ – ირაკლი აბაშიძეს გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსების ციკლში შეტანილი აქვს ლექსი „ყველა ვატარებთ საკუთარ ნილაბს“, რომელიც გარკვეულ აღიარებად, დასკვნადაც კი გამოგვადგება შეფასებისას:

„ყველა ვატარებთ საკუთარ ნილაბს:
მეც, შენც და ისიც,
ჩვენც, თქვენც და ვილაც,
ცოტად თუ მეტად, კარგად თუ ავად,
მხოლოდ ჩვენ ხშირად ვერც ვხედავთ თავად...
როცა კაცურად ვუღიმით მზაკვარს...“

(ი. აბაშიძე. „ოცი ლექსი გალაკტიონ ტაბიძეს“. 1986 წ. გვ. 28-30)

თუმცა ეს სტრიქონებიც დროების კვალდაკვალ შექმნილია. იმ რეპრესიების ქარბორბალაში ასეთ კეთილგანწყობას ვერ გაბედავდა ტიცციან ტაბიძისა და გალაკტიონის მიმართ. ეს ერთი იმ გამოცანათაგანია, რომელიც გააჩინეს გალაკტიონმა, გამსახურდიამ თუ ყანწლებმა: არც მათი ხობტა-დიდება დასაჯერი და არც ირ. აბაშიძის ჭირისუფლობა. პერიოდი იყო უმძიმესი, ამიტომაც ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ მწერალთა და ზოგადად, შემოქმედთა გაურკვეველ-დაუზუსტებელი ორიენტაციები.

„ლიკვიდირებულ“ მწერალთა გარდა, დარჩნენ ისეთნი, რომლებიც გადაურჩნენ რეპრესიებს და ერთგვარ თავშესაფრადაც გაიხადეს საბჭოთა მწერლობა. მათ განსაზღვრული თემატიკა და მიზანი ჰქონდათ, – აღწერათ სოფლის, ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეების ცხოვრება,

ელექტროფიკაციის პროგრამებში ჩაერთოთ ხალხი, გაეღვივებინათ სოციალისტური აღმშენებლობის ფერხულში ჩაბმის ნადილი და ლენინ-სტალინის გეგმით ცხოვრების რწმენა გაეძლიერებინათ. ამ მიმართულებით და ამ თემატიკით გაეჯერებინათ ქართული საბჭოთა ლიტერატურა.

აღსანიშნია ფაქტი, რომ „ლიკვიდირებული“ მწერლებიც ემსახურებოდნენ ამ საქმეს, მაგრამ „მცირედი“ გადახრები აგენტებად და საშიშ დამნაშავეებად რაცხდა ყოველ მათგანს. საბჭოთა სოციალისტური აზროვნების დამკვიდრებაში დადებული აგურების დანიშნულება ჰქონდათ თუ არა „თანამგზავრთა“ მიერ ბელადისადმი მიძღვნილ ლექსებს, პოემებს, პროზას, თარგმანებს და სახალხო გამოსვლებს?

განსაკუთრებით საყურადღებოა სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები. სტალინი – იქცა პოეტთა მუზად, კერპად და ცხოვრების გარანტიად. ღირსეულ მწერლად ითვლებოდა ის, ვინც ეთაყვანებოდა სტალინს და მის მიერ განსაზღვრულ ცხოვრებას. ბელადის სახე აღაფრთოვანებდა პოეტებსა და მწერლებს. 1938 წელს გამოიცა წიგნი „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“. პროლეტარი მწერლებისგან გასაკვირი არაა და მეტიც, სრულიად გასაგებია, რომ ასხამენ ხოტბას ახალი ცხოვრების შემოქმედს, ისინი არიან: ალიო მამაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, სანდრო ეული და სხვანი, მაგრამ ჩვენი ყურადღების ობიექტივში კვლავ რჩებიან გალაკტიონ ტაბიძე, (ლექსი „სტალინი“), ტიცინ ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი (ლექსი „ფოლადური“), ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო შანშიაშვილი (ლექსი „იოსებ სტალინს“), გიორგი ლეონიძე (ეპიკური ტილო, პოემა „ბავშვობა და ყრმობა“), კონსტანტინე გამსახურდია („ბელადი“) და სხვანი. მათ შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდა იმდროინდელი საბჭოთა კრიტიკა და ჭეშმარიტად სახავდა სოციალისტური განვითარების მთავარ პერსპექტივად, შალვა დადიანის, ლეო ქიაჩელის, რაჟდენ გვეტაძის (ყოფილი „ცისფერყანწელი“), დემნა შენგელაიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, როგორც საბჭოთა მწერლების სიას „ამშვენებს“ კონსტანტინე გამსახურდიას სახელიც. კრიტიკოს კანდიდ ჩარკვიანის აზრით, „მთვარის მოტაცებაში“ მწერალმა მიზნად დაისახა დაეხატა ჩვენი საბჭოთა სინამდვილე, ჩვენი საბჭოთა ადამიანები, მაგრამ ეს ცდა ვერ გამოუვიდა“ (გვ. 166) ეს „შეცდომა“ როგორმე უნდა გამოესწორებინა მწერალს და დაენერა ნაწარმოები, რომელიც არანაირ ეჭვსა და ქვეკითხვებს აღარ გააჩენდა, რომელშიც არ იქნებოდა ტირილი და სიმპათიები ბურჟუაზიული ელემენტების მიმართ.

დიმიტრი ბენაშვილი წერს: „თუ მწერლებს ერის, ხალხის სამსახური უნდოდათ, ისინი უნდა გაჰყოლოდნენ იმ გზას, რომელიც რევოლუციამ უჩვენა. კ. გამსახურდია, თუმცა ზიგზაგებით, მერყეობით, ზოგჯერ წინააღმდეგობებით, მაგრამ არსებითად მობრუნდა რევოლუციისაკენ“ (ბენაშვილი, 1938: 96).

გამსახურდიამ თავისი შინაგანი ხმა აამეტყველა თარაშშიც და სავარსამიძეშიც, რაც, რა თქმა უნდა, ტოტალური საბჭოთა მდინარებიდან ნაპირზე ისროდა მწერალს და მას სჭირდებოდა ურყევი, ეჭვგარეშე ნაწარმოების შექმნა, რომელიც კითხვის ნიშნების გარეშე აღიარებდა მას საბჭოთა მწერლად. გამსახურდიამ თავისი წილი ხარკი გადაუხადა საბჭოთა ლიტერატურას, მან დაწერა „ბელადი“ და ვრცელტანიანი რომანი „ვაზის ყვავილობა“. ის თითქოს ბოდიშს იხდიდა ამის გამო, თარაშ ემხვარის სიტყვებში გაჟღერდა მისი ეს უხერხულობა: „ვინც დღევანდელ დღეს ვერ არგო რა, იგი ვერ არგებს ვერც მომავალ საუკუნეებს“, გამსახურდიამ გადაწყვიტა „ეპოქის მდინარების ალღოს აღება“ და ამიტომაც დაწერა სტალინის სადიდებელნი. რას ფიქრობდა გამსახურდია, თავს გადაირჩინდა და საზოგადოება ამას გაგებით მოეკიდებოდა? მის ნაწარმოებებზე გავრდილი თაობები გამსახურდიას შემოქმედებით ეზიარებოდნენ საბჭოეთისა და სტალინისადმი ხოტბას! ეს ბევრად სარწმუნო და შედეგის მომცემი იქნებოდა და იყო კიდევ საზოგადოებისთვის, ვიდრე პროლეტართა სიმღერა.

კითხვები „რატომ წერდნენ“?, „როგორ გადარჩნენ“? – დღესაც არ კარგავს აქტუალობას და პასუხთა ძიება ლიტერატურის ისტორიის უმთავრეს ამოცანად რჩება.

გამსახურდია „მთვარის მოტაცებაში“: გარკვევით საუბრობს „ორი გზის შესახებ“ „დღეს მთელ ქვეყანაზე ორად ორი გზაა დარჩენილი – ერთია სტალინის გზა, გზა ბოლშევიკებისა, მეორე მუსოლინისა და ჰიტლერისა“. თარაშ ემხვარი მერყეობას დაძლევს და ყოველგვარი ევროპული „იზმისგან“ შორს იჭერს თავს, თუმცა სტალინის გზის არჩევასაც მისგან არავინ დაიჯერებს, რადგან თავადია და წინაპრების ცოდვებს მოჰკითხავს ახალი დროება, ის ამბობს: „ძალიან საეჭვოა ბოლშევიკებმა ჩემი გულწრფელობა ინამონ“. გამსახურდია ამოეფარა თავის გმირს და საკუთარი განწყობა თარაშით შეფუთა. უნდა დავფიქრდეთ, რომელ „გულწრფელობაზე“ საუბრობს მწერალი?

კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადი“ რა ვითარებაში დაინერა? რომანი მწერალს ჩაფიქრებული ჰქონდა ტრილოგიად, მაგრამ მხოლოდ პირველი ნაწილი გამოაქვეყნა და შემდეგ წერა შეწყვიტა. შესაძლოა, ამის მიზეზი ადრესატის უკმაყოფილო დამოკიდებულება იყო. იოსებ ბესარიონის ძეს წაუკითხავს და არ მოსწონებია: „ასეთი ბავშვი არ ვყოფილვარო“ – აღუნიშნავს.

რომანს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ლამარტინის სიტყვები: „...ესე იყო იგი და ეს რომ იგი იყო ზედვე ეტყობოდა“.

ბელადის ცხოვრების აღწერას მწერალი მისი ჩვილობიდან იწყებს. ისეთი სისათუთით, ისეთი სიამით ახასიათებს აკვანში მწოლარე პატარა იოსებს, შეუძლებელია მკითხველს სიყვარული არ აღეძრას მის მიმართ. მწერალი კეთილ, გულწრფელ, უბრალო ქალად ხატავს კეკეს, სტალინის დედას, რომელიც ქრისტიანი, ეკლესიური წესის მიმდევარია, შვილის აღზრდისას ზომიერებას იცავს. რომანი ერთგვარად დიდაქტიკურ ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდიას ხელწერა ემჩნევა, ის თავისი სიძლიერით მისი სხვა რომანებისგან აშკარად განსხვავდება სისადავით, სიუჟეტის სიმარტივით, თუმცა წნეხის კვალი არ ეტყობა, თუ არ გავითვალისწინებთ ნაწარმოების შექმნის ისტორიას, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ლავრენტი ბერიამ დაუკვეთა ბელადის მაქებარი ნაწარმოების დაწერა. რომანი იძლევა ბელადის შესახებ ისეთ ისტორიას, ისეთ განწყობას, რომ ის უაღრესად დადებით პერსონაჟად ჰყავს დახატული, თანაც ისე, რომ მკითხველი ეჭვს ვერ შეიტანს მწერლის სიყალბეში.

როგორი ბავშვი იყო სტალინი? რამ მოახდინა მასზე განსაკუთრებული ზეგავლენა, შთაბეჭდილება, რა იყო მისი ინტერესის საგნები და ა. შ. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ როცა საქმე ეხება არაჩვეულებრივ კაცს, მაშინ ყოველი დეტალი, ყოველი ნიუანსი ანგარიშგასაწივნი ხდება.

რომანში ყურადღებას სიმბოლურ-ალეგორიული ფონი იქცევს. მწყემსი უფლისა არაბული ლოცავს ახალშობილ, აკვანში მწოლარე იოსებს: „ეს მგლის კბილებია და არწივის პწკალები. აკვანზე ჩამოუკიდე ბატარია ბაღლსა, გაიზარდოს, გახადოს უფალმა ქომაგი გლეხკაცისა, ჩუენითანა გაჭირვებულის მოჯამაგირისა, სუყველა იმათი, ვინც ჩუენსავით ცრემლნარევი ოფლით სჭამდეს პურსა, ვის ნაშრომსაც სხვები იტაცებენ. ღმერთო დიდებულო და დიდად სახსენებო, შენ გაუმარჯვე ჯუღაანთ იოსებსა... არწივის სილაღე მიე და მუხლი მგლისა...დეე, მთელმა ქვეყანამ შეიყვაროს, გულის პირში ჩაიხვიოს იგი“ (გამსახურდია 1939: 17).

მეზობელ ცოქალას თამაშ-თამაშით დასწავლილი „ლოლია, ლოლია“ ცხოვრების რეალობად იქცა სტალინის ცხოვრებაში. ხელის ყოველი თითის ფუნქცია ასე იხატება:

„ამან დაჰკლა,
ამან გაატყავა,
ამან შესწვა,
ამან მოიტანა
და ამან შესჭამა“.

სოსო ჯუღაშვილის როლური თამაში კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანისა, ასევე, სიმბოლურ-ალეგორიულია. სრულიად ადეკვატურ, სათნო და კეთილ ყმანვილს სევდა იპყრობს ძმის სიკვდილის გამო. საინტერესოა მისი სწავლისადმი საოცარი მიძალბება, ცოქალას ქმრის, მიხა

ქლიფთარის სწავლებანი მისი ყოველდღიური აუცილებლობა და მოთხოვნილებაც კი გახდა. მიეძალა საგმირო ისტორიებს, შეემატა ცოდნა და თავდაჯერებულობა. აშკარად ვერ ეგუება „თეთრ ცხენზე“ შემჯდარი თამაზ ამილახვრის ქედმაღლობას. სასულიერო სასწავლებელშიც ყველაზე თავმომწონედ უჭირავს თავი, მიუხედავად იმისა, რომ მისი გლეხური გვარი არაფრისმთქმელია თანატოლთა წრეში. წუხს სტალინის დედა, ეკატერინე, რომ „ახლანდელ სკოლაში გარყვნიან მხოლოდ“, ეს დეტალი მწერლისგან უმნიშვნელოდ ვერ ჩაითვლება, ეს ის მარგალიტია, რომელიც ბელადის საამებლად გამოდგება, მაგრამ ყოველი მწერალი მკითხველის აჩრდილს განიცდის, გამსახურდიასთვის ნათელია, რომ მკითხველი დროის სათანადო ანგარიშს გაუწევს ამგვარ ფრაზებს და სიხარულით დაუცდის დროს, როცა ყრმანი არ გაირყვნიან სკოლაში. ამგვარი ფრაზები მართლაც სახიფათოა ცნობიერების შეცვლის საქმეში. ჯულაშვილი სწავლის დაწყების პირველივე დღიდან დაუპირისპირდა ამ გამრყენელ და აბეზარ ვითარებას. „ცხვირპაჭუა დალასკუტას“, ეპისკოპოსის ვაჟს „ძალის მწერი დაარქვა“ (გვ.50).

დედაზე უსაზღვროდ შეყვარებული, რაინდული ბუნების სოსო დედის მსახურებას ამილახვრებთან სასტიკად ვერ ეგუება. ვითარებას იმგვარად აღწერს ავტორი, რომ თანატოლებში ლიდერის თვისებებით გამორჩეულ ჯულაშვილს გულშემატკივრობს მკითხველი.

1940 წელს გაიმართა სხდომა, სადაც დაწვრილებით განიხილეს „ბელადი“ და კ. გამსახურდიას იდეოლოგიური მრწამსი თუ პიროვნული დამოკიდებულება ბელადის მიმართ. ნაწარმოები ერთსულოვნად დიად ნაწარმოებად იქნა მიჩნეული. სიტყვით გამომსვლელებმა ვრცლად ისაუბრეს რომანის ღირებულების შესახებ, „მცირეოდენი ლაქები მზესაც კი აქვს, მაგრამ მის ბრწყინვალეობას ხელს არ უშლისო“, აღნიშნა თავის გამოსვლაში დ. ბენაშვილი. პავლე ინგოროყვას შეფასებით, „სტალინის მიმართ ჩვენ არაფერი არ მიგვაჩნია დამაკმაყოფილებლად, სტალინის სათანადო მხატვრული სავსებით ასახვა იქნებ მიუწვდომელი საქმეც იყვეს, მაგრამ იმ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის, რაც სტალინის შესახებ დაინერ, როგორც ქართულად, ისე სხვა ენებზე, კონსტ. გამსახურდიას რომანი აუცილებლად ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გამართული ნაწარმოებია. რომანი გამთბარია სიყვარულით ბელადისადმი“ (ფონდი 8.აღნ.1. №831.გვ.41) სერგო კლდიაშვილი კი თქვა: „მე ისე აღტაცებული ვარ ამ წიგნით, რომ არ ვიცი როგორ გამოვთქვა...“ (გვ.45). სერგო კლდიაშვილი ამბობს: „რომანს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველი ჩვენი ბავშვი სიამოვნებით წაიკითხავს და ინატრებს, რომ ბელადს დაემსგავსოს“ (სეა №831: ფ. 8. აღნ. 1, 41). აღნიშნული პოზიცია, სულაც არაა გასაკვირი, ამგვარ ნაწარმოებთა შექმნის მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო, მიზანი მიღწეულ იქნა და ქართულმა საბჭოთა საზოგადოებამ ეს აღზრდა, დიახაც, მიიღო. ჩვენი მიზანია გავუსვათ ხაზი ამგვარ ნაწარმოებთა ისტორიულ მნიშვნელობას. აქ არსებითია ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ პროლეტმწერლებისგან იმდენად სარწმუნო და ეფექტური ვერ იყო საბჭოთა მწერლობა, როგორც ისეთი დიდი მწერლების ხელით შექმნილი, როგორებიც იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიცციან ტაბიძე.

ბესარიონ ჟღენტი ასეთ შეფასებას აძლევს კ. გამსახურდიას, როგორც „ბელადის“ ავტორს: „რომანი არის ახალი გამსახურდიას შემოქმედებაში... აქ იგი უკვე თავისუფალია დეკადენტობის ყველა ცოდვებისაგან, რომ იგი აქ ნამდვილად დგას ჩვენი სოციალისტური ლიტერატურის მოწინავე პოზიციებზე... ამ რომანიდან ახალი სტადია იწყება კ. გამსახურდიას შემოქმედებით ბიოგრაფიაში. თუ აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით გამსახურდიაზე როგორც საბჭოთა მწერალზე, მაგრამ ყოველთვის რაღაც მძიმეს ვსვამდით, რაღაც „მაგრამ“-ს ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით რაღაც ტვირთზე, რომელიც ეზიდება უკან სოციალისტური თემატიკის მთავარი ხაზისგან, დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ ამ რომანით გამსახურდია დადგა ჩვენი მწერლობის პირველ რიგში“ (სეა № 832: 32).

„სტალინს რომ ხატავ, ყველაფერი მისხლამდე უნდა იყოს ანონილიო“ – ამბობს მწერალი და ცხადი ხდება, რამდენი ინვალა, იშრომა, ოფლი ღვარა თითოეულ მისხალზე. „სამი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ამ წიგნზე და მე უნდა მოგახსენოთ, რომ არცერთი წიგნის დაწერა არ გამძნე-

ლებია ისე, როგორც ამის დაწერა, იმიტომ რომ აქ არის თავიდან ბოლომდე ბენჯის ხიდზე სიარული... დავინწყე. ავიღე ხელში კალამი, ვწერე, მაგრამ არ გამოვიდა, ქაღალდები დავხიე, დავწვი... მინდოდა ეს რომანი ყოფილიყო როგორც კანდელი ქართველი ერის საუკეთესო ადამიანების ცხოვრებისა... ცოცხალ ადამიანთა შორის არავის არ გაუხელებია ჩემი შემოქმედების უნარი, ისე, როგორც ამხანაგ სტალინს (სტა № 832: 46-57).

რეალურად, ვერც „ბელადმა“ იხსნა კ. გამსახურდია მკაცრი კრიტიკისგან. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული პირველი სხდომა გაიმართა ლავრენტი ბერიას მოხსენების გარშემო 1937 წლის 27 მაისს, სადაც დემეტრადემ მისი მისამართით ასეთი რამ თქვა: „უნდა მოეღოს ბოლო მერყეობას, ქანაობას ორ წერტილს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ელის დაღუპვა... ვინაიდან არავის ნებას არ მივცემთ ითვალთმაქცონ, ქართველი ხალხი მოატყუონ და საბჭოთა მწერლობის სახელით აკეთონ თავისი შავი საქმე, ხალხის მტერთან ერთად“ (სტა № 29: 1937, 17).

გიორგი ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა“ დაწერა 1936 წელს. გასაგებია პოემის შექმნის ეპოქალური კონტექსტი, მაგრამ უამრავი კითხვა გაჩნდა პოეტის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. სტალინის სიტყაბუკის წლები პოეტმა ხოტბით შეამკო. მის დაბადებას ზარზემით შეეგება ყველა, პოეტი გორს ქალაქთა შორის ყველაზე დიად ქალაქად სახავს, დიადია, რადგან მის ნიაღში დაიბადა იოსებ ჯულაშვილი.

როცა ლეონიძის ბელადისადმი ხოტბას ვეხებით, ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი აუცილებლად უნდა გამოვკვეთოთ: პოეტის ძმა, ლევან ლეონიძე, 1937 წელს დახვრიტეს. რძალს, მარია ჰოფმანს გადასახლება მიუსაჯეს (გიორგი ლეონიძემ დაიხსნა ის ამ სატანჯველისგან, როგორ? – ეს კითხვა პასუხს იმსახურებს), აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვები და ქვეკითხვები, რა აწერინებდა, ვინ აწერინებდა გიორგი ლეონიძეს ბელადის სადიდებელ ნაწარმოებებს?! ის, რომ პოეტს ამ მძიმე წნეხის ატანა, თუნდაც ღირსებაშემლახავის, უწევს შედეგების გადასარჩენად, რამდენად ღირსეულია, მართებულია? თუმცა საკითხისადმი ამგვარ მიდგომაშიც არის ლოგიკა, მაგრამ ხომ შესაძლოა პოეტს გულწრფელად სჯეროდა სტალინის სიდიადისა, ხიზლავდა მისი გენია! მით უმეტეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეიტანეს პოემა და დიდი სიყვარულითაც მიიღო მკითხველმა. ახალი თაობა ამ იდეალს პროლეტარულმა აზროვნებამ აზიარა და ამაში დიდი წვლილი თვით ლეონიძემ, გამსახურდიამ, გ. ტაბიძემ და სხვა „ცისფერყანწელებმაც“ შეიტანეს. ე.ი. უნდა დავასკვნათ, რომ აბსოლუტური რადიკალიზმი არ ახასიათებდათ სიმბოლისტ-დეკანდეტური მიმდინარეობის წევრებს. ისინი არა თუ ემიჯნებოდნენ (გასებია, რომ ვერ ემიჯნებოდნენ!), არამედ აქტიურად ემსახურებოდნენ. ერთი რამ ფაქტია, ლეონიძე „ხალხის მტრად“ არ დაუსახელებიათ, ამის დასტურია სწორედ იდეოლოგიასთან მისი თანაზიარობა. რეპრესიები პირადად შეეხო, მაგრამ ის მაინც დარჩა სოციალისტური მშენებლობის რიგებში.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სტალინი თავადვე ამკვიდრებს „სტალინიზმის“ პრინციპებს. უმთავრეს ორიენტირად იღებს საკუთარ ავტორიტეტულობას და გასაკვირი არაა, რომ იგი თავადვეა დამკვეთი, რომ მაღალი დონის, ინტელიგენტმა და საუკეთესო მწერლებმა შემოქმედებით მუზად გაიხადონ ის. მოკლედ, სტალინი იყო მთავარი ვერტიკალი და მის გარშემო უნდა განწყობილიყო ცხოვრება.

სტალინის სრულიად განსხვავებულ სახეს ქმნის სხვა განზომილებაში, ევროპაში მცხოვრები გრიგოლ რობაქიძე რომანში „ჩაკლული სული“ და ესეში – „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“.

გრიგოლ რობაქიძის დახასიათებით, სტალინი ფლობდა დამანგრეველ ძალას, ისეთს, როგორსაც არც ლენინი, არც ჰიტლერი, არც მუსოლინი, სტალინის სტილი ადამიანების არარაობად გადაქცევა იყო. ათასობით ადამიანი მასთან უშუალოდ ლამობს შეხვედრას, მილიონები მოუთმენლად

ელიან მისი ხმის გაგონებას რადიოში, ზამბარასავით დაჭიმული ხალხი პარადოქსულად განიცდის შიშს, სიხარულს, მოკრძალებასა და სიამაყეს მასთან შეხვედრისას.

გრიგოლ რობაქიძემ „ჩაკლულ სულში“ დიდი სითამამე გამოიჩინა სტალინის დახასიათებისას. ცხადია, ეს სითამამე მას მისცა უცხოეთმა, ევროპა მისთვის ერთგვარი ჯავშანი და უსაფრთხოების გარანტი შეიქნა.

რობაქიძე წერს: „ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინს – „ლეგენდარული ქართველი“. ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში, ოღონდ ქართველი – მეჩხერად“ (რობაქიძე 1991: 94). დიქტატორს, რომელსაც მოგვიანებით „პრესტორიული ხვლიკის გაქვავებულ თავს“ შეადარებს, რობაქიძე შემდეგნაირად აღწერს: „...დროებით დენის ქსელიდან გადმობობლდებოდა დარეტიანებული და გაუცხოებული. როცა შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი მხოლოდ სოსო ჯულაშვილი იყო, უბრალოდ ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესლა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერი ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე“ (რობაქიძე, 1991 : 108).

„სტალინი დიქტატორი იყო... ოპოზიციური ჯგუფები მარჯვნიდან და მარცხნიდან თავს ესხმოდნენ სტალინს, სტალინი მრავალმხრივ გამოცდილი მუდამ იმარჯვებდა, დამარცხებულნი მის წინაშე ქედს იხრიდნენ და იჩოქებდნენ და თავიანთ ცოდვებს ინანიებდნენ... გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა და სტალინი დღითიდღე იზრდებოდა და მისი ძლევა ვერავითარ ძალას ვერ შეეძლო“ – წერს გრიგოლ რობაქიძე. წყარო

რობაქიძისეული სტალინის პორტრეტი ლაბორატორიულ-ექსპერტულ დასკვნას ჰგავს. ხელალებით აძაგებს და ამავედროულად აიდვალვებს, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში. თუ ლეონიძე და გამსახურდია სტალინის ბავშვობას ზედმინევენით დადებით კონტექსტში აშუქებენ, რობაქიძე პირიქით, ამბობს, რომ „ბავშვობის ასაკში მას ბავშვობაც არ ჰქონია. მას იმთავითვე რალაც ამძიმებს და თამაში არ უყვარს“ (რობაქიძე 2012:102). როგორც მწერალი აღწერს, „მამამისი ლოთი, სასტიკი და გესლიანი იყო, სიმთვრალისას დედას სცემდა, ის თავის ერთადერთ პატარა ვაჟსაც სცემდა ხოლმე. საცხოვრებელ ქოხში სიღარიბე, ცოფიანის დორბლი და ცრემლები მეფობდა... მამა მას ურჩხულად ეჩვენებოდა... შვილი წყევლიდა მამას... გაბოროტებულს სძულდა თავად ქმნადობა... მისთვის არ იყო სიყვარული... სიხარული“ (რობაქიძე 2012:64-65.).

ნათელია, რომ ერთსა და იმავე ეპოქაში, ოღონდ სხვადასხვა სივრცეში იქმნება სტალინის რადიკალურად განსხვავებული სახეები. ეს რეალობა იმას მონიშნავს, რომ იქ, სადაც სიკვდილის შიში დანერგეს, ზემოქმედებითმა ფაქტორმა შექმნა დიადი ბელადის სახე-ხატი, იქ კი, სადაც სტალინის ბოროტი ძალმომრეობა ვერ წვდებოდა, შეიქმნა სტალინის, როგორც კულტის, მომაკვდინებლის ფსიქოხატი. გრიგოლ რობაქიძემ უზარმაზარი წვლილი შეიტანა საბჭოთა ცნობიერების ნგრევასა და ზოგადად, ბელადის ნამდვილი სახის გაცნობის საქმეში.

ცხადია, რობაქიძე დაუსჯელი არ დარჩა. ჯერ იყო და მის წინააღმდეგ აღძრეს საქმე მისივე მეგობრებმა:

„მივმართავთ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს, რომ ფაშისტი გრიგოლ რობაქიძე, სოციალისტური სამშობლოს ღალატისთვის და გამცემლური მუშაობისათვის გამოცხადებულ იქნას სოციალისტური სამშობლოს მოღალატე და აღიძრას საკითხი საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინაშე გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ სათანადო სახელმწიფოებრივი აქტის განხორციელების შესახებ“.

პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მინიშვილი 1935 წ. 5 აპრილი. ტფილისი. მნათობი.

რობაქიძის შემოქმედების გავრცელება, ბეჭდვა კატეგორიულად აიკრძალა და დათბობის პერიოდშიც ვერ ეღირსა რეაბილიტაცია. ის ყველაზე გვიან, საბჭოეთის ნგრევის პერიოდში იქნა „შენდობილი“ და მისმა შემოქმედებამ მხოლოდ 80-იან წლებში იხილა სამზეო.

სტალინმა თავად დაამკვიდრა „სტალინიზმის“ სინდრომი და უპირობოდ მოითხოვა მისი აღიარება და გათავისება. მთავრობის დაკვეთა, უმეტეს წილად, იყო წნეხის, იძულების, დაშინებისა და დასჯის მომასწავებელი, ზოგჯერ ნებაყოფლობითიც. დაშინებულ მწერლებში გაჩნდა ერთგვარი ვალდებულების რწმენა და ისინიც დიდი მონდომებით წერდნენ სტალინის სადიდებელ ნაწარმოებებს.

ნაშრომში გაანალიზებულია კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის სახოტბო ნაწარმოებები. დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ნაწარმოებებს კლასიკოსების ჩვეული ხიბლი აკლია, ეს გაპირობებულია სწორედ შექმნილი გარემოებებით, თუმცა ისინი გათვლილია მასების ცნობიერებისთვის და აქვთ კონკრეტული მიზანი – საზოგადოებამ აღიაროს სტალინის ჰეგემონობა.

ბიბლიოგრაფია

1. აბაშიძე 1986: აბაშიძე ი, „ოცი ლექსი გალაკტიონ ტაბიძეს“. თბილისი, 1986.
2. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა, „მწერლობის მოთვინიერება“, თბილისი, 1990.
3. ბენაშვილი 1938: ბენაშვილი დ, „კონსტანტინე გამსახურდია“, „მნათობი“, N8, თბილისი, 1938.
4. გამსახურდია 1961: გამსახურდია კ, რჩეული თხზულებანი ტ. V; თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1961.
5. გამსახურდია 1939: გამსახურდია კ, „ბელადი“, „მნათობი“, N8, თბ., 1939.
6. გაფრინდაშვილი... 2008: გაფრინდაშვილი ნ, მირესაშვილი მ, წერეთელი ნ. „სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია“; ნ.1; თბ., 2010.
7. კორინთელთა. 1989. კორინთელთა მიმართ II ეპისტოლე. ბიბლია. თბ., საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა.
8. ლეონიძე 1933: ლეონიძე გ, „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“, „მნათობი“, თბ., 1933.
9. მინდიაშვილი 2014: მინდიაშვილი ნ. 2014 „მოთვინიერებული მწერლობის“ რეფლექსიები“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, ბათუმი, 2014.
10. „მნათობი“. ყველა ნომერი. თბ., 1924-1939.
11. რომაელთა... 1989: რომაელთა მიმართ ეპისტოლე, ბიბლია, საქ. საპატრიარქოს გამოცემა. თბ., 1989.
12. რობაქიძე 1923: რობაქიძე გრ, „პოეზიის დღე“, პოეზიის დღე, აჭარა, 1923.
13. რობაქიძე 2012: რობაქიძე გ. „დემონი და მითოსი“, გამომც. „არტანუჯი“, თბ., 2012.
14. რობაქიძე 1991: რობაქიძე გ. „ჩაკლული სული“. თბ., 1991.
15. რობაქიძე 1990: რობაქიძე გ, სოციალისტების სახელმწიფოებრივი უძღურება. სახელმწიფო და სამართალი №12, თბ., 1990.
16. რობაქიძე 1996: რობაქიძე გ, „სიმართლე ჩემთვის ყველაფერია“, თბ., 1996.
17. რობაქიძე 2010: რობაქიძე გ, „ადოლფ ჰიტლერი“, გამომც. „არტანუჯი“, თბ., 2010 (გერმანულიდან თარგმნეს ალ. კარტოზიამ და დ. ფანჯიკიძემ).
18. რობაქიძე 2010: რობაქიძე გ, „მუსოლინი“, გამომც. ინტელექტი, თბ., 2010.
19. სიგუა 2008: სიგუა ს, „მოდერნიზმი“ გამომც. „მწერლის გაზეთი“, თბ., 2008.
20. სიგუა 1991: სიგუა ს, „მარტვილი და ალამდარი“ ტ.1, განათლება. თბ., 1991.

21. სიგუა 1989: სიგუას, „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, მერანი, თბ., 1989.
22. საქართველო ეროვნული არქივი. ფონდი 8. აღწ.2. № 29. 1937. ფურცელი 61.
23. საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 8. აღწ. 1. №832. ფურცელი 60. II სხდომა.
24. საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 8. აღწ. 1. №831. ფურცელი 67. I სხდომა.
25. „შეისწავლეთ სოციალიზმი“ 1920. №2.
26. ქილაია 1986: ქილაია ს. „ოცნლეული (1921-1940)“ უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1986.

ნინო თოდუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

ნასარჩემო და მძლეთამძლე ყვარყვარიზმის პირველსახე

კრიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ პოლიკარპე კაკაბაძემ სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული დრამატურგია. ამასთანავე, დავას არც ის ფაქტი იწვევს, რომ ის „დიდი კომედიოგრაფია“. კომედიოგრაფობა, თავის მხრივ, „უმაღლეს სიმამაცეს“ გულისხმობს, რადგან კომედიოგრაფი ამ ხერხით პირუთვნელად ამხელს მანკიერებებს როგორც პიროვნების, ასევე მის პიესებში ასახული ეპოქის. ამ შემოქმედებითი პრინციპისთვის მწერალს არასოდეს უღალატია. როგორც თამაზ ჭილაძე აღნიშნავს: „მთელი ცხოვრება სულიერ, შინა ემიგრაციაში გაატარა, რომელიც შეუდარებლად მძიმეა, ვიდრე ჩვეულებრივი და გაცილებით ზნეობრივი, რადგან ყოველ წამს მზადა ხარ შენი ხალხის ხვედრი გაიზიარო“ (ჭილაძე; 4).

უაღრესად საინტერესო პერსონაჟები შექმნა დრამატურგმა. საინტერესო და რეალური. ისინი (პერსონაჟები) ამოზრდილნი არიან ქართული ეროვნული ხასიათიდან, მაგრამ არც თუ იშვიათად ისინი ზოგადკაცობრიული თვისებების მატარებელნი ხდებიან. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ყვარყვარე თუთაბერია.

ქართულ რეალობაში არცერთ მის პიესას იმდენი გამოხმაურება არ მოჰყოლია, რამდენიც „ყვარყვარე თუთაბერს“. რით შეიძლება აიხსნას ეს ფაქტი? – უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ეს პიესა არ ასახავს ერთ ლოკალურ ეპოქას და არც მისი პერსონაჟები არიან რომელიმე ერთი კონკრეტული დროის ადამიანები. აქედან გამომდინარე, წამოჭრილი თემები და პრობლემები არასოდეს ძველდება, ყოველთვის შესაძლებელია, მათში თანამედროვეობის დანახვა. სწორედ ამიტომ იქცა „ყვარყვარიზმი“ ტერმინად ისევე, როგორც „თათქარიძეობა“.

კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ პოლიკარპე კაკაბაძემ თავისი პერსონაჟების შექმნისას ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ტიპები და მათი ნიღბები გამოიყენა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ყვარყვარე თუთაბერი. ბესარიონ ჟღენტი წერს: „მწერალმა მეტად გონივრულად გამოიყენა ქართული ფოლკლორის საგანძურიდან აღებული ნიღაბი ნაცარქექიასი და მისი აქტიური შემოქმედებითი გარდაქმნისა და გადამუშავების საფუძველზე შექმნა მკაფიო, მრავალმხრივად საყურადღებო სახე ყვარყვარე თუთაბერისა“ (ჟღენტი; 159).

ამჯერად ჩვენი ყურადღება სწორედ იმ მსგავსება-განსხვავებამ მიიქცია, რომელიც ყვარყვარესა და ნაცარქექიას შორის არსებობს. თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ, კრიტიკოსთა დიდი ნაწილის აზრით, ყვარყვარეს მეტსახელი ნაცარქექია მხოლოდ ნიღაბია და მას არსებითი მსგავსება არ აქვს პერსონაჟთან. დიმიტრი იოვაშვილი აღნიშნავს: „ყვარყვარე თუთაბერით“ ასახული მოვლენების ცენტრში დგას ქართული ხალხური ეპოსის პოპულარული გმირი ნაცარქექია. მაგრამ ნაცარქექია აქ, რა თქმა უნდა, ნაჩვენებია არა იმ სახით, როგორადაც იგი წარმოსახულია ზღაპრებში, დრამატურგს იგი თავისებურად გადაუქეთებია, დაუახლოვებია რეალურ გარემოებასთან, დაუკავშირებია თანამედროვე სინამდვილის პირობებთან. ამ გზით, ზღაპრული ნაცარქექიას ნიღბით, ჩვენ წინ დგება ცხოვრების საკმაოდ ჩვეულებრივი მუქთახორა, რომელიც ყვარყვარეს სახელს ატარებს“ (იოვაშვილი; 35). თუმცა, მათი გარკვეული ნაწილი დიდ მსგავსებას ხედავს მათ შორის, რაც ყვარყვარეს მეტსახელმა გამოიწვია და რისკენაც თავად მწერალი გვიბიძგებს. გიორგი ჯიბლაძე წერს: „ყვარყვარე ნაცარქექიაა, მასში ჩვენ ვხედავთ ქართული ზღაპრის

ცნობილ ნაცარქექიას, უხსოვარი ხანიდან მოსულს ჩვენს დრომდე; ამიტომ უფრო მოხერხებულს, მაგრამ არა უფრო ჭკვიანს, უფრო „ცივილიზებულს“, „კულტურულს“, მაგრამ არა უფრო დაბრძენებულს“ (ჯიბლაძე; 202). აქვე მოვიხმობთ ციტატას თამაზ ჭილაძის წერილიდან „დიდი კომედიოგრაფი“: „ყველაზე მარტივი, თვალში საცემი, ამავე დროს, ეფექტური პროტოტიპი ხალხური ზღაპრის გმირი ნაცარქექიაა, თავად ავტორიც აღნიშნავს: „მეტსახელად ნაცარქექია“. მაგრამ დაუჯერო მწერალს და ეს მსგავსება ირწმუნო, იგივეა პიესის კითხვა პირველსავე გვერდზე დაამთავრო“ (ჭილაძე; 5).

ჩნდება კითხვები: რით ემსგავსება ყვარყვარე ნაცარქექიას? რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან? ხომ არ მოიძებნება ჩვენს ფოლკლორში გმირი, რომელიც უფრო მეტად ჰგავს თუთაბერს, ვიდრე ნაცარქექია? უმთავრესად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნაცარქექია ჩვენი ზღაპრების ერთ-ერთი საყვარელი პერსონაჟია, მიუხედავად იმისა, რომ ზარმაცია და მუქთახორა. სიმპათია მის მიმართ, სავარაუდოდ, იმან განაპირობა, რომ მასში ბოროტება არ არის და ძალადობით კი არა, თავისი მოხერხებულობის წყალობით ამარცხებს დევს და ისაკუთრებს მის ქონებას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზღაპრებში და არა მხოლოდ ზღაპრებში, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებშიც დევი ბოროტ ძალას განასახიერებს (გავიხსენოთ თუნდაც „შუშანიკის ნამება“: „და შენ დევნი შემოიხუენ“), მაშინ ზღაპრებში დევების დამარცხება შესაძლოა, ზოგადად, ბოროტების ძლევის ალეგორიულ სახედ გავიაზროთ. უნებლიეთ გვახსენდება ის ფაქტიც, რომ ტარიელი, სანამ ქაჯებს დაამარცხებდეს, რომლებიც ცალსახად ბოროტების სხეულებრივი ფორმაა, მანამდე ის ამარცხებს დევებს და სწორედ მათი საჭურველით განახორციელებს საბოლოო შეტევას ბოროტებაზე. ამდენად, ვერ დავეთანხმებით იმ მკვლევრებს, რომლებიც ნაცარქექიას მიერ დევების დამარცხებაში ამ უკანასკნელთა მიმართ ჩადენილ უსამართლობას ხედავენ. ასე რომ, ნაცარქექია ყვარყვარეს მხოლოდ იმით ჰგავს, რომ თავისი მოქმედების დასაწყისში ნაცარს ქექავს. ამდენად, ნაცარქექიას მოხერხებულობა და, გნებავთ, ეშმაკობა არ არის მიმართული ბოროტების აღსაზევებლად. ის, რითაც შეუძლია, იმით უპირისპირდება მტერს. ხშირად ხერხი რომ ძალას ჯობია, ესეც ცხადია. ჩვენს ხალხს უთქვამს: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. ყვარყვარესაც აქვს მოხერხებულობა, მაგრამ მისი ეს თვისება მიმართულია ძალაუფლების მოპოვებისკენ. ამ გზაზე ის ყველა ხერხსა და მეთოდს გამოიყენებს: ტყუილს, მზაკვრობას, უდანაშაულო ადამიანთა ხოცვას, მოკლედ ყველა რესურსს, რაც კი ადამიანის მანკიერ ბუნებაში დევს.

ყვარყვარე ბაქიაა. კვებნა ერთ-ერთი მთავარი თვისებაა მისი ხასიათისა. კვებნით იგი ცდილობს თვალეში ნაცარი შეაყაროს ყველას, საკუთარი ცრუუპირატესობა წარმოაჩინოს, შიში და რიდი ჩანერგოს თავის გარშემო მყოფთა გულში და აღწევს კიდევაც ამას.

ნაცარქექია ბაქია არ არის. ის გონიერია, მან, ძმებისაგან უარყოფილმა, თავი უნდა გადაირჩინოს, საარსებო წყარო უნდა გაიჩინოს, ძმებსაც და საკუთარ თავსაც უნდა დაუმტკიცოს, რომ სიცოცხლისუნარიანია. იგი თავისი გონიერებითა და მოხერხებულობით აბრიყვებს დევს, რომელიც, სხვათა შორის, როგორც ფოლკლორში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაშიც მტრის, ბოროტების, სახედ სიმბოლიზდება, ხოლო მტრის დასამარცხებლად, ბოროტების დასაძლევად ხერხის გამოყენებაც არ ეწინააღმდეგება ადამიანურ მორალს, ამის დასტურად ავთანდილის მხატვრული სახეც საკმარისია. ყურადსაღებად მიმაჩნია აკაკი ბაქრაძის მოსაზრება, რომელიც ნაცარქექიას სიზარმაცესა და ბაქიაობას მხოლოდ მისტიფიკაციად მიიჩნევს, რათა მტერმა მისი ნამდვილი თვისებები ვერ ამოიცნოს, რაც, მისი აზრით, ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა და ეშმაკობაა. ამიტომაც შეიყვარა ერმა ნაცარქექია. რამდენად შესაძლებელია ყვარყვარეს პერსონაჟის ან შეყვარება, ან თუნდაც შენდობით შეხედვა? ვფიქრობთ, ეს შეუძლებელია. გიორგი ჯიბლაძე წერს: „რა განსაცდელშია არ უნდა ვიხილოთ ყვარყვარე, როგორადაც არ უნდა შენუხდეს, რა ცეცხლშიც არ უნდა ჩავარდეს, ჩვენ ტანჯვას მაინც არ განვიცდით“ (ჯიბლაძე; 204). ნაცარქექიას მსგავსება ყვარყვარესთან მხოლოდ ფასადია. ყვარყვარე თავის შემფარებელ მენიქვილეს წისქვილიდან გაგდებით

ემუქრება. მოგვიანებით კი, როცა საამისო საშუალება ეძლევა, სიკეთეს ბოროტებით უხდის და ციხეში სვამს. სახლიდან გადღებულმა ნაცარქექიამ კი თავისი ძმა და რძალი დევის სახლ-კარში მიიწვია საცხოვრებლად. რაც შეეხება მოხერხებას, ყვარყვარე მოხერხებაზე მეტად მოულოდნელობის წყალობით იგდებს ხელში იმას, რაც არ ეკუთვნის. ამასთანავე, იგი მშიშარაა. შიში და სისასტიკე წარმართავს მის ბუნებას, რაც ნაცარქექიას არ ახასიათებს. მას საკუთარი თავის იმედი აქვს ყოველთვის, თავდაჯერებულია და უკან არ იხევს. ხოლო ისეთი თვისებები, როგორებიცაა: დაუნდობლობა, ორგულობა, კაცთმოძულეობა, გაიძვერობა, მედროვეობა და ა. შ. ნაცარქექიას პერსონაჟისთვის სრულიად უცხოა. ყოველივე აქედან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ ნაცარქექიასთან თუთაბერის მსგავსება მხოლოდ ზედაპირულია და ისინი შინაგანი თვისებებით რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შეგვიძლია მხოლოდ ის ვთქვათ, რომ მხატვრულ ტექსტში ნაცარქექიამ ტრანსფორმაცია განიცადა და იგი ყვარყვარედ, ურჩხულად, იქცა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პოლიკარპე კაკაბაძის პერსონაჟები ძირებს ფოლკლორიდან იღებენ. როგორც დავით ბენაშვილი აღნიშნავს: „პოლიკარპე კაკაბაძემ გამოიყენა ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ხალხური ნიღბები (ნაცარქექია და სხვა), ამავე დროს ეს ნიღბები ოსტატურად გადაადნო თავისი სულის ქურაში“ (ბენაშვილი; 197). ვინ არის „სხვა“ და ჰყავს თუ არა ქართულ ფოლკლორში სხვა არქეტიპი ყვარყვარე თუთაბერს? არის ერთი ქართული ხალხური ზღაპარი „მძლეთამძლე“, რომლის მთავარი გმირი მძლეთამძლეა, მეტსახელად ჩოფანო. მძლეთამძლე ერთი ზარმაცი, მუქთახორა, მშიშარა და ტრაბახა ადამიანია, რომელიც მუდამ იმაზე ფიქრობს, როგორ დააღწიოს განსაცდელს თავი, როგორ გაიქცეს და როგორ მიიმალოს. იგი ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, იღბლის წყალობით (თითქმის ისე, როგორც ყვარყვარე), მეფე ხდება. ვფიქრობთ, ამ პერსონაჟს გაცილებით მეტი საერთო აქვს ყვარყვარესთან, ვიდრე ნაცარქექიას. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ამონარიდებს როგორც ზღაპრიდან, ასევე პიესიდან.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მძლეთამძლე, ისევე როგორც ნაცარქექია, უბოროტო პერსონაჟია. ეს თვისება ორივე მათგანს განასხვავებს ყვარყვარესაგან. არის ორი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ პერსონაჟებს შორის, პირველი – ნაცარქექია თუ თავისი გამჭრიახობით აღწევს მიზანს, მძლეთამძლე მოულოდნელობებისა და იღბლის წყალობით, რითაც ეს უკანასკნელი ყვარყვარეს მიემსგავსება. მეორე – მართალია, ნაცარქექია არც გმირია და არც რაინდული თვისებებით გამოირჩევა, მაგრამ არსად ჩანს, მას ეშინოდეს დევისა. მძლეთამძლე მშიშარაა და მხოლოდ იღბალი უწყობს ხელს სხვათა თვალში გმირად წარმოჩნდეს. მოვიყვანთ ორ მაგალითს. პირველი – ყაჩაღ ამხანაგებთან ერთად ტახზე სანადიროდ წასული და მისი შესაძლო გამოჩენით შეშინებული მძლეთამძლე ხეზე იმალება, ტახი ხეს დაეჯახება, მძლეთამძლე მის ზურგზე აღმოჩნდება. ამას დაინახავენ ყაჩაღები და კლავენ ტახს. მძლეთამძლე მათ საყვედურობს და მრისხანედ ეუბნება: „თქვე ასეთებო და ისეთებო, მე ღორი დავიჭირე, ცოცხლად მიწოდდა წამეყვანა და თქვენ ხელში ჩამაკალითო“ („მძლეთამძლე“; 25). პირველად ამ „გმირობით“ გაითქვა სახელი ხალხში და მის ამბებს ლეგენდებად ჰყვებოდნენ, ისევე როგორც ყვარყვარეს შესახებ უთხრობდნენ მოგონილ და გაზვიადებულ ამბებს ერთმანეთს ადამიანები. მაგალითად, ერთ-ერთი აბრაგი ეუბნება ყვარყვარეს: „შენ რომ შენი თავგადასავალი გვითხარი, ამაზე ყველამ დაუმატა რაც იცოდა, და ერთ დღეს თავიდან ბოლომდე რომ მოვეყვით შენი საქმენი, ვილაცამ თქვა, სხვას რომ მაგის ნახევარი ექნა, ძეგლს დაუდგამდნენო“ (კაკაბაძე; 82). მეორე – უკვე „სახელგანთქმულ“ მძლეთამძლეს ხელმწიფე დახმარებას სთხოვს მეორე ხელმწიფის ფალავნის დამარცხებაში და ჰპირდება, რომ გაათავისუფლებს მის ამხანაგებს, ცოლად შერთავს თავის ასულს და ტახტს დაულოცავს. მიუხედავად იმისა, რომ მძლეთამძლეს შიშით გული უსკდება, უარს ვერ ამბობს და ფიქრობს: „უარის თქმა, სულ თავის მოჭრა გამოვა, ისეთი ვაჟკაცის ხელით რომ მოვკვდე, სირცხვილი არ იქნება, ამხანაგებს ხომ გავათავისუფლებო“ („მძლეთამძლე“; 25). ფალავნის დანახვისას კიდევე მეტად შეუდგება შიშის ზაფრა, დახუჭავს თვალებს, თავს დახრის და ასე მიდის მონინაალმდეგისაკენ, ფალავანი იფიქრებს,

ეს რაღაც ფანდიაო და თავადაც ასე იქცევა. ამ დროს ნელა ახელს თვალს მძლეთამძლე და ამ ყოფაში მყოფ მონინალმდეგეს რომ დაინახავს, თავის თავს შესძახებს: „ნუ გეშინია, დაჰკარი, შე გლახაო!“ („მძლეთამძლე“; 27). და ამგვარად კლავს მონინალმდეგეს. აქ ყვარყვარესა და მძლეთამძლეს შორის არის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება – ყვარყვარე არასოდეს ზრუნავს მათზე, ვინც მას ოდესმე დახმარებია, პირიქით, იჭერს მენისქვილეს, რომელთანაც თავს აფარებდა გადიდ-კაცებამდე, ახლოს არ იკარებს ძველ ნაცნობებს, კაკუტასა და ქუჩარას. მძლეთამძლე კი ფიქრობს, თავისი სიკვდილით ამხანაგებს მაინც დაეხმაროს. ასევე, უნდა ითქვას ისიც, რომ მძლეთამძლეს სასახლეში მოჰყავს ძმები, რომელთაც არც ქონება გაუნანილეს და სახლიდანაც გააგდეს. იგი იქცევა ისე, როგორც ნაცარქექია და არა ისე, როგორც ყვარყვარე. რაც შეეხება შიშს, ყვარყვარე რომ მშიშარაა, ეს პიესის არაერთი მონაკვეთიდან ჩანს. თუნდაც პირველი მოქმედების ბოლოს, როდესაც ოფიცრები მის შეპყრობას ცდილობენ სევასტის ნაცვლად, ან მეორე მოქმედება, როდესაც გამომძიებელს თავს აცოდებს და ეუბნება, რომ ის ხელმწიფის ერთგული კაცია და არ უნდა განირონ. ამასთანავე, სწორედ ამგვარი შემთხვევითობების წყალობით იგდებს ძალაუფლებას ხელში ყვარყვარე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ნათელია, რომ ყვარყვარე არ არის ნაცარქექიას პროტოტიპი, ის მხოლოდ ნიღაბია და მათი მსგავსება სიზარმაცესა და ნაცრის ქექვაში გამოიხატება. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც მძლეთამძლეა ყვარყვარეს პროტოტიპი, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მძლეთამძლე უბოროტო პერსონაჟია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მძლეთამძლესა და ყვარყვარეს შორის მეტია მსგავსება: თუნდაც მოხმობილი ზღაპრის პერსონაჟის სახელი „მძლეთამძლე“, რომელიც ნიღაბია გლახა ჩოფანოსი (ჩოფანო, ჩობანო გურულ დიალექტზე ჰქვია ისეთ კაცს, რომელიც გლახაკია, უნიათოა, ყველა თავზე აზის. ეს შესაძლოა ზღაპრის გურულ წარმომავლობაზეც მიუთითებდეს). პერსონაჟმა „მძლეთამძლე“ თავად დაირქვა და შენიღბა თავისი შინაგანი სამყარო, თავისი თვისებები. სახელი ყვარყვარე (მიუხედავად იმისა, ცნობილმა ყვარყვარეებმა ქვეყნის ისტორიაში ცუდი კვალი დატოვეს თუ კარგი), რომელიც ქართველისათვის მტკიცე, შეუპოვარ ხასიათთან ასოცირდება, სრულიად შეუსაბამოა თუთაბერის ხასიათის თვისებებისა, მაგრამ სწორედ მძლეთამძლეს მსგავსად, ამ სახელს ნიღბად იყენებს და ტრახახობს: „ყვარყვარე ვარ, ყვარყვარე! ძველებური ვაჟკაცის სახელი მქვია, ისე გავადენ ბდღვირს აქაურობას“. ასევე, აქვე ვლინდება სხვა მსგავსებანიც. მაგალითად: ორივე (ყვარყვარე და მძლეთამძლე) შემთხვევითობის წყალობით ხდება ძლევა მოსილი; ორივე მშიშარაა; ორივე (ყვარყვარე გარკვეული პერიოდი, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა) ხალხმა მხსნელად მიიჩნია და ლეგენდებს ქმნის მათზე.

უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ პიესისა და ზღაპრის დასასრული. მეფედ გამხდარმა მძლეთამძლემ „თავისი ამხანაგები ვეზირებად დაიყენა“ („მძლეთამძლე“; 27). ყვარყვარესაც ყაჩაღები ჰყავს მეგობრებად, უახლოეს ადამიანებად. მათი იმედით არის. რა სახელმწიფო უნდა შექმნას ყვარყვარემ, რომელიც სიყალბით, უზნეობით, მედროვეობით იწყობს ცხოვრებას?! ან რა სახელმწიფო უნდა შექმნას მძლეთამძლემ, რომლის კიდევ ერთი მეტსახელი გლახა ჩოფანოა და რომელსაც ვეზირებად ყაჩაღი მეგობრები შემოუკრებია?! ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მიუხედავად აღნიშნული განსხვავებებისა, მძლეთამძლესა და ყვარყვარეს შორის მსგავსება თვალსაჩინოა.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ყვარყვარე თუთაბერის პერსონაჟის შექმნისას გარკვეული ინსპირატორის როლი ნაცარქექიასთან ერთად მძლეთამძლემაც შეასრულა. და, რა თქმა უნდა არ გამოვრიცხავთ, ქართული ფოლკლორის სხვა პერსონაჟებსაც. პიესაში კი მივიღეთ დრამატურგის იდეისა და მიზანდასახულობისთვის შესაბამისი მათი ტრანსფორმირებული სახე, რაც არცთუ იშვიათი მხატვრული მეთოდია მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენაშვილი დ.; „ლიტერატურული ძიებანი“; გამ.; „საბჭოთა მწერალი“; თბ., 1952.
2. ვარდოსანიძე გ.; „წერილები“; გამ. „საბჭოთა საქართველო“; თბ., 1974.
3. იოვაშვილი დ.; „ლიტერატურული წერილები“; გამ. „მერანი“; თბ., 1974.
4. კაკაბაძე პ., „პიესები“; გამ. „ანბანი“; თბ., 2011 .
5. ჟღენტი ბ.; „თანამედროვე ქართული მწერლობა“; გამ. „საბჭოთა მწერალი“; თბ., 1949.
6. „ქართული ხალხური ზღაპრების კიდობანი“; გამ. „ბაკმი“; თბ.; 2001.
7. ქილაძე თ.; „დიდი კომედიოგრაფი“; „ლიტერატურული საქართველო“; №6; 1994 .

ალეკო შულაძის „გადამალვა“ ეგზისტენციალური წინააღმდეგობის გადალახვა

ბედისწერის გარდაუვალობას არაერთი ლიტერატურული პერსონაჟი უპირისპირდება. ისინი ბრძოლის სხვადასხვა მეთოდს ირჩევენ, ყველაზე ხშირად მიზანი ერთია – მარადისობაში გადასვლა.

ეგზისტენციალური სირთულეების გადალახვა უწევს „გადამალვის“ მთავარ პერსონაჟს – ავტორის თანამოსახელე ალექო შულაძესაც: მომაკვდავ დედასა და ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვის პარალელურად კი ცხოვრებისეულ ლაბირინთში, ინდივიდის საწყის მდგომარეობაში აღმოჩნდება – აბსურდულ რეალობაში კარგავს ორიენტაციის უნარს. აქვე იწყება ღმერთის, როგორც გადარჩენის ერთადერთი გზის, ძიება, რასაც პერსონაჟი ინდოეთის მისტიკურ სამყარომდე მიჰყავს.

გარდა იმისა, რომ ნაწარმოები ლიტერატურული კონკურს „საბას“ 2017 წლის „საუკეთესო რომანის“ ნომინაციის გამარჯვებულია, მის აქტუალურობას ისეთი საკითხები განაპირობებს, როგორცაა: ფიზიკური ტკივილით გამოწვეული შიშის დაძლევა, გამოუსადეგარი ტრადიციებისა და საბჭოური ყოფის მანკიერი მხარეების გამოვლენა და მათგან თავის დაღწევის მცდელობა.

პრობლემატიკის სიმძაფრეს, მრავალი თაობის სათქმელს რომ იტევს, ანეიტრალებს ავტორისეული ხალასი იუმორი და მისტიკური შტრიხები.

ნაწარმოები სრულყოფილად ეხმიანება ეგზისტენციალიზმის საწყისებს: ადამიანის ბედი და უბედობა, ურწმუნობა და რწმენის გზაზე დადგომა, რომელსაც სიცოცხლის საზრისთან – სულის მარადიულობის იდეასთან მივყავართ.

ალექო შულაძე ლიტერატურულ ასპარეზზე 1989 წლიდან გამოდის. 1997 წელს მოთხრობისათვის „პასუხები ერთ-ერთი მცირეტირაჟიანი ჟურნალისათვის“ დაჯილდოვდა მესამე პრემიით თბილისის მერიისა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოება „ბესტსელერის“ კონკურსზე. 2001 წელს გამოიცა მისი მოთხრობების კრებული „გაქცევის მცდელობა“, 2002 წელს – რომანი „სამსარა“, 2016 წელს – ჩვენ მიერ განსახილველი რომანი „გადამალვა“, ერთი წლით ადრე კი – მოთხრობების კრებული „წიგნების კაცი“. პოეტი და კრიტიკოსი შოთა იათაშვილი შენიშნავს: „შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ შულაძის ტექსტებში სრული ქაოსი სუფევს და ავტორიც კი ველარ აკონტროლებს, ვინ სადაა და ვის საით გაუწევია. პირიქით, ეს ყველაფერი სრულიად გააზრებულად ხდება [...] პირველი მოთხრობა პროლოგია, მეორე – ექსპოზიცია, მესამე – კვანძი და ა. შ.“ [1].

რაც შეეხება რომან „გადამალვას“, იგი სამი ნაწილისაგან შედგება: „თანამდევნი წარსული“, „ტკივილით შეცნობილი“, „ირაციონალურის შემოშვება“. რამდენიმე თაობის სათქმელისა და ავტორის თხუთმეტწლიანი ნაფიქრჩატეულ ნაწარმოებში ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მოვლენები, ადგილები, მისტიკურ იერსახეს იძენს. ავტორი არ ცვლის ცხოვრებიდან წიგნის ფურცლებზე გადაყვანილი ადამიანების სახელებს, ორმოც წელს მიღწეული, მეოჯახე კაცის გარეგნობის მქონე ინსპექტორის არალოგიკური კითხვების საშუალებით კი ცდილობს, უკეთ გაგვაცნოს პერსონაჟები, მათი წარსული და აწმყო. ა. შულაძე „პერიოდულად უღრმავდება სათქმელს, პერსონაჟს, გამადიდებელ ლუპას იმარჯვებს, ათვალეიერებს უმცირეს დეტალებსაც კი, უჯრედის დონეზე სწავლობს, აღწერს, შემზარავ რეალობას გვანახებს, ნატურალიზმს ფრთებს ასხმევინებს, გაოცებს და გზაფრავს რეალობით“, [4;48] – წერს კრიტიკოსი ლელა კოდალაშვილი.

„თანმდევი წარსული“ შემდეგი ფრაზებით იწყება: „ჩემი მოხუცი დედა – ლენა ხუბოვი იჯდა სკამზე, სადარბაზოში, მერვე სართულზე, ზურგით ლიფტისაკენ და სახით გაუქმებული ნაგვის ბუნკერისაკენ. ორივე ხელით სკამის საჯდომს ჩაჭიდებული, ძლიერ ტკივილს განიცდიდა და ამიტომაც ბოლომდე გარინდული იყო“. ნაწარმოების გაცნობის შემდეგ თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული ფრაზები სრულად იტევს განსახილველი პრობლემატიკის მთავარ საკითხებს: მოქმედების ძირითადი ნაწილი სწორედ თბილისის ერთ-ერთი კორპუსის მერვე სართულზე, ავტორის დედის ბინაში ვითარდება; თავდაპირველად ძველი, საგვარეულო სკამი წელსქვეით მონყვეტილი ლენას გადაადგილების ერთადერთი საშუალებაა, შემდეგ კი, ლურჯი ლეიკოპლასტირიანი დანის მსგავსი რკინის რამდენიმე მოსმით ავადმყოფის უნიტაზად გადაიქცევა. გაუქმებული ნაგვის ბუნკერი ერთგვარად მიგვანიშნებს „თანმდევი წარსულის“ მანკიერ, ფუნქციადაკარგულ ტვირთზე, მუდამდღე თვალში რომ გეჩხირება. ვფიქრობთ, იგი როგორც პირდაპირი, ისე ალეგორიული მნიშვნელობით მიგვითითებს პრობლემათა სიუხვეზე, სიამოვნებით რომ მოიხსნიდა შუახნის ალეკო ზურგიდან, თუმცა შეუძლებელია – ცხოვრებისაგან გამონურული ისიც ისეთივე გარინდებით დგას ტკივილის წინაშე, როგორც მოხუცი ლენა ხუბოვი. ტკივილი კი ნაწარმოების მთავარ მოქმედ პირად ქცეულა. ერთ-ერთ ინტერვიუში ავტორი ამგვარად ახასიათებს თავის პერსონაჟებს: „ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც, საერთო ჯამში, უფრო მეტად უჭირთ, ვიდრე ულხინთ“ [2;8] და იქვე დასძენს, რომ ლიტერატურას, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის გადარჩენა მოეთხოვება, სულიერი გაჭირვებისა და სილატაკისგან გადარჩენა. ფილოსოფოს სტივენ კროუელის განმარტებით, ეგზისტენციალიზმი ზოგადი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს, ხოლო, თუკი სარტრის განმარტებას მოვიხმობთ, ეგზისტენციალიზმი არაფერია, გარდა ყველა ვითარების ათეისტური ხედვიდან შეფასებისა. საწინააღმდეგოს ვკითხულობთ „გადამალვაში“ – „ადამიანის მარადიულობა სხვის გულებში ყოფნა არ არის, ეს პრიმიტიული გაგებაა. ადამიანის მუდმივობა სულის უკვდავებაშია“ [5;169].

კითხვაზე, თუ ყველაზე უკეთ რომელი მონაკვეთით გაიცნობს კოსმოსური სივრცე რომანს, ავტორი პასუხობს, რომ ეს ლიფტის ეპიზოდია, ლიფტის, რომლის ზურგითაც ზის ლენა ხუბოვი და რომლის საბჭოურ პარამეტრებსაც სარკასტულად აქილიკებს ა. შულაძე: „ამ კაბინაში არ ეტეოდა არანაირი გარდერობი, არანაირი საწერი მაგიდა თუ ტახტი. ვერაფრით შეტენიდი საწოლს, ვერც მაცივარს და პიანინოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეტეოდა პატარა სავარძელი. ველოსიპედი ხან ეტეოდა, ხან ვერა. თუ შეძლებდი და დიდი ველოსიპედს სწორი კუთხით ააყირავებდი, მაშინ ეტეოდა. თუ არადა, კარი, რომელიც შენ უკან ძალიან სწრაფად თავისით იხურებოდა, არ მოგცემდა ექსპერიმენტის გაგრძელების საშუალებას. კარს თუ დიდხანს დაიჭერდი გაღებულ მდგომარეობაში, ისე გაიჭედებოდა, რომ საერთოდ აღარ დაიხურებოდა“. ხშირ შემთხვევაში ლიფტი საპირფარეოს ფუნქციებსაც ითავსებდა. ვფიქრობთ, მართებულად შენიშნავს კრიტიკოსი ლელა კოდალაშვილი: „შენ თვალწინ გარდასახოს დრამა – კომედია, კომედია – აბსურდად, აბსურდი – ფანტასმაგორიად და ფანტასმაგორია – კვლავ დრამად – ეს ალეკო შულაძის მწერლური ხერხია“ [4;48].

„თანმდევი წარსული“ ირკვევა, რომ ლენა ხუბოვი წლების მანძილზე უმაღლეს შვილს მკერდის კიბოს, რომელიც უკვე მთელ სხეულს მოსდებია. ალეკო, მანამ, სანამ „ეგზისტენციალურ მდგომარეობაში“ აღმოჩნდება და სამყაროს ერთ დიდ აბსურდად მიიჩნევს, ცდილობს დაუპირისპირდეს მას მარტივი მეთოდებით: ალელდეს მხოლოდ წვრილმანებზე და რეალურ განსაცდელებს მშვიდად შეხვდეს. სწორედ ასე იქცევა მშობლის მოახლოებული სიკვდილის გაგებისას – იწყებს გამოსავლის ძებნას და არც იუმორის გრძნობას კარგავს.

იგი ბავშვობიდან აკვირდებოდა ოლიგოფრენია-შიზოფრენიით შეპყრობილ უფროს დას. აღმოაჩინა, რომ ქეთუშას მსგავსად სულიერი იყო მცენარეც, ცხოველიცა და ფრინველიც. მეტიც, მისი წყალობით ალეკომ ეგზისტენციალიზმის ფუძემდებლის, სიორენ კირკეგორის შეხედულებების საწინააღმდეგოდ მნიშვნელოვანი არგუმენტებიც გამოძებნა: თითოეული ინდივიდი ვალდებულია,

ზრუნავდეს ჭეშმარიტი ღირებულებებით ცხოვრებისათვის, ქეთუშა კი თვითმკვლელობასაც არასოდეს ეცდებოდა, რადგან არ იცოდა არც მისი და არც ღმერთის არსი – 57 წლის ასაკში ისევე საჭიროებდა სხვის მოვლა-პატრონობას, როგორც მცირეწლოვანი. აბსურდის თეორია და კირკეგორის „შიში არის თავისუფლების თავბრუსხვევა“ უძლური იყო ქეთუშას მდგომარეობის შემთხვევაში, რადგან მისი შიშები არასოდეს გარდაიქმნებოდა რაიმე ღირებულის შექმნის წინაპირობად. აქვე მოიკოჭლებს აბსურდიზმის ცნებაც სამყაროში წინასწარგანზრახული საზრისის არარსებობის შესახებ. თუკი მივიჩნევთ, რომ სამყაროში მეტაფორულად არც ცუდი არსებობს და არც კარგი, ეჭვქვეშ დგება ფრთიანი გამონათქვამიც: კარგ ადამიანებს ცუდი რამ არ ემართებათ.

უკვე მოზრდილ ასაკში აღმოაჩინა, რომ „ხშირად საზოგადოება დაპირისპირებას უფრო პატიობს ინდივიდს, ვიდრე გულგრილობას“ [5;50]. ასე მოხდა საკუთარი თავის საძიებლად გადაკარგული ალექოს შემთხვევაშიც, რომელსაც დაბრუნებისას მეგობრები აღარ დახვდნენ, ვინც დახვდა, მან არ მიიღო, რადგან აღმოჩნდა, რომ მანამდეც „ალექოს, როგორც ცალკეულ ინდივიდს, არასოდეს აღიარებდნენ. ადრე მას განიხილავდნენ, როგორც ტრადიციულ-ფუნდამენტური კომბინაციის შედეგად წარმოქმნილი მასის ნაწილს“ [5;54].

ეგზისტენციალიზმის უმთავრესი კონცეფცია „არსებობა წინ უსწრებს არსებას“ გულისხმობს ინდივიდის მნიშვნელოვან როლს საკუთარი თავის შექმნაში. ალექო შულაძე კი დასძენს: „როცა ადამიანი მუდმივია მომავალში, მაშინ ის მუდმივია წარსულშიც. განა შეიძლება განიხილო ადამიანი, ასეთი მოაზროვნე და მიზანმიმართული, ასეთი მოსიყვარულე და ერთგული არსება, ერთჯერადი ცხოვრების ფარგლებში და ვერ დაინახო მისი მარადიულობა?“ [5;156]. განსაკუთრებული არსება კი თავისთავად მოიაზრებს თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე. ალექოს ისეთ საზოგადოებაში უწევს ყოფნა, რომლისთვისაც ბუნებრივი და აუცილებელიცაა სტერეოტიპები და იარლიყები, როლები, თვითდამკვიდრებისა და თვითგანსაზღვრისათვის. სწორედ ამიტომ, როგორც ინდივიდი შეუთავსებელია საზოგადოებასთან. ეგზისტენციალიზმის მიხედვით, ადამიანი მუდამ საზოგადოებასთან კავშირში, კონკრეტულ მდგომარეობაში განიხილება. იგი უძლურია მყარი სოციალური ინსტიტუტების წინაშე და სინანულით აღნიშნავს: „ნათესავები ტრადიციის შემადგენელი ნაწილები არიან, ნათესავი რიტუალია, ბევრი ნათესავი ერთად ფანატიზმია. ნათესავი მორალია, ისინი ცდილობენ, შენც ნათესავად გაქციონ“ [5;91].

კულტურული ნორმები და პიროვნული პრინციპები გვიანდელი ეგზისტენციალიზმის გაგებით შიშისა და სასოწარკვეთის განმაპირობებელია. საზოგადოებისგან განდგომილი პერსონაჟი მუდმივად განიცდის ზენოლას შეცვლილი მსოფლხედვისა და განსხვავებული ინტერესების გამო. ამას ემატება ისიც, რომ ადამიანი ძირითადი მახასიათებლების დაკარგვისას უიმედობითაა შეპყრობილი. იგი კონფლიქტში მოდის არა მხოლოდ გარემოსთან, არამედ საკუთარ თავთან – მწვავედ უპირისპირდება მისი შინაგანი და გარეგანი ერთმანეთს, ორივე ერთად კი – რეალობას.

„თანმდევი წარსულის“ ემოციებისა და განცდილის გამოძახილად დარჩა შუახნის ალექოს სიზმარიც, რომელიც მუდამ თბილისური კორპუსის მერვე სართულზე, მშობლიურ სახლში ესიზმრებოდა: კიბეზე მისდევნენ საყვარელი სათამაშოები, გოგონა და ცუგა. იგი ოთახში შეასწრებს, სახეზე ხელებს აიფარებს და უცდის მათ აუცილებელ გამოჩენას. ასე იყვნენ ნათესავებიც, მეზობლებიც, ნაცნობ-ახლობლებიც, გაუცნობიერებლად რომ სდევნიდნენ-განდევნიდნენ სხვაგზაარჩეულ ალექოს, სულის სიღრმეში მარტოსულობის ნეტარებას რომ განიცდიდა.

აკვიატებული სიზმრისაგან გათავისუფლება მხოლოდ „ირაციონალურის შემოშვების“ შემდეგ გახდა შესაძლებელი, გოვარდჭანას მთის ძიებისას, შორეულ ინდოეთში. უძველესი ინდუისტური გადმოცემა ღმერთის შესახებ მოგვითხრობს, რომ ბავშვმა კრიშნამ ცალი თითით ასწია მთა გოვარდჭანა და ქოლგასავით გადაახურა საფრთხეში მყოფ სოფლის მაცხოვრებლებს. მას მერე „გოვარდჭანა საკუთარი ნება-სურვილით მოქმედებს. მას ვერ მოისყიდი, ვერ გააბრაზებ, ვერ შეურაცხ-

ყოფ. შარსაც ვერ მოსდებ. თუ არ მოუნდა, ვერ გაეცევი და ძალიანაც რომ მოგინდეს, ვერ ჩაეხუტები“ [5;179].

ჯადოსნური მთის შორიანლოს „თამდევი წარსულის“ სიმძიმე ლოგიკის ცნებებით აუხსნელი გარემოებით მსუბუქდება, ქრება „ფუჭად გატარებული დროის შეგრძნება და დაკარგული დროის ფენომენი“ [5;189]. გაცილებით გამძაფრებულია სიკვდილის განცდა, როგორც გათავისუფლება და არა ბნელეთში გადასვლა. ალექომ, მართალია, დაკარგა საზოგადოებასთან კავშირი, მაგრამ იპოვა საკუთარი თავი – ჭეშმარიტების ძიების ერთადერთი გზა, „ირაციონალურის შემოშვებით“ კი ათი ათასობით მლოცველთან ერთად სამყაროს ჭანჭიკად იქცა.

„ეგზისტენციალური შიში“ უსიამოვნო გრძნობაა თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის წინაშე. „გადამალვაში“ ლატკია, ალექოს მეუღლე, მეორე ნახევარს ისეთ ადამიანად მიიჩნევს, რომელშიც ცნობიერება ყოფიერებაზე მაღლა დგას, ფანტაზიორობის წყალობით კი ფიზიკურად განუხორციელებლის ფიქრებში გაცოცხლება შეუძლია. ბუნებრივია, ამ დროს მარტივია დაიჯერო ლოგიკას დაუქვემდებარებელი მოვლენების, ფიქრების კონტროლით შიშის დაძლევისა და ტკივილის გაქრობის. თუკი გამოსავალი არ ჩანს, არც ბედთან შეგუებაა რთული და უშიშრად სიკვდილი, მით უფრო მაშინ, როცა გჯერა, „რომ არავინ კვდება, სული უკვდავია. სულს ვერ მოკლავ, ვერ მოწამლავ, ვერ დაადნობ, ვერ გამოაშრობ, ვერ ააორთქლებ, ვერ გააქრობ“ [5;188].

ამქვეყნიური არამყარი ყოფნის გარდაუვალი აღსასრულის გააზრებისას ადამიანს ეგზისტენციალური შიში და მღელვარება იპყრობს – იგი აცნობიერებს მინიჭებულ თავისუფლებას, რასაც სიკვდილის, სრული გაქრობის აუცილებლობა მოსდევს. აქვე დგება გონების შესაძლებლობების დასაზღვრის პრობლემაც – ადამიანმა თავად უნდა შექმნას არსებობის საზრისი, რადგან იგი საკუთარი სურვილის გარეშე, გაუცნობიერებლად მოევიდნა ქვეყნიერებას. ჟან-პოლ სარტრის რომ დავესესხოთ: „ეგზისტენციალისტები ნუხან ღმერთის არარსებობის გამო, რადგან ღმერთთან ერთად იკარგება რაიმე ღირებულის პოვნის ყოველგვარი შესაძლებლობა“ [6].

საწინააღმდეგოს ამტკიცებს ინდოეთში გადაკარგული ალექო: „სინამდვილეში ეგზისტენციალისტი ათეისტია და მხოლოდ ერთი მიწიერი ცხოვრების სჯერა. თუ კონკრეტული ადამიანისთვის სიკვდილის შემდეგ ყველაფერი მთავრდება, გამოდის, მისთვის მთავრდება წარსულიც. წარსული ქრება. ქრება იმიტომ, რომ ადამიანს აღარ აქვს მისი გახსენების შესაძლებლობა. როცა კვდები, ვერც ძველ გრძნობებს იხსენებ: წარსულ სიამოვნებას, გემოს, ფერს, წარსულ სიყვარულს... [5;155] ალექოს ეგზისტენციალიზმი იმ ბარიერად მიაჩნია, მსუბუქად რომ უნდა გადაახტე და მოძრაობა განაგრძო, რადგან „ყოველი ქმედება, თუნდაც სიკვდილის პირას, ჩვენს მომავალს ქმნის. მთავარია, იგრძნო მუდმივობა. ამას სიმშვიდე მოაქვს“ [5;196].

ლენა ხუბოვმა იხილა მთა გოვარდჰანა. შეიძლება, ვიფიქროთ, ჯადოსნურ მთასთან მიახლება მისი მარადისობაში გადასვლის ერთგვარი წინაპირობა იყო. ფაქტია, დედის „გადასამლად“ აიკრა გუდა-ნაბადი საქართველოდან წიგნების გამყიდველმა ალექომ. მან სურვილისა და ცხოვრების წესის მიუხედავად, ბოლომდე ვერ უპასუხა 140 წლის მოხუცის ჩაგონებას – მხოლოდ მაშინ მოეძებნა გოვარდჰანა, როდესაც მის გარდა სხვა აღარავინ დარჩებოდა დედამინის ზურგზე. „თანმდევი წარსულის“ ლანდი მუდამ ელობებოდა „ირაციონალურის მთლიანად შემოშვების“ მცდელობას, ტკივილიც ლენასავით ბოლომდე ვერ შეიცნო. საკმარისი არ აღმოჩნდა მხოლოდ სულიერი განსაცდელების გადალახვა, გაცნობიერება იმისა, რომ არავინ ხარ. „თითქოს მთას ფიზიკურად ყველა ხედავდა, მაგრამ როცა მისი აღქმა და გაცნობიერება იყო საჭირო, გულში შემოშვება და არსის გაგება – ის ბუნდოვანდებოდა, ფორმას კარგავდა და უქრებოდა ადამიანს თვალთახედვიდან“ [190;5]. ალბათ, მხოლოდ დროებით.

როგორც ვხედავთ, ეგზისტენციალიზმი ერთგვარ ტრამპლინად იქცა ალექო შულლაძისათვის. პერსონაჟი არაერთხელ „გადაიშალა“ სულიერად, რათა საკუთარი თავი ეპოვა, ამოეხსნა ცხოვრების საზრისი. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მან ნამდვილად შეძლო და გადალახა ბარიერი დროებითი ყოფიდან მუდმივობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ალტერნატივა,“ №2 (42), 2002;
2. „ახალი საუნჯე,“ №9 (27), 2015;
3. „ახალი საუნჯე,“ №10 (28), 2015;
4. „ახალი საუნჯე,“ №12 (30), 2015;
5. შულაძე 2016; ა. შულაძე: გადამალვა, თბილისი, 2016.
6. <https://ka.wikipedia.org/wiki/>

ძმისმკვლელობის ბიბლიური მოტივი გურამ გეგეშიძის რომანში „ცოდვილი“

გურამ გეგეშიძის რომანის „ცოდვილის“ მთავარი პერსონაჟი – ვამეხ გურამიშვილი პროვინციულ ქალაქში მიემგზავრება და იქ იწყებს ცხოვრებას. მას არავინ იცნობს, კაცმა არ იცის მისი წარსული, ჩამოსვლის მიზეზი, ან სამომავლო მიზნები. პერსონაჟის გამორჩენისთანავე გვახსენდება კნუტ ჰამსუნის უკვდავი „მისტერიების“ მთავარი გმირი – იოჰან ნაგელი, რომელიც ნაწარმოების ბოლომდე მკითხველისთვის იდუმალ და ამოუცნობ პიროვნებად რჩება. რაც შეეხება გეგეშიძის რომანის პერსონაჟს, თხზულების დასასრულს ცხადდება მისი გადახვევის შემზარავი მიზეზი-ვამეხი საკუთარი ძმის უნებლიე მკვლელობა.

„... და თქუა უფალმან: რა ესე ჰყავ? რამეთუ ხმაჲ სისხლისა ძმისა შენისა ლაღადებს ჩემდამო ქვეყნით. და ან წყეულ იყავ შენ ქუეყანისაგან, რომელმან განილო პირი თვისი შეწყნარებად სისხლსა ძმისა შენისასა ხელისაგან შენისა. რაჟამს შერებოდი ქუეყანასა, არა შესძინოს ძალი თვისი მოცემად შენდა: კვნესით და ძრწოლით იყო ქუეყანასა ზედა.

და თქუა კაინ უფლისა მიმართ ლუთისა: უფროს არს ცოდვა ჩემი, მოტევებისა ჩემისა. და უკეთუ განმაძებ მე დღეს პირისაგან ქუეყანისა და პირისაგან შენისა დავიმალო. და ვიყო მე კვნესით და ძრწოლით ქუეყანასა ზედა: დე იყოს. ყოველმან მპოვნელმან ჩემმან მომკლას მე“ [შესაქმე, IV, 10-14]...

რომან „ცოდვილის“ ძირითად დრამატულ ვითარებას წარმოშობს კაენის ცოდვა, რომელიც ავტორმა ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს, ვამეხ გურამიშვილს არგუნა. როგორც ბიბლიური კაენი კლავს საკუთარ ძმას, ასევე გეგეშიძის რომანის გმირიც ჩადის ამ დანაშაულს, მაგრამ მხოლოდ ქმედება იგივე და მოტივი, ცოდვა, ტრაგედიის არსი ბიბლიურ ამბავთან სრულ კონტრასტს ქმნის.

რომანის ეთიკურ-ფსიქოლოგიური და მხატვრულ-ფილოსოფიური მოტივების ძირითადი ნაწილი სწორედ ამ დასაბამისდროინდელი ცოდვის გარშემო ტრიალებს. ნაწარმოებში წინ წამოწეულია აგრეთვე ეთიკურ-ფილოსოფიური მხარეც. თუკი, შესაქმეში კაენის მიერ აბელის მოკვლა ძმისადმი აღძრული შურით არის ნაკარნახევი, რომელიც ძმისმკვლელობაში უფალი ღმერთის, თითქოსდა, უგუნურმა გადაწყვეტილებამ აღძრა, გეგეშიძის თხზულებაში ვამეხ გურამიშვილის მიერ ჩადენილი მკვლელობა ბრმა შემთხვევას მიეწერება. კაენის გულსა და გონებაში ეს სასტიკი დანაშაული თანდათანობით მწიფდება და მკითხველი ცოდვის ჩასახვისა და განვითარების თანმდევი.

რაც შეეხება გეგეშიძის რომანის მთავარი გმირს, იგი გამთენიისას ტყეში მომავალ გაურკვეველ არსებას ესვრის, რომელიც მას ცხოველად ესახება, ადგილზე მისულს კი სასტიკი რეალობა შემოანათებს-მოკლული საკუთარი ძმა აღმოჩნდება.

მიუხედავად ფუნდამენტური შინაარსობრივი სხვაობისა, ფაქტი ერთია: კაენისა და ვამეხის ქმედება იდენტურია. ორივე მათგანი ძმის სიცოცხლეს ხელყოფს. ორივე შემთხვევაში ჩადენილია დანაშაული ადამიანის სიცოცხლის უფლების წინააღმდეგ.

რაც შეეხება მკვლელობის შემდგომ პერსონაჟთა განცდებს, ჩვენთვის ცნობილია, რომ ბიბლიური სიუჟეტის გმირი საბოლოოდ გონს მოეგება და დიდ სინანულს განიცდის. ამცნობს უფალს, რომ მისი ცოდვა და დანაშაულის შეგრძნება აღემატება ადამიანის შესაძლებლობებს. კაენი აცნო-

ბიერებს, რომ განწირულია მარადიული ტანჯვისა და სინანულისთვის. მის განცდებს შესანიშნავად აღწერს ვაჟა-ფშაველა ლექსში „სინდისი“, სადაც პოეტი სასტიკ და შემზარავ დანაშაულს საინტერესოდ და დრამატულად, წარმოგვიდგენს:

„ჯერ ისევ სველი
ძმის სისხლით – ხელი
ჰქონდა ძმის მკვლელსა,
ცოდვისა მქნელსა“...

კაენის სინანულის მოტივად კი მის არსებაში გაღვიძებული სინდისის ხმა გვევლინება.

„ცოდვილის“ შემთხვევაში ეს საკითხი ცოტა სხვაგვარად დგას. გეგეშიძე შორსაა იმ აზრისგან, რომ ვამეხი მონანიე პერსონაჟად გამოიყვანოს. „ავტორმა, მის გმირთან ერთად, კარგად იცის, რომ „მონანიება“ ამ შემთხვევაში მორალური ქცევა არ იქნებოდა. უბრალოდ, ვამეხი გაურბის საკუთარ თავს, თავის ცხოვრებას; მას უნდა, ცხოვრების რალაც ახალი ფორმა გამონახოს, რომელიც მას ერთი ხელის დაკვრით გამოცვლის, სრულიად ახალ თვისობრიობას შესძენს. მას ახლა მხოლოდ სასწაული თუ იხსნის“ [გ. კანკავა, 1972, 76].

ვამეხ გურამიშვილიც კაენის მსგავსად სინდისის ქენჯნასა და მისგან მოგვრილ უდიდეს ტკივილს განიცდის, თუმცა არ ეძებს ცოდვის მონანიების ტრადიციულ გზას. იგი, როგორც გამორჩეული პერსონაჟი, ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებულია. აშკარაა, რომ ის მიილტვის განწმენდისაკენ, მაგრამ ქრისტიანულად გამართლებულ არჩევანს არ აკეთებს. არ მიდის ეკლესიაში მოძღვართან და არ ინანიებს ცოდვას აღსარების გზით. რჩება შთაბეჭდილება, რომ მას რალაც განსაკუთრებული სურს. თითქოს, არ აკმაყოფილებს მონანიების მოკვდავთათვის ჩვეული ფორმა. მხოლოდ საკუთარ თავთან შერიგება სწყურია. თითქოს, მისთვის ცხოვრება უკვე დასრულებულია და მონანიების მერე ჩვეულ ყოფასთან დაბრუნების იდეა კი არ ხიბლავს, არამედ თავხედობადაც კი მიაჩნია. „მისი მტკიცე ნებისყოფა, თვითდაჯერება და პიროვნული მრწამსი იმსხვრევა, იგი მარტოდ აღმოჩნდება უამრავი ბარიერის წინაშე და მიუხედავად აღისას ნუგეშისა, რომ მკვლელი არაა, ვერ მორევია მკვლელობის კომპლექსს“ [ბ. ჩუბინიძე, 1992, 175].

აშკარაა, რომ ვამეხი ბოროტმოქმედად მიიჩნევს თავს. სამართლიანობა და მორალი არ აძლევს სიმშვიდის მოპოვების საშუალებას, ამიტომ მისი ცხოვრება მსხვერპლშენირვას ემსგავსება. ის ელის რალაცას, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს. დაძაბული ნერვები და ტანჯული სული ველარ უძლებს ჯოჯოხეთურ ყოფას. თითქოს, სადღაც უნდა განყდეს და ამ გარდამტეხ როლს ანტონას სიკვდილი ასრულებს. ანტონას, რომელიც ვამეხისაგან განსხვავებით, სუსტი პიროვნებაა, მხოლოდ იდეებით ცხოვრობს და მათი განხორციელების ძალა არ შესწევს, მიუხედავად ამისა, მაინც აქვს ცხოვრების მიზანი. „შეუძლებელია ცხოვრება, თუ არა გაქვს მიზანი, თუ არა გაქვს ბუდე. ვერ იარსებებ, უეჭვლად დაიღუპები“ [გ. გეგეშიძე, 1987, 256]. ამბობს ის და ეს სიტყვები ღრმად იბეჭდება ვამეხის მეხსიერებაში. თითქოს, ერთგვარი სტიმული ეძლევა და სურვილი უჩნდება, თავადაც მისცეს აზრი სიცოცხლეს. ანტონას გარდაცვალებასთან ერთად კი ეს უკანასკნელი იმედიც იფერფლება.

ვამეხი აცნობიერებს, რომ მისთვის ფიზიკური არსებობა არ არის ბედნიერების მომტანი, არა იმიტომ, რომ სიცოცხლე და მიწიური მოთხოვნილებანი უსარგებლო მცნებებია, არამედ იმიტომ, რომ მას არ აქვს საშუალება, თუნდაც ამ მხრივ თავი დაკმაყოფილებულად იგრძნოს. ძმის მკვლელობის გამო ვამეხისთვის ფიზიკური ყოფნა ინსტინქტის დონეზეც კი კარგავს თავის აზრსა და დანიშნულებას.

სანამ კონკრეტულად მის ჩადენილ საქციელს, როგორც ცოდვას, ისე შევეხებოდეთ, მანამდე ვისაუბროთ, რამდენად შესაძლებელია მისნაირი ზნეობის ადამიანი იყოს ცოდვილი.

მსჯელობა, რასაკვირველია, უნდა დავიწყოთ იმით, თუ როგორ უყურებს ქრისტიანობა ცოდვასა და ცოდვილ ადამიანს. მაგალითად კი ერთ-ერთი მართლმადიდებელი მიტროპოლიტის სი-

ტყვეებს მოვიყვანთ: „მკვლელი სულს და სხეულს აშორებს ერთმანეთს, ცოდვა კი სხეულსაც ღუპავს და სულსაც. ცოდვა სულს მშვიდობას უკარგავს, გონებას – ნათელს, სხეულს – უხრწნელებას, მინას – კურთხევას, ყოველგვარ ქმნილებას – სიკეთეს. ის იწყებს იმით, რომ ადამიანში ჯოჯოხეთს ასახლებს, ხოლო ამთავრებს იმით, რომ ადამიანს ასახლებს ჯოჯოხეთში“. – ნერს მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი.

ამის გათვალისწინებით, ისეთი მძიმე ცოდვის ჩამდენი, როგორც მკვლელობაა, უნდა იყოს გონებადბინდული, გაბოროტებული, კაცისასხედაკარგული ადამიანი. ახლა ვნახოთ, როგორ გვიხატავს გეგეშიძე ძმისმკვლელ ვამეხ გურამიშვილს? როდესაც ცოდვის განმარტების აღნიშნული მოდელის ჩვენ მიერ განსახილველ ნაწარმოებზე მორგებას ვცდით, აღმოჩნდება, რომ გეგეშიძის რომანის მთავარი პერსონაჟის მაგალითი სრულიად საპირისპიროს გვიმტკიცებს. ვამეხ გურამიშვილი არის ყველაზე კეთილშობილი, სამართლიანი და მორალურად საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგომი პიროვნება. ის ყველაზე კარგად არჩევს კეთილსა და ბოროტს. შეუძლია, ყველაზე რთული სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი მოძებნოს, დაეხმაროს ადამიანებს და სწორ გზაზე დააყენოს ისინი. „რა იყო, ნეტავ ამ კაცში ასეთი? ნუთუ ჩადენილმა ცოდვამ მართლა წმინდანად აქცია? ნუთუ ცოდვის გარეშე არ შეიძლება წმინდანი იყო? საოცარია, ღმერთო, შენი ნება. ის, ვისაც სხვებისთვის ყველაზე მეტი სიკეთე მოაქვს, თვითონ ყველაზე მეტად იტანჯება“. ვკითხულობთ რომანში. ვამეხმა მოახერხა და ყველაზე უფრო გაუკუღმართებულ და ადამიანის სახედაკარგულ ქალაქელებსაც დაუბრუნა ის ღვთიური სხივი, რომელიც უფალმა ყველა მოკვდავს არგუნა. მან გამოასწორა შამილა, ლოთი ძუკუ. ალისას ჭეშმარიტი სიყვარულის შეგრძნება უსახსოვრა და ადგილობრივ მცხოვრებთათვის ნათელ ნერტილად იქცა. ვამეხმა აიძულა გარშემომყოფნი, გამოემჟღავნებინათ ყველაფერი დაფარული, მივიწყებული და ნამდვილი. ისმის კითხვა: – შეიძლება, მკვლელმა და უდიდესი ცოდვებით დამძიმებულმა ადამიანმა ეს ყველაფერი შეძლოს? რა თქმა უნდა, არა, თუ წლების მანძილზე არ იცხოვრებს ღვთისთვის სათნო ცხოვრებით და ცოდვებისგან არ განიწმინდება. ჩვენ კი ვიცით, რომ ვამეხი ასე არ მოქცეულა და მაინც ჩვეულებრივ მოკვდავებზე ბევრად აღმატებული მადლის მქონეა. მადლი, რა თქმა უნდა, კაცობრიობას უფლისგან ეძლევა. ვამეხი კი ღმერთმა სხვებისგან აშკარად გამორჩეულად დაასაჩუქრა. რა თქმა უნდა, ცოდვით დამძიმებული კაცი უფლისაგან ამის ღირსი ვერ გახდებოდა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ გეგეშიძის რომანის მთავარი პერსონაჟი ცოდვით დაცემული არ შეიძლება, იყოს. ავტორის მიერ ვამეხ გურამიშვილის პერსონაჟის ხატვისა და ქალაქელთა მიმართ მისი დამოკიდებულის მიხედვით ცხადია, რომ მწერლის პოზიციაა ასეთივეა.

„ცოდვის რაობა სრულად მხოლოდ ღმრთაებრივი გამოცხადების შუქზეა გასაგები; თუ ადამიანთა მიმართ ღმერთის განზრახვა გვესმის, გასაგები ხდება, რომ ცოდვა არის იმ თავისუფლების ბოროტად გამოყენება, რომელიც ღმერთმა მის მიერ შექმნილ ადამიანებს უბოძა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცოდვა ნებაყოფლობითი შეცდომაა გონების, ჭეშმარიტების, სინდისის წინაშე. ესაა ღმრთისა და მოყვასის მიმართ ჭეშმარიტი სიყვარულის დარღვევა, შედეგად არასწორი მიმხრობისა იმისადმი, რაც სიკეთის სახით წარმოუდგება ადამიანს. ცოდვა ღმრთის წინააღმდეგ ილაშქრებს ქრისტეს მორჩილების საწინააღმდეგო დაუმორჩილებლობის სახით. ადამიანმა შეიძლება შესცოდოს ფიქრით, სიტყვით, საქმით ან დაუდევრობით. თავისი სიმძიმიდან გამომდინარე, ცოდვა შეიძლება იყოს მისატყვებელი ან მომაკვდინებელი. მომაკვდინებელი ცოდვა ღმრთის კანონის დარღვევის მიზეზით ადამიანის გულში კაცთმოყვარეობას ანადგურებს; ის აცილებს ადამიანს ღმერთს, რომელიც მისი საბოლოო მიზანი და ნეტარებაა და ღმერთზე ნაკლები სიკეთისადმი უპირატესობის მინიჭებისაკენ უბიძგებს მას“ [პ. პეტროვილო, 2011, 383].

პიერო პეტროვილო, რომელმაც ქრისტიანობის ლექსიკონი შეადგინა, ასე აღგვიწერს ცოდვის არსს. ამ განმარტების გათვალისწინებით, ცოდვად მიიჩნევა ქრისტიანის მიერ ღვთის მცნებების წინააღმდეგ შეგნებული გალაშქრება, მისი სწავლების გამიზნული უგულებელყოფა. „ცოდვილის“

მთავარი პერსონაჟის მაგალითი კი გვიჩვენებს, რომ საქმე შემთხვევითობასთან გვაქვს. ვამეხი უნებლიე შემცოდება. ფაქტია, რომ მის მიერ იღვრება ადამიანის სისხლი, რაც ათი მცნების მეექვსე პუნქტით ცალსახად ეკრძალებათ ქრისტიანებს: „არა კაც-ჰკლა!“ – გვიქადაგებს მაცხოვარი, მაგრამ არსებობის მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ გვამცნო, რომ გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც. მაგალითად, ომში მტრის მოკვლა დასაშვებია. უფრო მეტიც: ჩვენი წინაპრები გვასწავლიდნენ, რომ სამშობლოსათვის თავგანწირული ვაჟკაცი, (და ბუნებრივია, თავის გამოჩენა მონინალმდეგის სასტიკ აკაფვას გულისხმობს), უფლისგან ჯილდოს მიიღებდა. შოთა რუსთველის ეპოქიდან მოყოლებული ქართველი მწერლები ხშირად გვახსენებდნენ ამას. ვაჟა-ფშაველა ლექსში „ხმა სამარიდამ“ წერს:

„უფლის კურთხევა ანთია
სამშობლოს მცველის ფარზედა...
თამარ-დედოფლის ნაკოცნი
ბექდად უსვია ხმაღზედა“.

პოეტი არა მარტო უფლის სახელს, არამედ გმირი და სათაყვანო წინაპრის ავტორიტეტსაც იყენებს ქართველთა საბრძოლო მოტივაციის ასამაღლებლად.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებთ, რომ კაცის კვლა არაფერს ნიშნავს და მის მერე ადამიანი ძველებურ ცხოვრების გაგრძელება შეუძლია. ისტორიიდან ისიც ცნობილია, რომ მეომრებს ომში მოძღვარი ყოველი ბრძოლის წინ აზიარებდა, რათა გაძლიერებულიყვნენ და სულით არ დაცემულიყვნენ, მაგრამ მშვიდობიანობის პერიოდში ისინი დროებითი უზიარებლობით ისჯებოდნენ და გარკვეული პერიოდის მანძილზე ეპიტამიები ეკისრებოდათ სწორედ უფლის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანთა სისხლის დაღვრის გამო.

აქედან გამომდინარე, ცხადია, უკვალოდ არ ქრება ჩადენილი, თუმცა ისიც ნათელია, რომ საკმაო სხვაობაა იძულებით, ან შემთხვევით ჩადენილსა და განზრახ მკვლევლობას შორის.

სწორედ უნებლიე დამნაშავედ მივიჩნევთ ვამეხ გურამიშვილს. რასაკვირველია, მან უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო, მაგრამ მისი მთელი დანაშაული – ეს არის უბედური შემთხვევა, რომელსაც როგორც გურამ კანკავა წერს, გლოვობენ, მაგრამ რის გამოც არ ასამართლებენ. თუმცა, თავად ვამეხისათვის შემთხვევითი მკვლევლობაც უდიდესი ცოდვაა, რის გამოც ის ფიქრობს, რომ კუთვნილ სასჯელს იმსახურებს. იგი საკუთარი დანაშაულის გამო არა მარტო შინაგანად, არამედ, გარეგნულადაც მგლოვიარეა. სწორედ ამაზე მიუთითებს მისი შავი შესამოსელი და წვერი, რომელიც ქრისტიანული გლოვის პირდაპირი სიმბოლოა. ცოდვის ამგვარი აღქმა და საკუთარი თავის უდიდეს ცოდვილად მიჩნევა ვამეხ გურამიშვილს ბედს განსაზღვრავს. მის განსაწმენდელად კი ნაწარმოების ბოლოს გვევლინება თითქოს, იესოსებრი ფიზიკური ტანჯვა, როდესაც ვამეხი კლდეს კბილებით ეჭიდება, ტანიდან და ფრჩხილებიდან სისხლი სდის, მისი გული და გრძნობები კი ჯერ მიუღწეველისაკენ ილტვიან. „მან გადაირჩინა რწმენა, თუმცაღა რწმენამ ვერ იხსნა შესაძლო შეცდომებისა და ორჭოფობისგან, ვერ დაიხსნა სასონარკვეთისა და ფიზიკური არსისგან. მან მიიღო გადაწყვეტილება, აირჩია თავისი სავალი გოლგოთისაკენ“ [ო.პაჭკორია, 1979, 75].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეგეშიძე გურამ, ერთგომეული – ორი რომანი, 5-590, საბჭოთა საქართველო, 1987.
2. კანკავა გურამ, „პრობლემურობა უწინარეს ყოვლისა“, ლიტერატურული შენიშვნები. 5-158, თბილისი, ნაკადული 1972.
3. პაჭკორია ოტია, „ხმა სინათლეა“, 5-229, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1979.
4. პიერო პეტროზილო, „ქრისტიანობის ლექსიკონი“, 5-434, თბილისი, 2011.
5. ჩუბინიძე ბუკა, „მინდვრის ბატონის ლეგენდა“, 169-175, მნათობი, თბილისი, 1992.

ქალის არჩევანის უფლება სიყვარულსა და ქორწინებაში ალექსანდრე ყაზბეგის რამდენიმე მხატვრული ტექსტის მიხედვით

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა ალექსანდრე ყაზბეგმა (1848-1893) თავის პროზაში წარმოაჩინა მთის ხალხების სოციალურ-პოლიტიკური ყოფა და ყურადღება გაამახვილა მათი ზნე-ჩვეულებებიდან გამომდინარე, ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე სიყვარულსა და ქორწინებაში არჩევანის გაკეთებისას, რასაც ეხება კიდევ ჩვენი წინამდებარე ნაშრომი. საანალიზოდ წარმოდგენილია ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები: „მოძღვარი“, „მამის მკვლეელი“, „ელგუჯა“, „ციცია“.

კრიტიკოსთაგან ერთ-ერთმა პირველმა, კიტა აბაშიძემ (1870-1917), განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ალექსანდრე ყაზბეგის პროზაულ ტექსტებში სიყვარულის განვითარების ფსიქოლოგიურ პორტრეტსა და მის ანალიზს; აქედან გამომდინარე, ჩვენც ვცადეთ გამოგვეკვითა მთავარი პერსონაჟი ქალების ბრძოლა თავისუფალი არჩევანისათვის სიყვარულსა და ქორწინებაში, რაც ერთგვარად გაპირობებული იყო ტრადიციითა თუ ხევის კანონებით ახალ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ უამრავი მკვლევარის ნააზრევი არსებობს, ჩვენს ნაშრომში მხოლოდ კიტა აბაშიძის ნააზრევით შემოვიფარგლეთ, რადგანაც 1) იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც ფაქტობრივად ახლოს იყო მწერლის შემოქმედებასა და მის შემფასებლებთან; 2) როგორც კიტა აბაშიძის ნააზრევის მკვლევარი, დავით გამეზარდაშვილი, შენიშნავს, „მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთაგან კ. აბაშიძის მხატვრულ გემოვნებას ყველაზე მეტად ალექსანდრე ყაზბეგი აკმაყოფილებს. ალ. ყაზბეგი კ. აბაშიძისათვის განსაკუთრებულად საინტერესო და საყვარელი მწერალია, რომელიც ილია ჭავჭავაძის მიმდევარია, მაგრამ განვითარების ახალი ეტაპის შემქმნელიცაა ჩვენს მწერლობაში“ (კ. აბაშიძე, 1962: 059). სწორედ კ. აბაშიძე წვდება ღრმად ალ. ყაზბეგის ძირითად მიზანდასახულობას და ამაღლებებელ რომანულ თავგადასავლებს, მისი, როგორც დიდი მხატვრისა და ფსიქოლოგის როლს. განსაკუთრებულ ყურადღებას კიტა აბაშიძე ამახვილებს ქალ-ვაჟის სასიყვარულო ურთიერთობებზე, რომლის წარმოსახვაში მას ბადალი არ ჰყავს. ლიტერატურათმცოდნეობაში ძირითადად მიღებულია მისი ნააზრევის ობიექტურობა აღნიშნულ საკითხზე.

მთის ხალხთა ყოფა-ცხოვრება და მათი მხატვრული ასახვა ძირითადად დაკავშირებულია მე-19 საუკუნეში ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ნააზრევთან. ალ. ყაზბეგს ეკუთვნის ეთნოგრაფიული წერილები მოხვევთა შესახებ. სწორედ მან დაგვიხატა ახალი ბარის მცხოვრებთათვის თითქოს უცნობი სამყარო – მოხვევთა ყოფა. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საყურადღებო აღმოჩნდა როგორ დგას მთის მცხოვრებლებში ქალის არჩევანის უფლების საკითხი სიყვარულსა თუ ქორწინებაში, ტრადიციასთან მიმართებაში. სწორედ ამასთან დაკავშირებით კიტა აბაშიძე ყურადღებას ამახვილებს ხევი მთავარ ძალად ქცეული თემის როლზე უწინ და თემოსნობის დარღვევის შემდეგ. კრიტიკოსი წუხს იმის გამო, რომ, თავს- მოხვეული იმპერიული ხელისუფლების გავლენით, ირღვევა ის კანონები, რითაც საუკუნეების განმავლობაში ამაყოფა მოხვევთა არაერთი თაობა და თუ ადრე, მთიელის შეხედულებით, ქალი „პატივსაცემი ქმნილებაა, ცოლი – მეუღლე კაცისა, რომელიც თავის მოთავეს გვერდს უნდა ამოსდგომოდა და მასთან ერთად ეშრომნა, ემუშაუნა და, მაშასადამე,

ოჯახობაშიც იმის თანაბარი უფლება ჰქონოდა“ (კ. აბაშიძე, 1962: 355), ყაზბეგის ეპოქაში ქალი იქცევა მხოლოდ კაცის სასიამოვნებლად გაჩენილ არსებად. „50-60 წელიწადი იბრძოდა მთა, ესა თუ ის ნაწილი მთისა, იბრძოდა თავგანწირულად თავის სამშობლოს, თავისი ზნე-ჩვეულების, თავის თავისებურების შესარჩენად და ასაღორძინებლად, იბრძოდა უმონყალოდ, ცხარედ, არაფერს და არავის არა ზოგავდა – მამა შვილსა, ცოლი – ქმარსა, ყველანაირი მსხვერპლი მიჰქონდა, რათა უვიცი მმართველები გაექცია, მაგრამ ვერა მოახერხა-რა. ყაზბეგის მთიელნი ყველანი მთის ამ წყურვილისა და მისწრაფების გამომსახველნი არიან“ (კ. აბაშიძე, 1962: 355).

ყაზბეგის დროისათვის თემის ყრილობა თუ თემის საბჭო იყო ქართული ეთნოგრაფიული ყოფის მნიშვნელოვანი კომპონენტები. ამ დროისათვის ქალის გათხოვება მშობლების სურვილზე იყო დამოკიდებული, მამა ან დედა არჩევდა ქალისთვის შესაფერის საქმროს, რომელიც „ჯიშინი“ ოჯახიდან უნდა ყოფილიყო. ეს კარგად მოსჩანს ალ. ყაზბეგის მოთხრობაში, „მამის მკვლელი“. რაც შეეხება სიყვარულს, იგი მეორე პლანზე იყო გადატანილი, ამიტომ ეს პროცესი ძალაუვნებურად უნდა გაგრძელებულიყო მე-19 საუკუნეშიც, თუმცა სწორედ ალ. ყაზბეგმა წამოსწია წინ ქალის სიყვარულის საკითხი, რასაც ვხვდებით როგორც დაბალ სოციალური მდგომარეობის, ისე მაღალი სოციალური მდგომარეობის პირობებში. მწერალი ცდილობს, აჩვენოს რა ძლიერად შეიძლება განვითარდეს სიყვარული მთის ხალხებში და, როგორც კიტა აბაშიძე აღნიშნავს „მოძღვრის“ ერთი ნაწყვეტის ანალიზისას, მწერალი აჩვენებს ორი მიჯნურის სულის მდგომარეობასაც. კიტა აბაშიძე ქვემოთ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „სიყვარულის ძალას „განათლებულზე“ უფრო მეტად მთიული გრძნობს. დღევანდელ „განათლებულს“ გრძნობა „სხვადასხვა მოსაზრებებით“ დაჩლუნგებული აქვს: იმის გონებაში არშინი და გირვანქა ბევრსა ნიშნავს. მისთვის თავის განწირვა, უბრალო ფუფუნებისა და კმაყოფილების დათმობა გრძნობისათვის, რაც უნდა ძლიერი იყოს ეს გრძნობა, რალაცა მოუხერხებელი ხდება. საუკუნეების განმავლობაში ცრუდ გაგებულმა სოციალურმა მოთხოვნილებამ დაასახიჩრა მისი გრძნობები, დაუჩლუნგა და დაუსუსტა სიცოცხლის ძალა. მისთვის დიდი გრძნობები გაუგებარია, მისთვის დიდი ანგარიშებია მხოლოდ საყურადღებო და თავყანსაცემი“ (კ. აბაშიძე, 1962: 288).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბუნება ერთგვარად ხელს უწყობს, ან ხელს უშლის ადამიანთა სურვილებს. როგორც კიტა აბაშიძე აღნიშნავს, „კაცთა შორის საქმე ისე ადვილად როდი წყდება, როგორც ჯიხვთა და ირემთა შორის“, რომ ბრძოლა სიკვდილამდე მიდის ოღონდ შედეგი ვერა ჰყოფს უზრუნველ გამარჯვებულს: „ქალი თხა არ არის, არც დედალი ცხვარი, რომ იმას დამორჩილდეს სიამოვნებით, ვინც გამარჯვებული დარჩება. ქალის გულს თავისი მოთხოვნილება აქვს, აქვს თავისი ჟინი, რომლის წინააღმდეგაც ვერას გახდება ვერავითარი გამარჯვება. მართალია, ქალსაც მოსწონს ძალა, გრძნობა, გამარჯვება, მაგრამ ყოველსავე ამას მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ მისი გულიც გამარჯვებულისკენ იწევს. შესაძლოა სიმამაცემ და რაინდულმა გამარჯვებამ ქალის გულში სიყვარული დაჰბადოს, მაგრამ არ შეუძლიან კი უეცრად დაბადებული და გაძლიერებული სიყვარულის ცეცხლი გააქროს“ (კ. აბაშიძე, 1962: 288).

ალ. ყაზბეგის მოთხრობების გმირი ქალები ერთმანეთს ჰგვანან კიდევაც და განსხვავდებიან, მაგალითად მზალო („ელგუჯადან“) ჩერქეზი ტყვე ქალია, რომელიც ოსმა გამოიტაცა და ხევის მმართველს გაგი ჩოფიკაშვილს მიჰყიდა, ასეთი ტყვე ქალები ბევრნი ცხოვრობდნენ გაგის სახლში, მათ შორის, ჯაჯალაც. მათ ყველა უფლება დაკარგული აქვთ, გამოვიდნენ ხევის მმართველის ანუ თავიანთი ბატონის წინააღმდეგ. თუმცა ყაზბეგი აჩვენებს, რომ სიყვარული კანონების მიუხედავად ჩნდება მზალოს გულში ელგუჯასთან პირველი შეხვედრისთანავე. გაგიმ თავისი ძალა შეიძინა ხალხის ლალატით, უპირატესობაც აღმოაჩინა და რუსებისაკენ გადაიხარა, რისთვისაც მას ოფიცრობა უბოძეს, შემდგომში კიდევ მეორედ დადგება საკითხი ვინ უნდა ითხოვოს მზალო და გაგის სიკვდილის შემდეგ სვიმონ ჩოფიკაშვილი ითვლება ქალის ბედის გადამწყვეტად. ელგუჯას სიყვარული სუფთაა მზალოსადმი, 16 წლის ქალისადმი. იგი სულით წმინდა რჩება მაშინაც კი, როცა ნა-

ჩაღნიკი იძალადებს მასზე, ამიტომ ასევე უმნიკვლოდ გრძელდება ელგუჯას ტრფობა მის მიმართ. რაც შეეხება მეორე ადამიანის, მათიას, გრძნობას მზალოსადმი (ელგუჯას ძმადნაფიცისა), რომელიც ვერ ახერხებს არჩევანი გააკეთოს უცნაურად აღმოცენებულ სიყვარულსა და მეგობრობას შორის. მათია აპირებს მზალოს ქმრის მოკვლას, თუმცა თვით კრიტიკოსიც კი, კიტა აბაშიძე, გაცებული რჩება მზალოს საოცარი სიმტკიცის გამო. მეგობრის ღალატი თემის წესის დარღვევაა და ნათელია, ახალი ბატონების მოქმედების შემდეგაც ხევში. უცნაურად აღფრთოვანებულია კიტა აბაშიძე დიალოგით მზალოსა და მათიას შორის. „რა გულთამხილავი იყო ყაზბეგი თავისი გმირებისა, ამას მზალოს სულის ვითარების აღწერა გვიმტკიცებს. ეს ქალი უცნაურად იქცევა. ეჭვი არ არის, მას უყვარს ელგუჯა, ეჭვი არ არის არ უღალატებს, მაგრამ მათი ეს სიყვარული ევროპიელის ფლირტი კი არ გახლავთ, ანუ სიძვა – იგი სხვაა. ამ მოხეტეილ ბუნებრივ ძალას ასე ადვილად ადამიანი ვერ დახვდება. მზალო, რომელიც გრძნობდა, რომ ამ საშინელი გრძნობის სატრფო საგნად გამხდარა, სულ გულგრილად ვერ უყურებს მას და, ვინ იცის, დრო და ხანი რას იზამდა, რომ ავტორს მეტად ტლანქი ხერხი არ ეხმარა ამბის ღამაზად დამთავრებისათვის“ (კ. აბაშიძე, 1962: 306). ამით ცდილობს ყაზბეგი აჩვენოს, რომ ყველანი ადამიანები ვართ, თუმცა ქალი მათიაში უცნაურად აღმოცენებული გრძნობის წინაშე უძღურია, მაინც ცდილობს საყვარელი მეუღლისადმი სიყვარულის შენარჩუნებას, აქ არ ჩანს სხვა არჩევანი ქალისა, არჩევანი ყოველთვის ელგუჯას სასარგებლოდაა. იგივე განცდა ჩნდება ალ. ყაზბეგის მეორე მოთხრობაში „ციცია“, როდესაც ბეჟიას მიმართ თავდადებული ციციია, დაინახავს მისი მომტაცებლის სულთი ჯარხოტის გრძნობას, მაგრამ არჩევანი მაინც ბეჟიას მხარეზეა, ხოლო დაქვრივებული ციციია, იგივე სულთის ჩაგონებით, სიცოცხლეს აგრძელებს მეორე მამაკაცთან, რომელმაც შური იძია ბეჟიას სიკვდილის გამო. ბეჟიასთან ქორწინებისას კი გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ციციას მამა, შეძლებული მთიელი ქორლუყო წინააღმდეგია მწყემს ბეჟიასთან თავისი ქალის ქორწინებისა: „ჩემს ქალს ისევე ჩემი ხელით დავმარხავ და მოჯამაგირეს კი არ მივცემ“ (ალ. ყაზბეგი, 1987: 188).

როგორც კიტა აბაშიძე შენიშნავს, „გადაშალეთ „ციცია“ და თქვენ იქაც ნახავთ ქალს, რომელსაც უყვარს ერთი, ხოლო მეორის გატაცებული, თავდავინყებუი, გაშმაგებული გრძნობის წინაშე მოჯადოებული სდგას და, ეჭვი არ არის, მისდა უნებურად, მისდა შეუგნებლად მის ბუნების ჯურღმულსა და უფსკრულში უკვე სწარმოებს მოძრაობა, ამ ძლიერ ძალისაგან გამონვეული მოძრაობა და მღელვარება, რომელიც მორჩილი თანაგრძნობით არის აღსავსე და ნეტარის გაცებით შემკული. ძალა სიყვარულისა ისეთი რამ არის ყაზბეგის თვალში, რასაც უძღვევლად მომხიბვლელი თვისება აქვს: მისი წინააღმდეგობა არავის შეუძლია, თვით უფრო ურჩი და უკმეხი ამ ქალის წინაშე ქედს იხრის და მუხლს იყრის“ (კ. აბაშიძე, 1962: 306). ამკარაა აქაც მამის სურვილი დომინირებს, თუმცა მამაც გრძნობს, რომ ბეჟია არის ის კაცი, რომელსაც უნდა გააყოლოს ქალი.

კიტა აბაშიძე შენიშნავს, რომ ეს არის ერთადერთი მოთხრობა ყაზბეგისა, რომლის წაკითხვის შემდეგაც დამშვიდებული გულით მივდივართ.

„მამის მკვლელობი“ გლახას ქალიშვილი ნუნუ, რომელიც მიბარებული ჰყავდათ ძმასა და რძალს, ფაქტობრივად უფლებო მდგომარეობაშია. მახია ნუნუს თავიდან მოშორებას რუსებთან დანინაურებული გირგოლას ძმასთან, წინასთან, ქორწინებით გადანყვეტს და ამით სპობს ნუნუსა და იაგოს სიყვარულის განვითარების შესაძლებლობას, რასაც მოგვიანებით მოჰყვება ნუნუს მიჩნევა მამის მკვლელად, ამდენად ცხადდება კიდევ ერთი საზარელი ფაქტი ახალი დროებისა, რომელიც ერწყმის ტრადიციულს, ანუ მახია არჩევს იაგოს ხეიბარ წინასთან დაქორწინებას, ხოლო გირგოლას ძალადობრივი სიყვარული წარმოჩენაა თემის ტრადიციის დარღვევისა უცხო, უზნეო უფლებების შემოჭრით.

„მოძღვრის“ სიუჟეტს საფუძვლად უდევს მძაფრი კონფლიქტი. ონისეს უყვარს თავისი მეგობრის, გელას, ცოლი. მაყვალას ასევე ძლიერი გრძნობით უყვარს ონისე, მაგრამ იგი ებრძვის თავის გულს. იგი უარს ამბობს ონისეს სიყვარულზე, იმიტომ, რომ არ უნდა თავისი უბედური გრძნობა

მოახვიოს მას თავზე. ონისე ვერ თმობს მაყვალას. მისთვის თანდათან აუტანელი ხდება ფიქრი, რომ მისი გულისსწორი სხვას უკეთენის, რომელიც მისი ოცნებისა და ტანჯვის საგანს წარმოადგენდა.

„მოძღვრის“ ფაბულაში შეიძლება გამოვყოთ ორი ხაზი: პირველი ხაზი ძირითადად რომანის პირველ ნაწილში ვითარდება. ეს არის მაყვალას, გელას, ონისეს სიყვარულის ამბავი, რომელიც განსაკუთრებით გართულებული და გარკვეული თვალსაზრისით გადატვირთულიც არის ავტორის მიერ. რომანის მეორე ნაწილში ავტორს შემოჰყავს მოძღვრის სახე, რომელიც თავისი პროვინული თვისებებით, მოქმედებით ახალ, განსაკუთრებულ ხასიათს წარმოადგენს ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში. მოძღვარი ონოფრე, რომელიც თემისაგან შერისხულ მაყვალას შეიფარებს და სიცოცხლეს უბრუნებს მას, ხოლო შემდეგ სიყვარულისაგან გონდაკარგულ ონისეს მფარველობს. „მოძღვარი“ მთავრდება გელას ჩაქოლვით.

კიტა აბაშიძე ყურადღებას ამახვილებს „მოძღვარში“ ერთ მომენტზე, კერძოდ, მაყვალას ონისესაგან მოკვლის ღამეზე. ტრაგიზმით აღსავსეა ბუნების მონანილეობა ამ მოვლენაში. მაყვალა მოძღვართან არის, ძილს აპირებს. ის იყო პირჯვარი უნდა გადაენერა, მაგრამ ხელი გაშემებული შერჩა. მოისმა თითქოს კარს ვილაცა მოაწვაო, მაშინვე ქარის წივილი გაისმა და დაწყნარებით წარმოსთქვა: „ – ტიალო, რა ღამეა?! ღმერთმა ჰქმნას, რომ მშვიდობიანად გაიაროს.

გადაინერა პირჯვარი და თვალები მოხუჭა, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ძილი ერთბაშად გაუკრთა და ათასმა საგონებელმა წაიღო.

ქალი ვერ მიმხვდარიყო, რა მიზეზით არ ეძინებოდა, რადგანაც ამ წუთის წინათ კინალამ ზეზეური წაიქცა, იქამდის დაღალვასა და მოსვენების საჭიროებას გრძნობდა.

ეს არ იყო შიში მარტოობისაგან აღძრული, რადგანაც მაყვალა მარტოობაში ერთხელ არ ყოფილიყო და არა ერთხელ პირისპირ შეხვედროდა განსაცდელს.

ეს არ იყო არც მეტისმეტად დასუსტებულის ადამიანის ძილის გაკრთობა, რომელიც ძარღვებს უდუნებს და სასარგებლო განსვენების საშუალებას უსპობს, მაშ რა უნდა ყოფილიყო?

ამას თვითონ მაყვალაც ვერ გეტყვოდათ. ისა გრძნობდა მხოლოდ, რომ ძილი უნდოდა და ვერ დაიძინა: დამშვიდება უნდოდა და გული რაღაცა გამოურკვეველის ცახცახში იყო. მოელოდა რაღაცას, მაგრამ რას?“ (ალ. ყაზბეგი, 1985: 448). აი ის ელოდა რაღაცას, რომელიც გულს ღევდა, უსიამოვნებას აღუძრავდა და გაურკვეველობაში ჩავარდნილს რაღაცა უძღურება თითქოს ყურთან ბოროტად დასჩხაოდა.

ონისეს უნდოდა მოეკლა მაყვალა. ეს არის შედეგი გონებათა და სურვილთა ფატალურ ძაღლისა; აქ ჩვენ თვალწინ იშლება მთელი ცხოვრება მსოფლიოსი, მისი კარგითა და ავით, მისი გლოვატირილით, ნუგემ-იმედით, ცრემლებითა და ვაებით, გლოვა-ზუზუნით, სიცოცხლის შეზარებითა და სიცოცხლის აღტაცებით.

წაწარმოებიდან ჩანს, რომ ძალით გათხოვებული მაყვალას სიყვარული ონისეს მიმართ თემის მიერ ჩათვლილია ხალხის გასაკიცხავ ლექსების საგნად და ლეჩაქმობად. კიტა აბაშიძე აქ მიმართავს რიტორიკულ შეკითხვებს: „აბა, რა უნდოდა საზოგადოებას, თემს ონისესთან? არა, რითი არის დანაშაული ვისმესთან ონისე და მაყვალა? ნუთუ კანონიერება, ბუნებრიობა და, მაშასადამე, წესიერება იმას არა თხოულობენ, რომ ეს ორი არსება, ამ დიადი გრძნობის ჭურჭელად გადაქცეულნი, ერთი მეორის საკუთრება ყოფილიყო? (კ. აბაშიძე, 1962: 325). თემი ისე განრისხდა მაყვალაზე, რომ მოსთხოვა მას სოფელსაც გამოერებოდა. ამას კიტა აბაშიძე თემს უკუღმართ ტრადიციის განხორციელებაში უთვლის. კ. აბაშიძე ცდილობს, რომ გაამართლოს მაყვალას საქციელი და ილაშქრებს თემის წინააღმდეგ: „მაყვალა ონისეს წაართვა არა გელამ, არა სხვადასხვა ტრადიციულმა რწმენამ და მოსაზრებამ, არამედ თემის სისასტიკემ“ (კ. აბაშიძე, 1962: 326). ასევე გამართლებულია ონისეს საქციელი, რომელმაც უკვე სულიერად დაავადებული მაყვალა მოაშორა იმ ხორციელებას, რისთვისაც იგი უკვე მკვდარი იყო: „ონისემ მაყვალა წუთისოფელს გამოასალმა,

რადგან მაყვალამ დაჰკარგა ის ნაწილი თავისი არსებისა, რომელიც, ონისეს დიდებულ-სანეტარო განძსა და საკუთრებას შეადგენდა“ (კ. აბაშიძე, 1962: 327).

ჩვენი აზრით, ამ ნაწარმოების შეფასებისას კრიტიკოსი ცოტას აჭარბებს, იგი ცდილობს შეიჭრას მწერლის მიერ წარმოდგენილი სიტუაციის შუაგულში და უარყოფს თემის სისასტიკეს, რომელიც მისი აზრით, სინმინდის, ზნეობრიობის, სიმბოლოს განახორციელებდა. თემი მართალია ქალის დადანაშაულებაში, მაგრამ უარყოფს სიყვარულს და იმ იძულებით ქორწინებას, რომელიც მაყვალას თავს მოახვიეს. სწორედ აქ არის მკვეთრი დაპირისპირება ქალის უფლებრივ არჩევანში, სიყვარულსა და ქორწინებისას.

კავკასიის ხალხთა ურთიერთობიდან გამომდინარე, ყაზბეგის პროზაულ ტექსტებში ქორწინებაში დამაბრკოლებელ გარემოებად არ იკვეთება საწმენოებრივი სხვადასხვაობა (სულთი მაჰმადიანია, ციცია – ქრისტიანი, ელგუჯა – ქრისტიანი, მზალო – ჩერქეზი).

წინამდებარე მოხსენებაში ჩვენ ვცადეთ მეტ-ნაკლებად წარმოგვეჩინა, როგორ იდგა საკითხი მთაში მცხოვრები ქალის უფლებრივი მდგომარეობისა მე-19 საუკუნეში ალ. ყაზბეგის ოთხი მოთხრობის მიხედვით; შესწავლამ ცხადყო შემდეგი გარემოებანი: 1) ქალის არჩევანი ქორწინებაში, მთის ადათ-წესებით, მშობლების ან მათი გარიგების, ან მეზობლის ნებაა, რასაც ხშირად უპირისპირდება სიყვარული და მოვალეობა; 2) თემი ცდილობს კვლავ შეზღუდოს ქალი უფლებების არჩევანში და იჩენს გაუგონარ სისასტიკეს ცოლ-ქმრული ღალატის გამო; 3) ახალი ძალის შემოსვლასთან ერთად თემის ძლიერება სუსტდება და იწყება ზნეობრივი რღვევა თვით თემის შიგნით; 4) სიყვარულსა და ქორწინებაში არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა რელიგიურ აღმსარებლობას. 5) ალ. ყაზბეგის ზემოთ დასახელებული მოთხრობების ანალიზში მნიშვნელოვანია ერთ-ერთი პირველი კ. აბაშიძის წვლილი, რაც მიუხედავად ლიტერატურათმცოდნეობაში შეფასებათა გადაფასებისა, დღესაც არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

აღნიშნული მოთხრობებითა თუ მთელი შემოქმედებით ალ. ყაზბეგი წარმოგვიდგება ერთგვარ ნოვატორად თავისი საუკუნის მოვლენების ფონზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალ. ყაზბეგი, „თხზულებანი“, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1985.
2. ალ. ყაზბეგი მეორე ნაწილი, წიგნი 6 (ქართველი მწერლების სკოლაში), თბილისი, 2004.
3. ალ. ყაზბეგი, „მოთხრობები“, „ნაკადული“, თბილისი, 1987.
4. კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, თსუ, თბილისი, 1962.

ელენე დოიაშვილი, ნელი ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი სოფიკო ძნელაძე

ელენე დარიანი – გიმიტოვთან მოთაბაში ავტორი, თუ პაოლოს მისტიფიკაცია

მოდერნიზმი, როგორც კულტურული მიმდინარეობა, ჩაისახა ევროპაში XIX-XX საუკუნეებში. თავად სიტყვა „მოდერნი“ ეტიმოლოგიურად ნიშნავს თანამედროვეს. მასში წარმოდგენილია იმ დროისთვის დამახასიათებელი იდეურობა და თვისობრიობა. ეს მიმდინარეობა აისახა ხელოვნების სხვადასხვა დარგში და მათ შორის ლიტერატურაშიც, სადაც უდიდეს წარმატებას მიაღწია.

მოდერნიზმის ერთ-ერთი უპირველესი მეთოდოლოგიური გამოვლინება სიმბოლიზმი გახლდათ, რომელიც საფრანგეთში XIX საუკუნის 60-70-იან წლებში წარმოიშვა. სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის სახელწოდება, პირველად ჟან მორეასმა თავისი პოეტური კრებულის წინასიტყვაობაში გამოიყენა. სიმბოლისტები ცდილობდნენ იდეის ხორცშესხმას გრძნობად სამყაროში. მათთვის მნიშვნელოვანი იყო ლექსის კეთილხმოვანება და ფერებისთვის განსაკუთრებული ფუნქციის მინიჭება. სიმბოლისტები სამყაროს შესაცნობად უარყოფდნენ „თვალს“ და უპირატესობას ანიჭებდნენ იმას, რაც ხილულ მოვლენათა მიღმა იმალებოდა. ყოველივე ამის გამოსახატავად ისინი იყენებდნენ პოეტური სახეობის მწვერვალს – სიმბოლოს, რომლის კონკრეტული დეფინიცია არ არსებობს და შინაარსობრივად ამოუწურავია.

მოდერნიზმის შემოსვლა საქართველოში ძირითადად XX საუკუნიდან იწყება. ქართულ შემოქმედებით სივრცეში დამკვიდრდა სხვადასხვა მიმართულებები. მაგალითად: სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი და ა.შ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოდერნიზმი ქართული კულტურაში არსებითად სიმბოლიზმთან ასოცირდება“ (თამარ პაიჭაძე, თბილისი, 2018, გვ. 13).

სიმბოლისტური ჩანასახები უკვე გვაქვს 1913 წლის 13 მაისს გამოსულ ყოველკვირეულ ალმანახ „ოქროს ვერძში“, რომლის „ფარული“ რედაქტორი იყო არასრულწლოვანი პაოლო იაშვილი და რომელშიც იბეჭდებოდა გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის ტიციან ტაბიძის და სხვათა ნამუშევრები.

მიუხედავად ამგვარი საწყისებისა, სიმბოლიზმის ათვლის წერტილად მაინც 1916 წელი უნდა მივიჩნიოთ, როცა ასპარეზზე გამოდის ლიტერატურული დაჯგუფება „ცისფერიყანწელები“. 1914 წელს სამშობლოში ბრუნდებიან: პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინაშვილი. ამ დროს ქუთაისში იმყოფება გალაკტიონ ტაბიძეც. ამგვარად, ქუთაისში მომნიშვნელოვანი ნიადაგი, რომ ქართული ლიტერატურა თვისობრივად ახალ ეტაპზე უნდა გადასულიყო. 1916 წელს გამოსცეს პირველი პერიოდული ორგანო „ცისფერი ყანწები“. მართალია, ალმანახის სულ ორი ნომერი გამოვიდა, თუმცა, მან გარდამტეხი როლი შეიტანა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში. მათ სახელს უკავშირდება ქართული ლექსის მოდერნიზაცია. ისინი 60-იანელთა თაობის მიმართ, შემოქმედების პირველ ხანებში, გარკვეულწილად სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მათ ლექსი საზოგადოებრივი ინტერესების გამოხატვის სფეროდ აქციეს. თუმცა, ეს ფაქტი არ უნდა გავიზაროთ ისე, თითქოს „ცისფერიყანწელები“ უარყოფდნენ იმ ტრადიციებს, რაც იქამდე არსებობდა ქართულ პოეზიაში. ამგვარად, სიმბოლისტებმა ლექსს დაუბრუნეს თავისი ძირითადი ფუნქცია, ხოლო მის თემატიკად ურბანისტული მოტივები და ბოჰემური ცხოვრების სტილი აქციეს. ეს იყო პირველი ლიტერატურული გაერთიანება ჩვენი მწერლო-

ბის ისტორიაში, რომელიც გააზრებულად დამკვიდრდა ქართულ სინამდვილეში და 15 წელი იარსება“ (ნ. ნაკუდაშვილი, 1997, გვ. 86).

ჯგუფის შემკრები და ორგანიზატორი გახლდათ პაოლო იაშვილი. ის დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში 1892 წლის 2 (14) აგვისტოს. პოეტის დედა ბაბილინე ბაირონის ასული მდივანი კეთილშობილი ქალი ყოფილა, ხოლო მამა – ჯიბრაელ დავითის ძე გახლდათ აზნაური, იმერეთში სახელგანთქმული ფარმაცევტი. პაოლოსთან, ქუთაისის სახლში, განთავსებული ყოფილა მისივე რედაქტორობით გამოცემული „ოქროს ვერძისა“ და „ცისფერი ყანების“ გამომცემლობა. მნიშვნელოვანია, რომ იაშვილების ოჯახი ფინანსურად საკმაოდ გამართული იყო. ამის ნათელი გამოვლინებაა ის, რომ პაოლომ განათლება საფრანგეთში მიიღო, სადაც უშუალოდ ეცნობოდა ფრანგ სიმბლისტთა შემოქმედებას. სწორედ ამან იქონია გავლენა პაოლოს პროფესიულ არჩევანზე.

1937 წლის 22 ივლისს პაოლო იაშვილმა მწერალთა კავშირის შენობაში მამამისის სანადირო თოფით თავი მოიკლა. ლავრენტი ბერიამ პაოლოს ხმამაღლა აგრძნობინა, რომ გონს მოსულიყო. პოეტმაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ბერიას ვაჟკაცობით აჯობა. ვფიქრობთ, ეს ბიოგრაფიული ცნობაც პაოლოს ბოჰემურ ცხოვრებაზე მეტყველებს.

მიუხედავად ასეთი ტრაგიკული დასასრულისა, მისი პოეტური ბიოგრაფია ლეგენდად შემორჩა ქართულ მწერლობას. მის სახელთან ასოცირდება უამრავი მოდერნისტული ტენდენციის გადმოღება ჩვენს ლიტერატურაში, რომელთაგანაც, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლიტერატურულ მისტიფიკაციას.

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია მოვლენა ლიტერატურული მისტიფიკაციის სახელწოდებით. ლალი ავალიანი ამ მოვლენას ასე განმარტავს: „ავტორისეულ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც სხვადასხვა მოსაზრებით ხალხური შემოქმედების ნიმუშად ან ნათარგმნ ძეგლად საღდება, ანდა მიენერება რომელიმე რეალურად არსებულ თუ არარსებულ, გამოგონილ პიროვნებას-ლიტერატურული მისტიფიკაცია ეწოდება“. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენის საფუძველი ხშირად განსხვავებულია ერთმანეთისგან. ავტორმა მისტიფიკაცია შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით გამოიყენოს. მაგალითად ეს შეიძლება იყოს: ცენზურის შიში, ლიტერატურული ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება, გართობის სურვილი და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში უამრავი მაგალითი მოგვეპოვება. ლიტერატურულ მისტიფიკაციას წარმოადგენდა დეფოს „რობიზონ კრუზო“, სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“, მერიმეს „კლარა გასულის თეატრი“ და სხვ.

XIX საუკუნეში რუსულ შემოქმედებით სივრცეში ალექსი ტოლსტოიმ და ძმებმა ალექსი და ვალერი ჟემჩუჟნიკოვებმა შექმნეს კოზმა პრუტკოვი, რომელიც მისტიფიკაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. აღსანიშნავია ასევე ელიზავეტა დიმიტრიევასა და მისი მეგობრის მაქსიმილიან ვოლოშინის დახმარებით დაბადებული ჩერუბინა დე გაბრიაკი. მისი პიროვნება რამდენიმე თვეს ცხოვრობდა პოეზიაში და მალევე გამომჟღავნდა.

ამჯერად ჩვენ გვინტერესებს პ. იაშვილის მიერ ქართულ რეალობაში გადმოტანილი ლიტერატურული მისტიფიკაცია, რომელიც ელენე დარიანის სახელს უკავშირდება. ზოგადად, პაოლოს თანამედროვენი ამბობდნენ, რომ ის მისტიფიკაციის „ხელოვანი“ ყოფილა და ხან გამოცდილი სეკუნდანტის ნიღბით ევლინებოდათ დუელიანტებს ნარიყალას მთაზე, ხან კი ხლებნიკოვის „დაუბეჭდავი“, იქვე შექმნილი ლექსებით აკვირვებდა კაფე „ქიმერიონში“ თავშეყრილ პოეტებს.

ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში ამ საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა. მიუხედავად იმისა რომ, საკმაოდ დიდი დროა გასული ეს თემა აქტუალობას არ კარგავს. ბევრჯერ გამხდარა განხილვის საგანი და, ალბათ, კიდევ ბევრჯერ გახდება. მკვლევართა აზრი ძირითადად ორ ნაწილად იყოფა. ერთნი ამბობენ, რომ ამ ნიღბის უკან რეალური პოეტი ქალი - ელენე ბაქრაძე დგას, ხოლო მეორენი მიიჩნევენ, ეს წმინდა ლიტერატურული „გარდასახვა“ ცისფერყანწელთა“ თავკაცის მიერ შექმნილი.

ჩვენ შევეცდებით, განვიხილოთ ორივე მოსაზრება და დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია ამ საკითხის ირგვლივ.

როგორც ცნობილია „ცისფერყანწელებს“ სურდათ, მათ რიგებში პოეტი ქალიც ყოფილიყო და მისი გამოგონება გახდა საჭირო. თუმცა, მკვლევარი გ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ ელენე დარიანის ნიღბის მიღმა ელენე ბაქრაძე იდგა. ქალი, რომელიც ნამდვილად ცხოვრობდა XX საუკუნეში და ამავდროულად უშუალო კონტაქტი ჰქონდა პ. იაშვილთან. მათ ერთმანეთი გაუცვნიათ 1912 წელს საჩხერის მახლობლად სოფელ ლესევეში. პირადი მიმონერებიდან ჩანს, რომ პაოლოსა და ელენეს შორის, შესაძლოა, გარკვეული გრძნობები ყოფილიყო. თუმცა, მათი მეორე შეხვედრის დროს ქალი უკვე დაოჯახებული იყო გოგი ბერიშვილზე, რომელიც თავისდა უნებურად ჩადგა პაოლოსა და ელენეს შორის. აქვე აღსანიშნავია, რომ ელენე ბაქრაძეს ჰყავდა მეორე ქმარი შალვა ქართველიშვილი. მკვლევარს სწორედ ამ უკანასკნელის დედის დღიურებზე იოსებ გრიშაშვილის მინაწერი მოჰყავს ერთ-ერთ არგუმენტად, სადაც აღნიშნულია, რომ პოეტს ეს მასალა გადასცა ელენე დარიანმა შალვას მეუღლემ. ბატონი გიორგი ამ მინაწერის შესახებ ამბობს რომ ქართველიშვილის მეუღლე არ შეიძლებოდა ყოფილიყო კაცი. და თუ ელენეს უკან პაოლო იაშვილი იდგა, მაშასადამე შალვას მეუღლეს მამაკაცი გამოდიოდა.

მკვლევარი აგრძელებს თავის მოსაზრების დამტკიცებას და შენიშნავს, რომ ელენე დარიანმა დროს გაუსწრო, დაარღვია ქართულ მწერლობაში არსებული დოგმატური პრინციპები და პოეზიაში ნოვატორი გახდა. თუმცადა, მან ამისთვის საჭირო დრო და ადგილი ვერ შეარჩია, რის გამოც უდიდესი კრიტიკა დაიმსახურა. მეტიც, ამბოდნენ, რომ ის საშიში ქალი იყო, ტემპერატურა აწეული ჰქონდა და არც სულიერი საუნჯე გააჩნდა. ამ ფონზე გათხოვილი ქალი ვერ გაბედავდა თავისი სახელის ღიად გამხელას. მოერიდა საზოგადოების მხრიდან გაკიცხვას, რასაც თავად მისივე ლექსის სტრიქონებიდან ვკითხულობთ:

„...ჩემი ლექსები მოვიშორე და გავასხვისე
დიდი მოთმენა მოვიხილე და შევითვისე...“

გიორგი ჯავახიშვილი მოცემული არგუმენტის დასასაბუთებლად ასახელებს მარიჯანისადმი მიძღვნილი ლექსის ბოლო სტროფს :

„დღეს ჩვენი ხალხი გათბობს გვირგვინით,
წელთა გუგუნის შუბლზე განათებს,
იყავ დღეგრძელი! ჩემს გულისტკივილს
სულ სხვა თაობა გაასამართლებს!“

ელენე დარიანის „არსებობის“ გამართლებას მკვლევარი ასევე ცდილობდა იმით, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ პოეტებთან, რასაც პირადი მიმონერისა და ფოტო არქივების საშუალებით ადასტურებს. გ. ჯავახიშვილი ასაჯაროებს ელენე ბაქრაძისა და ტიცვიან და გალაკტიონ ტაბიძეების წერილებს და „გვარწმუნებს“, რომ ეს ქალი აქტიურად ყოფილა ჩართული ლიტერატურულ ცხოვრებაში. თუმცა, ჩვენი აზრით, ამავე არქივიდან ხდება საცნაური ის ფაქტი, რომ „ცისფერყანწელები“ და მათთან დაახლოებული პირები ინახავდნენ პოეტური ნიღბის საიდუმლოდ. მათი „სულიერი მამა“, გრ. რობაქიძეც კი ნათლად გვეუბნება, რომ დარიანული ციკლის ლექსები ავტორი ცნობილი ქართველი პოეტი იყო.

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, ვფიქრობთ, რომ ის დომინანტობს ლიტერატურულ სივრცეში. თავისი მყარი არგუმენტებით გაცილებით დამაჯერებლად და მისაღებად გამოიყურება, ვიდრე პირველი.

როგორც აღვნიშნეთ, „ელენე დარიანის მითის“ შექმნა თავად „ცისფერყანწელთა“ სურვილს უკავშირდებოდა. მათ ძალიან უნდოდათ „ცისფერ ორდენს“ პოეტი ქალი ჰყოლოდა. მისტიფიკაციის ოსტატმა, პ. იაშვილმა, არ დააყოვნა და ასპარეზზე გამოიყვანა ქართული სიმბოლიზმის „ცის-

ფერი დედოფალი“ – ელენე დარიანი. ამ ციკლში სულ 14 ლექსია შესული. არსებობს ვარაუდი, რომ ელენე დარიანის მისტიფიკაცია შესაძლოა, შთაგონებული იყოს ფრანგი პოეტის გიომ აპლინერის მიერ შექმნილი პოეტი ქალის ლუიზა ლალანითაც. არ არის გამორიცხული, რომ პ. იაშვილს ამის შესახებ საკმარისი ცნობები ჰქონოდა და ის შთაგონების წყაროდაც გამოეყენებინა.

„ცისფერი ყანების“ პირველივე ნომერში დაიბეჭდა დარიანული ციკლის სამი ლექსი: „პირამიდებში“, „უვერტურა“, უსათაურო (უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი). მიუხედავად იმისა, რომ ამ ლექსების თემატიკაში არაფერია პირველმობილი თანამედროვეებს თვალში მოხვდათ სხეულის სიშიშვლესა და ვნებებზე საუბარი და აზრის გამოხატვის ეს ფორმა გარყვნილებად მიიჩნიეს. მაგრამ მისტიფიკაციამ კრიტიკას 12 წელი გაუძლო და საოცარი პოპულარობაც მოიპოვა. ეს იყო შემოქმედებითი გარდასახვის პირველი ფაქტი საქართველოში. მამაკაცმა სცადა და მოირგო ქალის ინტიმური ბუნება და საოცარი ექსპრესიით გადმოსცა მის შინასამყაროში არსებული გრძნობათა მთელი ქარტია.

დარიანული პოეზიის თემატიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მკვლევარ თამარ პაიჭაძეს მოჰყავს ეროსის კომპლექსის გააშკარავება, რომელიც არ არის უხეში აღწერა ხორციელი ვნებებისა, არამედ შემოფარგლულია ცოლ-ქმრული ურთიერთობით. ეს ფაქტი ლირიკული გმირის ბიოგრაფიულ მომენტებზე მიუთითებს და ყველა ლექსის პერსონაჟები ცოლი და ქმარი არიან.

„თეთრშემოსილი ვნევარ მე შენს ნაცნობ სანოლზე,
სევდიანია ღამე მძინარე;
ნუ თუ არ ფიქრობ, სანატრელო, შენს სათუთ ცოლზე?“
(„მარგალიტები“)

იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ციკლის ლექსების ლირიკული გმირები ნამდვილად ცოლ-ქმარი არიან, მოგვყავს ლექსი, რომელშიც აშკარად იკვეთება „პერსონაჟები“:

„ცოლი ვარ მისთვის მე სასახელო
(მე ის მკოცნიდა სხივიან დღეში).
ღვინით გასვრილი მისი საყელო
გადავარდება მყუდრო კუთხეში.
ქმრის სითამამე ჩემი ბრალია,
არ ვწუხვარ ბევრჯერ რომ მოვეხათრე...
რადგან ძვირფასი მეტად მთვრალია...
დაეძინება მას ჩემზე ადრე.“
„ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად“

არსებობს ლიტერატურული დაკვირვება, რომელიც მთავარი საზომია იმისა, ვის მივაკუთვნოთ დარიანული ციკლის ლექსები. მეცნიერებმა ჩაატარეს ლიტერატურულ-ტექსტუალური ძიება, შემოქმედებით-ლაბორატორიული კვლევა, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ ავტორი აშკარად პაოლო იაშვილია, რადგან აბსოლუტურად იდენტურია ელენე დარიანის ციკლის ლექსები პაოლოს სხვა ლექსებისა. ერთნაირია სალექსო ფორმა, მხატვრული სახეები, განწყობა, სიმბოლისტური აზროვნების მოდელი, ენობრივი ქსოვილი და ის წარმოადგენს პ. იაშვილის შემოქმედების ერთ ლოგიკურ განშტოებას. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია პაოლოს დაინტერესება ალიტერაციით. ეს მხატვრული ხერხი გამოყენებულია როგორც „დარიანული ციკლის“ ერთ-ერთ ლექსში („დარიანული“), ისე პაოლოს ავტორობით ცნობილ ლექსშიც („ასო ლასი“). მოგვყავს ფრაგმენტები ლექსებიდან:

„დედოფლის ალერსი გრძელია, ძნელია;
ლეილა ლოცულობს დაღალულ ხელებით,

ქალები გალობით ალიონს ელიან“
„ასო ლასი“
„დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით.
მე ლოყაზე დამრჩა ფარჩა ცხელი პირის მიკარებით.“
„დარიანული“

ასევე არსებობს ვარაუდი, რომ პ. იაშვილი ელენე ბაქრაძის ლექსებს უკეთებდა რედაქტირებას და სწორედ ასე იქმნებოდა „დარიანულები“. თუმცა, კრიტიკოსი ლ. ავალიანი აღნიშნავდა, რომ ცნობილი პოეტი ამას არ იკადრებდაო.

აქვე აუცილებლად აღსანიშნავია, რომ დარიანული ციკლის ლექსებმა დადებითი შეფასება მხოლოდ პ. იაშვილის მეგობრებიდან მიიღო. მაგალითად შეგვიძლია დავასახლოთ ფრაგმენტი შალვა აფხაიძის წერილიდან, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ბახტრიონის“ ფურცლებზე: „ ქართულ პოეზიაში არ არის ქალური სინაზე უდავოდ. ერთადერთია ელენე დარიანი, რომელმაც ქართულ პოეზიაში ეს შეიტანა“.

როგორც ლიტერატორები აღნიშნავენ, იმთავითვე გაჩენილა ეჭვი, რომ ამგვარი ლექსების ავტორი არ შეიძლებოდა ქალი ყოფილიყო, ვინაიდან საზოგადოებას ვერ წარმოედგინა, იმ ეპოქაში მცხოვრები მანდილოსანი ამრიგად „დაცემულიყო“. ამას მონაშობს გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებული სტატიაც. მაშასადამე, კულტურულ წრეებს, მართალია, მოსწონდათ „დარიანულები“, მაგრამ მის ავტორად ქალს გამორიცხავდნენ.

ცნობილია, რომ პაოლოს მისტიფიკაციისთვის 1924 წლის შემდეგ აღარ მიუმართავს. სწორედ ამ წელს გაზეთ „ბარკადში“ გახშირდა მისტიფიკატორი. სანდრო ცირეკიძის „პორტრეტებში“ , რომელიც მისი გარდაცვალების მერე დაბეჭდილია, აღნიშნულია: „პაოლო იაშვილმა, როგორც თავაზიანმა რაინდმა, ლიტერატურაში გამოიყვანა პოეტი ქალი ელენე დარიანი და ძვირფასი ქვების ნათელი ფერებით გადაშლა ეროტიკული ლირიკა“. ეს პასაჟი შესანიშნავად არის აღწერილი ლექსში „მე და კატა“, სადაც ლირიკული გმირი გადმოსცემს ვნებასა და მარტოობას:

„მივდივარ ბუხართან; რა მინდა! რა ვიცი!
ელავენ, თბებიან ტიტველი ფეხები.
მე არ შემეძლია, მე მარტო დავინვი,
და ფეხის გულებით კატის ზურგს ვეხები.“

მაშასადამე, ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ადგილი ჰქონდა უპრეცედენტო შემთხვევას. ეს იყო მხატვრული თვითგამოხატვის განუმეორებელი მაგალითი. მამაკაცმა სააშკარაოზე გამოფინა ქალურ გრძნობათა სამყარო, რომელიც საოცარი ესთეტიკური მსოფლგანცდით მოიტანა მკითხველამდე. პ. იაშვილს აღმოაჩნდა პოეტური გარდასახვის საოცარი უნარი. მან ლიტერატურული მისტიფიკაციით ევროპული შტრიხები შემოიტანა ქართულ შემოქმედებით სივრცეში.

სიმბოლისტური ასახვის ეს მეთოდი საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან. ქართული პოეზიის ნოვატორმაც არ დააყოვნა და მისი სახით ახალი პრეცედენტი მოგვევლინა. პ. იაშვილმა ურთულესი მისია იკისრა. მას სამყაროსეული მოვლენები უნდა განესაჯა პოეტის და თანაც ქალი პოეტის თვალთ.

აღსანიშნავია, რომ პ. იაშვილის ლიტერატურული მისტიფიკაცია მხოლოდ სიმბოლისტურ ასახვას არ წარმოადგენდა. ეს იყო თამამი გალაშქრება ბანალური სატრფიალო ლირიკის წინააღმდეგ. პოეტი უპირისპირდება შაბლონის, უფერულობის, უფანტაზიობის კულტს, რომელსაც ადამიანი გონებადახშულობისკენ მიჰყავს“(თ. პაიჭაძე, 2003, გვ. 40). ამ ყველაფრის საპირისპიროდ კი დარიანულ ლექსებში გამოჰყავს, ქალი თავისი ემოციებითა და სიყვარულის გრძნობით:

„შემომეჩვიენ ჩუმი მტრედები.
თმებს მიხილავენ ლურჯ ნისკარტებით,
ამ სიყვარულით ნაიმედები
თავს ვიმშვიდებდი სოველ ვარდებით.“
(„ცისფერი ქოლგა“)

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პ. იაშვილის მისტიფიკაციამ გაიმარჯვა. საზოგადოებაში პოეტურმა ნილაბმა უამრავი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა. ჩვენი აზრი, რომლის დასამტკიცებლადაც, ვფიქრობთ, საკმარისი არგუმენტები მოვიხმეთ, გახლავთ ის, რომ არანაირი ელენე ბაქრაძე არ ქმნიდა დარიანული ლექსების, მათი ავტორი პაოლო იაშვილია. ლექსებისა, რომლებიც უამრავ საიდუმლოს ინახავს და მალაღმბატვრულობითაც გამოირჩევა.

მიგვაჩნია, რომ მათ უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ გენიალური პოეტის შემოქმედებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლალი ავალიანი, „პაოლო იაშვილი“ თბილისი, 1977.
2. „ისტორიანი“, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი – №11, 2014. ნოემბერი.
3. გაზეთი „რეზონანსი“ – 2009, 15 თებერვალი, გვ. 8-9.
4. სოსო სიგუა, „ქართული მოდერნიზმი“ თბილისი, 2002.
5. გიორგი ჯავახიშვილი, ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე თბილისი, 2001.
6. თამარ პაიჭაძე, ლიტერატურული წერილები, თბილისი, 2003.
7. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები.
8. თამარ პაიჭაძე, „მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა“, თბილისი, 2018.
9. <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika-00-1----0-10-0---0---0p-rompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl= CL3. 1. 28&d=HASH3d375dd9244403da487569.2.2>

ომის ქრონიკები გურამ ოდიშარიას შემოქმედებაში

1991 წლის აპრილის მოვლენების შემდგომ საქართველო ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. რუსული დომინანტობის ფონზე გამოკვეთილმა პრობლემებმა (ოსურ-ქართული და ქართულ-აფხაზური), ასახვა ჰპოვა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ამ უკანასკნელმა, პრობლემური საკითხების წარმოჩენა და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის კულტურულ-სოციალური რეორიენტაციის ამოცანები თავის თავზე აიღო. ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში საკვლევ მასალად გამოყენებულია ქართველი მწერლის, გურამ ოდიშარიას მხატვრული ტექსტები: „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“, „ძმისშვილი“ და „პრეზიდენტის კატა“. აღნიშნული ნაწარმოებები ქართულ-რუსულ პოსტკოლონიურ ურთიერთობებს და ამ ფონზე წამოჭრილ შიდა-ეთნიკურ, კერძოდ, რუსეთის მიერ ინსპირირებულ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს და ამ ომის შედეგებს ეხება. მოცემულ ნაშრომში ჩვენ დავაკვირდით პროცესს, თუ რა სულიერი სტრესები გამოიწვია ფიზიკური საზღვრების მოშლამ და იძულებითმა გადაადგილებამ. რას გრძნობენ ადამიანები ქალაქში, სადაც არავინ და არაფერია ნაცნობი. როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს გუშინდელი ძმები და კრიტიკულ მომენტში როგორ იღვიძებს მტერში მოკეთე. ომამდელ სოხუმზე საუკეთესო წარმოდგენას ქმნის „პრეზიდენტის კატა“, რომელიც იდეოლოგიური პერსპექტივის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

გურამ ოდიშარიას ნაწარმოები „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. მასში ნათლად ჩანს ანმყო-წარსულისადმი ავტორის დამოკიდებულება. ტექსტში, რომელიც ერთგვარი ფსიქოლოგიური დრამაა, შესამჩნევია ექსპლიციტური მთხრობელის ნოსტალგიური დამოკიდებულება იმ ქალაქისადმი, რომელში დასაბრუნებლადაც ავტორი მუდმივ მზადყოფნას გამოთქვამს. ნაწარმოები ერთგვარ დღიურს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული კაცისას, რომელიც ყოველ დღით, გაღვიძებისთანავე, რატომღაც სარკესთან მიდის და მოწესრიგებას იწყებს. რატომ? რატომ და, არავინ არ იცის როდის დაუძახებენ სოხუმში გასამგზავრებლად. ტელევიზორსაც ამ მიზნით უმზერს და რადიოდანაც ელის დაძახებას. ტელეფონის ზარიდანაც სიამოვნებით მოისმენს ამ ხმას, მაგრამ ამაოდ, არსაიდან ხმა!.. ერთადერთი, სადაც სოხუმის შესახებ საუბრობენ, ამინდის პროგნოზია: – სოხუმში მოსალოდნელია წვიმა! ხედავს კიდეც როგორ ეშვება ციდან გაზაფხულის წვიმა. ხედავს და გრძნობს. ფიქრობს: „და, ნეტავ, ახლა ჩემი სახლის სახურავი რა დღეშია? ომის პირველივე საათებში დაცხრილეს ის სნაიპერებმა. კი ამოვუვსე მაშინ სახლს ნატყვიარები რალაც წებოსმაგვარი ნაერთით, მაგრამ მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა...“ [ოდიშარია, 1997:4]. უპატრონოდ დარჩენილ სახლს დასტრიალებს მისი ფიქრები. ბევრად მეტი აქვს სათქმელი, მაგრამ ავტორი არ წვრილმანდება. მისი მჭერმეტყველება მაინც ვერ ამოწურავს, მაინც ვერ ახსნის, რასაც ის განიცდის. ეს ის ქალაქია, რომელმაც სამყარო შეაყვარა. სადაც ბედნიერების გასაღები იპოვა, მერე კი... სახლი!.. ეს სახლი ხომ მხოლოდ კედლები არ იყო მისთვის!.. ამ სახლში იყო ჩაბუდებული მისი ბავშვობა, მშობლების სითბო და სიყვარული... სოხუმში მოსალოდნელია წვიმა! წვიმა, რომელიც მოიბრუნს სოხუმის ქუჩებს, პლაჟებს, ტურბაზას. მერე მსგავსად მემატინისა, დააკვირდება თამარის ხიდს, ბაგრატის ციხის ნანგრევებს და დიოსკურიას. ნეტავ, თოლიები თუ დაფრინავენ წვიმაში? სოხუმი უყვარს, უყვარს საოცნებო ქალივით. უყვარს თავისი ტკივილიანი ცოცხლებით და იმედგაცრუებული მიცვალებულებით. ხვალ მოწვიმს სოხუმში. მოწვიმს მის გა-

რეშე. მის მიღმა. მოწვიმს მხოლოდ ომამდელ სოხუმში. ომით სახეშეცვლილი სოხუმი, მის გარეშე დარჩენილი სოხუმია. არაფრისმთქმელია. სხვას არაფერს ამბობს რადიო... ისიც ეგუება ბედს და ხვალინდელი იმედიანი ხმის მოლოდინში აგრძელებს ყოველდღიურ ცხოვრებას. მთხრობელი, ამა-ვდროულად ჰომოდიეგენტურია. ნაწარმოებში მისი სუბიექტური დამოკიდებულებაა როგორც წარსულთან, ასევე სავალალო აწმყოსთან. ყოველდღიური მოლოდინი წარსულში დასაბრუნებლად.

ნაწარმოების მიხედვით სახეზეა ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტი. რასაც ლტოლვილის თვალი ამჩნევს, რასაც ის გრძნობს და აღიქვამს, ჩვეულებრივი ყოფის, თუნდაც არაბედნიერი კაცისთვის არაფრისმთქმელია... მეტროში ჩასულ ლტოლვილს პატარა მათხოვარი გოგონა უფრთხობს სოხუმის წვიმაზე ფიქრს. მას შავოსანი ქალი მოსდევს დახრილი მზერით. ხელში საღებო რეზინის კოლოფი უჭირავს წარწერით – „დაეხმარეთ ობლებს“. ლტოლვილი კაცი მისთვისაც პოულობს ჯიბეში მონეტას. მეტროს კართან ორივე მათხოვარი გვერდიგვერდ დგას. პატარა გოგონა დაჟინებით უმზერს უფროს „კოლეგას“, მერე ხელს ჯიბეში იყოფს, მუჭით ამოაქვს მონეტები და შავოსან მათხოვარს უყრის კოლოფში. ამასობაში მეტრო ჩერდება და შავოსანი ქალი გაოცებული მზერით აცილებს მონყალე გოგონას... ალბათ, სწორედ ესაა ის ძალა და გრძნობა, რაც დედამინას აბრუნებს! შავოსანი ქალის სახეზე ასახულმა გულწრფელმა ტკივილმა, პატარა გოგონას სული იმდენად აუფორიაქა, რომ მან თავისი მონათხოვრებული თანხა გაიღო და თავისი საქციელით კმაყოფილი, გაბრწყინებული სახით გაშორდა. მოწყალეების მთხოვნელთა ერთმანეთისადმი ასეთი დამოკიდებულება ასოციაციას იწვევს ავტორში. თავს იჩენს კრიტიკული რეალიზმისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიზმი, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავეთ სოციალურ გარემოში აისახება. ლტოლვილი კაცის თვალი აცილებს ბედნიერი სახით მიმავალ გოგონას: „ეს რა დიდი ამბის მოწმე გამხადე, უფალო. ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, რა დამავინყებს პატარა მათხოვარს“ [ოდიშარია, 1997:9]. ხვალ უსათუოდ იწვიმებს სოხუმში. მივა და ააბიბინებს უჭირისუფლოდ შთენილ საფლავებს. ის კი, სოხუმის ნატრული ლტოლვილი, სოფელში დასთან მიდის. იქ დედა ეგულება, ქალიშვილთან გადაბარგდა მოხუცი. მივა და, ალბათ ეტყვის, რომ სოხუმში წვიმს, მათ სოხუმში... მერე დედის წვეთებდაფენილ თვალებს შეხედავს, ბავშვივით ჩაუდებს თავს კალთაში და იმედიანი სიტყვის მოლოდინში გაიტრუნება. ჯერ კი სადგურშია. „იკარუსში“ ამოდიან და ჩადიან სახელდაკარგული გამყიდველები. ზოგი „ნამცხვარია“, ზოგი – „შოკოლადი“, ზოგი – „გაზეთი“. ვინ იცის რა ერქვათ მათ, ომამდე. რას საქმიანობდნენ, რას ფიქრობდნენ. ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, ამ დღეში თუ აღმოჩნდებოდნენ. აი, „ჩიტის რძეც“ გამოჩნდა. ისიც სოხუმელი ყოფილა. ესალმება მას, მაგრამ დამნაშავესავით უნდა, თვალი მოარიდოს. მას ახსოვს იგი სოხუმის ქუჩებში კოხტად ჩაცმული, ლალი და ბედნიერი. ახლა კი... გამომშვიდობებისას „ჩიტის რძის“ შეკვრას ატანს დედასთან და ჩადის... დედას არ უნდა უთხრას, ვინ გაუგზავნა ჩიტის რძე, ცოდოა... ისევ სოხუმი... ნეტავ, ისევ თუ დგას ახლა ის ჭადარი, შეყვარებულმა ბიჭმა რომ სასურველის ინიციალები ამოკვეთა და კინალამ იმსხვერპლა. ათი წლის შემდეგ რომ მოინახულა. ჭადარიც შეცვლილიყო და ინიციალებიც... „არა, არც სამსახურისკენ მიმავალმა და არც სახლისკენ მომავალმა არ უნდა დაიმგზავროთ სოხუმი და ზღვა, თორემ როდესაც რამეს მეკითხებიან, ძალიან არეულად ვპასუხობ ხოლმე. სულ მათზე ვფიქრობ“ [ოდიშარია, 1997:16]. ხვალ გაზაფხულის წვიმას ელის სოხუმი. უკვე რუსთაველზეც ჰყიდიან იებს და ყოჩივარდებს. მაგრამ, რა... განა გაზაფხული აშუშებს იარას?! – აგერ, ქუჩაში, სამხედროფორმიანი, ყავარჯნიანი მუხლსზემით მოკვეთილი ფეხით მიარღვევს ცხოვრებას. „თითქოს ომი გვერდით მიჰყვება კაცს და მის ყოველ ცალფეხს ნაბიჯს თავისი ბეჭდით ორჯერ ამონებს – „პირადად ვადასტურებ, ეს საქმე მე ვქმენ!“ [ოდიშარია, 1997:19]. უამრავი ადამიანი სკეპტიკურად შეხვდა ლტოლვილთა ნაკადის შემოსვლას დედაქალაქში. ზოგნი ამბობდნენ – ლტოლვილები ჩვენ ვართო, ზოგნი – რა ქნან, მათი მიზეზით ხომ არ მომხდარა ომიო... საჭირო გახდა, ლტოლვილს „მასპინძლის“ თვალებში ჩაეხედა და იმის მიხედვით ემოქმედა, სიტბოს დაინახავდა თუ –სიცვივს!.. კონტროლიორი ქალის მოქმედება გულს უღლობს ლტოლვილს. – როგორც

სოხუმელს, პატივს სცემს და მის საშვს ცელოფანში ასმევენებს – ალარ გაგიცვდება ბიჭოო! – ღიმილით მიმართავს. რამდენი ხანია „ბიჭოო“ – არავის უთქვამს. სოხუმთან ერთად დაიკარგნენ ის ადამიანები, რომლებიც ბავშვობიდან იცნობდნენ და შეეძლოთ ათასგვარი მოსაფერებელი სახელით მიემართათ მისთვის. აქ აღარავინ იყო – არც ბავშვობის მეგობარი, არც თანაკლასელი. გაზაფხული ახალ იარას ხსნის... ლტოლვილობას განსაკუთრებული სიმძაფრით აღდგომის დღესასწაულზე გრძნობენ. თითქოს ხელგამონვდილ მიცვალებულებს ხედავენ და არკი ძალუძთ მიშველება. სოხუმიდან დევნილი ქალი მეზობლის ქალს ატანს წითელ კვერცხებს და სანთლებს: „- წაიღე, მაია, ეს ყველაფერი შენი მშობლების საფლავზე, მე ხომ მესამე წელია ჩვენს სასაფლაოზე არ ვყოფილვარ“ [ოდიშარია, 1997:20].

თემა-საფლავდაკარგულთა უსასოობა, საინტერესოაა გაშუქებული გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებში – „მესაფლავენი“, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის 2008 წლის მოვლენებს ეხება. უსახლკარობისა და საკუთარ სამშობლოში დაუცველობის განცდა ერთნაირად აქვთ როგორც აფხაზეთიდან, ასევე სამაჩაბლოდან დევნილთ.

ნაწარმოებში წარმოჩენილია სულიერი ღირებულებების ჭიდილი რეალურ სამყაროსთან. ამ ორი, ხშირ შემთხვევაში შეუთავსებელი სამყაროს შერწყმას, ან უკიდურეს შემთხვევაში, დაახლოებას, როგორც მაინც ახერხებს ავტორი. გამოკვეთილია მისი დამოკიდებულება ნაწარმოებში აღწერილი მოვლენებისადმი. ძნელი გასაგები არაა, მისი ტკივილი, რომელსაც მოგონებებით კურნავს. ალბათ, სწორედ ამიტომ დააბიჯებს დღეს სოხუმთან ერთად. ხედავს და გრძნობს, როგორ რაკრაკებს წვიმა კრამიტზე, ჟღერიალებს ალუმინზე და მოდის როგორც დროშა და სიმღერა..

90-იანი წლების სოხუმის პრობლემებს ეხება გურამ ოდიშარიას კიდევ ერთი მოთხრობა – „ძმისშვილი“. აღნიშნულ ნაწარმოებში ავტორი მთხრობელი-პროდუცენტია. ტექსტში არსებული კომუნიკაციური მოდელი აღწერილი ფაქტებისადმი ავტორის მჭიდრო დამოკიდებულებაზე მეტყველებს. ტექსტი არ განიცდის შედარებების სიმნიშვნეს. 90-იანი წლების სოხუმი. ქართულ ბატალიონს აფხაზეთით დასახლებული სოფლების გათავისუფლების დავალება აქვთ. დაკვირვებული თვალი ცეცხლში გახვეული საგნების ამოცნობას ეჩვევა. სახლები თეთრი ალით იწვინან, მანქანები და ტანკები შავით. თეთრი ბოლი ალბათ ოჯახური სინმინდისა და სიმყუდროვის რღვევის სიმბოლოაო, ამბობს ავტორი.. ასეთი სახით მიდის ზეცამდე ერთ დროს ბედნიერი ოჯახის კვენესა-ვაება. შავი ბოლი კი, იმ ეშმაკის მანქანებს ასდით, ადამიანის უბედურებას რომ სჭედენ და ღვთისგან შექმნილ სიცოცხლეს ხელყოფენ. ომში ძალიან მოკლე დრო სჭირდება დამეგობრებას. სულ რამოდენიმე დღეა ერთად არიან ბიჭები და უკვე კარგავენ ერთმანეთს. ძნელია, შენს თვალწინ ადამიანები რომ უმონყალოდ იხოცებიან! გუშინ სამი დღის გაცნობილი, 30 წლის ვასიკო გამოასალმეს სიცოცხლეს სნაიპერებმა. მასთან ერთად კიდევ ორი – გაგრელი და გორელი მეგობარი დაკარგა ვალერიმ.

გაგრელს, რომლის მამასაც გაგრამი ყელი გამოლადრეს და „კოლუმბიური ჰალსტუხი“ გაუკეთეს, იარაღი შურისძიების გამო აუსხამს, მაგრამ ომი, ომია. თვითონაც შეენირა. ახლა მხოლოდ სამი მეომარი აღწევს თავს შეტევას. ომარი, გივი და ვალერი დაცარიელებული სოფლის ერთ-ერთ სახლში შედიან. თავს დაცულად ვერ გრძნობენ, მაგრამ ცოტა ხნით ხომ მაინც შეყოვნდებიან და იქნებ შიმშილიც მოიკლან. სახლში ოჯახისათვის დამახასიათებელი სუნია. თითქოს თვალთ უჩინარი არსება ტრიალებს. ბიჭებმა მონატრებული, ოჯახური სიმყუდროვე იგრძნეს და მცირე დასაპურებელიც მოიძიეს. ოჯახურ იდილიას თითქოს ეს შტრიხი აკლდა და დროებით, აფხაზის სახლში თავშეფარებული, ბრძოლით დაღლილი ბიჭები, საძინებელ ოთახში ორიოდ წლის, ლოგინში წამომჯდარ პატარას ხედავენ. მიუხედავად ყველაფრისა, სითბო ეღვრებათ სისხლის წვიმებით ჩარეცხილ სულში და უკვირთ: – საიდან და როგორ ეს ბავშვი აქ, ომის კერაში?! ამასობაში თხილწარმიდან ატეხილ სროლებს ომარი და გივი ემსხვერპლა. სახლი ცეცხლის ალში გაეხვა. ვალერის ერთადერთი გზა დარჩა: „ავტომატი მხარზე გადაიკიდა, წამოდგა და ის-ის იყო ფანჯრის რაფას შეახტა, რომ გველნაკბენივით მოტრიალდა, – ბავშვი ავინყდებოდა“ [ოდიშარია, 1997:38]. ბავშვს

დასწვდა, მკერდში ჩაიკრა და ფანჯრიდან ისკუბა. მკერდში ჩაკრული ბავშვით გარბოდა. მისი ერთადერთი საზრუნავი ბავშვის დაცვა და გადარჩენა იყო. თითქოს სხვა აღარაფერი ანუხებდა. დაღლილ-დაქანცული ფიჭვნართან შეჩერდა და ბავშვს დახედა. ესიამოვნა – ბავშვს რძის სუნი ასდიოდა.

მწერლის მიერ ყურადღების გამახვილება ისეთ მხატვრული კომპონენტებზე, როგორცაა მტრის სახლში, ოჯახური სუნი, თუნდაც წამიერი სიმშვიდის მოპოვება და უცხო, მტრის შვილისაგან ნაგრძნობი სასიამოვნო სუნი, ნაწარმოებში გმირის კულტურული დონის ესთეტიკურობაზე მეტყველებს. მას სხვა აღარაფერი ახსოვს – უნდა დაიცვას უმწეო! ღრმულში, ფიჭვის ფესვებთან, თავის ხალათს აფენს და ზედ აწვენს პატარას. ბავშვი იძინებს და ვალერის შიში უორმაგდება, შიში ბავშვის სუნთქვის შეწყვეტისა და შიში ცისქვეშეთში მარტოდ დარჩენისა. ბავშვს სძინავს. ვალერი მარტო რჩება თავის ფიქრებთან. რა არ აჩვენა ომმა!.. პირველად აქ აიღო იარაღი, აქ ნახა დასახიჩრებული გვამები. ტანკში ჩამწვარი ჩექმის ტოლად დარჩენილი ჯარისკაცები, რომელთა ჩასასვენებელშიც ქვიშით სავსე ტომრებს აწყობდნენ სიმძიმისათვის... თავდაყირა დადგა სამყარო! „ერთი რამ კი უკვე სჯეროდა – ამ ომის დამთავრების შემდეგ არავინ იქნებოდა ბედნიერი – არც ერთი კაცი და არც მთელი კაცობრიობა“ [ოდიშარია, 1997:43]. ტყვედ ჩავარდნილი „თეთრარწიველი“ გაახსენდა – ორი აფხაზი და ორი ადიღეელი ფეხებზე ბენზინს, ტანზე კი წყალს რომ ასხამდნენ, დიდხანს რომ გაგრძელებულიყო მისი ტანჯვა. ნარკოტიკსაც ამისთვის უკეთებდნენ. ბოლოს შეუსრულეს თხოვნა და, ესროლეს... ამის შემდეგ დღე და ღამე აერია. ყველაფერი სულ ერთი გახდა მისთვის. „და მაინც, რა არის ომი – საკუთარ ნაწლავებში გახლართული კიოა თუ გაუპატიურებული გოგონას მზერა, ცხრამეტიოდე ბიჭის დახვრეტა თუ ზღვის თავზე გამქრალი ყურყუმალას ბუმბულის ფარფალი? აზრია თუ უაზრობაა? არსებობს თუ არ არსებობს, იქნებ მართლა არ არსებობს და მოვიგონეთ, ან იქნებ არ არის ის, რაც გვგონია, იქნებ სხვაგანაა სულ და გზებს გვირევს, რათა ვერასოდეს ვიპოვნოთ, დაბადებისა და სიცოცხლის აზრის მსგავსად ვერ ჩავსწვდეთ მას“ [ოდიშარია, 1997:45].

ჯერჯერობით ვერავინ შესძლო ომის გააზრება. ვალერიმ იცის ვერ გადარჩება, მაგრამ მაინც უნდა წავიდეს. მხოლოდ ეს ბავშვია მასთან, მარტო აღარაა. ერთხანს საყვარელი ქალის სახეცაა გაურბინა თვალწინ, მის სახელს ხომ ყველგან აწერდა, მასთან ერთად რომ ევლო. ახლა არც მტრის თავზე წამოდგომა გაკვირვებია. ტყვედ აყვანის ყველა რიტუალი ისე ჩატარდა, ბავშვი არც დაუნახავთ. ვალერიმ აჩვენა – იქ ბავშვიაო. ბავშვი იცნეს. ამასთან ერთად ორი მოხუცი ქალი უნდა ყოფილიყო, ალბათ ჩახოცეთო, კონდახი ჩასცხეს და წინ გაიგდეს. გზაში უსიამო შეძახილებით ხვდებოდნენ – გაიყვანეთ სოფლის ცენტრში და აჩვენეთ, რა დღე დაადგა მის მეგობრებსო. თექვსმეტიოდე წლის ბიჭი ბურჯებიდან ყვირილით გამოვარდა. უნდოდა, ძმების სიკვდილის გამო ეძია შური, მაგრამ არ დაანებეს. ხელი რომ შეუშალეს, მიწაზე დაემხო და აქვითინდა.

ობიექტური მწერალი, წინააღმდეგობების გადალახვის უნარს უნარჩუნებს რა ნაწარმოების გმირს, ასევე უარყოფითი პერსონაჟების მოქმედებათა ამხსნელ გარემოებებზეც აფიქრებს მკითხველს. თექვსმეტი წლის ბიჭი ქვითინებს, იმიტომ რომ ძმები მოუკლეს! მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინაა დამნაშავე ამ ომში. მას მხოლოდ შურისძიების წყურვილი კლავს. ჯერ კიდევ ყმანვილს სიცოცხლე მოუნამლეს. გააუბედურეს და სიკვდილი დაუახლოეს. მანქანის ძარაზე მოთავსებულ ვალერის, მანდარინის ყუთზე ჩამომჯდარმა ქუდჩამოფხატულმა, ჭალარა კაცმა რევოლვერი აუთამაშა და დასჩხავლა: „-მაშ, შენი მიწაა არა, ეს მიწა? ახლავე გავაჩერებ მანქანას და იმდენ მიწას გაჭმევ, იმდენ მიწას, რომ პატივისცემაში ამოგხდი სულს, შე ძაღლისშვილო“ [ოდიშარია, 1997:59]. შურისმაძიებელი ბიჭისგან განსხვავებით, ასაკოვანი პერსონაჟის საქციელი, ომისადმი არაჯანსაღი, არაობიექტურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. უცხო ოჯახში ხელშეკრული შეპყავთ ვალერი. პატარა ბავშვი ქალების ხელში ინაცვლებს და იწყება ოვაციები. ერთადერთი სიტყვა, რაც ვალერისთვისაა გასაგები დაურია – ბავშვის სახელი, ოთახში შემოსული მოხუცი დაუ-

რის პაპაა. ჩემს სახლში ხელეშებორკილი კაცი ჯერ არ შემოსულაო – ებოდიშება ვალერის. მისგან შეიტყობს, დაურის დედა ქართველი ქალი, მშობიარობას გადაჰყოლია. ბავშვს პაპიდები ზრდიდნენ. სოფელში რომ სროლები დაიწყო, მოხუცებს ჰგონებიათ, დაური უკვე გაიყვანეს სახლიდან და თავგზააბნეულნი სხვა მანქანით გამოსულან. დაურის გარშემო დასმულ კითხვებს ვალერიმ გულახდილად უპასუხა და ისიც დასძინა, რომ მისთვის უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო! ამ ომის დაშვება არ შეიძლებოდაო – ამბობდა მოხუცი. „არც ერთი ხალხი არ არის დამნაშავე, ყოველი ხალხი მსხვერპლია ომისა. ახალგაზრდა ხარ და დაიხსომე – ერთ დროს აუცილებლად შერიგებაზე მიდგება საქმე და მაშინ ჩემი სიტყვა მოიგონე – პატიების უფლება მხოლოდ მსხვერპლს აქვს“ [ოდიშარია, 1997:66].

იმ ჭალარა კაცისაგან განსხვავებით, რომელიც მიწის შეჭმით ემუქრებოდა ვალერის, დაურის პაპის საქციელი, ომზე, გონიერი აფხაზი ხალხის შეხედულებებზე გვაფიქრებს. მადლიერი მოხუცი, რომელსაც ერთადერთი საძეო გადაურჩინეს, ჭრილობას უმუშავებს ვალერის და მის პატივსაცემად მოზვერს კლავს. მეორე დილით, ოჯახის უფროსის ბრძანებით, გამთენიისას მანქანით გაჰყავთ სამშვიდობოზე. დაურის ბიძამ იარაღი გადმოიტანა მანქანიდან – შენისთანა კაცს იარაღს ვერ აყვრიტო! კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა დაურის გადარჩენისთვის და დაემშვიდობა. „-მოდი, ასე ძმებზე და ვაჟებზე ერთმანეთს დღეს. მაგრამ თუკი ხვალ კიდევ მოგვინია ბრძოლაში შეხვედრამ, რას იზამ, უნდა ვიბრძოლოთ. დღეს ყველაფერთან ერთად ღირსეული მტერიც სანატრელია“ [ოდიშარია, 1997:70].

თავსევე დაშვებული ვალერის განცდა და ავი მოლოდინი – ვაითუ ზურგში ტყვია დამადევნონო, იმ მანქანის ხმასთან ერთად მიწავლდა, რომელმაც სამშვიდობოს გამოაცილა მტერ-მოყვარე მებრძოლი. ვალერი სუნთქვაშეკრული შედგა. მერე ავტომატს მჭიდვ მოხსნა და გაოგნდა – ტყვიებით იყო გაძეძგილი!... მტრის ნდობამ ააფორიაქა. იცოდნენ, ამ ტყვიების მსხვერპლი შესაძლებელი იყო, ისევე მათი ახლობლები გამხდარიყვნენ, მაგრამ ღირსება არ შეუღახეს!... ვალერი ნელ-ნელა ჩაეშვა ბალახებში, ჩაჯდა და მწარედ აქვითინდა. ახლა ყველაზე მძაფრად იგრძნო მარტოობა. „მოეჩვენა, რომ მთელი ცხოვრება ასე გაგრძელდებოდა – ვინც არ უნდა ჰყოლოდა გვერდით, მაინც მარტო იქნებოდა. ბალახებში იჯდა და გულამოსკვნილი ტიროდა. პატარა ბიჭვით ტიროდა, ომისგან და კაცთა სიბრყველისგან, სისხლისგან და სისასტიკისგან გადაღლილი, წუთისოფლის დაქანცული, ნერვებაგლეჯილი მგზავრი“ [ოდიშარია, 1997: 72]. წამოდგა, მოეჩვენა ის, რაც ყველაზე მეტად უნდოდა – თითქოს იმ ქვეყანაში შეაბიჯა, სადაც მხოლოდ თავისი ახლობლები და კეთილისმსურველები სახლობდნენ, სადაც სიყვარული მართავდა ყველაფერს. რეალობაში დაბრუნების ნაღველით სახეშეცვლილი ვალერი იარაღს დასწვდა და უმკაცრესი ცხოვრების გზა განაგრძო.

წანარმოებში საქმე გვაქვს კონცენტრალური ტიპის სიუჟეტებთან. დროის მოკლე მონაკვეთში განვითარებული მოვლენები ერთმანეთთან მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფებიან. მტრის შვილის გადარჩენა იწვევს დადებით შედეგს – მტერი ინდობს მას და ნდობასაც უცხადებს (მჭიდვს სისავსე). ამავდროულად, უმაღლეს შეფასებასაც აძლევს – ღირსეულ მტერს უწოდებს. მოჭარბებული ემოცია ატირებს კაცს და სიყვარულით სავსე ქვეყანაში ცხოვრებას ნატრობს.

გურამ ოდიშარიას რომანი, „პრეზიდენტის კატა“ პოსტმოდერნისტული წანარმოებია, რომელიც დოკუმენტურ ფაქტებზეა შექმნილი და საბჭოეთის სოხუმის საზოგადოებრივი ცხოვრების პანორამას ასახავს. წანარმოებში გაცოცხლებულია გასული საუკუნის 60-80-იან წლებში აფხაზეთის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანის მიხეილ ბლაჟბას მოღვაწეობა, რომელიც ხრუშჩოვის მმართველობის დროს მოღვაწეობდა და მის საქმიანობასაც ნაწილობრივ იმ პერიოდის სულისკვეთება ასაზრდოებდა. იშვიათად შეხვედებით სადმე ასეთ ინოვაციურ ჩინოვნიკს და ალბათ სწორედ ამან განაპირობა მისი განსხვავებულობა. რომანი გამდიდრებულია მხატვრული ელემენტების საშუალებით, იკითხება მსუბუქად და შიგადაშიგ დაჰკრავს არა ერთი სახალისო სიუჟეტი. წანარმოებში დიდი ადგილი უჭირავს ქართველებისა და აფხაზების მეგობრობის, ნათესაური კავ-

შირებისა და სხვა, სასიამოვნო ურთიერთობებით გაჟღენთილ, ყოფითი სიტუაციების აღწერას. ბლაჟბას ცხოვრება და მოღვაწეობა, ქართველებისა და აფხაზების მეგობრობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების თვალსაჩინო მაგალითია. სწორედ ამიტომაც რომანი ფასეული, როგორც ისტორიული ასევე მხატვრული თვალსაზრისით.

ნაწარმოების სათაურიდან გამომდინარე, ტექსტის გაცნობამდე, ჩნდება მოლოდინი, რომ ნაწარმოებში მთავარი ფიგურა თუ არა, არანაკლები უნდა იყოს კატა. მაგრამ აღმოჩნდება, რომ ეს ცხოველი, მხოლოდ მთავარი გმირის ცხოვრების რალაც ეპიზოდში გამოჩნდება და მისი პრეზიდენტისეულობაც, ბლაჟბასთვის, ისეთივე იუმორით შეზავებული წარმოსახვაა, როგორც რძის ჩანჩქერის ან სასტუმრო ბაყაყების არსებობა სოხუმში.

ავტორი მიხეილ ბლაჟბას ადამიანური ურთიერთობების დიდოსტატს უწოდებს და აღნიშნავს, რომ სწორედ ასეთი კავშირების რღვევას სდევს ყველანაირი უბედურება. მისი გმირის გზა კი ავტორს ყველაზე მართალი ეჩვენება, რომელიც ნებისმიერი სიმწვავის პრობლემის და უთანხმოების საუბრით, მშვიდობიანი ხერხებით მოგვარებაზე გადის. ავტორი აღნიშნავს, რომ ნაწარმოებში არსად არაფერია ნაგულისხმები. უნდა ნაიკითხო და გაიგო ისე, როგორც წერია. წიგნი აგებულია სოხუმელთა მონათხრობ რეალურ ამბებზე. მათი თხოვნა იყო, რომ მიხეილ ბლაჟბა, როგორც კოლორიტი, სოხუმის ფოლკლორის გმირად ქცეულიყო. ნაწარმოებში უხვადაა შედარებები და ეპითეტები. მიხეილ ბლაჟბა შედარებულია იმ ანბანთან, რომლის შესანარჩუნებლადაც, უცხო ქვეყანაში გადახვენილი ქართველები მჭადებს ანბანის ფორმისას აცხობდნენ. „მიხეილ თემუროვიჩი მიმოფანტულია (ძირითადად სოხუმელებში). ზოგმა მხოლოდ ერთი ასო იცის ამ დამწერლობისა, ზოგმა ორი ან სამი. ერთად კი უკვე – არავინ [ოდიშარია, 2015:23]. ნაწარმოებში ასახული სოციალურ იერარქიული ეპოქა დღევანდელი წყობისაგან კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით განსხვავებულია. საქართველო დღეს დამოუკიდებელია, თუმცა, ამ ფაქტის შემდეგ, თითქოს მსხვერპლად მოითხოვაო, ისე დაიკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო. მწერლის შეფასებით ის, რაც მოხდა, ქართული პოლიტიკის დიდი შეცდომა და დანაშაულია, მიუხედავად კონფლიქტში რუსული პოლიტიკის და სხვა გარე ფაქტორების ჩართულობისა, რომელსაც მაშინ სიყვარული და მშვიდობიანი დიალოგი ვერ დაუპირისპირეს. ნაწარმოების რეალური გმირი, მიხეილ ბლაჟბა, ოჩამჩირის რ-ნის აფხაზურ სოფელში, გუფში იყო დაბადებული, მაგრამ თხემით ტერფამდე სოხუმელი იყო. სოხუმელები თვლიან, რომ თუ მათგან მსოფლიომ სიამოვნებით მიიღო საცივი, ელარჯი, აჯიკა, თეთრი და შავი ღვინო, რატომ არ უნდა გაიცნონ მიხეილ ბლაჟბა, რომელიც ისეთივე მნიშვნელობისაა სოხუმელებისათვის?! როცა შენი ქვეყნიდან საუკეთესო მდინარესავით გაედინება, უნდათ, არ უნდათ, გვერდს ვერ აგივლიან, ვერ დაგივინყებენ და სწორედ ამიტომ ისიც უნდა შესთავაზო, რაც შენ გსურს, რომ გადარჩეს! სოხუმელების აზრით, მიხეილ ბლაჟბა -სოხუმის კოლორიტი და მისივე ფოლკლორის გმირი, ნამდვილად იმსახურებს ხსოვნას და თუკი იქნება მიხეილ ბლაჟბა, იქნება სოხუმიც და, პირიქით.

კომუნისტური პარტია, მაშინდელი „ეპოქის გონება, სინდისი და ღირსება“, თვითონ ხსნიდა და ნიშნავდა მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკების ხელმძღვანელებს. ბევრმა მათგანმა თავისი სიტყვა თქვა და სერიოზული კვალი დატოვა თავისი მოღვაწეობით. მათ შორის იყო მიხეილ ბლაჟბაც. სტალინის ფოლადის პერიოდის გადმონაშთი კომპლექსებიდან არც ის იყო თავისუფალი, მაგრამ თავისებური ნიჭის, კომუნიკაციისა და დიპლომატიის უნარით შესძლო, გამოეძერწა სხვათაგან სრულიად განსხვავებული, იმ დროზე მისადაგებული თავკაცის სახე. მისი საუკეთესო თვისებებიდან ერთ-ერთი – მთელ ქვეყანასთან მეგობრობა, ან უკეთეს შემთხვევაში, მეგობრობის სურვილი იყო. თუ ეპოქა ადამიანს სხვა პლანეტაზე, სხვა გალაქტიკაში და კოსმოსში ეძებდა, ბლაჟბა მას იქვე, თავის გვერდით პოულობდა, იმეგობრებდა, სწავლობდა და ძერწავდა ისეთს, როგორც მის გუნება განწყობას შეეწყობოდა და შეესაბამებოდა, როგორც საქმეს გამოადგებოდა. მასზე მონათხრობების მიხედვით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სოხუმი ბლაჟბას გარშემო ბრუნავდა. ან, იქნებ შეიძლება ვთქვათ, რომ ის ბრუნავდა სოხუმის გარშემო და მასაც, როგორც

ადამიანებს, საუკეთესო კუთხიდან უმზერდა. მერე სხვებსაც ამ მხრიდან უჩვენებდა და ამგვარად, ჰარმონიულს ხდიდა ყოფას ქალაქისას, რომელიც ასე თუ ისე, მაინც კომუნისტური უღლის ქვეშ, როგორც მისი მოძმენი, ჩუმ-ჩუმად გმინავდა.

როცა აფხაზეთში ამერიკის გემომ „პეპსი კოლა“-თი დაიწყო შემოსვლა, ამერიკიდან ერთ-ერთი ვიზიტის შემდეგ დაბრუნებულმა ბლაჟბამ სოხუმელები „დაამშვიდა“ – ამერიკაც კარგად განვითარებული საბჭოთა კავშირია, სხვა არაფერიო... მისი ჰუმანური ბუნება ნაციონალური შუღლის მარცვალს გაღვივებისა და აღმოცენების ნებას არ აძლევდა სოხუმელებს. „ერთხელ ნილჩიკში ჰკითხეს – როგორ ახერხებთ, რომ ამდენი ეროვნება ხართ აფხაზეთში და მშვიდობიანად ცხოვრობთო. უპასუხა, – ჩვენ გვაქვს ღვინო „Вукет Абхазии“. ასეთი სახელი იმიტომ შევარქვით, რომ აქ ყვავილების თაიგულივით ვცხოვრობთ. ამ თაიგულში ყველა ყვავილს თავისი განუმეორებელი სურნელი აქვსო“ [ოდიშარია, 2015:98-99]. როგორ გვჭირდება დღეს ბლაჟბას მსგავსი მოაზროვნენი! ახლა ახალი ყვავილებია საჭირო ისეთივე თაიგულის შესაკრავად, რადგან იმ თაიგულიდან დაშლილ-დაფანტულ ყვავილებს დღემდე ვერ აღუდგენიათ ფერი და სურნელი... უბოროტო და იუმორნარევი იყო მიხეილ ბლაჟბას სიტუაციით ნაკარნახევი ტყუილი. ეს იყო მასალა, რომელმაც იგი გამოძრწა, როგორც სოხუმის კოლორიტი. ღიმილისმომგვრელია ნითელი აპარატით მისი „საუბარი“ ნიკიტა ხრუშჩოვთან, აქაფებული ჩანჩქერის რძის ჩანჩქერად გასაღება, ქალაქის ცენტრში „სასტუმრო ბაყაყების“ არსებობა, თიხის ქვევრის ზრდა და ა.შ. ავტორი თავს არ გვახვევს მისეულ შეფასებებს. რეალური გმირის, როგორც ინდივიდის ხასიათი ყველაზე უკეთ მისი მოქმედების ამსახველ დეტალურ ფაქტებში მჟღავნდება. ერთ-ერთი საინტერესო ისტორიაა ასაკით შეუფერებელ გაბუნიასა და მარგარიტას შორის ინტიმური ურთიერთობის შესახებ ხმაური, რომელმაც ცენტრალურ კომიტეტამდე მიაღწია, მაგრამ ამ საკითხისადმი ბლაჟბასეული შეფასება ფაქტზე მეტად სენსაციური აღმოჩნდა: – დაზარალებული, მამაკაცზე 20 წლით უფროსი მარგარიტა კი არაა, რომელსაც ამ გზით მისი ცოლობა გადაუნყვეტია, არამედ გაბუნიააო და, ამ უკანასკნელს კომპენსაციის სახით, პრემია გამოუწერა, მარგარიტა კი – დასასვენებლად გაუშვა...

მიხეილ ბლაჟბა, როგორც პიროვნება და როგორც ხასიათი, სხვადასხვა საკითხებისადმი თავისი საინტერესო, სატირულ-იუმორისტული მიდგომებით, სოხუმის სახეა. მისი შესისხლხორცებული ნაწილია. ერთხელ, არისტოტელეს საფლავის საპოვნელად მეცნიერები გაგზავნა ბიჭვინთაში. ფრანგი მეცნიერის, ჟან მელიეს აზრს, არისტოტელე იქაა დასაფლავებულიო, ქართველი მეცნიერი – ნამორაძეც იზიარებდა და ბლაჟბას სურვილი იყო, ეპოვნა ის დიდებული საფლავი, მაგრამ უძველესი სამარხების გარდა, მეცნიერებმა ვერაფერი იპოვნეს. ამის გამო დიდხანს ჰქონდა სინანული: „ნეტავ გვეპოვა... არისტოტელეს საფლავი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ასეულობით ზოგიერთი ცოცხალი მეცნიერი; ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ათეულობით ზოგიერთი ქალაქი; ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ასათასეულობით ზოგიერთი მრავალრიცხოვანი სუფრა, თუნდაც ჩემი თამადობით წარმართული.“ [ოდიშარია, 2015: 150].

იმ კითხვაზე კი, თუ როგორ შეიძლება პრობლემას მესამე თვალთ შეხედოს მოაზროვნე ადამიანი და მერე სხვებიც დაარწმუნოს თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, საინტერესო პასუხს გვაძლევს ბლაჟბასმიერი შეფასება ოჩამჩირეში პარტიული პიროვნების მიერ მეზობლის თხის მოპარვის საქმეზე. მან ქურდის მიმართ საოლქო კომიტეტის მიერ გამოტანილი განაჩენი – პარტიული რიგებიდან მისი გარიცხვა და მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხი გააპროტესტა. მისი პროტესტს სარჩულად ედო სტუმართმოყვარეობის წმიდათაწმინდა ტრადიციის არდარღვევის გამო ჩადენილი „დანაშაული“. გადანყდა, ე.წ. დამნაშავე დაბრუნებოდა პარტიულ რიგებს, რაც შეეხებოდა თხას – იგი სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით უნდა შეძენილიყო და დაბრუნებოდა დაზარალებულს, რადგან ვითომდა დამნაშავემ, ამ საქციელით ხომ სოფლის ღირსება დაიცვა!.. ალბათ, რეაბილიტირებული პიროვნებაც დარწმუნდებოდა თავის „უდანაშაულობაში“ და ბიუროს წევრებიც, თავისთავად, ისწავლიდნენ, რომ რასაც ხედავ და გესმის,

ყველაფერი მთლად ისეც არაა!.. პირდაპირი გაგებით არ უნდა შეაფასო. უნდა შეგეძლოს, საქციელს მიღმა წაიკითხო სხვა, ბევრად უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი. აშკარაა, ნაწარმოების რეალური გმირი მართლაც განსხვავებული ხედვის, ჩინოვნიკის ჩარჩოდან გადმოსული, უცნაურ-ფანტასტიური, ანუ გროტესკული პიროვნებაა. წინამორბედებისგან განსხვავებით საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია.

სოხუმის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი მდივანი ზედმინეწით სრულფასოვნად ფლობდა ყველა იმ თვისებას, რაც მას საქმის საუკეთესოდ წარმართვაში და ადამიანებთან კეთილგანწყობის შექმნაში წაადგებოდა. ერთ-ერთი მთხრობელი მას ასე ახასიათებს: „მიხეილ თემუროვიჩი კატას მაგონებდა – თავისებურად ალერსიანიც იყო და თავისებურად ეშმაკიც. ოღონდ მოსიყვარულე კატას ჰგავდა, საუკეთესო კატას – საუკეთესო ძაღლის თვისებებით“ [ოდიშარია, 2015: 44]. იგი ნებისმიერ პრობლემას მშვიდობიანი გზით და საუკეთესო ხერხებით აგვარებდა.

მიხეილ ბლაჟბა ასეთივე ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენს გალის კომკავშირის რაიკომის მდივნის მიმართ, რომელიც გულრიფში, გორაკზე შეფენილ ტყეში, კომკავშირელ ქალს აუპატიურებს. გალის კომპარტიის ბიურო მდივანს პარტიის რიგებს და თანამდებობას ერთდროულად ატოვებინებს, მაგრამ აფხაზეთს, როგორც საქართველოს გამორჩეულ კუთხეს, განსხვავებული შეხედულებების ადამიანი რომ ხელმძღვანელობდა, ეს ვერ გაითვალისწინებს. მართალია, მიხეილ ბლაჟბამ მდივანი არ გაამართლა, მაგრამ ბიუროს წევრები „გმირისადმი“ მკაცრი განაჩენის გამოტანაში დაადანაშაულა: „შემომამქვს წინადადება, აღვადგინოთ ის პარტიის რიგებში და გავაგზავნოთ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, სადაც, იმედია, კარგად შეითვისებს უმაღლეს პარტიულ ეთიკას და ასევე ისწავლის, თუ როგორ უნდა მოეპყრას ნამდვილი კომუნისტი ქალებს“.

ბიუროს სხდომიდან ერთი კვირაც არ იყო გასული და ყოფილი მდივანი უკვე, მოსკოვში, სასწავლებელში იმყოფებოდა. ბუნებრივია, „გმირს“ არასოდეს დაავინყდებოდა ის, რომ ერთი მარცხის გამო არ განირეს. მისთვის უმაღლესი ეთიკისა და ჰუმანურობის გაკვეთილი სწორედ ასეთი მოპყრობა იყო. ადამიანებისადმი, და არამარტო მათდამი განსხვავებულმა მიდგომამ და დამოკიდებულებამ აქცია მიხეილ ბლაჟბა სოხუმში მოარულ ლეგენდად. მისთვის უცხო იყო ჩინოვნიკებისთვის დამახასიათებელი თვისებები, მანერები და შესტები. მან სწორედ ასეთი ადამიანური თვისებებით დაამახსოვრა ხალხს თავი. ქუჩაშიც კი არასოდეს მიუტოვებია უპატრონო ცხოველი. არც ბავშვობის მეგობარს, შვილის სიკვდილითა და რევმატიზმით დატანჯულ ზინაიდა ნიკოლაევნას ივინყებდა – უნამლოდ არასოდეს დაუტოვია. ერთხელ ოლეანდრის ბურჩქვებქვეშ ნაპოვნი წითური, დიდი კატა მიუყვანა – ამერიკაში ყოფნის დროს ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ მარჯა, დიდი ბიოველი აქვს, ყველაფერს კურნავს, გვერდიდან არ მოიშოროო. შეგიძლია ჯონი დაუძახო, ან უბრალოდ – პრეზიდენტის კატაო... ზინაიდა ნიკოლაევნაც ასე მოიქცა და ერთი თვის თავზე, უკვე კატასთან ერთად გარეთ დასეირნობდა. ბუნებასთან და ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული უნარის გარდა, მიხეილ თემუროვიჩი, როგორც თავისი საქმის პროფესიონალი, მეცნიერებაშიც თავის სიტყვას ამბობდა. იგი, როგორც მეცნიერი, მცენარეთა ორგანიზმის კარკასის აგების გამოცანით, ციტრუსთა და ცხოველთა შეჯვარებით, მრავალწლიან მცენარეთა მსხმოირობის დაჩქარებაზე და ამ კუთხით სიახლეების ძიებით იყო დაინტერესებული. საათობით იყო ჩაკეტილი ლაბორატორიაში. მისთვის ეს იყო უდიდესი სიამოვნება. კომფორტი. მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ კონფერენციებში. ჯერ კიდევ სტუდენტს, თავისი ორატორული ნიჭით, სტალინი მოუხიბლავს. ეს იყო ადამიანი, რომლისთვისაც ადამიანური ღირებულებები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე თანამდებობა. გულშემატკივრობდა ყველას და ყველაზე მეტად გაჭირვებასა და განსაცდელში მყოფთა თანადგომა ანიჭებდა სიმშვიდეს. „გამომიგზავნე ყველა უსახლკარო და იმედდაკარგული, ყველა მიუსაფარი და ლტოლვილი! მათ მოლოდინში ჩირაღდნით ხელში ვდგავარ ოქროს კარებთან, სუნთქვაშეკრული, გულისცემაჩქარე-

ბული“ [ოდიშარია, 2015:147]. ზურგით ხმელეთთან და პირით ზღვისკენ მდგომი მიმართავდა იგი მზეს – მანათობელს.

ნანარმოები საუბარია ორ სოხუმზე. ომამდელ სოხუმზე და ომით თავზარდაცემულ სოხუმზე. პირველი სოხუმი ბედნიერებით აღსავსე, სიცოცხლიუნარიანი, ამაყი, მხიარული, დიდებული მასპინძელი თვით ფიდელ კასტროსი და მაქსიმ გორკისა. სადაც „ზღვა იყო ისეთი, თითქოს სადღაც, ძალიან ახლოს ღმერთი დასეირნობსო“ [ოდიშარია,2015:102]. ადამიანებთან ურთიერთობის დროს ღმერთს ვხედავო, – ბლაჟბა ამასაც ამბობდა. და კიდევე: „ადამიანებს ძერწავენ თავიანთი მტრები. დიდება მათ და სიყვარული! მაგრამ მე რომ არა მყავს ისინი?“ [ოდიშარია:2015:180]. და მას სოხუმში ეწვია კაცობრიობის მტერი – ომი!.. მანამდე კი უამრავი გეგმის შემუშავება მოასწრო. ბოლო პერიოდში, სხვებთან ერთად, ბებეისირის ტბის გამოყენების პროექტი შეიმუშავა. ბებეისირის აკადემიის ეზოში ეკლესიის აგებას გეგმავდა. თუ ბზიფისა და კოდორის აუზიდან გატანილი ხე-ტყით იერუსალიმსა და საფრანგეთში აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს, რატომ აქ, აფხაზეთში არ უნდა აშენდესო. კიდევე ალექსანდრე მაკედონელის მიერ დამსხვრეული დოქის ნატეხებს, მარიამ მაგდალელის ჩასაქოლად აღმართულ ქვებს და პირველ ბორბალს ნატრობდა – მუზეუმს სამივეს ცალკე-ცალკე ავუშენებდიო. 1991 წელს ბებეისირის აკადემია შეიქმნა. საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომელიც 1992 წლის ნოემბერში იყო დაგეგმილი, მსოფლიო ბიოლოგიის აქტიური პრობლემები უნდა განეხილა, მაგრამ 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი დაიწყო. „და ვერავინ გაიგო, როგორ მოეპარა ომი ქალაქს, როგორ შემოსრილადა, შემოგრუხუნდა, შემოხრილადა“ [ოდიშარია, 2015:256]. ზღვამ ხმამაღლა ფიქრის უნარი დაკარგა, ქალაქმა კი – სურნელიო – საინტერესო შედარებებით ამდიდრებს ტექსტს ავტორი. და ქალაქი, რომელიც ხვალინდელი დღის გეგმებს ადგენდა და მომავალს ძერწავდა, ცეცხლის ალმა მოახრჩო... მიხეილ ბლაჟბა, რომელიც ვერასდროს წარმოიდგენდა ცეცხლის ალში გახვეულ სოხუმს თვალს ვერ უსწორებს რეალობას. სოსიკს სთხოვს, უშველოს. ვერ გარკვეულა, ვერ აუხნია რა ხდება... „ადრე სიკვდილის მეშინოდა, სოსიკ, ახლა სიცოცხლის მეშინია“ [ოდიშარია,2015:264]. ერთ დროს უბედნიერესმა კაცმა განიცადა შიში, შიმშილი, უზომო ტკივილი ბედნიერი და მჩქეფარე ქალაქის თავზე დამსობისა. 1993 წლის პირველივე დღეს, მის განუყრელ მეგობარს-სოსო კაპანაძეს დაუბარა, სად უნდა დაესაფლავებინა. მას უნდა ეზრუნა იმაზეც, რომ ყველას გაეგო ვინ იყო იგი. სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ მისი ორი რესტორანი – „ემერა“ და „მერხეული“ ერთმანეთს რეაქტიულ ჭურვებს სთავაზობდნენ, მსგავსად ენგურის გაღმა-გამოღმა მყოფი ქართველებისა. ასე იყო მისი დაკრძალვის დღესაც. მცირერიცხოვან პროცესიას, ზინაიდა ნიკოლაევნა, პრეზიდენტის კატის შვილიშვილის შვილიშვილით ხელში მიჰყვებოდა.

ნანარმოები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რას განიცდიან ბუდეაშლილი, იძულებით გადაადგილებული ადამიანები. რა ახსოვთ, რა ენატრებათ... „პრეზიდენტის კატა“ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მეტად საინტერესოდ მოგვითხრობს ომამდელ სოხუმზე. კონკრეტული გმირი, რომელიც ომამდელი სოხუმის სახეა, საინტერესო ფიგურას წარმოადგენს, როგორც ადამიანური რესურსებით, ასევე მეცნიერისა და დიპლომატი პოლიტიკოსის თვალსაზრისით. მისი ზრუნვა აფხაზეთის, კონკრეტულად სოხუმის განვითარებაზე, შეუფასებელია. დღევანდელი თაობა, რომელმაც სოხუმის შესახებ ცოტა რამ იცის, ინტერესით წაიკითხავს ნიგნს, რომელიც შეავსებს და გაამდიდრებს მის წარმოდგენებს სოხუმზე. მიხეილ ბლაჟბა – კაცი, რომელიც არაფრით არ ჰგავდა წინამორბედ სახელმწიფო მოხელეთ და ვისთვისაც უმთავრესი იყო ადამიანი, როგორც ინდივიდი.

ეთნიკური კონფლიქტის თემაზე შექმნილი ნანარმოებების განხილვა, რომელიც ავტორის არატენდენციური შეხედულებებითაა გაჯერებული, საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ XX საუკუნის ლიტერატურას და შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ. აზრთა სხვადასხვაობას ინვევს და სხვადასხვა ლიტერატურაში სხვა სარჩულით წარმოჩნდება ის, თუ რას განიცდიდნენ ომში ისინი, ვისაც გუშინდელი ძმების წინააღმდეგ ბრძოლა უწევდათ. რა და ვინ იყო იმისი მიზეზი, რასაც ბუ-

დეაშლილი ადამიანები იძულებითი გადაადგილების შედეგად განიცდიან, რა იქცა მთელი ერის ტრაგედიადა და რას ვერ ივინყებენ სოხუმელები. როგორ ცოცხლდება ავტორის ქვეცნობიერში დარჩენილი სოხუმი“ პრეზიდენტის კატა“-ში, სადაც ნათლად სჩანს თუ როგორი იყო ომამდელი აფხაზეთი, კუთხე იმ ქვეყანისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ინტერესთა არეალში იმყოფებოდა. წიგნს ხიდის მისია აკისრია – მას ერთნაირი ინტერესით და თანაგრძნობით კითხულობს როგორც ქართველი, ასევე აფხაზი. გრძნობა, რომელიც წიგნის წაკითხვის შემდგომ ჩნდება – ესაა უდიდესი სიყვარული ადამიანებისადმი. ნაწარმოებებში დასმული პრობლემური კითხვები ითხოვს პასუხს, ანალიზს. გამომწვევი მიზეზების, შედეგებზე პასუხისმგებლობის და ერთმანეთთან დასაბრუნებელი გზების ძიების ობიექტური მიდგომები შესაძლებელს ხდის, გახსნას კარი, რომელიც მესამე ძალამ ჩაკეტა.

ამგვარად, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ომის თემაზე შექმნილი საანალიზო მასალის შესწავლა-მიმოხილვით ვეცადეთ, მცირე წვლილი შეგვეტანა XX საუკუნის ქართულ, კონფლიქტის თემაზე შექმნილ პოსტმოდერნისტული ლიტერატურის საერთო სურათის შექმნაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოდიშარია გ., „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“, ლომისი, 1997.
2. ოდიშარია გ., „ძმისშვილი“, ლომისი, 1997.

ლიდა კანთელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ პაიჭაძე

ფერთა სიმბოლიკა ტიციან ტაბიძის პოეზიაში

*„ყოველ ფერს თავისი ხასიათი აქვს და თუ ადამიანი კარგად
დაუკვირდება ფერთა ჩანაფიქრს მის წინ გადაიშლება მთელი
გრძნობათა სამყარო“ – გოეთე*

ფერს, როგორც გამოსახვის საშუალებას, აქტიურად იყენებს ხელოვნების სხვადასხვა დარგი. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ლიტერატურა და განსაკუთრებით, პოეზია. „პოეზიისათვის ფერი, გამოსახვის მრავალფუნქციურ საშუალებას წარმოადგენს და ავტორის შემოქმედებით ინდივიდუალობას, სამყაროს აღქმის თავისებურებას უსვამს ხაზს“ ([https:// docs.google. com/ do-
cument/d/18XEoCMet3oAyxsr33UokTZeC_aVupbpAO84zE_fTMZI/edit](https://docs.google.com/document/d/18XEoCMet3oAyxsr33UokTZeC_aVupbpAO84zE_fTMZI/edit)).

ამ მხრივ, საინტერესოა ტიციან ტაბიძის პოეზიაშიც. მის ლექსებში ფერთა უმეტესობას განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, როგორც ლექსის მხატვრული აღქმის, ასევე თვით ლირიკული გმირის ხასიათისა და მისი სულიერი სამყაროს შესაცნობად. ლირიკული გმირი საკუთარ განწყობილებას, ფიქრებსა და ემოციებს უკავშირებს კონკრეტულ ფერს. მართალია იოჰანეს ტენი, როცა წერს: „ფერი უნდა განვიცადოთ, არა მხოლოდ მხედველობით არამედ ფსიქოლოგიურად და სიმბოლურად“ (<http://colorscheme.ru/art-of-color/postscript.html>).

ტიციან ტაბიძის პოეზიაში ხშირად გვხვდება თეთრი და შავი ფერი, შედარებით იშვიათად, მაგრამ ჩნდება ლურჯი, მწვანე, ცისფერი, ყვითელი და წითელი ფერებიც. აღსანიშნავია, რომ ეს ფერები არა მხოლოდ სიმბოლური, არამედ მხატვრული დატვირთვითაც გამოირჩევა.

შავი, ისევე როგორც, ფერთა დიდი ნაწილი ამბივალენტურობით ხასიათდება. სიმბოლიკის თვალსაზრისით შავი ფერი ნეგატიური მნიშვნელობით არის: გლოვის ფერი, სიცარიელის, ცოდვის, შიშის, ნგრევის, ბოროტების, უბედურების, დარდის, სიკვდილის, სასონარკვეთილების, მწუხარების... სიმბოლური ფერი. მას დემონურ ფერად მიიჩნევდნენ (თეთრის საპირისპიროდ), „შავი ფერი ომისა და ბრძოლის ხერხადაც იხმარებოდა“ (ვიქტორ ნოზაძე). კანდინსკის აზრით, „შავი ფერი უღერს როგორც ყოველგვარ შესაძლებლობას მოკლებული არარა, როგორც მომავლისა და იმედის არ მქონე დუმილი... შავი არის რაღაც ჩამქვრალი, როგორც დამწვარი კოცონი; რაღაც უმოძრაო, როგორც გვამი... ის გარეგნულად ყველაზე არამყლერი ფერია“.

პოზიტიური მნიშვნელობით, აღმოსავლეთში იგი ასოცირდება: სილამაზესთან, სიმშვიდესთან, დასვენებასთან, სიხარულთან (იაპონია), მუსლიმთათვის შავი სიყვარულის ფერია „თვალის სიშავე“ (საყვარელი ადამიანი), გულის სიშავე (სიყვარული).

ტიციან ტაბიძის პოეზიაში შავი ძირითადად ასოცირდება ისეთ უარყოფით განცდებთან როგორიცაა: სიკვდილი, მწუხარება, წყვდიადი, მარტოობა, სევდა, უიმედობა და უმოძრაობა. მის ლექსებში უგულებელყოფილია ამ ფერის პოზიტიური სიმბოლური მნიშვნელობით გააზრება. აქ შავი ჩნდება გლოვის, სიკვდილის, დაკრძალვის სიმბოლურ ფერად. მოვიყვანთ შესაბამის ამონარიდებს ლექსებიდან: („თავს დაგვტრიალებს სიკვდილი შავი“, „შავი გლოვის წერილი“, „შავი ძაძები ჩაუცვამს მყინვარს“, „მაგრამ სიკვდილსაც, შავ სიკვდილსაც/ აქვს გაზაფხული“, „შავი ლამეა, ცა გლოვობს / ძაძა მოუსხამთ მაღალ მთებს“, „შავ სარეცელზედ სიკვდილისმლოდე, / ვეგდე ბედშავი

სული მხდებოდა“, „ჩემ წინ განრთხმულა შავი სამარე“, „კავკასის მთას, ცაში აგრანგინის, / შავ ფიქრთან პყრობილს მოსავს ძაძები“, „შავი ფიქრების შავი გრეხილი / შემოექარგა ჩემდა მაშვრალ სულს“).

„დათვლილია დღე შენი მეფობის,
თავს დაგვტრიალებს სიკვდილი შავი
ძრწოდე, ვადასტარ... ახლოა ჟამი,
გახვალ სოფლისგან, გშთანთქავს საფლავი...“
(„ძრწოდე ვალტასარ“)

(ტაბიძე ტიციან. პოეზია ტ. I., თბილისი, 2012)

„რა დამავინწყებს იმ შავ გაზაფხულს
ბედი უბედურს სხვას რალას უზამს,
ვტირი სიცოცხლეს კუბოს დამარხულს,
გაუხარებელ, დაფლეთილ მუზა...“
(„თამუნია წერეთელს“)

(ტაბიძე ტიციან. პოეზია ტ. I., თბილისი, 2012)

ნაძვი მაღალი, ცად ატყორცნილა
ალარ ინძრევა, ალარ ქანაობს,
შავი ფიქრებით გარემოცული
იზნიქება და ნაქცევას ლამობს...
(„მწუხარება“)

(ტაბიძე ტიციან. პოეზია ტ. I., თბილისი, 2012)

ზოგჯერ, მის ლექსებში შავი ფერი პირდაპირ არ არის დასახელებული, თუმცა ამ ფერის ასოციაციას ქმნის: სიბნელე („ბნელი ლამეა...“, „ჩემზე სტირიან ეს თვალები თავის ლამეში“, „ლამის სიბნელეს შექვითინებს ცა“); წყვილი („მე კი წყვილია მიბურავს თვალებს“); აღსანიშნავის, რომ გოეთე შავს, ისევე, როგორც თეთრს საერთოდ არ აღიქვამდა ფერებად. მისთვის ისინი აბსოლუტურ სიბნელეს და აბსოლუტურ სინათელს წარმოადგენს, ფერები მათ შორისაა განთავსებული.

ტიციან ტაბიძის პოეზიაში შავი ფერის სიმბოლური აღქმა მომდინარეობს დამკვიდრებული ტრადიციიდან, რომლის მიხედვითაც შავი ფერი არის ყოველგვარი უბედურების საწყისი ფერი.

ფერებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, საინტერესოა ლექსი „ლურჯი ედემი“, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ლურჯი, მწვანე და ნეგატიურად ემოციებით დატვირთული რუხი ფერი.

ლურჯი ტიპური ზეციური ფერია; ტიციან ტაბიძის ლექსშიც ის ედემის ფერია, იდემალების, იმედისა და მარადიულობის სიმბოლო. გოეთეს „ფერთა სწავლების“ თანახმად, ლურჯი ყველაზე სევდიანი და სერიოზული ფერია, ამშვიდებს და ხშირ შემთხვევაში, ადარდიანებს (<https://ferebi-damxatvroba.blogspot.com/>). ლურჯი სიმშვიდის ელემენტს წარმოშობს, მაგრამ არა ისეთს, როგორსაც მწვანე – რომელიც კანდინსკის აზრით, მიწიერი თვითკმაყოფილი სიმშვიდეა. ლურჯი ზემინიერი ჩაღრმავების ფერია.

მას ყველაზე წმინდა და ცივ ფერად მიიჩნევენ. ლუშერის აზრით, ლურჯი ტიპის იდეალია სიმშვიდე, ჰარმონია, სულიერი სიახლოვე და მისწრაფება ერთობისკენ. მწვანე ტიპის იდეალი კი არის სწრაფვა თვითდამკვიდრებისკენ, მდგრადობა, სტაბილურობა და მომავალი დღის იმედი. მწვანე ლურჯი ელფერით გახდა ფსიქოლოგიური დაძაბულობის გამოვლენის ინდიკატორი. მწვანის უარყოფა ნიშნავს საკუთარი ძალის რწმენის, მოთმინების დაკარგვას და თითქმის შიშსაც კი საკუთარი უძლურებისადმი. (<https://dendroni.ge/statiebi/article/6216-fertha-simbolika>).

ტიციან ტაბიძის ლექსში „ლურჯი ედემი“ – მწვანე ბავშვობასთან, სილალესთან, პირველ სიყვარულთან, უდარდებლობასთან, თავისუფლებასთან ასოცირდება („მჯერა, მწვანეა ალერსის ბალი, / ვნების გრიგალი დაგვნივის თავზე // მაინც ვოცნებობთ ბავშვობის დროზე, / მიველტვით მწვანეს ბავშვობის კუნძულს // მწვანე ედემი, ლურჯი ედემი, / ბავშვობა ლალი, თავისუფალი“); ლურჯი კი სინმინდის, სიყვარულის, სიმშვიდის, იდუმალებისა და იმედის სიმბოლურ ფერია („ისევ წინ გვიძღვის იმედის გემი, / პირველი გრძნობის ლურჯი ედემი!“). მაგრამ, მაინც მელანქოლიური, სევდიანი ტონი დაჰკრავს ლექსს, ეს სევდა კი რუხი ფერის შემოტანით უფრო ძლიერდება („რუხ ფრთიანმა დრომ მოგვდგა ლაგამი“). კანდინსკის აზრით, „ლურჯი ფერი შავისაკენ გადახრის დროს არაადამიანური სევდის / განცდის ელფერს იძენს...“ ეს სევდა გამოწვეული წარსულისა და აწმყოს ერთგვარი შეპირისპირებითი გააზრებით, ბავშვობა და მასთან დაკავშირებული ემოციები პოეტს მწვანე და ლურჯ ფერებში აქვს გააზრებული, ხოლო „რუხ ფრთიანი დრო“ მისი მწუხარების მთავარი მიზეზია. მიუხედავად ამისა, ლექსის დასასრულით აშკარაა, პოეტის პოზიტიური განწყობილებანი, მას იმედის გემი კვლავ წინ უძღვის და ისევ ჩნდება ლურჯი ფერი, ჰარმონიის, მარადიულობისა და იმედის სიმბოლო.

ზემოთ აღნიშნული ფერების გარდა, ტიციან ტაბიძის პოეზიაში მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია თეთრი ფერიც.

თეთრ ფერს ხშირად როგორც არაფერს, ისე განიხილავენ (განსაკუთრებით იმპრესიონისტები, რომლებიც ბუნებაში ვერანაირ თეთრს ვერ ხედავენ). კანდინსკის აზრით, იგი ისეთი სამყაროს სიმბოლოს ჰგავს, სადაც ყველა ფერი, მატერია და სუბსტანცია გამქრალია და საიდანაც დიდი დუმილი მოდის. ეს არის დუმილი, რომელიც მკვდარი კი არა, შესაძლებლობებით აღსავსეა. „ტყუილად არ იქნა თეთრი, როგორც წმინდა სიხარულის და ულაქო სისუფთავის ფერად შერჩეული; ხოლო შავი დიდი, ყველაზე მძიმე სევდისა და სიკვდილის სიმბოლოდ“.

თეთრი ფერი ტიციან ტაბიძის პოეზიაში უმეტესად სევდიან განწყობილებებთან ასოცირდება, თუმცა არის შემთხვევები, როცა თეთრი არის ბედნიერებისა და სილალის, გაზაფხულის ფერიც:

„ერთად ჰყვავიან: ატამი, ვაშლი,
თეთრ ყვავილების დგანან ზვირთები.
ფეხი აუდგამს ბედნიერებას
და ყოველ კაცის შედის ეზოში“
(„და ბელადობას, ტელმან, გავალეხს“)

(ტაბიძე ტიციან. პოეზია ტ. I., თბილისი, 2012)

დამკვიდრებული თვალსაზრისით თეთრი რთული ფერია, მისი სირთულე ამბივალენტურობაშიც გამოიხატება და მას უარყოფითი მნიშვნელობებიც აქვს. სწორედ ასეთი სირთულით ვლინდება ტიციან ტაბიძის პოეზიაში თეთრი ფერი. ერთი მხრივ, იგი ისეთ დადებით ემოციებთან არის დაკავშირებული, როგორცაა: სიყვარული, სინმინდე, სილამაზე, იდუმალება, სიმშვიდე, სიჩუმე, სრულყოფილება („უაილდის პროფილი... ცისფერი თვალები, / სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა“, „ვეუახლოვდები ასე დარუბანდს, / ერთად მივეყვარ თეთრ ცას, თეთრ აპრილს; // ვხედავ ატმების მორევს გაუვალს, / სულეიმანის წვერებზე დაყრილს“...)

მეორე მხრივ, ნეგატიურ კონტექსტში თეთრი ცივი ფერად გაიზრება, ასოცირდება თოვლთან, ყინულთან. თეთრის ბუნება ისეთია, თითქოს შთანთქავს, ანეიტრალეხს ყველა დანარჩენ ფერს. თეთრის უარყოფითი მნიშვნელობებია: სიცარიელე, უსხეულობა, უმოქმედობა, ბოროტება, ავადმყოფობა, გაუცხოება, ცივი დუმილი, ტანჯვა და სიკვდილი.“ (<http://www.psynavigator.ru/articles.php?code=472>; <http://artclubrd.ucz.ru>; <http://zhurnal-razvitie.ru>; <http://www.psynavigator.ru/articles.php?code=472>;)

უარყოფითი კონტექსტში თეთრი ფერის გააზრების საუკეთესო მაგალითია, ლექსი „თეთრი სიზმარი“

დღესაც საკუთარს მივსდევთ ჩვენ კუბოს,
სასაფლაოს გზა რად არ ილევა!..
სივრცე არ არი, რომ დაიგუბოს -
სასომიხდილი მუქარა, წყევა!..
თეთრი აჩრდილი მისდევს ჩვენს კორტეჟს
თეთრი აჩრდილი – თეთრი მადონის.
გზა არ ილევა... თუმც მენამულ მზეს
აჰა, საცაა ზღვა დაინონის.

(„თეთრი სიზმარი“)

(ტაბიძე ტიციან. პოეზია ტ. I., თბილისი, 2012)

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში, თეთრი ფერი ასოცირდება სევდიან განწყობილებასთან, სიკვდილთან, მენამულ მზესთან (რომელიც, ასევე სიკვდილის სიმბოლოა), მაგრამ ამასთანავე, უშუალოდ თეთრი ფერით აღქმული მადონა, თეთრი აჩრდილი, ჩვენი აზრით, თავის თავში სევდასთან ერთად მოიცავს რაღაც იდუმალი მშვენიერების განცდასაც.

საინტერესოა, რომ ხშირად თეთრ ფერს პოეტი მშვენიერებასთან, სინმინდესთან, დადებით ემოციებთან აკავშირებს, მაგრამ საერთო კონტექსტში ლექსის პოზიტიურად აღქმა ვერ ხერხდება. ტიციან ტაბიძის ლექსებში, თეთრი ფერის ამბივალენტური აღქმა საკმაოდ ხშირად გვხვდება. ამ მხრივ საინტერესოა, ლექსი „სენტიმენტალური მოგზაურობა“:

„თეთრ ზამბახების დგანან ფარდები,
გააქვთ შრიალი პალმების ქოლგებს,
და ისე ყრია თეთრი ვარდები,
თითქო ათასი აქ გედი მოკლეს“

(ტაბიძე ტიციან. პოეზია ტ. I., თბილისი, 2012)

სიმბოლიკის თვალსაზრისით, თეთრი ვარდი–გამოხატავს უმანკობას, სინმინდეს, სისპეტაკეს და გულწრფელობას. სუფთა გრძნობების სიმბოლოა. ამ ლექსშიც, თეთრი ზამბახი, თეთრი ვარდი სილაზის, სრულყოფილების განცდას ტოვებს, მაგრამ პოზიტიურ აღქმას კვლავ ცვლის უარყოფითი განცდები, დაკავშირებული სიკვდილთან, და თეთრი ვარდების მშვენიერებას პოეტი შედარების მხატვრული ხერხის გამოყენებით გედის სიკვდილთან აკავშირებს (თუმცა, თავის მხრივ, ესეც უმშვენიერესი პოეტური სიმბოლოა), საბოლოო ჯამში, კი ლექსი სევდიანი განწყობილებებისა და განცდების გამომხატველი ხდება, რაც სათაურიდანაც შესამჩნევია.

თეთრი ფერის მსგავს აღქმას შევამჩნევთ ლექსში: „მასკარადი“, სადაც იგი, ერთი მხრივ, ბავშვობასთან ასოცირდება („თეთრ ყვავილებით რომ ვაგებდი ეზოში ლოგინს“), მეორე მხრივ, კი ამკარაა ლექსის სევდიანი ელფერიც („აღარ დაბრუნდეს ან იგი დრო ჩემს სიცოცხლეში,/ აღარ დაუნყებს სული ჩემი საყვარელს ლოდინს!..“).

თეთრი სისპეტაკესთან, სინმინდესთან, სიყვარულთან, რწმენასთან ასოცირდე ლექსში „ნომბერი“ („გამოილოცა უკვე მამამ, – შაბათი არი / და თეთრ წვერებზე თითქო მოჩანს ლოცვა დამდნარი“), მაგრამ ლექსში ისევე ჭარბობს უარყოფითი განცდები („დაბნელდა, თვალი გარეშემო ვერაფერს ხედავს,/ კუდიანივით ქარიშხალი მიდამოს სწენავს. // ქარვის ტალახში ეფლობიან მძიმედ ფეხები, / ყვითელ ფოთლებში მე ვიხრჩვები და ვიმარხები“.).

მოყვანილი მაგალითებიდან შესამჩნევია, რომ ტიციან ტაბიძე, თეთრ ფერს აღიქვამს რთულ ფერად. უკავშირებს მას, ერთი მხრივ დადებით განცდა-ემოციებს და მეორე მხრივ, წარმოგვიდგენს

სევდიანი განწყობილებების გამომხატველ სიმბოლურ ფერად. რომელიც არსებულ პოზიტიურ განცდებს ანელებს, ამქრალებს და საბოლოო ჯამში, მთელ ლექსზე ავრცელებს მელანქოლიურ განწყობილებას, იჩრდილება თეთრი ფერით გამოხატული დადებითი განწყობილებანი.

ტიციან ტაბიძის პოეზიაში გამოყენებულ სიმბოლოთა შორის ფერები პირველ ადგილზე ნამდვილად არ დგას და შესაბამისად ფერთა სიმბოლოურად აღქმის შემთხვევებიც არ არის ხშირი, მაგრამ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, პოეტის დამოკიდებულება ამა თუ იმ ფერისადმი; ჩვენ ვიცით, რომ „სიმბოლური სახის დეკოდირება შეუძლებელია განსჯაზე, ლოგიკაზე „მიძალებით“, ის ღრმად და არ წარმოადგენს ცნების საბოლოო ინტერპრეტაციას“ (თამარ პაიჭაძე); მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ შეგვიძლია მივუახლოვდეთ სიმბოლოს, სიმბოლოურად აღქმა საგნებისა თუ მოვლენების, თუნდაც ფერების და მათი ინტერპრეტაციის ცდები ავტორის ღრმა შინაგან სულიერ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მის ემოციებს და განცდებსა გვითვალისწინებს. მართალია კანდინსკი, როცა წერს: „ფერს გამოუკვლეველი, მაგრამ უდუდესი ძალა გააჩნიაო“.

მაქს ლუშერის (ფერთი ტესტი) აზრით, „იმის საფუძველზე თუ რომელ ფერს ანიჭებს აღმქმელი უპირატესობას, შესაძლებელია ზუსტად განისაზღვროს მისი ემოციური მდგომარეობა და პიროვნული ხასიათის ნიშნები. ეს ფაქტი კი ფსიქოლოგიური მდგომარეობის განმსაზღვრელიცაა“ (<http://www.test-lushera.ru/colors/blue/>).

ტიციან ტაბიძის პოეზიაში ფერები ძირითადად სევდიან განწყობილებასთან არის დაკავშირებული, (შავი, თეთრი, წითელი...), თუმცა შესამჩნევია პოზიტიური სიმბოლური მნიშვნელობითი გამოყოფილი ფერებიც (ლურჯი, მწვანე...), ამასთანავე მის ლექსებში, ზოგჯერ ერთი და იმავე ფერი, ხან დადებითი განწყობილებების გამომხატველი ხდება, ხანაც უარყოფით ემოციებთანაა დაკავშირებული (თეთრი), საბოლოო ჯამში კი ისინი (ფერები) ლირიკული გმირის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას გამოხატავენ. თუმცა, „ფერის ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე უკავშირდება არა მხოლოდ მის ემოციებსა და ხასიათს, არამედ შემეცნებით პროცესებს და უპირველეს ყოვლისა – აზროვნებას“.

(https://docs.google.com/document/d/18XEoCMet3oAyxsr33UokTZeC_aVupbpAO84zE_fTMZI/edit).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბეგაშვილი 2017; ბეგაშვილი მ: „ფერთა სიმბოლიკა“: <https://dendroni.ge/statiebi/article/6216-fertha-simbolika>
2. კანდინსკი 2013; კანდინსკი.ვ: „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“/ მთარგმნელი ლევან ღამბაშიძე. გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“. თბ., 2013.
3. ლეთოდიანი 2016; ლეთოდიანი ანა: „შავი ფერის გააზრება ტერენტი გრანელის შემოქმედებაში“; X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები; მოდერნიზმი ლიტერატურაში. გარემო, თემები, სახელები (სიმპოზიუმი მიეძღვნა გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 125 წლისთავს). მასალები. თბილისი, 2016 (იბეჭდება).
4. ლეთოდიანი 2015; ლეთოდიანი ანა: „ლურჯი ფერის გააზრებისათვის ტერენტი გრანელის შემოქმედებაში“. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება; ქ. ქუთაისი. 2015 წ. მასალები; გვ. 217-221.
5. ლეთოდიანი 2014; ლეთოდიანი ანა: „თეთრი ფერის გააზრებისათვის ტერენტი გრანელთან“; საერთაშორისო კონფერენცია – „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში – II“, ქ. ბათუმი, 2014 წ., მასალები; გვ. 376-379.

6. ლეთოდანი 2015; ლეთოდანი ანა: „ყვითელი ფერის გააზრებისათვის ტერენტი გრანელის შემოქმედებაში“. ლექსმცოდნეობა. ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეშვიდე სამეცნიერო სესია. თბილისი 2014/2015 წ. მასალები; გვ.86-94.
7. ლუშერი; Люшер Макс. Цетовой тест Люшера. <http://www.test-lushera.ru/colors/blue/>;
8. ნოზაძე; ნოზაძე ვ: „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“.
9. პაიჭაძე 2009; პაიჭაძე თ: „ქართველი ლირიკოსები“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
10. პაიჭაძე 2018; პაიჭაძე, თ: „მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.
11. ტაბიძე 2012; ტაბიძე, ტ: პოეზია ტ. I, თბილისი, 2012.
12. ტენი: <http://colorscheme.ru/art-of-color/postscript.html>
13. ჯალიაშვილი: ჯალიაშვილი მ.: http://maiajaliashvili.blogspot.com/2011/01/blog-post_9739.html
14. <https://presa.ge/new/?m=&AID=8981>
15. <http://www.psynavigator.ru/articles.php?code=472>;
16. <http://artclubrd.ucz.ru>; <http://zhurnal-razvitie.ru>; <http://www.psynavigator.ru/articles.php?code=472>
17. <http://ferebi-da-mxatvroba.blogspot.com/>

ლალი კუკავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ პაიჭაძე

ავტოპორტრეტი, როგორც თვითგამოხატვის ერთ-ერთი საშუალება ცისფერყანწელთა შემოქმედებაში

ავტოპორტრეტი – ქმნილება, სადაც ასახვის ობიექტი თავად ავტორი ხდება. აქ იგი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს საკუთარ თავს. ავტოპორტრეტი ერთნაირად ეკუთვნის მხატვრობას, სკულპტურას, ლიტერატურასა და ფილოსოფიას. ვიცით ცნობილი მხატვრების მიერ შესრულებული, შედეგებად ქცეული ავტოპორტრეტები.

რაც შეეხება ლიტერატურულ ავტოპორტრეტს, იგი ერთგვარ მხატვრულ აღსარებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამგვარი აღსარებანი დაუწერიათ ვიიონს, შექსპირს, პუშკინს, ლერმონტოვს, ბოდლერს და ა.შ. საქართველოში კი სიმბოლისტთა „სავიზიტო ბარათად“ იქცა.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში, „მე სარკეში“, აშკარად შესამჩნევია „სარკისა და ორეულის ცნებათა პერსონიფიცირებული აღქმა“ (პაიჭაძე 2018 გვ. 197) რასაც საბოლოოდ ევროპულ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში არსებულ დუალისტურ მსოფლმხედველობამდე მივყავართ. ლირიკული გმირი სარკეში საკუთარ ორეულს ხედავს: ლანდს „აგზნებული ტანჯული სახით“ რომელიც სასტიკად უცქერის და დაღუპვით ემუქრება მას.

ძალიან საინტერესო იყო სტროფი: „თეთრი ოცნება გადარჩენის თოვლივით დნება „სახე“ (გაფრინდაშვილი 1990: გვ. 31). იგი მთლიანად მეტაფორულია და მიანიშნებს იმ მიმე ხვედრზე, რაც ყველა განსხვავებულ ადამიანს მოელოდა ავტორის ეპოქაში. ამავე აზრს ამდაფრებს შემდეგი სტროფი: „დამწვარ სხეულის ჩემს გარშემო სუნი ტრიალებს“

ჩვენი ყურადღება მიიპყრო, ასევე, სტროფმა: „ვინ გაგიმთვარა აგზნებული ტანჯული სახე“ (გაფრინდაშვილი 1990: გვ. 31). ვფიქრობთ, ამ სტროფში გამოყენებული ოკაზიონალიზმით („გაგიმთვარა“) ავტორმა ჩვენ წინაშე წარმოადგინა სამშობლოზე მარადი ზრუნვისა და ფიქრისაგან გამხდარ-გაფერმკრთალებული სახე ლირიკული გმირისა. ენის ლექსიკურ ფონდში არსებული ვერცერთი სიტყვით იგი მსგავსი ეფექტის შექმნას ვერ მოახერხებდა. აქ მთავარი როლი იმ სიახლის შეგრძნებას ეკისრება, რომელიც ახლავს ახალ სიტყვას და ანიჭებს მას უზარმაზარ გამომსახველობით ძალას. ასე გგონია, დახუჭავ თვალებს და დაინახავ ამ სახეს.

მთელი ლექსი 14-მარცვლიანი საზომითაა დაწერილი. განსხვავებულ ჟღერადობას მას ცეზურის განსხვავებული მდებარეობა და გარითმის განსხვავებული სქემა ანიჭებს. ამ ოთხსტროფიან ლექსში პირველი სტროფი გარითმულია სქემით: **abab**, მეორე – **abba**; ამ ორი ოთხტაქედისაგან განსხვავებით, მესამე და მეოთხე სტროფები სამტაქედებია, სქემით: **aab** და **aba**.

ტიციან ტაბიძის „ავტოპორტრეტი“ იწყება ირლანდიური წარმოშობის ინგლისელი დრამატურგის მწერლისა და პოეტის ოსკარ უაილდის ხსენებით. ეს საკმაოდ ეფექტური და ამასთანავე რეალისტური აღწერაა საკუთარი გარეგნობისა. შემდეგ კი, ლექსში პატარა დედოფლის, ინფანტას სახე ჩნდება. ინფანტა ჯერაც შეურყენელი სინმინდის, ბავშვური გულწრფელობის განცდას ბადებს მკითხველში, რასაც შემდეგ ლოგიკურად აკავშირებ თავად ტიციან ტაბიძესთან და საბოლოოდ იკვრება პოეტის სახე.

ტექსტში, ასევე, ნახსენებია მალარმე, ფრანგი პოეტი, სიმბოლიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი და თეორეტიკოსი. ეს ლოგიკურია. ტიცციანი ხშირად უსვამდა ხაზს მისი შემოქმედების ევროპულ ძირებს. მალარმეც ერთ-ერთი „ლიტერატურული წინაპარია“ მისი.

საინტერესოა, რომ „ავტოპორტრეტში“ ევროპასთან ერთად აზიაც ჩანს:

„აზიურ ხალათში – ვით ფაშა ეფენდი,

ვოცნებობ ბაღდადზე მოღლილი დენდი.

ვფურცლავ მალარმეს „Divagation“-ს“ – ამბობს იგი (ტაბიძე 2010: გვ.63).

ოქსიმორონთან უნდა გვეკონდეს საქმე სიტყვათშეთანხმებაში „მოღლილი დენდი“. როგორც მოგეხსენებათ, დენდი ნატიფად, მოდაზე ჩაცმული კაცი იყო ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მისთვის სრულიად შეუსაბამოა ეპითეტი „მოღლილი“ და უარყოფითი ემოციით ტვირთავს მას. შესაძლოა, პოეტს აქ იმის თქმა სურდა, რომ ყოველი მცდელობა, იქცე იმად, არც არ ხარ, განწირულია დამარცხებისთვის. ასევე განწირულია ყველა მცდელობა ეროვნული იდენტობის დაკარგვის ხარჯზე სხვა ეროვნების ნაწილად ქცევისა.

საოცარი მოულოდნელობის ეფექტი შემოაქვს ბოლო სტროფში ლირიკული გმირის მიმართვას ცხოვრებისადმი:

„იყავი რაც გინდა, შავი, საცოდავი,

ცხოვრებავე, ხელში მაქვს მე შენი სადავე,

რომ ეს ჯოჯოხეთი სამოთხედ გაქციო“ (ტაბიძე 2010: გვ. 63).

კიდევ უფრო ამძაფრებს ამ განცდას საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვათა (ჯოჯოხეთი – სამოთხე) გვერდიგვერდ მოთავსება.

აღსანიშნავია, რომ პოეტი ერთ ლექსში იზოსილაბურ საზომებთან (12-მარცვლიანი) ერთად ჰეტეროსილაბურ საზომებსაც (10,11,13-მარცვლიანი) იყენებს, რაც ნათლად წარმოაჩენს მის მადიებელ ბუნებას. ერთ სტროფში კი, „ძვირფასად ვენტები ლექსების ხსენებით“, ჩახრუხაულისათვის დამახასიათებელი შიდაცეზურული რითმაც შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ ტიცციანი, და ზოგადად „ცისფერყანწელები“, თავიანთი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე მკვეთრად ემიჯნებოდნენ ქართულ ლიტერატურაში მანამდე არსებულ ტრადიციებს, ეს პატარა დეტალი, ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს ახალგაზრდები კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ იმ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომელიც დახვდათ. ასევე, ამ ტაეპს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს ლექსის მუსიკის შექმნაში.

ლიტერატურულ ფესვებთან სიახლოვე უფრო გამოკვეთილად ჩანს პაოლო იაშვილის „ავტოპორტრეტში“, რომელიც ასე მთავრდება:

„შევხარი მზესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა

და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა“ (იაშვილი 1959: გვ. 113)

ამავე ლექსში ამბობს პოეტი თავის მთავარ სათქმელს: „ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი“ (იაშვილი 1959: გვ. 113). სწორედ ეს პრინციპი იქცა საბოლოოდ მის *salto-mortale*-დ, ანუ სასიკვდილო ნახტომად.

ლექსი საკმაოდ უცნაურად იწყება. პოეტი ასე ახასიათებს საკუთარ თავს: „ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული“ (იაშვილი 1959: გვ. 113). კითხულობ ამ ტაეპს და შენს წინაშე ცოცხლდება სახე თვითკმაყოფილი დენდისა, რომელსაც საკუთარი თავით ტკობა ცოტა არ იყოს პედანტიზმში გადაეზარდა. ამას მოსდევს: „ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული“ (იაშვილი 1959: გვ. 113), რომელიც კარგად ასახავს ყველა ადამიანში არსებულ ამბივალენტურობას, კეთილი და ბოროტი საწყისების მარადიულ დაპირისპირებას. ამგვარადვეა ერთმანეთთან დაპირისპირებული ევროპა (უაილდის ყელსახვევი) და აზია (ხაშხაშის სურნელება). ესეც დუალიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ძალზე ლამაზად წარმოადგენს ლექსის წერის პროცესს პაოლო, როცა საკუთარ თავზე ამბობს რომ ის არის „ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული“ (იაშვილი 1959: გვ. 113). მოზღვავებული ფანტაზია რომ დააოკოს, ზოგჯერ კი, პირიქით, უკიდურესად დაძაბოს იგი, პოეტს მართლაც სჭირდება რამოდენიმე წუთით ჩაფიქრება, საკუთარ თავთან მარტო დარჩენა. იგი მარტო უნდა ავიდეს პარნასზე, ქალღმერთის სიტყვა რომ გაიგოს და ხალხს გადასცეს, როგორც მოსემ ჩამოუტანა თავის ერს ათი მცნება სინას მთიდან.

ერთი შეხედვით უცნაური სტროფია: „ვამაყობ იმით, რომ არა მაქვს ვრცელი წარსული“. ბევრი ფიქრის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ აქ, ალბათ, პოეტის ახალგაზრდობაა ხაზგასმული. ეს ლექსი 1917 წელსაა დაწერილი 23 წლის პაოლო იაშვილის მიერ. ახალგაზრდა ადამიანი ნაკლებ კონსერვატიულია, სულ ძიებაშია და ძალა შესწევს რაღაც ახლის როგორც შექმნის, ისე სხვის მიერ შექმნილის მიღებისა. ამასთანავე, ახალგაზრდობასთანაა დაკავშირებული იმედის გრძნობა, ჯერ არაშექმნილი შესაქმნელით გამოწვეული სიხარული.

ტექსტში ერთ ოკაზიონალიზმსაც ვხვდებით: „თარსული“. სიტყვა თარსისაგან მიმღობის მანარმოებელი -ულ სუფიქსით ახალი ლექსიკური ერთეული შექმნა ავტორმა. ამით მან „ორი კურდღელი დაიჭირა ერთდროულად“: ერთი – არ დაირღვა მონორითმა, მეორე – ჩვენ მიერ ზემოხსენებული სიხლის და მასთან დაკავშირებული ენიგმატურობის ეფექტი. ვფიქრობთ, აქ ავტორმა ქართულ პოეზიაში იმ დროს დამკვიდრებული აღმოსავლური ჰანგები და აშუღური პოეზია იგულისხმა, რომელსაც „ციხფერყანწლები“ თავიდანვე ოპოზიციამი ედგნენ.

ეს ლექსიც 14-მარცვლიანი საზომითაა დაწერილი. პირველ ორ სტროფში ზუსტი რითმა შეინიშნება, რაც ლექსის კეთილზმოვანებას განაპირობებს.

მესამე სტროფის პირველი და მესამე ტაეპები კვლავ ზუსტად ერთმეტიან ერთმანეთს, მეორე ტაეპი კი არ არის გართმული. ამ ტაეპში ავტორს მნიშვნელოვანი სათქმელი აქვს მოთავსებული და მისთვის ხაზგასასმელად გარეგნულადაც გამოარჩია იგი; ამავე საშუალებითაა გამოყოფილი მეოთხე სტროფის პირველი ტაეპი. აქ კიდევ ერთი საშუალება, გადატანა, გამოიყენა ავტორმა აზრის გამოსაკვეთად.

კოლაუ ნადირაძის „ავტოპორტრეტი“ მყარი სალექსო ფორმით, სონეტითაა დაწერილი. დაწერის თარიღი რომც არ ვიცოდეთ, პოეტის სიტყვები, „ჯერ კიდევ ლეკვი პოეზიის დაუგეშავი“ (ნადირაძე 1971: გვ. 263), მიგვანიშნებს, რომ ეს ლექსი მისი მოღვაწეობის დასაწყისს ეკუთვნის. ეს ძალიან კარგი მეტაფორაა, რადგან ზუსტად არის მსგავსება დაჭერილი. არისტოტელე კი კარგი მეტაფორის შექმნას ტალანტის უტყუარ ნიშნად მიიჩნევს, რადგან მხოლოდ ამის გადმოღება არ შეიძლება სხვისაგანო.

ლექსი თავიდანვე აზიის ხსენებით იწყება და ის ეგზოტიკა რაც, აზიასთანაა დაკავშირებული მთელ ლექსს გასდევს. სწორედ ამ აზიური გარემოს შესაქმნელად სჭირდება კოლაუს ეკვატორში ზანტად მოსეირნე ლომები, „ზურმუხტი, ოქრო, ფარჩეული და სპილოს ძვალი“ (ნადირაძე 1971: გვ. 263), პაგოდა. ამ ყველაფერს კი უპირისპირდება ჩრდილოეთი, „სადაც ყინულებს ჩაურაზავთ გზები უვალი“. ეს ყველაფერი ძალიან ორიგინალურად: კოშკისა და ზღვის დაპირისპირებით წარმოგვიდგინა კოლაუმ, სადაც კოშკი –აზიას, ზღვა კი – ჩრდილოეთს უკავშირდება. აქ საკმაოდ მკრთალად, მაგრამ მაინც ჩანს ვის უჭერს მხარს ავტორი. თუ ძალიან ჩავუღრმავდებით, ზღვას საბოლოოდ კვდომა უკავშირდება. ეს კი უარყოფით ასოციაციას იწვევს. მისგან განსხვავებით, კოშკი მხოლოდ დადებითი ემოციითა დატვირთული, რადგანაც ზეცასთან ასოცირდება. საინტერესოა, რომ სწორედ ამ ტაეპს მოსდევს „მე ამ ქვეყანას მოვევლინე ცხვირგატეხილი“ (ნადირაძე 1971: გვ. 263). ცხვირგატეხილობა ხულიგნობის, დაუმორჩილებლობის ნიშანია და მართლაც, შემდეგ ტაეპში ვიგებთ, რომ პოეტი სულმდაბლობას ეურჩება. თავისუფლებისა და სამართლიანობის შეგრძნება მას დედის მუცლიდან აქვს გამოყოლილი. იცის, რომ ამას მარტობა და სიბეჩავე მოყვება, მაგრამ სხვაგვარად არ ძალუძს.

ერთ სტროფში ევროპის სახეც ჩნდება: „ვატარებ ლორნეტს და სიმრუშე მტანჯავს ქუჩების“ (ნადირაძე 1971: გვ. 263). ლორნეტი და „მრუში“, გადატვირთული ქუჩები ხომ ასოციაციურად მაშინვე ევროპას უკავშირდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლექსი სიმბოლისტთა საყვარელი მყარი სალექსო ფორმით, სონეტითაა დაწერილი. ესაა კლასიკური სონეტი ბესიკური (5/4/5) საზომით და სქემით **abba**. მყარი სალექსო ფორმის გამოყენება გარკვეულწილად ჩარჩოში აქცევს პოეტს. მას აღარ აქვს საზომებისა და გარითმვის სქემების თავისუფლად გამოყენების უფლება. გარდა ამისა, სონეტის დაწერას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ მას ფორმოზღვრვითან ერთად შინაარსობრივი მთლიანობაც სჭირდება. პირველ ორ სტროფში აზიის მომაჯადოებელი სახე იკვეთება, ტერცეტებში ავტორი შემოდის თავისი სუბიექტივიზმით. მოვუსმინოთ ვალერიან გაფრინდაშვილს: „ჩვენ ვიცით სხვადასხვა ლირიკული ფორმები – მაგალითად, სექსტინა, ოქტავა, ტრიოლეტი, რონდო, ვიცით სხვა ელასტიკური ფორმები, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის ისე დასრულებული, ისე თალშეკრული, არცერთი ისე არ შემორკალავს შემოქმედებას, როგორც ღვთაებრივი სონეტი“ (გაფრინდაშვილი 1990: 481– 482). ფაქტი, რომ კოლაუ ნადირაძემ შეძლო კარგი სონეტის შექმნა, მის მაღალ პოეტურ ნიჭზე მიუთითებს.

ბესიკური მეტრი აქვს გამოყენებული გიორგი ლეონიძეს თავის „ავტოპორტრეტში“. როგორც მთელ მის შემოქმედებაში, ისევე აქაც აშკარაა ქართული სიტყვის განსაკუთრებული შეგრძნება. ვფიქრობთ, არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართული ლიტერატურაში ლეონიძე განსაკუთრებულად ფლობს ქართულს. პირველივე სიტყვებიდან „ლოგოსის“ დამატყვევებელი ძალით თითქოს სხვა, ზღაპრულ სამყაროში გადაჰყავხარ პოეტს. ლექსის ბოლოში რომ ჩადიხარ გული გწყდება, თითქოს იმაზე სწრაფად დასრულდა, ვიდრე უნდა დასრულებულიყო. მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს ამის დასამტკიცებლად: „ცხელ რუსუდანის მესრისება მე სარეცელი“ (ლეონიძე 2008: გვ. 20). კითხულობ ამ სტრიქონს და თითქოს შენში ტემპერატურა 100 გრადუსს აღწევს, თითქოს ავტორთან ერთად შენც გრძნობ ვნებიანი ასულის მხურვალეებას. ამ ეფექტს კი „ს“ ბგერის ინტენსიფიკაციით აღწევს ლეონიძე. გვგონია, მზისთვის ბევრს არავის შეუსხამს ასეთი ხოტბა: „და პურპურივით მზე მეცემა დაუტევნელი“ (ლეონიძე 2008: გვ.20). ჩვენთვის იმდენად ჩვეულებრივია ყოველ დილით მზის ამოსვლა, რომ ვერც აღვიქვამთ, რა საოცრებაა ეს, რა დიადია მზე. ეს უდიდესი სათქმელი ჩაატია პოეტმა ეპითეტში: „დაუტევნელი“. გარდა ზუსტად შერჩეული ეპითეტისა, მზის განსაკუთრებულობას კიდევ უფრო უსვამს ხაზს უაღრესად სწორი შედარება: „პურპურივით“. ეს სიტყვა ოკაზიონალიზმია და ალბათ, თავთავს ნიშნავს. რაც ასოციაციურად ისევ მზესთან და მზიურობასთან გვაბრუნებს.

ჩვენ მიერ განხილულ ავტოპორტრეტთაგან ყველაზე დიდი დოზით და ორიგინალურად აქ ჩანს ეროვნულობასთან კავშირი:

„არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული

მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე“ (ლეონიძე 2008: გვ. 20) – გვეუბნება პოეტი და თითქოს განსაკუთრებულ სინთეზს ქმნის საქართველოსა და ევროპისა.

თუმცა მხოლოდ ერთ სტროფში: „კახეთის მსუქან თეძოების ვნოვე მტევნები“ (ლეონიძე 2008: გვ. 20) არის ნახსენები, გულში ტყვიასავით რჩება ლეონიძის კახეთი. მიუხედავად იმისა, რომ აქ კონკრეტული მხარეა დასახელებული, ამ სტრიქონის წაკითხვაზე ყველას თავისი მშობლიური კუთხე და ბავშვობა გაახსენდება. საოცარია, როგორ ცვლის აღქმის ფოკუსს ამ ლექსში ლეონიძე. თუ სტროფში „ცხელ რუსუდანის მესრისება მე სარეცელი“ (ლეონიძე 2008: გვ. 20), აბსტრაქტულიდან კონკრეტული ქალის წარმოდგენამდე მივყავართ, აქ კონკრეტულიდან აბსტრაქტულსკენ, კახეთიდან ზოგადად სამშობლოზე გავყავართ.

პოეზია მუდმივი ძიებაა, დაუცხრომელი სწრაფვა სიახლისკენ. ხანდახან ექსპერიმენტი ვერ ამართლებს, მაგრამ ესეც ზრდის ხელოვანს. ადამიანი შეცდომებზე სწავლობს. სავარაუდოდ ეს იგულისხმა ავტორმა ტაეპში „ყველა წვეწებში, ყველა შხამში სული ჩავანე“ (ლეონიძე 2008: გვ. 20).

შესიტყვება: „სული ჩავანე“ იმავდროულად მიგვანიშნებს, რომ ლექსის წერა არც ისე მარტივია, როგორც ჩანს. იგი დიდ სიხარულთან ერთად დიდ ტკივილთანაა დაკავშირებული. ყოველ ლექსში თავისი სულის ნაწილს დებს შემოქმედი.

ძალიან სასიამოვნო ეფექტს ახდენს რითმის მოულოდნელობა (სარაცინი – სარეცელი, დინამიტი –ამინდი,დარეულები – მთვარეულები, მტევნები – დაუტევნელი), რასაც ისევ ჰაიზინგას თამაშის თეორიასთან და გამოცნობის სიამოვნებასთან მივყავართ.

რომ შევაჯამოთ, „ცისფერყანწლებმა“, ყველაზე დიდ ქართველ სიმბოლისტ – გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად, ფაქტობრივად, გადაარჩინეს მე-19 საუკუნის მინურულის ქართული პოეზია. მათი ნყალობით დავაღწიეთ თავი ინერციას, შტამპებსა და ბანალურ გამომსახველობით საშუალებებს. თითოეული მათგანი ძალიან განსხვავებული და ორიგინალურად მოაზროვნე ადამიანია. თითოეული მათგანის თვითმყოფადობა და ნოვატორობა კარგად ჩანს თუნდაც მათ ავტობორტრეტებში. ერთი შეხედვითაც კი ნათელია, რომ უფრო მეტთან გვაქვს საქმე, ვიდრე ერთის სახესხვაობაა. ჯერ მხოლოდ ის გულწრფელობა და მკითხველთან ასეთი უშუალო დამოკიდებულება რად ღირს ან თუნდაც იმას რომ შევხედოთ, ხასიათის რა თვისებებს გამოყოფენ ისინი ამ ლექსებში: გაორებული ვალერიანი თავისი სარკეებითა და ლანდების ესთეტიკით, ცისფერთვალეა ტიციანი, ბავშვურად წმინდა, ამპარტავანი დენდი პაოლო იაშვილი, ცხვირგატეხილი აზიელი ლორნეტით – კოლაუ ნადირაძე, „ქართლის თავადი და პარიზის დიდი ტრიბუნი“ – გიორგი ლეონიძე. ვინმე იტყვის, რომ ესენი ახალი, თავისთავადი ხასიათები არ არიან?

ჩვენ მიერ განხილული არცერთი ლექსი არ ჰგავს ერთმანეთს არც ფორმის თვალსაზრისით, არც – შინაარსისა. მართალია, საერთო მოტივები შეინიშნება (აზია-ევროპა, ეროვნულობასთან კავშირი, ევროპელი სიმბოლისტების ხსენება), მაგრამ ისინი გადმოკოპირებული კი არ არიან, არამედ ავტორის შემოქმედებით ქურაში გატარებული და მხოლოდ ასე ნაწრთობი მინოდებული მკითხველისათვის. ყველაზე მარტივი მაგალითი რომ ავიღოთ, 14-მარცვლიან საზომსაც კი, რომელიც მყარად იყო დამკვიდრებული ქართულ ლიტერატურაში სულ სხვადასხვანაირად ყოფენ ცეზურით, ან რითმის სხვადასხვა სახესა და სქემას იყენებენ.

ჩვენ ავტობორტრეტზე ვსაუბრობთ, „ლირიკულ აღსარებაზე“, სადაც ავტორი სულს აშიშვლებს მკითხველის წინაშე. სწორედ აქ იმალება მისი შემოქმედების გასაღები და ყველა მკვლევარმა ავტობორტრეტით უნდა დაიწყოს მისი რჩეული ავტორის შესწავლა.

კვლევა არ არის დასრულებული. ჯერ მხოლოდ ზოგადი სურათი იხატება ჩვენს წინაშე. გვჯერა, შემდგომი მუშაობა და არა მარტო განხილულის, არამედ ყველა „ცისფერყანწლის“ ავტობორტრეტის ღრმა შესწავლა საინტერესო შედეგის მომცემი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი 1990: ვალერიან გაფრინდაშვილი. ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები მწერლის არქივიდან. თბილისი: „მერანი“, 1990.
2. იაშვილი 1959: პაოლო იაშვილი. ლექსები, პოემები, მოთხრობები, თარგმანები. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1959.
3. ლეონიძე 2008: გიორგი ლეონიძე. ლექსები. პოემა. ნატვრის ხე. ამბავი ესტატე ლაფაჩისა. პატარა ტამალია. თბილისი: „ნაკადული“, 2008.
4. ლიტერატურისმცოდნეობის...: კრებ. „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, თბილისი: „GCLA Press“, 2012.
5. ნადირაძე 1971: კოლაუ ნადირაძე. ერთტომეული.თბილისი: „მერანი“, 1971.
6. პაიჭაძე 2018: თამარ პაიჭაძე „მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა“. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.

7. ტაბიძე 2010: „ჩემი რჩეული“ ტ.53 . ტიცვიან ტაბიძე. პოეზია, ლექსები, პოემები. თბილისი. „პალიტრა L“, 2010.
8. ლიტერატურისმცოდნეობის...: კრებ. „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, თბილისი: „GCLA Press“, 2012.
9. ხინთიბიძე 2000: აკაკი ხინთიბიძე „ქართული ლექსმცოდნეობა“, თბილისი: 2000.

ნატო ახალაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: პროფესორი მერაბ ჩუხუა

– დ სუფიქსის ზმნური ფუნქციისათვის მეგრულ-ლაზურში

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა -დ სუფიქსის გენეზისისა და ფუნქციის შესახებ (დანელია 1976:107, ერთელიშვილი 1960:196-204, თოფურია 1942, მაჭავარიანი 1973:109-112, მელიქიშვილი 2014:85, შანიძე 1981:39, ჩიქობავა 1981, ჯორბენაძე 1975:14,64,143, ჰოლისკი 2000:50...). გამოკვეთილია ორი ძირითადი თვალსაზრისი:

1. -დ სახელებისაგან ზმნების მანარმოებელი სუფიქსია და მისი ფუნქციაა გარდაქცევის თობის გამოსატყა.

2. -დ ფორმანარმოებითი სუფიქსია, რომელიც ვნებით გვარზე მიუთითებს.

ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით, „აღნიშნული ფორმანტი პირველადი ფუნქცია სიტყვანარმოებითი იყო, მაგრამ როგორც კი დონი გაჩნდა არასახელური ნარმოშობის ვნებით გვარის ფორმებთან, მან ეს უნარი დაკარგა და ფორმანარმოებით აფიქსად ჩამოყალიბდა. დაირღვა ძველი სისტემა და გარდაქცევის თობის ფუნქციაც მხოლოდ დონიანმა ნასახელარმა ზმნებმა შეინარჩუნა“ (ჯორბენაძე 1975:64, 142-143).

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, დონის ზმნური ფუნქციის განსაზღვრა მეგრულ-ლაზურში, მიღებული შედეგების შედარება სხვა ქართველურ ენებთან და საერთოქართველური ტიპოლოგიური სურათის წარმოჩენა.

კვლევა ეყრდნობა შემდეგ ემპირიულ მასალას:

1. ი. ასათიანი, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2012;
2. ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013;
3. ო. ქაჯაია, მეგრული ლექსიკონი, I (2001), II (2002), III (2002), IV (2009);
4. ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010;
5. ნ. ახალაია, სამეცნიერო მივლინებებისას (2012-2017) სამეგრელოსა და ლაზეთში მოპოვებული დიგიტალური მასალა.

მეგრულისა და ლაზურის ემპირიული მასალის მოსაპოვებლად გამოყენებულია **საველე ლინგვისტიკის** მეთოდი, საჭირო ნიმუშების მისაღებად კი – **ელიციტირების მეთოდი**, წინასწარ მომზადებული ყალიბების, ანალოგიების, სახელური ფუძეებისა და გაზმნავების მოდელის საშუალებით ვიღებდით ადეკვატურ ნიმუშებს. ამგვარად დაგეგმილმა კითხვის პასუხებმა რელევანტური მასალა შექმნა ჩვენი კვლევისთვის. **აღწერით-შედარებითი** მეთოდის გამოყენებით კი ერთმანეთს შევუდარეთ ქართულისა და მეგრულ-ლაზურის მონაცემები და გამოვავლინეთ საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები მათ შორის.

ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, მეგრულში, მსგავსად ქართულისა, -დ სუფიქსი ვნებით გვართანა დაკავშირებული. წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი თვალსაზრისები:

1. დონიანი ფორმების არსებობა მეგრულში ქართული ენის გავლენა (ჩიქობავა 1936: 14);


2. ქართულთან საერთო **-დ** სუფიქსი ისტორიულად დამახასიათებელია კოლხურისთვისაც (დანელია 1976:107);

3. **დონიანი** ფორმები მეგრულ-ლაზურში წარმოადგენს ჩანასახს ვნებითის სუფიქსური წარმოებისა, „რომელმაც კოლხურში, ქართულისაგან განსხვავებით, განვითარება ვერ პოვა“ (ნოზაძე 2000:180).

მოცემულ დებულებათა ვერიფიცირებისათვის დავეყრდენით ზემოაღნიშნული ემპირიული მასალის სტატისტიკურ მონაცემებს. ჩვენ გავანალიზეთ ვნებითი გვარის 1200-ზე მეტი ფორმა მეგრულში. აქედან ზმნური წარმოშობის 768 ერთეული გამოვლინდა, ხოლო სახელური წარმოშობისა – 497. ამ უკანასკნელთაგან კი გამოიყო 139 **დონიანი** ფორმა, რომელთა დიდი უმრავლესობა ფუძედ ზედსართავ სახელს იყენებს, მცირე ნაწილი – არსებითს.

ზმნურ ძირებთან **-დ** სუფიქსი ფორმანარმოებითი ფუნქციით მხოლოდ რვა ერთეულთან გამოვლინდა: *თან-დ-უ(ნ) „თენდება“*, *შინ-დ-უ(ნ) „სივდება“*, *ჩენ-დ-უ(ნ) „ჩერდება“*, *ჩხონ-დ-უ(ნ) „ცხონდება“*, *რჩქინ-დ-უ(ნ) „ჩნდება“*, *წყინ-დ-უ(ნ) „ჰბებრდება“*.

Tab.1



არსებით სახელთა გაზმნავებაც მხოლოდ მათი ატრიბუტივებად ქცევის შემდეგ არის შესაძლებელი, მაგ.: *ფიჟვი „ფილტვი“ > ფიჟვ-ა „ფილტვა“ გადატ. გაბერილი; ლინჯგი „ნუნი, ღრძილი“ > ლინჯგ-ა „ღრძილებიანი“ გადატ. ღრძილებგადმოყრილი.*

„ზედსართავი სახელებისაგან **დონის** საშუალებით ზმნურ ფორმათა წარმოება, როგორც ჩანს, საერთოქართველური მოვლენაა, რადგან ცნობილია, რომ ძველ ქართულშიც **-დ** სუფიქსი უმეტესად იმ ნასახელარ ზმნებთან იჩენდა თავს, რომელთა ფუძე ნიშან-თვისებაზე მიუთითებდა“ (მუზაშვილი 2016:52).

სტატისტიკური მონაცემებიდან ასევე ირკვევა, რომ **-დ** ფორმანტი ზმნურ ფორმათა მისაღებად იშვიათად დაერთვის ზედსართავი სახელის (ან: გაზედსართავებული არსებითი სახელის) მარტივ ფუძეს, ის აზმნავებს **წარმოქმნილ** (resp. პირველადი მასდარები) ფუძეებს. სახელთა წარმოსაქმნელად გამოყენებულია **-ინ** დეტერმინანტი, რომელიც **-დ** სუფიქსის დართვის შემდგომ უცვლელადაა წარმოდგენილი მოქმედებით გვარისა (პირველად კაუზატივებში) და სტატისტიკურ ფორმებში. ვნებითი კი ის შეცვლილია **-ონ**-ით.

Tab.2⁶⁷

ADJ	MSD1	ACT/CAUS1	PASS	STV
ჭითა „ნითელი“	ჭით-ინ-ი „[გა]ნითლება“	ო-ჭით-ინ-უ-ან-ს „ანიტლებს“	ჭით-ონ-დ-უ(ნ) „ნითლდება“	ო-ჭით-ინ-ან-ს „ნითლობს“
სქვიჭა „მკვრივი“	სქვიჭ-ინ-ი გად. „კუმტობა“	ო-სქვიჭ-ინ-უ-ან-ს „ამკვრივებს“	სქვიჭ-ონ-დ-უ(ნ) „მკვრივდება“	ო-სქვიჭ-ინ-ან-ს „კუმტი იერი“
ღირზა „დიდგულა“	ღირზ-ინ-ი „დიდგულობა“	ო-ღირზ-ინ-უ-ან-ს „ადიდგულებს“	ღირზ-ონ-დ-უ(ნ) „დიდგულდება“	ო-ღირზ-ინ-ან-ს „დიდგულობს“
ჯიქა „ზორბა“	ჯიქ-ინ-ი „უმნოდ გადიდება“	ო-ჯიქ-ინ-უ-ან-ს „უმნოდ ადიდება“	ჯიქ-ონ-დ-უ(ნ) „ზორბდება“	ო-ჯიქ-ინ-ან-ს „ზორბას იერი“
ფირა „ფართო“	ფირ-ინ-ი „გაფართობა“	ო-ფირ-ინ-უ-ან-ს „აფართობს“	ფირ-ონ-დ-უ(ნ) „ფართოვდება“	ო-ფირ-ინ-ან-ს „გაფართოებული გამოიყურება“

ღონი, რომელიც ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ზანურისათვის, ინარჩუნებს პირველად, სიტყვანარმოებით ფუნქციას. ის, ქართულისგან განსხვავებით, ფორმანარმოებელ ელემენტად ვერ ჩამოყალიბდა. რაც შეეხება ლაზურს, აქ **-დ** სუფიქსი, ფაქტობრივად, გამქრალია, მხოლოდ რამდენიმე ნიმუშშია შემორჩენილი: *მო-ლორ-დ-უ-ნ "ტყუვდება"*, *დო-ჭკონ-დ-უ-ნ „ვენებას განიცდის“*, *დო-ჭკინ-დ-უ-ნ „იღლება“*, *რჩქინ-დ-უ-ნ "ჩნდება" და ა.შ.*

მოცემულმა ფაქტმა გზა გაუხსნა პრეფიქსული, **ი-R-უ** სტრუქტურის დამკვიდრებასა და გააქტიურებას. პირველ ეტაპზე **ღონი**ან ნასახელარ ზმნებს გაუჩნდა პარალელური ფორმები: *თითხ-ონ-დ-უ(ნ)//ი-თითხ-ორ-ებ-უ(ნ) „თხელდება“*, *ღვიჟ-ონ-დ-უ(ნ)//ი-ღვიჟ-ორ-ებ-უ(ნ) „უფერულდება“*, შემდეგ კი **ღონი**ანმა წარმოებამ განვითარება საბოლოოდ შეწყვიტა. მეგრულში შემოსული ახალი სიტყვებისაგან ზმნური ფორმები პრეფიქსაციითაა მიღებული. საბოლოოდ, **ი-** პრეფიქსმა შეითავსა ორივე ფუნქცია – როგორც სიტყვანარმოებითი, ისე ფორმანარმოებითი.

Tab.3

ADJ	DNV	MSD	V
უჩა „შავი“	ი-უჩარებ-უუ(ნ) „შავდება“	რდუალა „გაზრდა“	ი-რდ-უუ(ნ) „იზრდება“
ჭიჭე „პატარა“	ი-ჭიჭარებ-უუ(ნ) „პატარავდება“	ფულუა „დამალვა“	ი-ფულ-უუ(ნ) „იმალება“
კუნტა „მოკლე“	ი-კუნტარებ-უუ(ნ) „მოკლდება“	დორძამა „დანთება“	ი-რძამ-უუ(ნ) „ინთება“
დიდი „დიდი“	ი-დიდარებ-უუ(ნ) „დიდება“	შაყარუა „მოგროვება“	ი-შაყარ-უუ(ნ) „გროვდება“
მონკა „მძიმე“	ი-მონკებ-უუ(ნ) „მძიმდება“	რჩხუალა „გარეცხვა“	ი-რჩხ-უუ(ნ) „ირეცხება“

⁶⁷ ტაბულაში აბრევიატურის ჩანაწერი გაკეთებულია საერთაშორისო სტანდარტის – ლაიფციგის გლოსირების წესების (LGR)⁶⁷ მიხედვით. მეგრულ-ლაზურის სპეციფიკური გრამატიკული მოცემულობებისათვის ასევე გამოყენებულია თეორიული ნაშრომი: მ. ლომია, რ. გერსამია, საზთაშორის მორფემული გლოსირება (მეგრული ტექსტების მორფემული ანალიზი), თბილისი, 2012. **ADJ** = არს. სახელი, **MSD1** = პირველადი მასდარი, **ACT** = მოქმედებითი გვარი, **CAUS1** = პირველადი კაუზატივები, **PASS** = ვნებითი გვარი, **STV** = სტატიკური ზმნები, **CV** = მახასიათებელი ხმოვანი, **DNV** = ნასახელარი ზმნები.

ზანურის სტატისტიკური მასალის მიხედვით, მოცემულ ფორმანტი **სიტყვანარმოებითი** ფუნქციითაა წარმოდგენილი, ვნებით გვარში კი **დონიანი** ფორმები ქართულის ანალოგიითაა გაერთიანებული. ქართულშიც ამგვარი ფორმების ვნებით გვართან კავშირი, თანამედროვე კვლევების მიხედვით, განსხვავებით ტრადიციული გრამატიკებისაგან, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, რადგან ასეთი ტიპის ზმნები უფრო ხშირად აქტიური და ავტოაქტიური (რეფლექსიური, უკუქცევითი) სემანტიკისაა [იხ. მელიქიშვილი 2001, პარადიგმები: N10(44); 10a; 11(45); 12 (46); 12(48); 1(49)].

-დ სუფიქსმა მეგრულ-ლაზურში, ქართულისაგან განსხვავებით, თავისი ორივე ფუნქცია დაკარგა. მეგრულმა იგი შემოინახა სახელისაგან მიღებულ ზმნურ ფორმებში, ლაზურმა კი ფრაგმენტულად ვნებითი გვარის რამდენიმე ნიმუშში. ახალი სიტყვები და ფორმები დღეს მეგრულ-ლაზურში **დონით** არ იწარმოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალაია 2017: ნ. ახალაია, ნასახელარი ზმნები მეგრულ-ლაზურში, თბილისი, 2017.
2. დანელია 1976: კ. დანელია, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბილისი, 1976.
3. ერთელიშვილი 1960: ფ. ერთელიშვილი, დ-//ნ (-ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, ფილოლოგ. მეცნიერებათა სერია, თბილისი, 1960.
4. თოფურია 1942: ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 3, N 5, თბილისი, 1942.
5. ლომია, გერსამია 2012: მ. ლომია, რ. გერსამია, ხაზთაშორის მორფემული გლოსირება (მეგრული ტექსტების მორფემული ანალიზი), თბილისი, 2012.
6. მელიქიშვილი 2014: დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბილისი, 2014.
7. მაჭავარიანი 1973: გ. მაჭავარიანი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, მაცნე N1, თბილისი, 1973.
8. მუზაშვილი 2016: ნ. მუზაშვილი, ნასახელარი ზმნები ძველ ქართულში, თბილისი, 2016.
9. ნოზაძე 2000: ლ. ნოზაძე, პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები (ზმნის უღლება), თბილისი, 2010;
10. შანიძე 1981: ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1981.
11. ჩიქობავა 1981: არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობისა და გვარის კატეგორიის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართველურ ენებში, იკენ, VIII, თბილისი, 1981.
12. ჩუხუა 2015: მ. ჩუხუა, გვარის კატეგორია მეგრულ-ლაზურში; ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები. III. თბილისი, 2015.
13. ჯორბენაძე 1975: ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975.
14. ჰოლისკი, 2000: დ. ე. ჰოლისკი, ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბილისი, 2000.

თამარ ჩანქსელიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან მარგიანი-სუბარი

შესაძლებლობის შვებულების გამოხატველი უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურა სვანურში

(პროექტი №FR17_388)

სვანური ენა ყოველთვის იყო ენათმეცნიერთა სერიოზული ყურადღების საგანი. ძირეულად არის გამოკვლეული ზემო თუ ქვემოსვანური დიალექტები, მაგრამ მაინც „...ძნელია, ნათლად გაერკვეს კაცი იმ არეულ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს“ (შანიძე 1981:62). ეს სირთულე უკავშირდება ნაცვალსახელებსაც, კონკრეტულად კი უარყოფით ნაცვალსახელებს, რომელთა მრავალფეროვნებით ხასიათდება სვანური ენა. უარყოფით ნაცვალსახელთა სრული კვლევა მოცემული ნაშრომის ფარგლებში ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ საანალიზოდ ავიღეთ შესაძლებლობის შეზღუდულობის გამომხატველი უარყოფითი ნაცვალსახელები სვანურში და განვიხილეთ აღნიშნული ნაცვალსახელების სტრუქტურა სვანურის ოთხივე დიალექტის ანალიზის საფუძველზე.

ნაცვალსახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც ფრაზაში ეკვივალენტია რომელიმე სახელისა (არსებითისა, ზედსართავისა, რიცხვითისა). აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ ნაცვალსახელი ერთგვარ მაგივრობას ანუ ნაცვლობას ეწევა სახელებისას, ამიტომ დაერქვა მას „ნაცვალსახელი“. შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი (შანიძე, 1973: 41).

ცნობილია, რომ უარყოფის ნაცვალსახელები ქართულში ორი ნაწილისგან შედგება. 1) უარყოფის ნაწილაკი + კითხვითი სიტყვა: არა+ვინ, ვერა+ვინ, ნურა+ვინ. 2) უარყოფის ნაწილაკი + ლექსიკური ერთეული „ფერი“ ან „ვითარი“, რომლებიც დამოუკიდებლად არ გამოიყენება: არა+ფერი, ვერა+ფერი, ნურა+ფერი; არა+ვითარი, ვერა+ვითარი, ნურა+ვითარი. 3) -ც ნაწილაკიანი უარყოფითი ნაწილაკები + ლექსიკური ერთეული „ერთი“: არ-ც+ერთი, ვერ-ც+ერთი, ნურ-ც+ერთი.

„უარყოფითი ნაცვალსახელი უარყოფს იმას, რის არსებობასაც ვარაუდობს კითხვითი ნაცვალსახელი. ამავე დროს, უარყოფითობა განუსაზღვრელობით შინაარსსაც სძენს იმას, რის განსაზღვრულობასაც გულისხმობდა კითხვითი ნაცვალსახელი“ [თანამ. ქართ. ენის მორფ., 2011: 181]. შეკითხვა „ვინ მოვიდა?“ – გულისხმობს განსაზღვრულ პირს, ანუ შეიცავს მოლოდინს, რომ დასახელება ის ერთი, ვინც მოვიდა, ხოლო პასუხი „არავინ“ გადმოსცემს არა იმ მოსალოდნელი „ერთის“ უარყოფას, არამედ „განუსაზღვრელ არაერთს“ (იქვე, გვ. 181).

უარყოფითი ნაწილაკების სტრუქტურის მთავარი შემადგენელი ნაწილია უარყოფითი ნაწილაკები. უარყოფითი ნაწილაკების სამი ძირითადი სახე არსებობს: არ//არა, ვერ//ვერა, ნუ//ნურა. როცა ამათ -ც(ა) და -ლარა ნაწილაკები ემატება, ვიღებთ პარალელურ ფორმებს: არცა//არც, ვერცა//ვერც, ნუცა... არლარა//ალარა, ვერლარა//ველარა, ნულარა.

ნუ-ს გარდა ყველა უარყოფითი ნაწილაკი წარმოშობით რთულია. არა: ა+რა, ვერ//ვერა: ვე+რა, ნურა: ნუ+რა, აღარა: ა+ლა+რა, ველარა: ვე+ლა+რა... ამ ნაწილაკებს მეორე შემადგენელ კომპონენტად რა ნაცვალსახელი მოუდის, რომელსაც დროთა ვითარებაში დაუკარგავს დამოუკიდებლობა და ნაწილაკს შეზრდია (მარტიროსოვი, 1964: 247).

არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა) ნაწილაკებს გააჩნიათ განსხვავებული ფუნქციები, კერძოდ, უკუთქმითი ნაწილაკი „არ(ა)“ გამოხატავს: (1) თხრობით უარყოფას წინადადებაში და, ძირითადად, დგას შემასმენლის წინ; (2) გაკვირვებას, გაოცებას, განცვიფრებას; (3) იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს. ამ ნაწილაკს გააჩნია რთული ვარიანტებიც: არც, აღარ, აღარც. ნაწილაკი „არც“ აკეთებს წინადადების იმ ნევრის აქცენტირებას, რომელთანაც დგას ნაწილაკი „აღარ“, კერძოდ, მორფემა „ლ“ გამოხატავს ზღვრულ უარყოფას, მოქმედებას, რომელიც მეტჯერ არ ხდებოდა, არ მოხდება ან აღარ მოხდება (გარკვეული მიზეზების გამო).

უკუთქმითი ნაწილაკი „ვერ“ ზმნასთან ერთად გამოხატავს (1) მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრისა და სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. ნაწილაკს „ვერ“ შეუძლია მხოლოდ ზმნა-შემასმენლის უარყოფა; (2) იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს. „ვერ“ ნაწილაკის რთული ვარიანტებია: ველარ, ვერც, ველარც. „ველარ“ გამოხატავს ზღვრული მოქმედების შესაძლებლობას. ნაწილაკი „ვერც“ ახდენს იმ სიტყვის აქცენტირებას, რომელთანაც დგას; ნაწილაკი „ველარც“ გვიჩვენებს შეუძლებლობის ზღვარს და მასთანავე, აქცენტირებას ახდენს იმ სიტყვაზე, რომელსაც მიეკუთვნება.

სვანური ენა მეტად მდიდარია უარყოფითი ნაწილაკებით და, აგრეთვე მათგან ნაწარმოები ნაცვალსახელებით, რომელთა გავრცელების არე და მნიშვნელობა, ცხადია, სხვადასხვაგვარია, სვანურ დიალექტ-კილოკავთა მიხედვით.

ქართულ არ, ვერ და ნუ უარყოფით ნაწილაკებს სვანურში უპირისპირდება უარყოფით ნაწილაკთა მრავალრიცხოვანი ვარიანტები (მაგ.: მწ (ლშხ.), მამა (ბქ.), მამ(ა) (ლნტ.), მამ(ა) (ბზ., ლშხ., ჩოლ.), მად(ე) (ბქ.), მან(ე) (ლნტ.), მან(ე) (ბზ., ლშხ., ჩოლ.), მადმა (ზს.), მანდ(ა) (ლნტ.), მონ (ლშხ.), მონ(ა) (ბზ., ლშხ., ჩოლ.), მოდე (ბქ), მონ(ე) (ბზ., ლშხ., ჩოლ.), მოდმა (ბქ.), მონდმა (ჩოლ.), დემ (ბქ.), დემა (ლნტ.), დემე (ბქ.), დემეგ (ბქ.), დესა/ცა (ლნტ.), დეს(ა) (ბზ., ქს.), დემ(ა) (ბზ., ლშხ.), დემამ (ბზ., ლშხ.), დემის(ბქ.), დემის (ბზ.), ბაი/ბაჲ (ლხმ.), „არ, არა“...; მანდმ-მანჩ/მანჩ (ლნტ), მანჩ/მანთმ (ლნტ.), მანჩ/მანჩი (ლნტ.), მანჩმ (ლნტ.), დემ (ზს., ქს.), დემსა (ლშხ.), დემმა (ლშხ.), მემმამ (ლშხ.), დომ (ბზ., ქს.), „ვერ“...; ნო (ზს., ლნტ.), ნოსა (ლნტ.), ნო ს(ა) (ბზ., ლშხ.), ნომ(ა) (ბქ., ლნტ.), ნო მ(ა) (ბზ., ლშხ.)/ნუმ(ა) (ბზ., ლნტ.)/ნემ(ლნტ.)/ნემ(ა) (ზს.), ნომმა (ზს.), ნომის (ლნტ.), ნო მის (ლშხ.), ნომეგ (ბქ.), ნოს(ა) (ბზ.), ნე (ბქ.), ნემ (ლხმ.), ნემეგ (ბქ., ლხმ.) „ნუ“...), რომელთა სიმრავლეს, ძირითადად, დიალექტური ნაირსახეობები განაპირობებს. აღნიშნული ნაწილაკები, როგორც წესი, გარკვეული კანონზომიერებით არის განაწილებული და სწორედ მათი საშუალებით გადმოიცემა სვანურშიც წინადადების უკუთქმითობა (სალლიანი, 2013 : 46).

სვანურში, ქართულთან შედარებით, უკუთქმითი ნაწილაკები ბევრად მეტია, შესაბამისად, მეტია უარყოფითი ნაცვალსახელებიც, ვინაიდან მათ სტრუქტურაში სწორედ ეს ნაწილაკები შედიან. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც „ვერ“ ნაწილაკის შესაბამისი ერთეულები წარმოადგენენ, თუმცა, ნეიტრალური „არა“ ნაწილაკის სემანტიკურ შესატყვისებთან შედარებით, მათი რაოდენობა ნაკლებია.

როგორც ცნობილია, ვერ „მოქმედების შეძლებას უარყოფს“ (ა. შანიძე); სვანურში ამ ნაწილაკის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება როგორც ერთსა და იმავე დიალექტში, ასევე კილოების მიხედვით: დემ, დომ (ბზ., ქსვ.), მანდმ-მანჩ/მანჩ, მანჩ/მანთმ, მანჩ/მანჩი, მანჩმ (ლნტ.), დემსა, დემმა, მემმამ (ლშხ.); მათ შორის ძირითადი და ყველაზე გავრცელებული ოთხივე დიალექტში არის დემ.

1) დემმა ხაყერ გორვანში უწჷდ; – „ვერაფერი უყო გორვანს ზვავმა.“ <http://titus.fkidgl.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310 D 410 E810D B10 D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

2) დოლ-ჰებუდს ლიშაღლეშ **დეშმა** ჩვემინ. – „დოლ-ჰებუდში ომისა ვერაფერი ქნა.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810D10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

3) ქანტას მიჩა ბინათე, ლაყვრა **დეშსა** ხოგიჭ აკოფს, დეთან სკამ.– „დაბრუნდა თავის ბინაში, სანოლი ვერ უძლებს იაკოფს, ვერც სკამი.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810E110D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

4) ჯეჲ ლოქ სერ იუალადელ **დეშსა** ხეთხნი მიჩ (ლშხ. 63) – „მე შენ ვერასოდეს ველარ შეგ-ბვდებო.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810E110D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

5) ერქა დვე ჟ'შმეჩედელი ლარმიდ, მარე ჩუ **მწჩშ** ათორმა. – „მაშინ დევი ასულა დასაჭერად, მაგრამ ვერ დაუჭერია.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803E910E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

6) ხაჭიმ დვს ბეფშ, მარე **მწჩჩ** ათეიდა. – „მისდევს დევს ბავშვი, მაგრამ ვერ დაენია“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803F210E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

7) **მწჩჩ** ათირ მიჩა ჭშშ ი ალ მეჩი მარეს ახაქენე მიჩა თავგადასავალ. – „ვერ იცნო თავისი ქმარი და ამ მოხუც კაცს ათქმევინა თავისი თავგადასავალი.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803F210E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

8) ჟიქან **მწჩჩ** ახვეცადენ ეჯნარ, ერე ქა მენედენდა. – „ზევიდან ვერ მივეპარე, რადგან დამინახავდა“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803F210E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

9) მიჩა ეხვს **მწჩჩ** ახოზაჟა ი ლახარა ლშთხელის. – „თავის ცოლს ვერ გაუგია და დაუნყია ძებნა.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803F210E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

10) „მი იმში ჯექარ, ეჯი **მწჩჩ** დერ აშისყხეს, ღერდენ აგხო, ქა დემგვაშს ჯავდი!“ – „მე რაც გითხარი, ის მაინც ვერ გამოიკეთე, ნადი სახლში, მოცემით არაფერს მოგცემ.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803F210E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

11) ძინწარს ალე ლოქ ადვე **მწჩჩ** ახვეგადება, ერქა მარე ნომა ლოქუ ხე!“ – „დილით ეს თუ ვერ გავიგე, მაშინ კაცი არ ვყოფილვარო.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803F210E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

12) სკა ლიკვანე ხეკვადდა ორმოხოისა, მარე **მწჩჩ** ადაკვარ სკა. – „ორმოში ჩაგდება უნდოდა, მაგრამ ვერ ჩააგდო.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803F210E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

13) ალეს მწგ მეჭედე ასოხვიდა მიჩა ქორწ მარე ი ერხოხ **მწჩჩ** (ი მწდშ) ატახ. – „მას ყველა მოსული დახვდა მისი ოჯახის წევრები და იქით ვერ დაბრუნდა.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803F210E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

14) ჩვათაპინტას შუეკვარ ი **მწდშ** აშეჩედხ. – „დაბნელებიათ გზები და ვერ წასულან.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

15) „იმწარ ი ამჟი ი ამჟი ლოქ ლახაჩვემნა ი **მწდშ** ლოქ ათოყვილა ქა“. – „რატომ და ასე და ასე დამართნიაო და ვერ დაუშორებიაო.“

[http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD= DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511)

16) ჯე მანდმ ხანდა – „მას ვერ დაუნახავს“ [http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/ titusinx/ titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511)

17) ეჯი მინს ლოქ მანდმ ახონიკვას ი ჯე იმ ლოქ ხეჩო. – „ის მათ ვერ შეუშინებიათო და ის რას უზამსო.“ [http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx. asp?LXLANG= 1023& LX WORD=DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511)

18) ამაუმ მან ლოქ ახოვიდა ლიც. – „ამით ვერ მოუტანია წყალი“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

19) ქახვექმ ი მან წთვედ. – „გავეკიდე და ვერ დავენი.“ [http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/ da- tabase/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL= 64511](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511)

20) შუკვს მანდმ ათალაკას აჯახ. – „გზა ვერ მოუძებნიათ კიდე“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

უარყოფითი ნაწილაკები დანვრილებით აქვს შესწავლილი თინათინ შარაძენიძეს ნაშრომში „უარყოფითი ნაწილაკები სვანურში“. ის აღნიშნავს, რომ საკუთრივ უარყოფით ნაწილაკებს წარმოადგენენ: **მან-მო, დე-დო, ნე-ნო**. თითოეულ წყვილს თანხმომვითი ელემენტი ერთი და იგივე აქვს, ხმომვითი – განსხვავებული. წყვილის თითოეულ წევრს ერთვის ერთი და იგივე და აქაც პარალელურ ფორმებს ვიღებთ: მან-მო, დე-დო, ნე-ნო. განსხვავება პარალელურ ფორმებს შორის მხოლოდ ხმომვებში შეინიშნება. პირველ რიგს აქვს ე ან ა ხმომვები, მეორეს – ო. თუ ხმომვებს საკუთარი ფუნქცია მოეპოვება, როგორც ეს ირკვევა, მაშინ მარტივი უარყოფითი ნაწილაკებიც დაიშლება: **დე=დ-ე, ნე=ნ-ე, დო=დ-ო, ნო=ნ-ო**. რაც შეეხება მან-სა და მო-ს, აქ ხმომვები გრძელია. ჩანს, საკუთრივ უარყოფით ნაწილაკსაც ახლდა თავისი ხმომანი, სახელდობრ, რომელი, ძნელი გასარკვევია, რადგანაც ა, ო სხვადასხვა ხმომვის შერწყმის შედეგი შეიძლება იყოს. თუ დე-სა და ნე-ს ანალოგიით ვივარაუდებთ, რომ მეორე ხმომანი ე იქნებოდა, მაშინ უარყოფით ნაწილაკს უნდა ხლებოდა ა, რომელმაც ერთ შემთხვევაში მომდევნო ე დაიმსგავსა და მოგვცა მან (-მა-ე), ხოლო მეორეში თვით დაემსგავსა მომდევნო ო-ს და მივიღეთ მო (-მა-ო). ამგვარად, უარყოფის აღმნიშვნელად გამოდის: **დ, მა და ნ**.

თ. შარაძენიძემ გაარკვია, რომ რთულ უარყოფით ნაწილაკებს მეორე მარცვლად მოუდის **მა**, იგი ნაცვალსახელია. მა ნაცვალსახელი დროთა ვითარებაში მნიშვნელობისაგან დაცლილა და ნაწილაკად ქცეული შერწყმია დე, დო, მან, მო-ს.

რა ნაცვალსახელია ეს მან ? ავტორის აზრით, მან-მა, დე-მა, დო-მა, ნო-მა შედგენილი ნაწილაკების მეორე კომპონენტად უნდა გვექონდეს მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი, რომელსაც მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვა არ აქვს, მაგრამ იხმარება სხვა ბრუნვებში და შედგენილ ნაცვალსახელებში: ამის, ამნემ... თუ ეს ვარაუდი სწორია, – განაგრძობს მკვლევარი,– მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ მან-ს წინ ხმომანი ჰქონოდა, რადგანაც დემა, დომა, ნომა-ში ხმომვები გრძელია (დე, დო, ნო ნაწილაკებს საერთოდ გრძელი ხმომვები აქვთ). ავტორს უძნელდება დანამდვილებით თქმა იმისა, თუ რა ხმომანი უძლოდა წინ მან-ს და დასძენს, რომ „ა“ იქნებოდა თუ „ე“, წინა ხმომანთან შერწყმით ერთსა და იმავე შედეგს მოგვცემდაო“-ო.

რთულ ნაწილაკებში მან-ს ნაცვალსახელურ წარმომავლობას ადასტურებს პირველ რიგში ისეთი ნაწილაკები, როგორცაა **დემის/დემის, დომის/დომის, ნომის/ნომის** (ბზ., ლნტ.). ლაშხურში ამ ნაწილაკთა ნაცვლად გვხვდება **დემამ**, მნიშვნელობა ყველას ერთი და იგივე აქვს: „არ“, „არარა“. ბალსზემოურსა, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში „ჩვენ“ ნაცვალსახელის მიცემითის ფორმას

ნარმოადგენს ამის, იმის, ხოლო ლაშხურში მამ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია, უდრის რამეს. ნაცვალსახელის სწორედ მიცემითის ეს ფორმაა დაცული ზემოთ ნარმოადგენილი უარყოფით ნაწილაკებშიც: დემის- დე + ამის

რთული შედგენილობისაა ის ნაწილაკებიც, რომლებიც **დესამა**, **დემიარ//დემარ** უარყოფით ნაცვალსახელებში გვხვდება. **დესა** ნაწილაკის მეორე ელემენტს **-სა-** ნარმოადგენს. რადგან იგი იმავე პოზიციებში გვევლინება, როგორშიც **-მა**, თ. შარაძენიძის აზრით აქაც ნაცვალსახელურ „ს“ ძირთან უნდა გვექონდეს საქმე (შდრ. ე-ს-ე, ი-ს-ი). მართალია, ამჟამად იგი მხოლოდ ქართულს აქვს შემონახული, მაგრამ არც სხვა ქართველური ენებისათვის უნდა ყოფილიყო უცხო, რამდენადაც ზმნის სუბიექტური მესამე პირის -ს ამ ნაცვალსახელებიდან მომდინარედ ითვლება (მარტიროსოვი 1964: 260).

რადგან რთული ნაწილაკების მეორე კომპონენტს ისტორიულად ნაცვალსახელი ნარმოადგენს, ალბათ ამის გამოა, რომ ხშირად ეს ნაწილაკები დამოუკიდებლადაც ნაცვალსახელის როლში გვევლინებიან. მაგალითად, **მამა/ მამა** ნაწილაკი ზოგჯერ ნიშნავს „არაფერს“-ს, ხოლო „**დემამა**“ ნაწილაკი ვერაფერს.

1. მაგ.: **ზურაღდ მამამა ლაქე ი სკ'აჩად ქორხო** – „ქალმა არაფერი თქვა და შევიდა სახლში“ http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB_10D0100803D310DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511

2. **სარგებ მამამა ხონუზს ლახუზო ლიზიუშ** (ლნტ.) – „მთაში წასვლით სარგებელი არაფერი უნახავთ“ http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D_B10D0100803D310DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511

3. **დოლ-ჰებუდს ლიშალემ დემამა ჩვემინ**. – „დოლ-ჰებუდში ომისა ვერაფერი ქნა.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

სვანური ენა მეტად მდიდარია უარყოფითი ნაცვალსახელებით, რომელთა გავრცელების არე და მნიშვნელობა, ცხადია, სხვადასხვაგვარია, სვანურ დიალექტ-კილოკავთა მიხედვით. შესაძლებლობის შეზღუდულობის გამომხატველ უარყოფით ნაცვალსახელთა აგების პრინციპი, მსგავსად სხვა უარყოფით ნაცვალსახელთა აგების პრინციპისა ქართულსა და სვანურში ნაწილობრივ მსგავსია: უარყოფითი ნაწილაკები დაერთვის სათანადო კითხვით ფორმებს. თუმცა გვაქვს განსხვავებული ელემენტებიც.

ვერავინ = „ვერ“ + „ვინ“

დემარ//დემარ//დემარ (ბზ.); **დემერ//დემერ** (ლაშხ.) = დემ „ვერ“ + მარ „ვინ“

დარმომ (ლნტ.) = დე („არ“) + მარ („ვინ“) + მოშ (1. შესაძლებლობის ნაწილაკი; 2. სხვა-ნაირი ზს.)

მაგ.: 1. **ამზუმ ხანს ესერ ამი ზურაღს დემარ აქაღუნისა?** – „ამდენ ხანს ამის ქალს ვერავინ შეაცდენდაო?“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810F210D0100803E110&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=1023>

2. **ჰანდრალომიმდ დემას** ოთგა ისგა ჭიმს კუბთესგა? – „ჰანდრალომისთვის ვერავის ჩაუდებინებია ფეხი კუბოში.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810F210D0100803E110&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=1023>

3. **ნაყირს ჟი დემერ იზმე** (ლშხ. 46) – „მოქნეულს ვერავინ ზომავს“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810F210D0100803E110&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=1023>

4. **ჩუ დემერს** ოთგრმა ჩაჟუ (ლშხ. 74) – „ცხენი ვერავის დაუჭერია“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D010E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

5. **ალას ისგვა მუვეშ სერ დემარ იროდა** – „ამას მამაშენის გარდა ვერავინ გააკეთებდა“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D010E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

6. ფაყვი ლი ეჭკაწლი, ერ ჟანგემხი, ქა დარმოშ ჯენედენი – „ქუდია ისეთი, რომ დაიხურავ, ვერაინ დაგინახავს“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D010E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

7. დარმოშ ათახვიდა ალ დენაჲ ჟანგეს – „ვერაინ მიხვდა ამ გოგოს სახელს“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D010E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

9. ათხელდ დარმოშ ნვანდა გვიშგე მენნირ – „ახლა არავინ ჩანდა ჩვენი მომრევი“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D0100803E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=61439>

10. ერვალეს ხეკვეს სკა ლახოჯილკან დიდხანიშდ ი მიჩა ბოფშარეშდ, მარე დარმოშ აბე-დავდა. – „ვილაცას ხელი უნდა ეკრა დიდხანისა და მისი შვილებისთვის, მაგრამ ვერაინ ბედავდა.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D0100803E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

ვერაფერი = ვე (რა) + ფერი

✓ დეშსამა (ბზ.)=დეშ (სა) „ვერ“+ მა „რა“

✓ დესმამოშ = დეს „ვერ“+მა „რა“+მოშ „შესაძლებლობის ნაწილაკი“

✓ დემბედიგუქემოშ (ლნტ.)=

=დეშ „ვერ“+ბედი „ბედი“+გუქემ „საქმე“+მოშ „შესაძლებლობის ნაწილაკი“

✓ დეშმა = დეშ „ვერ“+ მა „რა“

1. მერმა ლადლიშვდ ღერუ ე ღზუმ ჯარ ადბგზე, მარა ეშინ დეშსამა ხაყერხ – „მეორე დღეს ორი იმდენი ჯარი გაგზავნა, მაგრამ მაინც ვერაფერი დააკლო“

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810E110D010DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

2. დოლ-ჰებუდს ლიშაღეშ დეშმა ჩვემინ. – „დოლ-ჰებუდში ომისა ვერაფერი ქნა.“

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

3. აი, კომუნისტარდი დესმამოშ შეგუქუბლეს. – „აი, კომუნისტებმაც ვერაფერი შეგვიცვალეს.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E110DB10D010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=26623>

4. მი ლოქ დეშსამა ლამმეშაღუნ. – „მე ვერაფერი მაომეო (მაჩხუბეო)“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810E110D010DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

კატეგორია-რაოდენობა (უარყოფითი ნაწილაკი + ერთი)

ვერც ერთი_ დეხედა// დეხედამოშ (ბქ., ლნტ.), დეხდა//დეხდამოშ (ბზ., ბქ., ლშხ) = დე „არა“ + ხედა „რომელი“ +(მოშ „შესაძლებლობის ნაწილაკი“).

1. მაგ.: ჩუ დეხდამოშ იდესგინ უშხუარ (ბზ. 398) – „ვერც ერთი ვერ აქცევს ერთმანეთს“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410EE10D310D010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=61439>

2. ჩხერშტაგილს ი დაუთაგილს დეხდას ხარხ ჩუ ლათარ (ბქ. 104) – „ჩხირშტაგილს და დავთაგილს ვერც ერთს ვერ იცნობ (არცერთს არ აქვს საცნობი)“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410EE10D410D310D010E110&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

3. ამეხენქა ლიზი დეხედადმოშ ანმევერეს (ლნტ. 178) – „აქედან გასვლა ვერც ერთმა ვერ მოიფიქრა“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410EE10D410D310D010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=61439>

როგორც ვხედავთ, შესაძლებლობის შეზღუდულობის გამომხატველი უარყოფითი ნაცვალ-სახელსახელების სტრუქტურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია უარყოფით ნაწილაკი, როგორც ქართულში, ასევე სვანურში. განსხვავებას ქმნის „მოშ“ ნაწილაკი, რომელიც მხოლოდ სვანურში დაერთვის უარყოფით ნაწილაკებს.

ქართულში მოქმედების შედეგების შეზღუდულობის გამომხატველი ყველა უარყოფითი ნაცვალსახელის სტრუქტურა **ვერ** ნაწილაკის შემცველია. სვანურში კი რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა. საანალიზო სემანტიკა ამ ენაში უმეტესად გამოიხატება სტრუქტურით:

ნეიტრალური უარყოფითი ნაცვალსახელი + ნაწილაკი „მოშ“.

„მოშ“ ნაწილაკის შესატყვისი ქართულ ენაში არ დასტურდება. აღნიშნული ნაწილაკის ფუნქცია არ არის მაინცდამაინც უარყოფა, ის შეიძლება ახლდეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილს და კონსტრუქციაში შესაძლებლობის ქონა-არქონის სემანტიკას განაპირობებდეს.

მაგ; ზმნას – **ხირო-მოშ?** „გააკეთებ თუ ვერ?/შეძლებ გააკეთებას?“ (შდრ. *ხირომა?* „გააკეთებ? გააკეთებ თუ არა?“); **ჰემოშ** „თუკი“ (შდრ. *ჰე „თუ“*)...;

დეშ ნაწილაკი (ან რომელიმე სხვა ვარიანტი) კი აღნიშნული ტიპის ნაცვალსახელთა მხოლოდ გარკვეული ნაწილის შემადგენლობაში დასტურდება (ზსვ. **დეშიარ** „ვერაჲინ“ (სახ. ბრ.), **დეშიარდ** „ვერაჲინ“ (მოთხ. ბრ.), ბზ., ლნტ. **დეშმა**, ბზ. **დეშმამოშ** „ვერაჲერი“) და მათაც პარალელურად ასევე ენარმოებათ **მოშ** ნაწილაკიანი ფორმები: ზსვ., ლნტ.: **დაწარმოშ**, ლშხ.: **დარმოშ** „ვერაჲინ“ (სახ. ბრ.), ზსვ., ლნტ.: **დაწარდმოშ**, ლშხ.: **დარდმოშ** „ვერაჲინ“ (მოთხ. ბრ.), ბზ.: **მამგუშემოშ**, ბქ.: **მამაგუშემოშ**, ლშხ.: **დესმამოშ** „ვერაჲერი“...;

1. სვა **დარმოშ** ესერ ღერი ეშთესგა. – „შესვლით ვერაჲინ შედის შიგნით.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D0100803E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=61439>

2. მარე **დარმოშ** ყელე ალ დენაჲ ჟაბხე. – „მაგრამ ვერაჲინ ამბობს ამ გოგოს სახელს.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D0100803E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

3. ქორისგა კელთხი ჰერს **დარმოშ** იკედ. – „სახლში ვერაჲინ იღებს მაღალ ხმას.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D0100803E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=61439>

4. ხეფშვედე მაგ, მარე **დარმოშ** ხატყცი. – „ესროდა ყველა, მაგრამ ვერაჲინ ახვედრებდა“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D0100803E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=61439>

5. ჩიქე **დეშერს** ოხჯერჯა ეჩა ჩუ ლიციუნე (ბზ. 75) – „ჯერ ვერაჲის მოუხერხებია იმის გაცინება.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810D4100403E010E110&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=1023>

6. მარა ლიყდი **დეშერდ** ადბედვე.– „მაგრამ ყიდვა ვერაჲინ გაბედა.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810D410E010D310&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

7. ალე **დეშერდ** ჩომინ იშვენდ. – „ეს ვერაჲინ გააკეთა სხვამ.“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810D410E010D310&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

შეიძლება ითქვას, რომ **„მოშ“**-ნაწილაკიანი შესაძლებლობის შეზღუდვის გამომხატველი უარყოფითი ნაცვალსახელები, ქართულისებურ სტრუქტურასთან შედარებით, უფრო ბუნებრივი ჩანს, **„დეშ“**-ნაწილაკიანები კი ხელოვნურობისა და სალიტერატურო ენის ანალოგიით შექმნილის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადვაძე, 2013; მ. ადვაძე: უარყოფის სისტემა ქართულ ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2013.
2. იმნაიშვილი, 1953; დ. იმნაიშვილი: უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IV, თბილისი 1953.
3. თოფურია, 1967; ვ. თოფურია: სვანური ენა, შრომები I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008.
4. მარგიანი-სუბარი, 2008; ქ. მარგიანი-სუბარი: ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგადი ასპექტი, გამ-ბა „მნიგნობარი“, თბილისი 2008.
5. მარგიანი-სუბარი, 1978; ქ. მარგიანი-სუბარი, უარყოფითი ფორმების წარმოება ქართველურ ენებში (სადიპლომო ნაშრომი, ხელნაწერი), 1978.
6. მარტიროსოვი 1964; ა. მარტიროსოვი: ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბილისი 1964.
7. ონიანი, 1998; ა. ონიანი, სვანური ენა: სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამ-ბა, თბილისი 1998.
8. შანიძე, 1973; ა. შანიძე: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გამ-ბა „განათლება“, თბილისი 1973.
9. შარაძენიძე 1946; თ. შარაძენიძე: უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, იკე, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბილისი 1946.
10. ჭუმბურიძე 2007; ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჭარაძე, რ. ქურდაძე: სვანური ენა, გამ-ბა „პეტიტი“, თბილისი 2007.

მარიამ დოლბაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ნესტან სულავა

ილიას ენა ერთი პოემის მიხედვით

„დედა ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი“, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ ქართველ ხალხს, როცა საქართველომ გასული საუკუნის ოციან წლებში ხანმოკლედ დაიბრუნა დამოუკიდებლობა, ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღევლინა და საუკუნის განმავლობაში დაბეჩავებულმა და დაჩაჩანაკებულმა ქართულმა სიტყვამ კვლავ დაიწყო „ფეხზე წამოდგომა“. სამშობლო ქვეყნის მოღვაწედ, რომელიც სვეტად უდგას ამ უწმინდეს ტაძარს, უპირველესად ილია ჭავჭავაძე გვევლინება. მან ერთ-ერთ ეროვნულ საუნჯედ ენა დაასახელა. მართლაც, ენის მნიშვნელობა კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღების ფუნქციებით არ შემოიფარგლება. ენაში ასახულია ერის განვითარების ისტორია, კულტურა. ენა თვითმყოფადობის, ეროვნული იდენტობის საფუძველია. ქართველობის შეგრძნება ქართული ენიდან იწყება. ამიტომ დააყენა ილიამ ენა მამულისა და სარწმუნოების სიმაღლეზე და სამი უდიდესი საუნჯის ერთიანობის შესახებ თეორიული თვალთახედვა დაგვიტოვა ქართველებს.

ქართული ენის ძირეული რეფორმა სწორედ ილია ჭავჭავაძეს უკავშირდება. „ხალხია ენის კანონმდებელი და არა ანბანთ თეორეტიკა“, – თქვა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალმა, რომელიც ცხადად ხედავდა სალიტერატურო ენის არქაული ნორმებისაგან გათავისუფლებისა და სამეტყველო ენასთან მიახლოების საჭიროებას.

ყოველი მხატვრული ნაწარმოები ფორმა-შინაარსის ერთიანობაა, მკითხველის ემოციის აღსაძვრელად ისევე მნიშვნელოვანია მხატვრული სამოსელი, როგორც ამ სამოსელში დამალული იდეა. ამდენად, შევეცდები, ქართული ენის რეფორმატორის სალიტერატურო ენაზე ვისაუბრო მისი ერთ-ერთი პოემის მიხედვით. ესაა ისტორიული პოემა „მეფე დემეტრე თავდადებული“. მასში ილიას თხრობა სიმბოლურია – ბრმა მეფანტურეს ამეტყველებს, რომელიც, მიუხედავად სიბრმავისა, ზუსტად ხედავს განსხვავებას ძველსა და თანამედროვე საქართველოს შორის. მეფანდურე წარსულთან კონტრასტით გვიხატავს ანმყოს: „შვილნო, თქვენნი წინაპარნი ეგრე გულქვად როდი იყვნენ“. ასახავს იმ თვისებებს, რომლებიც წარმოადგენდა ბალავარს ქვეყნის ძლიერებისა და ერს მათი აღდგენისაკენ მოუწოდებს. წარსული დიდების გახსენება და ანმყოს მხილება ხომ ერის გამოფხიზლების საუკეთესო საშუალებაა, ამდენად, პოემის ფორმა მეტად ოსტატურია.

აკაკი ხინთიბიძე ამბობს, ილიას შემოქმედება „ბარათაშვილის რომანტიკული ხედვის რეალისტური დაკონკრეტებაა“, ცნობილია, რომ ილიასა და სამოციანელებს საგანგებო ვერსიფიკაციულ-სტილისტიკური ძიებანი არ უწარმოებიათ და წინაპარი რეფორმატორების გზას გაჰყვნენ, ილიამ სწორედ ბარათაშვილს აუბა მხარი, რაც ვლინდება აღნიშნული პოემისა და „ბედი ქართლისას“ შედარებისასაც. ორივე პოემის თხრობა ინვერსიულია. პოემათა ლირიკული გმირები წარსულს მოიგონებენ. ისინი იმ დროს იხსენებენ, როცა ქართველთა მეფეები რთული დილემის წინაშე იმყოფებოდნენ, გვიჩვენებენ მათი ფიქრის ვექტორს და დღევანდელ ყოფას მათს საქმეებს უკავშირებენ. პოემათა ვერსიფიკაციაც მსგავსია.

ავტორის ენას აშკარად ეტყობა „ვეფხისტყაოსნის“ გავლენაც. გარდა იმისა, რომ ილია პირდაპირ იმონებს რუსთველისეულ ციტატებს („ძველებს უთქვამს სახელიო ან სიკვდილი“ შდრ.

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“, „გლესხ თუ თავადს, დიდს თუ მცირეს მადლი თანასწორ მოჰფინოთ“, შდრ.: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების“, „ყველგან, იმის სამეფოში თხა და მგელი ერთად სძოვდა“, შდრ.: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“) და პოემის კომპოზიციაც ინვერსიულია, მსგავსება შეინიშნება ინტონაციურ-ემოციურ გრადაციებშიც, ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებში, მხატვრულ სახეებში („გამობრწყინდა მზესავითა“, „მეფე ხელმწიფე სვიანი“), რუსთველის მსგავსად ილია ხშირად მიმართავს მხატვრულ გამეორებას („უმლიდნენ, არ დაიშალა“, „ატირდა და აატირა“, შდრ.: „ნახეს და ნახვა მოუნდათ“). აკად. აკაკი შანიძემ გამოარკვია, რომ ილია ჭავჭავაძემ შოთა რუსთველის გავლენით გააცოცხლა უარყოფითი „არ“ ნაწილაკის ხმარება სიტყვათა სანარმოებლად. „ვეფხისტყაოსანში“ ხშირია ასეთი ფორმები: „არ-გათენება დილისა“, „შენ არ-გატება კარგი გჭირს“... „მეფე დემეტრე თავდადებულში“ კი ვკითხულობთ: „თუ არ ბატონის ხელია“, „ნულარ იცდი... თუ არ ეხლავ, მერე გვიანლა იქნება“ (XXVII)⁶⁸.

პოემაში შეინიშნება ბიბლიზმები: მესამე თავში ვკითხულობთ „თხა და მგელი ერთად ძოვდა“, „ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს“, „მოყვასათათვის თავდადება ქრისტე-ღმერთის ანდერძია“... ბიბლიზმებთან ერთად ქართველთა მსოფლხედვას ილია პოემაში მოყვანილი ხალხური გამონათქვამებითაც ამჟღავნებს. მაგ.: „დედა შეერთოს ცოლად“ (მე-18 კარი), „ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო“ (მე-5), „წინა კაცი უკანასი ხიდიო, ნათქვამია“. „თქმულა: გმირის კაცისათვის თქმა და ქმნაო ერთი არი“. „ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ ძალა აღმართის მხვნელია“.⁶⁹ ანდაზები მხატვრული ნაწარმოების ენას ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველების იერს ანიჭებს, მათი გამოყენებისას ავტორი აძლიერებს ენის ექსპრესიულ ძალას. ილიას ყოველი სიტყვა, ფრაზა კულტურისმიერია, მათში ქართველთა ფიქრი, განცდა, სამყაროს მათეული ხედვაა გამოკვეთილი.

ილია ჭავჭავაძის პოემის ენობრივ თავისებურებათა დახასიათებისას აუცილებელია გრამატიკული თვალსაზრისით განვიხილოთ არქაიზმები, შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები და დავადგინოთ მათი სტილური ფუნქციები. ავტორი კაცს სანთელს ადარებს, რომელიც თავად უნდა დაინვას, სხვას კი გზა გაუნათოს. ილიასთვის ეს უდიდესი ადამიანური ბუნების გამოხატულება, ადამიანის ვალია. მეფე დიმიტრის დასახასიათებლად ავტორი არ იშურებს ეპითეტებს, მას „მონყალეს“, „ღვთისნიერს“, „თვალად მშვენიერს“, „მტრის მსვრელსა“, „ქველსა“ და „უბრალოს“ უწოდებს, რაც მკითხველში მეფის ხატის შექმნას ემსახურება. ცნობილია, რომ ილიამ პირველმა გაილაშქრა ენობრივი კონსერვატიზმის წინააღმდეგ და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების მძიმე ტვირთი იკისრა⁷⁰, მაგრამ „მეფე დემეტრე თავდადებულში“ ჩვენ არაერთ არქაიზმს ვაწყდებით. საქმე ისაა, რომ არქაიზმებს ავტორი იყენებს არა იმიტომ, რომ ის მომხრეა ენის კონსერვატიული ფორმების შენარჩუნებისა, არამედ იმიტომ, რომ ცხადად და რეალისტურად წარმართოს თხრობა. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: „უქმე დღე იყო ტვირთმძიმე და დამაშვრალი“, „საწყალის ხალხის ცოდვითა ქვანიც კი ატირდებიან“ – მორფოლოგიური და სინტაქსური არქაიზმებია. -ავ და -ამ თემისნიშნისანი ზმნების უღვლილება მისდევს ძველი ქართულისთვის დამახასიათებელ ნორმებს: „მამულს ხოლმე შესწირვიდნენ“. გ. შალამბერიძის აზრით, ანალოგიურად უნდა იყოს წარმოებული „უნათვიდეს“ ფორმა, სადაც -ებ თემის ნიშანი (უნათებდეს) -ავ ნიშნით არის შეცვლილი: „სანთელსავით თვით დაინვას და სხვას გზას უნათვიდეს“. გვხვდება ვნებითი გვარის ზმნათა ანმყო-მყოფადის ძველი ქართულისეული ფორმები, ამათგან ზოგს თემის ნიშანი არ აქვს: „კარგს მთქმელს ტყვედ რჩების ნატკივარი გული ჩაგრული“. პარალელურად, ილია მკვეთრად ამსგავსებს სალიტერატურო ენას ხალხის მეტყველებასთან. ეს შეიმჩნევა ფონეტიკასა და მორფო-

⁶⁸ შ.ძიძიგური, ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა, გამომც.: „მეცნიერება“, თბილისი, 1978, გვ. 36.

⁶⁹ გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1966.

⁷⁰ შ.ძიძიგური, ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა, გამომც.: „მეცნიერება“, თბილისი, 1978, გვ.7.

ლოგიაზე დაკვირვებისასაც. მაგალითად, გ. შალამბერიძემ შენიშნა, რომ პოემაში „ვა“ კომპლექსი შეცვლილია „ო“-თი: „წინა კაცი უკანასი ხიდიო, ნათქომია“, „ბრძ“ კომპლექსში დაკარგულია „რ“ ბგერა: „ბოლოს ბძანა... „ჰგავს“ და „ჰყავს“ ზმნების ფორმები ი. ჭავჭავაძეს უწყვეტელში ასე აქვს წარმოდგენილი: „არავინ ჰყავნდა ბადალი...“⁷¹

ილია ჭავჭავაძე ქართული ენის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად უხვზმნიანობასა და ზმნის მოქნილობას მიიჩნევდა. პოემაში იგი ზმნის საინტერესო ფორმებს გვთავაზობს: „მდუმარება“, „ჰვაება“, „ნდომობდა“ და ა.შ. პოემის ენა საინტერესოა სინტაქსის თვალსაზრისითაც, უმეტესად გხვდება პოსტპოზიციული მსაზღვრელ-საზღვრული, ინვერსიული წყობა.

ჩემს სტატიაში შევეცადე, ერთი პოემის ენობრივი ანალიზის საფუძველზე მეჩვენებინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლი პოეტის ემოციური მიზანდასახულობის წვდომისას. თავად ილია ამბობდა, „ნიჭიერი მწერალიც ამისთვის არის სასარგებლო, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე“.⁷² მიუხედავად იმისა, რომ ილია ენის არქაიზმებისაგან გასათავისუფლებლად იბრძოდა, „მეფე დემეტრე თავდადებულის“ სიუჟეტმა სწორედ არქაულობასთან კავშირი მოითხოვა. თუმცა, როგორც ვნახეთ, ილია ჭავჭავაძე მიმართავს არა ანტონ კათალიკოსის მიერ ხელოვნურად შექმნილ ფორმებს, არამედ „ვეფხისტყაოსანში“ იწყებს მხატვრული სახეებისა და სტილური თავისებურებების ძიებას, ოღონდ ეს არ არის უბრალო ასლის გადაღება, არამედ პოემის ყოველი მეტაფორა, შედარება, იდეა, ილიას თანამედროვე სულით სუნთქავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1966.
2. შ. ძიძიგური, ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა, გამომც.: „მეცნიერება“, თბილისი, 1978.
3. ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული, თბილისი, 1957.
4. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0tsiskari--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.1&d=HASHb6462e8321db9325c6beff.15>

⁷¹ გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1966, გვ.75.

⁷² <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0tsiskari--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.1&d=HASHb6462e8321db9325c6beff.15>

მარიამ ტურძილაძე, ანნა კაცაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი **სალომე ოშიაძე**

არის თუ არა აქტი გრამატიკული კატეგორია

აქტი ქართული ენის ერთ-ერთი გრამატიკული კატეგორიაა. მისი გამოხატვის საშუალება ქართულში სხვადასხვაგვარია, რის გამოც, ბუნებრივია, ისმის კითხვა: არის თუ არა აქტი გრამატიკული კატეგორია? მეცნიერთა ნაწილი მას განიხილავს, როგორც გრამატიკულ კატეგორიას, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ გამოხატვის მრავალგვარობისა და ერთიანი სტრუქტურის ნაკლებობის გამო იგი ცალკე კატეგორიად არ უნდა გამოიყოს.

ის, რომ ზმნას შეუძლია გამოხატოს მოქმედება, რომელიც ნახა მოუბარმა და მოქმედება, რომელსაც იგი არ დასწრებია, მოუბარს არ უნახავს, თუმცა მან სხვათა მეშვეობით ან თავადვე იმსჯელა შედეგით, ნამდვილად არის ენის სიმდიდრის ნიშანი.

ა. შანიძე და ლ. კვაჭაძე აქტს განმარტავენ, როგორც ზმნის ფორმას, რომელიც გვაჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება, თუ არა.

ქართულ ზმნას აქვს შესაძლებლობა აღნიშნოს არა მარტო ისეთი მოქმედება, რომელსაც მოუბარი დასწრებია და უნახავს, არამედ ისეთიც, რომელსაც არ დასწრებია და არ უნახავს. ამის მიხედვით გვაქვს ორი აქტი: ნახული და უნახავი.

ნახულია ზმნის ფორმა, რომელიც მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც მოუბრის მიერ ნახს, მაგ.: ნავიდა, მოიტანა...

უნახავია ზმნის ფორმა, რომელიც ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც მოუბარს არ უნახავს. მაგ.: ნახულა, მოუტანია...⁷³

დაუსწრებელი მოქმედების შესახებ ა. შანიძე და ლ. კვაჭაძე განსხვავებულ დეფინიციას გვთავაზობენ: დაუსწრებელი მოქმედების შესახებ შეიძლება ორგვარად ეცნობოს მოუბარს: სხვისაგან გაიგოს ამის შესახებ, ან თვითონ ნახოს მოქმედების შედეგი და ამ შედეგის მიხედვით დაასკვნას, რა უნდა მომხდარიყო. ვთქვათ, ნუხელ ვხედავდი, რომ თოვდა, თოვლის „მოქმედებას“ მე თავად დავესწარი, ჩემი თვალით ვნახე, ამიტომ დღეს ვამბობ: „ნუხელ თოვლი მოსულა“, მაგრამ, თუ გუშინ თოვლის ნასახიც არ იყო ეზოში და მოვიდა ღამით, რასაც მე არ შევსწრებოვარ, დღეს დილით ვიტყვი: „თოვლი მოსულა“.

აქტს, როგორც გრამატიკულ კატეგორიას, განიხილავს ი. ქავთარაძე თავის ნაშრომში „უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში“.⁷⁴ იგი, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს „თურმე“ ნაწილაკის წარმოშობასა და ფუნქციებზე.

ი. ქავთარაძე აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში აღწერილობით ფორმებს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ზმნური მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული ენის განვითარების კანონზომიერებათა შედეგად ასეთი წარმოება შეიცვალა ორგანული წარმოებით.

ამ მხრივ საპირისპირო პროცესებიც საგრძნობლად გამოვლინდა. ბევრ შემთხვევაში აღწერილობითი ფორმები აუცილებელი გახდა და კიდევ დამკვიდრდა ქართულ ენაში გარკვეული პერიოდებიდან.

⁷³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბზ., ტ. III, თბ., 1980, გვ. 211.

⁷⁴ ი. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, „იკე“, VIII, თბილისი, 1956.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება განვიხილოთ თ უ რ მ ე-ნაწილაკიანი ზმნური ფორმების გავრცელება ახალ ქართულ ენაში.

თ უ რ მ ე ნაწილაკს ახალ ქართულში ეკისრება ფუნქცია უნახაობის მნიშვნელობა მიანიჭოს მასთან ნახმარი ზმნის სათანადო ნაკვეთის ფორმას. იგი ადრინდელ ძეგლებში თ უ რ ე-ს სახით გვხვდება, ასეა ვეფხისტყაოსანში: „ვერა ჰპოვებ, დაგიჯერებ, იყო თ უ რ ე უჩინარი“.

ცხადია, ეს სიტყვა წარმოადგენს კავშირ-ნაწილაკების შეერთებას: თუ + რე *თუ – რე – მე – თ უ რ მ ე, ისე, რომ მას არ აქვს არც ერთის მნიშვნელობა. თ უ რ მ ე ყოველთვის ზმნას უკავშირდება შინაარსობრივად, ზმნას ერთვის სინტაქსურად. უნახაობის გაგებით პირველი და მეორე პირის ფორმათა ხმარება თურმეობითში ერთგვარად შეუსაბამო ჩანს და, ამდენად, მათი გამოყენება მესამე პირთან შედარებით ნაკლებად გავრცელებულია. თ უ რ მ ე ნაწილაკის გამოყენებას ის უპირატესობაც აქვს, რომ მისი საშუალებით ხერხდება უნახაობის შინაარსის გამოხატვა სტატიკურ ზმნებში და საერთოდ ისეთ ფუძეებში, რომელთაც მესამე სერიის ნაკვეთების წარმოება არ უხერხდებათ. თუ შესაძლებელია: სწერია, ეწერა, წერებულა – ერთი ტიპის ზმნებში, სამაგიეროდ შეუძლებელია ამგვარივე ფორმების არსებობა ისეთი სტატიკური ვნებითი და საშუალო გვარის ზმნებისათვის, როგორცაა: აბეჭდია, ახატია, აფენია, სჩვევია და ა. შ. თ უ რ მ ე ნაწილაკის გამოყენება უნახაობის შინაარსის გადმოსაცემად ასეთ ზმნებში ერთადერთი საშუალებაა.

თ უ რ მ ე მხოლოდ თხრობითი კილოს ნაკვეთებში გვხვდება. კავშირებითში, ბრძანებითსა და პირობითში იგი საჭირო არაა და თითქმის არც იხმარება.

ერთი შეხედვით, თითქოს ტოლფარდი ოდენობებია: **იყო თურმე** და **ყოფილა, იჯდა თურმე** და **მჯდარა** ტიპის წარმოება, მაგრამ მათი შენაცვლების შესაძლებლობა ნებისმიერი არ არის. მსგავსი მონაცვლე ერთეულები არ შეიძლება დაიძებნოს რიგ შემთხვევებში, როგორცაა: საბუთებს ინახავდნენ თურმე, უკანონოდ ზიხარ თურმე ციხეში და სხვა. მეორე, თ უ რ მ ე-ს საშუალებით მარტოდენ უნახაობის შინაარსს კი არ ესმება ხაზი, არამედ ზოგჯერ იმასაც, რომ მთქმელი მოქმედების პროცესის მონაწილე არაა, თუნდაც იქ იყოს, იმ დროს. იგი ზმნით გამოხატული მოქმედების პასიური მჭვრეტელია, მის შესახებ ისე მსჯელობს, როგორც გარეშე პირი. წინადადებაში „მინაზე ბალახებში... მახე თურმე იყო დადგმული“ – იგულისხმება, რომ მთქმელი იქ იმყოფებოდა, მაგრამ არ იცოდა მახის დაგების ფაქტი.

ახალ სალიტერატურო ქართულში თ უ რ მ ე ნაწილაკი საჭიროების მიხედვით თანაბრად იხმარება თხრობით კილოშიც. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი გამოყენება თურმეობითის ფორმებთან, რაც აიხსნება არა უბრალო ანალოგიით, არამედ ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ თ უ რ ე, თ უ რ მ ე აქ ძველია, იგი უფრო ადრინდელია უნახაობის შინაარსის გამოსახატავად, ვიდრე თვით თურმეობითის გამოყენება ამ შინაარსით.

მეორე თურმეობითი კი ახალი ფორმაციაა, თანამედროვე გაგებითა და გამოყენებით იგი ძველ ქართულში ძალიან იშვიათია.

პირველი თურმეობითი ნამყოფი ერთ-ერთი ისეთი სახეა, რომელსაც აწმყოსთან საზიარო ფუძე გაუჩნდა შემდეგში და მნიშვნელობით ნამყოფი ნყვეტილსაც უახლოვდებოდა, მას ერთგვარი შუა ადგილი ეჭირა აორისტსა და აწმყოს შორის. მეტად საგულისხმოა ამ კონტექსტში ის განსაზღვრება, რომელიც წარმოდგენილი აქვს ა. შანიძეს: „პირველი თურმეობითი ისეთი ნამყოფა, რომელიც გადმოგვცემს, რომ შედეგი აწმყოში ჩანს, დასკვნა წარსულში მომხდარი ამბის შესახებ საუბრის მომენტშია გაკეთებული ომ კვალის მიხედვით, რომელიც წარსულში მომხდარ ფაქტს დაუტოვებია“.

ამასთანავე, დადასტურებულია სარწმუნო შემთხვევები პირველი თურმეობითისა და ნამყოფი ნყვეტილის პარალელური ხმარებისა. არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, თითქოს ამგვარი რედაქციული მონაცვლეობა გამოწვეული იყოს რომელიმე უცხოური დედნის ზმნური ფორმის თავისებური გაგებითა და გადმოთარგმნით.⁷⁵

გვიანფეოდალური ხანის ქართულ ისტორიულ საბუთებში თურმეობითისა და ნყვეტილი ფორმების თანაბარი მნიშვნელობით ხმარება როგორც სხვადასხვა პირის მიერ შედგენილ ერთი საუკუნის საბუთებში, ისე ერთი პირის მიერ შედგენილ ერთ საბუთშიც კი. ეს გვიჩვენებს, რომ

⁷⁵ ი. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, „იკე“, VIII, თბილისი, 1956, გვ. 187.

მონაცვლე ფორმები გამოყენებით არაა დიალექტური, თანაც იგი არაა მარტო თარგმნილი ძეგლებისთვის ნიშანდობლივი მოვლენა.

ქართული ისტორიული საბუთების ერთი, ძალიან მცირე, წყება, როგორც ამაზე გარკვევითაა მითითებული მინაწერებში, დაწერილია ქართულის მცოდნე არაქართველების (სომხების, თურქულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლების და ა. შ.) მიერ. ხომ არ შეიძლება გვეფიქრა, რომ თურმეობითის ფორმათა ამგვარი გამოყენება სომხურის ან თურქული ჯგუფის ენების კალკი იყოს ქართულში?

ნამყოს მიმღობიანი ფორმისა და დამხმარე ზმნის კონსტრუქცია სომხურში ნამყო წინარე-წარსულის მნიშვნელობისაა (*მეორე თურმეობითი*) (ზოგ დიალექტში აორისტის როლსაც თამაშობს) (*პირველი თურმეობითი*). ქართულში მის შესატყვისად, ჩვეულებრივ, თურმეობითს იყენებენ, ოღონდ, არა უნახაობის გაგებით. მაგრამ სომხურსაც და თურქულსაც ეს ფორმები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აქვთ გამომუშავებული ისევე, როგორც ქართულს, რომელიც თავისი განვითარების შინაგანი კანონზომიერების მიხედვით ავითარებს და იყენებს თურმეობითს ყველა იმგვარ შემთხვევაში, რომლებიც ზემოთ იყო აღწერილი. აღნიშნულ ენებში ამ ნაკვთების შინაარსი და მათი გამოყენება უბრალოდ ემთხვევა ერთმანეთს. ჩვეულებრივი ნამყოს მნიშვნელობით (უნახაობის შინაარსის გარეშე) თურმეობითის გამოყენება ძველისძველი ფაქტია და მით ბუნებრივად სარგებლობდა ისტორიული საბუთების თითქმის ყველა შემდგენელი, მათ შორის ისეთი მდივარ-მნიგნობარი, როგორიც იყო მანუჩარ თუმანიშვილი. მის ერთ-ერთ საბუთში იკითხება:

„შენის მონერილის წიგნების პასუხი სულ **მიმინერია** და იქიდამ სცნობ ლელუაშვილის ვალებსა. ამას წინათაც ამ რიგათ **მიმინერია** და ეს პირი აქ **შემინახავს...** ჩემის მსახურის ალექსისათვისაც **დამიბარებია** და გაიმბობს“.

აღსანიშნავია, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში საკმარისადაა მსგავს ფორმათა ხმარების შემთხვევები, პერსონაჟის სამეტყველო კოსტიუმის დასახატად, კოლორიტის შესანარჩუნებლად):

„იმათთვის მერე გადავიხდი ქორწილს. მე სასიძოსთან **მომილაპარაკნია** და საქმეც გათავებულა“ (ა. ცაგარელი „ხანუმა“).

„ხანუმ, რათ **დაგიგვიანია**, დაუპატიჟებლად აღარ უნდა მოხვიდე?“.

ახალი სალიტერატურო ქართული (განსაკუთრებით XIX საუკუნიდან) ძირითადად განაგრძობს აღნიშნულ მიდრეკილებას და თურმეობითის ნაკვთს იყენებს რიგ შემთხვევაში გაცილებით უფრო ზოგადი მნიშვნელობით, ვიდრე ის შეეფერება იმ გაგებას, რომელიც მისი შინაარსის დახასიათებასთან დაკავშირებით სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი. ქვემოთ აღწერილ შემთხვევებში პირველი თურმეობითი ყველგან ნახული მოქმედების გადმოსაცემადაა გამოყენებული და დროის თვალსაზრისით შუათანა მდგომარეობა უჭირავს ნამყო-წყვეტილსა (აორისტსა) და ანმყოს შორის. პირველი წყების კონტექსტებიდან ჩანს, რომ ის არის ერთგვარი შედეგბრივი აორისტი, რომელსაც შეიძლება შეენაცვლოს ნამყოს მიმღობისა და ანმყოს მეშველზმნიანი აღწერილობითი ფორმები: მინახავს = ნახული მაქვს, დამინერია = დაწერილი მაქვს...

„მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ **მოგიკლავს**, კაცისთვის არ **მოგიპარავს**, ერთი სიტყვით, რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი **გიქნია?** დიად, – მეტყვი შენ, – **მისვამს** და **მიჭამია**, არც ერთი დღე მშიერი არა ვყოფილვარ“ (ილია).

„რაც **გინახავს**, **გსმენია**, **მისხედრილხარ**, გონებაში **ჩავრჩენია**, იმას სულ ერთიანად რას ეძახი“? (ილია).

„– შვილო, ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოიხედე.

– **ჩამიხედნია**, დედი, **ჩამიხედნია** და ვიცი, რომ იქ მარტო მე გიზივარ“.

მეორე შემთხვევაში დამონმებული კონტექსტები ადასტურებს, რომ თურმეობითის ფორმას მნიშვნელობა ზოგადი, ჩვეულებრივი ანმეოსი და მყოფადისა აქვს და ერთი მეორის ნაცვლად თავისუფლად გამოიყენება. მაგალითად: მომილოცავს (= მომილოცნია) ახალი წელი – მოგილოცავს ახალ წელს. თურმეობითის ფორმა აქ ანმეოდაა ქცეული. განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

„არა გეთაყვა, მე მაგ საქმეში ხელი **დამიბანია**, მე მაგას არ ვიქმ, ეხლავ გეუბნები“ (ილია).

„ოხ, შენ თუ არ იცნობ, მამ პური ველარ **უჭამია**“ (აკაკი).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ გამოთქმებში (ფრაზეოლოგიურ ერთეულებში უპირატესად) თურმეობითი პირველი ან ბრძანებითის აზრითაა გამოყენებული, ან კავშირებითის მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში სავარუდებელია აქ -მცა ნაწილაკიც ყოფილიყო გამოყენებული თხრობითი ნაკვთის ფორმასთან. ასეთი გამოთქმებია: წყალს(აც) წ ა უ ლ ი ა, კისერი(ც) უ ტ ე ხ ი ა, ჯანდაბამდის გზა ჰ ქ ო ნ ი ა და ა. შ.

„შენ იქნებ სთქვა, თავშიმც ქვა **უხლიაო**, მაგრამ მთავრობა ასე არ ფიქრობს“ (ს. შანშ.).

„ჰე, ჯანი **გავარდნია!**.. მაიტანე, მაინც არ ვარგა, ბესო არ მამიკვდეს!“ (ნ. ლორთქიფანიძე „ქორწილი“) შდრ.:

– მოგკლავენ, შვილო, შენს ელიზბარს ვილას უტოვებ...

– ჯანი გავარდეს მასაც და მეც“ (ნ. ლორთქიფანიძე „ამაყი“).

რა ირკვევა ყოველივე ამით? უდავოა, რომ ქართულ ენაში თურმეობითის ნაკვთი ძალიან ხშირად გამოიყენება ისეთი მოქმედება-მდგომარეობის გადმოსაცემად, რომელიც სუბიექტმა თავისი თვალთ ნახა, დაესწრო მას. უნახავი მოქმედების გამოსახატავად მისი გამოყენება სრულებითაც არაა ერთადერთი, პირიქით, ეს უფრო გვიანდელი ჩანს, როცა დროის გაგება მასში რამდენადმე დაიჩრდილა. მაშასადამე, ადრინდელი ძეგლების მიხედვით, ის არ უპირისპირდება ნამყო წყვეტილს, რომელიც ნახული მოქმედების აღსანიშნავად ყოველთვის როდი იხმარება. „ამერიკა აღმოაჩინა კოლუმბო“, რომ ვამბობთ, ასეთ შემთხვევებში ნამყო წყვეტილი სრულებითაც არაა სუბიექტის მიერ ნანახი მოქმედების გამომხატველი. ასევე უცნაური იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ თითქოს პირველი თურმეობითის პირველი სუბიექტური პირის ფორმა შეიცავდეს უნახაობის გაგებას, სუბიექტი აღნიშნავდეს იმას, რაც მან არ იცის, განსაკუთრებით უარყოფითი ნაწილაკის დართვისას: არ გ ა მ ი კ ე თ ე ბ ი ა და არ გ ა ვ ა კ ე თ ე ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ პოტენციალის შინაარსის მიხედვით. პირველში უბრალო უარყოფაა, მეორეში კი – კატეგორიული. სუბიექტს რაღაც საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ წინასწარი განზრახვით არ გააკეთა იგი. თურმეობითის ფორმაზე ვერ ვიტყვით, რომ აუცილებლად უნახაობის გამომხატველია. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ სხვადასხვა ერთეული უნდა გვექონოდა მყოფადის დადებით ფორმაში (ვნახავ) და საპირისპიროდ უარყოფითში (არ ვნახავ), რადგან მყოფადიც ხომ ჯერ კიდევ უნახავი, შეუსრულებელი მოქმედების გამომხატველია.

ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულში არ გვაქვს უნახაობის კატეგორიის მორფოლოგიური წარმოების საშუალება, იგი არაა იმგვარად გამომხატული გრამატიკული კატეგორია, როგორც დრო, ქცევა და სხვა, რომელთაც მოეპოვებათ სპეციალური მორფემა, აგლუტინაციური ტიპის ქართული ენისათვის შესაფერისი. მართალია, დღევანდელ ქართულში ფაქტია ასეთი დაპირისპირება:⁷⁶

• „მზე **გადიხარა**. თბილმა, შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა **დაიწყო**. იმ ენაჩავარდნილმა ადგილმა **გაიხმაურა**. **აიშალნენ** მეურმეები თვალების ფშვნივითა. პირზე წყალი **შეისხეს** და შესაბამელად **მორეკეს** საქონელი“ (ილია).

• „აი, მაგალითად, გუშინ ზაქარიას ცოლს რა **უქნია?** – წამოიძახა ენაჭარტალა ელისაბედმა, – იცით რა **უქნია?** ბიჭს **გაუჯავრებია... გამოსდგომია, ნაუძვრია** ფეხიდან ჩუსტი... ამდენი **უცემია**, რომ **დაუოსებია** თურმე“ (ილია).

⁷⁶ ი. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, „იკე“, VIII, თბილისი, 1956, გვ. 191.

საინტერესო ტენდენციამ იჩინა თავი ქართული კილოებისა და კილოკავების ერთ ჯგუფში, სადაც ჩამოყალიბდა **ნაყვარება, ნაცხოვრება, ნაცნობა** ტიპის არაინვერსიული თურმეობითი უნახავის გაგებით. ქართულურ-კახურსა და მთის კილოებში მისი ტოლფარდი ოდენობაა სუფიქსური **მიდენილა** („ოთარაანთ გიორგი გზად მი დ ე ნ ი ლ ა“), **ცნობილ** ტიპი („ამ იონასაც ხშირად უვლავ, ც ნ ო ბ ი ლ ქისტებს“). ამ ახალი ტიპის წარმოებაში თითქოს უფრო მკაფიოდ იგრძნობა უნახაობის შინაარსი და ამდენად თ უ რ მ ე ც ზედმეტი ჩანს.

დასკვნა:

აქტი, როგორც გრამატიკული კატეგორია, როგორც ვხედავთ, აზრთა სხვადასხვაობას ინვეს. ა შანიძეს იგი მიაჩნია ზმნის უღლების კატეგორიად, მაგრამ ქართულ ლინგვისტიკაში აქტის კატეგორიის არსებობა საეჭვოდა აქვთ მიჩნეული არნ. ჩიქობავას, ივ. ქავთარაძეს, დ. გენაძეს, თ. მეტრეველს.

ი. ქავთარაძის დაკვირვებით, რამდენადაც აქტისათვის ქართულში არ არის სპეციალური ფორმა, ამდენად, არაა სარწმუნო მისი ცალკე გამოყოფა. მეორე მხრივ, თურმეობითი ყოველთვის როდი მიუთითებს უნახაობაზე. ამ მწკრივებითაც აღინიშნება ნანახი მოქმედება. კერძოდ: 1. როცა S პირველი ან მეორე პირია (მისვამს და მიჭამია), 2. როცა გამოყენებულია უარყოფითი ნაწილაკები (არ მოსულა), 3. როცა II თურმეობითის კილო პირობითია (მე რომ არ წავსულიყავი...)

უნახაობა შესაძლოა გადმოიცეს ყოველი ნებისმიერი მწკრივის ფორმაზე თურმეს დართვით (წერს თურმე, წერდა თურმე...). ეს თურმე შესაძლოა თავად თურმეობითთანაც შეგვხვდეს (წასულა თურმე).

ძველი ქართულის ნათარგმნი თუ ორიგინალური ძეგლების მიხედვით გამოტანილია დასკვნა, რომ ზმნის ფორმა ძველ ქართულში ატარებს მხოლოდ უნახაობის ნიუანსს.

მაშასადამე, უნახაობა არ უნდა იყოს ნიშანდობლივი თურმეობითისთვის. მეორე მხრივ, მხოლოდ თურმეობითით რომ არ გადმოიცემა უნახაობა, ამის დამადასტურებელია უნახაობისათვის ენაში საგანგებოდ ჩამოყალიბებული ფორმები: მინავალა, ნაყვარება თუ სხვ.⁷⁷

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, „იკე“, VIII, თბილისი, 1956.
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ., ტ. III, თბ., 1980.
3. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბ., 2001.
4. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 2010.

⁷⁷ ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 2010. გვ. 165.

თეა გოგოლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: პროფესორი მურმან პაპაშვილი

პილიგრიმები და ჯვაროსნული ლაშქრობების სამართლიანობის აღქმა უილიამ ტვიროსელთან

ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ მდიდარი საისტორიო მემკვიდრეობა არსებობს. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა XII საუკუნის ლათინი ისტორიკოსის, უილიამ ტვიროსელის ნაშრომი. ტვიროსის არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის სამეფოს მმართველი დინასტიის წარმომადგენლებთან დაახლოებული პირი გახლდათ. მან მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო დაგვიტოვა *ზღვის მიღმა მომხდარი საქმეების ისტორიის* სახით, სადაც მოთხრობილია ამბები პირველი ჯვაროსნული ლაშქრობიდან მოყოლებული, ბალდუინ IV-ის⁷⁸ ჩათვლით. ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება უილიამ ტვიროსელის წყაროს, რომელიც ჩვენ, მენტალური და მსოფლმხედველობითი კვლევის ისტორიის შესწავლის კუთხით შევეცადეთ გაგვეაზრებინა. ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქა მეტად საინტერესო ისტორიულ პერიოდს წარმოადგენს, რომლის შესწავლა სხვადასხვა კუთხით დღესაც აქტუალურია. ჩვენთვის საინტერესოა, გავიგოთ თუ როგორ აზროვნებდნენ ამ ეპოქაში მცხოვრები ადამიანები, რა მისწრაფებები და სურვილები ჰქონდათ, როგორ ესმოდათ ესა თუ ის საკითხები და რისი სწამდათ. ჩვენი მიზანი იყო ყოველდღიურობის ასპექტები, პილიგრიმების მსოფლმხედველობა და „სამართლიანი ომის“ აღქმა გაგვეაზრებინა ტვიროსელის პირველწყაროზე დაყრდნობით.

უილიამ ტვიროსელზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის მარტო ისტორიკოსი არ ყოფილა. მისი ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა და მიზანი *ისტორიის* წერის დროს იყო, იდეოლოგიურად განემტკიცებინა და სამართლიანად წარმოეჩინა ის საქმე, რასაც ჯვაროსნები მცირე აზიაში აკეთებდნენ. ეს იქნებოდა მუსლიმების წინააღმდეგ ომი თუ ლათინთა სამეფოსაგრაფოების დაარსება. აქედან გამომდინარე, უილიამს გააჩნდა საკუთარი კონცეფცია, რაც გამოიხატებოდა იმაში, თუ როგორ აღიქვამდა ის ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და მათ სამართლიანობას.

ამთავითვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უილიამ ტვიროსელის დამოკიდებულება ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი დადებით კონტექსტშია წარმოდგენილი. ამის დასასაბუთებლად მას რამდენიმე არგუმენტი მოჰყავს, რათა მკითხველმა ჯვაროსნული ლაშქრობა, ანუ ქრისტეს საფლავის მუსლიმებისგან გამოსხნა, სამართლიანად და კანონიერად აღიქვას.

ავტორის თანახმად, არაბთა ექსპანსიის შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკასა და მცირე აზიაში, ქრისტიანებისადმი დამოკიდებულება არ გაუმჯობესებულა. პირიქით, გაუარესდა და დროთა განმავლობაში ეს პრინციპულად აუტანელი და მიუღებელი გახდა იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანებისათვის, რომლებსაც მუსლიმები ფლობდნენ.

ტვიროსელის სიტყვებით, ცხადია, იმდროინდელი მსოფლმხედველობის მიხედვით, „ღმერთის საყვარელი წმინდა ქალაქი“⁷⁹ ურწმუნოთა ხელში, ქრისტიანების ცოდვების გამო ჩავარდა. წლების

⁷⁸ იერუსალიმის სამეფოს მერვე მეფე 1174-1185 წლებში.

⁷⁹ იგულისხმება იერუსალიმი.

განმავლობაში, ხალხი დაუმსახურებელი ტყვეობის ქვეშ იყო, შეურაცხყოფასა და დამცირებას ითმენდა, გაჭირვებასა და მონურ მსახურებაში ცხოვრობდა. მომლოცველ ქრისტიანებს ფული უნდა გადაეხადათ⁸⁰, რათა შესულიყვნენ იერუსალიმში. მათ კი ვისაც ფული გზაში ეკარგებოდა ან რაიმე სხვა მიზეზით არ გააჩნდათ, შესვლა ეკრძალებოდათ. ისეც ხდებოდა, რომ ქალაქში შესვლის მოლოდინში ხალხი შიმშილით იხოცებოდა. დროთა განმავლობაში იცვლებოდნენ რა მუსლიმი მმართველები, მათი დამოკიდებულებაც ქრისტიანებისადმი იცვლებოდა. ხშირ შემთხვევაში, ქრისტიანები წინანდელთან შედარებით უარეს მდგომარეობაში ვარდებოდნენ, თუმცა იშვიათი გამონაკლისებიც იყო, როდესაც მათ ამოსუნთქვის საშუალება ჰქონდათ. მაგალითად ასე მოხდა, როდესაც ჰარუნ არ-რაშიდი⁸¹ აბასიანებს ჩაუდგა სათავეში. მას საკმაოდ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ქრისტიანებთან, რისი მიზეზიც, ჩვენი აზრით, კარლოს დიდთან მის კეთილდამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ უილიამის დამოკიდებულება ჰარუნ არ-რაშიდისადმი დადებითია და უფრო მეტიც, ერთი წიგნის მთელ ქვეთავსაც⁸² კი უძღვნის მათ⁸³.

სპარსელები და ეგვიპტელი არაბები ერთმანეთს ეცილებოდნენ მცირე აზიაში პირველობისათვის და ეს ქრისტიან მორწმუნეებზე მძიმედ აისახებოდა. მას მერე, რაც ფატიმიანებმა ანტიოქია და იერუსალიმი დაიპყრეს, ქრისტიანების მდგომარეობა ცოცხალი გაუმჯობესდა, თუმცა ეს დროებითი აღმოჩნდა და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, სიტუაცია უფრო სავალალო ხდებოდა. მას შემდეგ, რაც ალ ჰაქიმი (996-1021)⁸⁴ გახდა ხალიფა, ქრისტიანების მდგომარეობა გაუარესდა. მან განაღდგურა აღდგომის ტაძარი იერუსალიმში, რომელიც თავის დროზე იერუსალიმის პატრიარქმა მაქსიმმა (333-348) ააშენა იმპერატორ კონსტანტინე დიდის ბრძანებით და რომელიც შემდეგ მოდესტოსმა (632-634) განაახლა ჰერაკლე კეისრის დროს⁸⁵.

ჰაქიმის დედა ქრისტიანი იყო და ამიტომ ის ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ისლამისადმი თავისი ერთგულება დაემტკიცებინა. ამას ის ფაქტიც ემატებოდა, რომ ის აღიარებდა ისლამიზმს და მის მიმდევრებს აქტიურ დახმარებას უწევდა. მისი ერთგული მსახური და რამლას განმგებელი, იარუკი პირადად ხელმძღვანელობდა ხალიფას ბრძანებას და ქრისტიანულ სინმინდე-

⁸⁰ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p. 80.

⁸¹ ჰარუნ არ-რაშიდი აბასიანთა დინასტიისა წარმომადგენელი იყო. ის ხალიფა 766 წელს გახდა. ძალაუფლება ხელში ჩაიგდო და სახელმწიფოს განაგებდა ბარმაქიანთა გვარის ვეზირების დახმარებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ირანის ფეოდალურ არისტოკრაციას. 803 წელს მათი ჩამოცილების შემდეგ გახდა ერთპიროვნული მმართველი. ჰარუნ არ-რაშიდის დროს სახალიფოში განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა და კულტურა, აყვავდა ლიტერატურა. ჰარუნ არ-რაშიდი განაგრძობდა ბრძოლას ბიზანტიასთან. გარდაიცვალა შუა აზიაში სამხედრო ლაშქრობის დროს.

⁸² A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p. 64.

⁸³ W.T. 1:3 Diebus tamen illius admirabilis et praedicandi viri, Aarum videlicet, qui cognominatus est Ressith, qui universo prae fuit Orienti (cujus liberalitatem et urbanitatem praecipuam, et mores singulariter commendabiles, universus etiam usque hodie Oriens admiratur, et praeconiis attollit immortalibus) interventu piissimi et immortalis memoriae viri, domini videlicet imperatoris Caroli (qui mutuam, intercurrentibus nuntiis frequentibus, inter se gratiam et mirabili subnixam foedere, conciliaverant), plebi Dei tranquillitas praestita est, et favor principis clementer indultus ad multam consolationem; ita ut magis sub imperatore Carolo, quam sub dicto principe degere viderentur. De quo ita legitur in Vita praedicti viri gloriosi: Cum Aarum, rege Persarum, qui, excepta India, totum pene Orientem tenebat, talem habuit in amicitia concordiam, ut is gratiam ejus, omnium qui in toto orbe terrarum erant regum ac principum amicitiae praeponeret, solumque illum honore ac magnificentia sibi colendum judicaret. Ac proinde cum legati ejus, quos cum donariis ad sacratissimum Domini ac Salvatoris nostri sepulcrum locumque resurrectionis miserat, ad eum venissent, et ei domini sui voluntatem indicassent, non solum quae petebantur fieri permisit, sed etiam sacrum illum et salutarem locum, ut illius potestati ascriberetur, concessit, et revertentibus legatis suos adjungens, inter vestes et aromata, et caeteras Orientalium terrarum opes, ingentia illi dona direxit: cum ei ante annos paucos, eum quem tunc solum habebat, roganti mitteret elephantem.

⁸⁴ ფატიმიანების მე-6 ხალიფა, ის გამოირჩეოდა ქრისტიანების მიმართ სისასტიკით.

⁸⁵ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p. 66.

ებს ანადგურებდა. აღდგომის ტაძრის დანგრევა 1009 წელს დაიწყო და მას მოჰყვა მთელს სირიაში ქრისტიანული ტაძრებისა და სინაგოგების განადგურება. გარდა ამისა, ქრისტიანებისათვის საბაჟო გადასახადები გაიზარდა, მათ ჩამოერთვათ ის პრივილეგიები, რაც ადრე ჰქონდათ. მათ უკრძალავდნენ რა ქრისტიანული რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების ჩატარებას, იძულებულნი იყვნენ მალულად ემოქმედათ სახლებში, თუმცა არც ეს იყო უსაფრთხო. როდესაც რაიმე რელიგიური დღესასწაული იყო, შიშით გარეთ ვერ გამოდიოდნენ⁸⁶. თუმცა, როგორც უკვე ვახსენეთ, არც სახლი იყო უსაფრთხო. ყოველთვის შეიძლებოდა სახლებში თავს დასხმოდნენ სარკინოზები და სხვადასხვა ბრალდებით დაეპატიმრებინათ. დაპატიმრების შემდეგ კი ყოველგვარი გასამართლების გარეშე სჯიდნენ, ხშირად სიკვდილით. მათ ქონებას ართმევდნენ, ადგილ-მამულებს ისაკუთრებდნენ. ასევე ხშირი იყო ლინჩის წესით გასამართლება, რაც ძირითადად რელიგიური მიზეზით ხდებოდა⁸⁷. მსგავსი სახის შემთხვევები ხშირი იყო და ეს ნელ-ნელა ამწიფებდა იმ ზარს, რომ ქრისტიანებს რაიმე უნდა ელონათ ქრისტეს საფლავის დასაბრუნებლად და მუსლიმთა უღლისგან თავის დასაღწევად. ტვიროსელი თავის წიგნში *ზღვის იქითა საქმეების ისტორიაში* წერდა⁸⁸: „დიდ დროს წაიღებს იმ ინდივიდუალურ შემთხვევებზე საუბარი, სადაც აღწერილია რანაირ წამებას იტანდნენ ღმერთის მსახურები. ამიტომ ერთ მაგალითს მოგიყვანთ თქვენო უდიდებულესობავ⁸⁹, რათა გაიგოთ როგორი მარტივი მიზეზით ისჯებიან ისინი [ქრისტიანები – თ.გ.] სიკვდილით. იქ [იერუსალიმში – თ.გ.] ცხოვრობდა ერთი ურწმუნო კაცი, რომელიც მოლაღატე და ბოროტი იყო, რომელიც დიდი სიძულვილით დევნიდა ჩვენს ხალხს [ქრისტიანებს – თ.გ.]. ამ კაცმა შეიმუშავა გეგმა, რათა გაენადგურებინა ისინი [ქრისტიანები – თ.გ.]. ერთ დღეს მან მალულად დაავდო ძაღლის ჩონჩხი სალოცავის [მუსლიმური – თ.გ.] ეზოში, რომლის სისუფთავეს მთელი ქალაქი დიდი სკურპულოზურობით ეკიდებოდა. მლოცველებმა [მუსლიმებმა – თ.გ.], რომლებიც მეორე დღეს მოვიდნენ სალოცავში, აღმოაჩინეს ცხოველის გვამი და გაცოფებულებმა მთელი ქალაქი ტირილით აიკლეს. მოსახლეობამ,

⁸⁶ 1004 წელს გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც ფატიმიდების სამფლობელოებში მცხოვრებ ქრისტიანებს აეკრძალათ ნათლისღებისა და აღდგომის დღესასწაულების აღნიშვნა.

⁸⁷ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p. 70.

⁸⁸ W.T. 1:5 Qui autem pro tempore erat illis patriarcha, is primum injurias excipiebat et opprobria; tum eos et publice et secretius ad longanimitatem invitans, pro temporalibus quae patiebantur malis, coronas promittebat sempiternas. Cujus verbis et exemplo commoniti, transitorias pro Christo contemnentes injurias, se invicem mutua charitate consolabantur. Referre per singula longum esset, quanta in propriis corporibus praedicti servi Dei pertulerint tormenta, ut haeredes fierent in domo Domini, et ut leges aemularentur paternas. Unum tamen de tot millibus, exempli gratia, producamus in medium, ut per haec deprehendat vestra dilectio, quam ex frivolis causis ad ultima supplicia rapiebantur. Quidam civis ex infidelibus nostros odio persequens insatiabili, vir perfidus et nequam, ut eis aliquid ad mortem moliretur, morticinum canis clam projecit in atrium templi, in cujus munditia conservanda, ejus custodes et universa civitas omnem impendebant sollicitudinem. Mane facto, qui orationis gratia accesserunt ad templum, reperientes immundum cadaver et fetens, pene ad insaniam versi, universam urbem repleverunt clamoribus. Concurrat subito populus universus, et omnes asserunt pro constanti, Christianos hoc fecisse. Quid plura? Decernitur interitus universis, et tam piaculare flagitium morte piandum judicatur. Fideles porro de sua confidentes innocentia, mortem pro Christo parati erant subire. Dumque adessent spiculatores eductis gladiis ut populum interimerent, obtulit se adolescens plenus spiritu, dicens: Periculosum est, fratres, si ita perit omnis haec ecclesia. Expedit magis ut unus moriatur pro populo, et non tota gens pereat. Concedite mihi, ut mei habeatis annuam in benedictione memoriam, et generi meo honor in perpetuum debitus conservetur; ego vero, auctore Domino, hanc a vobis stragem depello. Susceperunt igitur gratanter verbum, et quod ille petierat, ultro concedunt. Et ut in Ramis palmarum ad perennem ejus memoriam, contribules ejus olivam, quae Domini nostri Jesu Christi significativa est, introducant in civitatem, in processione solemnium, confirmant. Quo facto, praedictus adolescens primatibus se offert civitatis, reum se confitetur, et omnes alios astruit innocentes. Quod audientes iudices, aliis absolutis, illum gladio exposuerunt. Et ita pro fratribus animam ponens, cum pietate dormitionem accepit, optimam in Domino habens repositam gratiam.

⁸⁹ ავტორმა ნაშრომი მიუძღვნა ამაღლიკ I, შესაბამისად მას მიმართავს.

უცბად მოგროვილმა ეკლესიის გარშემო, დაასკვნა, რომ ეს ქრისტიანებმა ჩაიდინეს. კიდევ რა უნდა ვთქვა? სიკვდილით დასჯა მიესაჯა ყველა ქრისტიანს, რადგან ეს ერთადერთი საშუალებად იქნა მიჩნეული, რომ მათ [ქრისტიანებს] ეს მკრეხელობა გამოესყიდათ. მორწმუნეების [ქრისტიანების] მკვლელობა გრძელდებოდა მანა, სანამ ერთი სინმინდით აღსავსე კაცი არ მოვიდა და არ შესთავაზა საკუთარი თავის მსხვერპლად შენირვა. ეს ძალიან დიდი საშინელებაა ძმებო – თქვა მან, რომ ყველა ქრისტიანი უნდა დაიღუპოს ასე. უფრო უკეთესი იქნება, რომ ერთმა კაცმა გაიღოს საკუთარი სიცოცხლე, რათა სხვები გადაარჩინენ. [იერუსალიმში – თ.გ.] დამპირდით, რომ ყოველ წელს მონინებით მომიხსენიებთ და პატივსა და ღირსებას მიჰგვრით ჩემს ოჯახს სამუდამოდ. ამ პირობებით და ღმერთის ბრძანებით, მე თქვენ ვაგათავისუფლებთ ამ ხოცვა-ჟლეტისგან... შემდეგ ახალგაზრდა კაცი ეახლა იერუსალიმის განმგებელს და გამოაცხადა, რომ ის იყო დამნაშავე. ამ გზით მან დაამტკიცა სხვა ქრისტიანების უდანაშაულობა, მოსამართლეებმა კი სხვები [ქრისტიანები] უდანაშაულოდ სცნეს, ამ კაცს კი სიკვდილი მიუსაჯეს. მან თავისი სიცოცხლე განირა ძმებისთვის, მან ეს ნაბიჯი ღვთისმოსაობის ნყალობით გადადგა. ის შეხვდა სიკვდილს, ყველაზე დალოცვილ ძილს, იმაში დარწმუნებულმა, რომ ღმერთის თვალში მან მაღლი შეიძინა⁹⁰.”

ამ ამბიდან კარგად ჩანს, თუ როგორ უსამართლოდ ექცეოდნენ ქრისტიანებს მუსლიმები, თუ როგორ ყოველგვარი გამოძიებისა და განსჯის გარეშე სჯიდნენ სიკვდილით. როგორ სწამებდნენ ცილს და აყენებდნენ შეურაცხყოფას. დროთა განმავლობაში, ქრისტიანების გულში პროტესტისა და უკმაყოფილების გრძნობა იღვიძებდა. მათთვის იერუსალიმი უბრალოდ წმინდა ქალაქს არ წარმოადგენდა, სადაც ბევრი სინმინდე და ტაძარი იყო, ეს იყო ის ადგილი, სადაც ყველაზე დიდი სინმინდე, ქრისტეს საფლავი მდებარეობდა.

მუსლიმებს აკრძალული ჰქონდათ, ქრისტიანებისთვის ყველაზე წმინდა ადგილზე ლოცვა, ხოლო თუ დაიშვებოდნენ, ისიც თანხის გადახდის და შეურაცხყოფის ატანის შემდეგ. მუსლიმებისთვის ეს იგივე იქნებოდა, მათთვის მექა და მედინა, რომ წაერთმიათ, იქ შესასვლელად ფულის გადახდა, რომ დასჭირვებოდათ, ხოლო ლოცვა და სხვადასხვა რელიგიური რიტუალების და დღესასწაულების ჩატარება აკრძალული ჰქონდათ. შუა საუკუნეების ადამიანის, განსაკუთრებით პილიგრიმის და წმინდა მიწაზე მცხოვრები ქრისტიანების სიცოცხლეს მაცხოვარის რწმენა ასაზრდოებდა. უფრო სწორად კი, მათ წარმოდგენაში, ქრისტეში ცხოვრება იყო მინიერი ცხოვრებისეული არსი. მიუხედავად ამისა, ავტორი მიზეზთა ჯაჭვში ქრისტიანთა ბრალსაც ხედავდა. კერძოდ, შემთხვევითი არ არის, რომ ის, უკვე ხსენებულ თავის ნაშრომ ზღვის იქითა საქმეების ისტორიაში, ნებისმიერი უბედურების მიზეზად ქრისტიანების ცოდვებს ასახელებდა. მისი პროვიდენციალური მიდგომა და ამგვარი აღქმა მოვლენებისა, საკმაოდ ბუნებრივი და ჩვეულებრივი იყო XII საუკუნის ადამიანისთვის. ამის არგუმენტად, უილიამი იშველიებდა პეტრე მეუდაბნოეს იერუსალიმში მოსალოცად ჩასვლის ამბავს. ავტორის მიხედვით, იერუსალიმში ჩასულ პეტრეს, იქ საკმაოდ რთული სიტუაცია დახვდა და იერუსალიმის პატრიარქთან საუბრის შემდეგ სერიოზულ გადანყვეტილება მიიღო: აღმოსავლეთ ქრისტიანების გასაჭირი დასავლეთელ ქრისტიანებს გაეცნო და რაც მთავარია პაპამდე მიეტანა ქრისტიანების პრობლემები⁹¹. ბუნებრივია, ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა რომის პონტიფექსს ენიჭებოდა. 1095 წელს კი კლერმონში გამოსვლის შემდეგ, ურბან II ოფიციალურად მოუწოდა ყველა ქრისტიანს წმინდა მიწის დასაბრუნებლად აესხათ იარაღი და დაებრუნებინათ უფლის საფლავი. მისი მოწოდება პირდაპირ პასუხობდა მორწმუნეების სურვილს, წასულიყვნენ წმინდა მიწაზე. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. კერძოდ, მორწმუნეთა უმრავლესობა წმინდა მიწაზე, ცოდვების მოსანანიებლად მიდიოდა. მათთვის უმთავრესი იყო, რომ ჩადენილი ცოდვები მიტევებოდათ და სიკვდილის შემდეგ სასუფეველი დაემკვიდრებინათ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თავგადასავლებს ეძიებოდნენ და ცხოვრების გახალისე-

⁹⁰ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p. 68-69.

⁹¹ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p. 82-84.

ბა და გამხიარულება უნდოდათ. ჩვენთვის ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ცხოვრება დიდი თავგადასავლებით არ გამოირჩეოდა, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობისთვის მაინც ის ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი იყო. მოლაშქრეთა რიგებში იყვნენ ისეთი მორწმუნეები, რომლებიც უბრალოდ ქრისტეს საფლავის მონახულებას ლამობდნენ.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჯვაროსნული ლაშქრობა ავაზაკებმა და დამნაშავეებმა წამოიწყეს და ლაშქრობაშიც ისინი იღებდნენ მონაწილეობას. ეს მოსაზრება არ არის სწორი. ავაზაკები და დამნაშავეები მონაწილეობდნენ ლაშქრობაში, რომელთაც არჩევანის საშუალება მისცეს. ტუსაღად ყოფნას არჩიეს სასარგებლო საქმე გაეკეთებინათ და ზოგ შემთხვევაში, დანაშაული გამოესყიდათ ღვთის წინაშე. მოლაშქრეთა უმრავლესობა მორწმუნეები და პილიგრიმები იყვნენ, რომელთა მიზანსაც წმინდა მიწის დაბრუნება და ქრისტიანების გათავისუფლება წარმოადგენდა.

ამგვარად ჩვენ გამოვყავით ის ორი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც უილიამ ტვიროსელის თვალსაზრისით ჯვაროსნული ლაშქრობის სამართლიანობაზე მიუთითებდა, ეს იყო მუსლიმების უარყოფითი დამოკიდებულება ქრისტიანებისადმი და პაპის მონოდება ლაშქრობის დაწყების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იასტრებიცკაია ალა, ეპოქა. ყოფა. ჩაცმულობა 11-13 საუკუნეების დასავლეთი ევროპა. ნაკადული, თბილისი, 1981.
2. კვაჭანტირაძე ეკა, ისტორიული მეხსიერება და მისი შესწავლის ძირითადი ტენდენციები. ჟურნალი ამირანი, 19-ე ნომერი, 2008.
3. David Abulafia (editor), The New Cambridge Medieval History, Volume 5: c.1198 – c.1300, Cambridge University Press, 2008.
4. Edbury P. W., Rowe J. G. William of Tyre: Historian of the Latin East. Cambridge; New York: Cambridge University Press, 1988.
5. Garver Valerie L., Handbook of Medieval studies terms, methods, trends, edited by Albecht clas-sen, Vol. 1, 2010.
6. Historia Rerum in Partibus Transmarinis Gestarum: Libri I – XII (Latin Edition), CreateSpace Inde-pendent Publishing Platform, 2010.
7. Riley-Smith Jonathan, The First Crusade and the Idea of Crusading (The Middle Ages Series), Uni-versity of Pennsylvania Press, 2009.
8. Riley-Smith Jonathan, The Oxford Illustrated History of the Crusades (Oxford Illustrated Histories), Oxford University Press, 1995.
9. Riley-Smith Jonathan, The First Crusaders, 1095-1131, Cambridge University Press, 1998.
10. The New Cambridge Medieval History: Volume 4, c.1024-c.1198, Part 1, Cambridge University Press; Reprint edition, 2015.
11. William of Tyre, A history of deeds done beyond the sea. Vol. 1. Columbia University Press, 1943.
12. Заборов М. А. Крестоносцы на Востоке. М.: Наука, 1980.
13. Роулинг Марджори, Европа в Средние века. Быт, религия, культура, Центрполиграф, Моск-ва, 2006.

ნინო კაკალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი **ლერი თავაძე**

ყივჩალთა დაკრძალვის წესი (ნარატიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

ყივჩალებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ XII-XIV საუკუნეების საქართველოში. ისინი აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ქართველთა მიერ წარმოებულ ბრძოლებში. ამჯერად, ყივჩალთა საკითხის შესწავლისას, წარმოვადგენთ მათი დაკრძალვის წესს. ეს საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ყივჩალთა რამდენიმე სამარხი საქართველოშიცაა აღმოჩენილი და, შესაბამისად, საინტერესოა როგორ ხდებოდა ყივჩალის დაკრძალვა. ყივჩალთა დაკრძალვის წესის შესახებ არც თუ ისე ბევრი ცნობებია დაცული საისტორიო წყაროებში. ყივჩალთა დაკრძალვის წესის შესახებ მოგვითხრობს კათოლიკე ბერი გუილიომ რუბრუკისი თავის თხზულებაში, „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“ (რუბრუკისი, 1942), და ფრანგი ავტორი ჯოინვილი (Wedgwood 1906). საქართველოში ჩამოსახლებულ ყივჩალთა დაკრძალვის წესზე ინფორმაციას გვანვდის არქეოლოგიური მასალები.

გუილიომ რუბრუკისი თავისი აღმოსავლეთში მოგზაურობის აღწერისას ხშირად ახსენებს კუმანთა საფლავებს, აგრეთვე აღწერს მათ დაკრძალვის წესსაც. რუბრუკისი წერს: „კომანები თავიანთი მკვდრების საფლავებზე დიდ ყურღანს მართავენ, ხოლო ამ ყურღანზე სდგამენ ქანდაკებას, რომელსაც პირი აღმოსავლეთისაკენ აქვს მიბრუნებული, ხოლო ხელში თასი უჭირავს ჭიპის სიმაღლეზე“ (რუბრუკისი, 1942, გვ. 32). ყივჩალები დასავლურ წყაროებში კომანების სახელით მოიხსენიებიან და გუილიომ რუბრუკისიც სწორედ მათ შესახებ საუბრობს. მისი ეს ცნობა ძალზე მნიშვნელოვანია, რასაც ადასტურებს რუსეთის ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილი ყივჩალთა ქვის ქანდაკებები. მათი გავრცელების არეალი წარმოადგინა ისტორიკოსმა ი. ზელენსკიმ. მისი გამოკვლევის მიხედვით, ეს არის ტერიტორია ყუბანის სტეპის აღმოსავლეთი და აღმოსავლეთ ყუბანის რეგიონები (Зеленский 2016, გვ. 219-220). აღმოჩენილია როგორც მამაკაცის ისე ქალის ქანდაკებები, რომლებიც გარდა დაკრძალვის წესისა მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ყივჩალთა შეიარაღება-აღჭურვილობასა და ჩაცმულობაზე. რა მიზანი შეიძლება ჰქონოდა ქანდაკების აღმართვას საფლავზე? ეს განპირობებული უნდა იყოს ყივჩალთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენებით. გუილიომ რუბრუკისი მონღოლთა რწმენა-წარმოდგენებზე საუბრისას აღნიშნავს ერთ-ერთ მონღოლთან საუბარს. მას შემდეგ, რაც გაიგებს რომ მონღოლს ერთი ღმერთი სწამს, ეკითხება განკაცებული თუ არა მათი ღმერთი. უარყოფითი პასუხის მოსმენის შემდეგ ეუბნება, თუ ღმერთი არ განკაცებულა რატომ აქვთ მათ კერპებს ადამიანის სახე (რუბრუკისი 1942, გვ. 76)? მონღოლი პასუხობს, რომ მათ ღმერთი არ წარმოუდგენიათ ამ ფიგურებში, არამედ როდესაც ვინმე მდიდარი კვდება გარდაცვლილის ნათესავები მის გამოსახულებას აკეთებენ და აქ ათავსებენ, ხოლო შემდეგ პატივს მიაგებენ (რუბრუკისი 1942, გვ. 76). ჩვენი აზრით, ყივჩალთა ქვის ქანდაკებებსაც იგივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა ყივჩალთათვის. ყივჩალები თავიანთს სცემენ წინაპართა კულტს, რაც კარგად გამოიხატება მათ დაკრძალვის წესში. ამ ფაქტს წარმოაჩენს ჯოინვილი.

ჯოინვილი აღნიშნავს, რომ როდესაც მდიდარი ყივჩალი მეომარი კვდება, ისინი ორმოს თხრიან, სადაც ათავსებენ მდიდრულად ჩაცმულ მიცვალებულს. მას აგრეთვე საფლავში ატანენ ცოცხალ მსახურს, რომელიც დაკრძალვამდე ხვდება ყივჩალ მეფეს, რომელიც წერილებს ატანს ყივჩალთა პირველ მეფეებთან და წერილით ატყობინებს მათ, რომ ის კარგად მსახურობდა და, შე-

საბამისად, დააჯილდოვონ. ამასთანავე, როდესაც მსახურს დასაკრძალავ ორმოში მოათავსებენ, მას გადასცემენ ოქროსა და ვერცხლს. ამის შემდეგ ატანენ საფლავში ცოცხალ ცხენსაც, რომელიც გარდაცვლილს უნდა გამოადგეს იმ სამყაროში ცხოვრებისათვის (Wedgwood 1906, გვ. 262-263). მსახურისთვის წერილების გატანება ყივჩაღთა პირველ მეფეებთან მიუთითებს წინაპართა კულტის თაყვანისცემაზე, რაც შეეხება ოქროს, ვერცხლისა და ცხენის ჩატანებას, ეს უნდა მეტყველებდეს, რომ ყივჩაღების წარმოდგენით, მათ გარდაცვალების შემდეგ ისევე სჭირდებოდათ ეს მატერიალური ნივთები როგორც სიცოცხლეში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი რწმენა-წარმოდგენა ჰქონდათ მონღოლებსაც, როგორც ამას პლანო კარპინი აღწერს: „სწამთ რომ სიკვდილის მერე სხვა ქვეყანაში იცხოვრებენ, თავიანთ ჯოგებს გაამრავლებენ, სჭამენ, სვამენ და ყოველივე იმას გააკეთებენ, რასაც ამ ქვეყანაში ცოცხალი ადამიანები აკეთებენ“ (კარპინი, 1942, გვ. 13). ამრიგად, ჯოინვილის ცნობით დასტურდება ყივჩაღებში წინაპართა კულტის თაყვანისცემა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს, რომ ყივჩაღთა ქვის ქანდაკებები წინაპართა თაყვანისცემისთვის იყო განკუთვნილი და ამით ისინი პატივს მიაგებდნენ გარდაცვლილს.

ჯოინვილის ცნობიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ყივჩაღები დაკრძალვისას ადამიანის მსხვერპლშენიერვასაც მიმართავდნენ. პიტერ გოლდენი აღნიშნავს, რომ ადამიანს სხვა მომთაბარე ხალხებიც სწირავდნენ მსხვერპლად გარდაცვლილს (Golden 1998, გვ. 195). მაგალითად მონღოლები, როგორც პლანო კარპინი აღწერს, გარდაცვლილი მონღოლის დაკრძალვისას მასთან ერთად მარხავენ მის მსახურსაც, მაგრამ ყივჩაღი მსახურისაგან განსხვავებით მონღოლ მონას აქვს საშუალება თავი დაიხსნას და თავისუფალი გახდეს (კარპინი, 1942, გვ. 14). მიუხედავად გარკვეული სახესხვაობისა, ყივჩაღებიცა და მონღოლებიც მიმართავდნენ ადამიანის მსხვერპლშენიერვას.

ყივჩაღთა დაკრძალვის წესის აღწერისას ორივე ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმის შესახებ, რომ ასე მხოლოდ მდიდარ ყივჩაღს მარხავდნენ. გუილიომ რუბრუკისი აღნიშნავს, რომ ყივჩაღები „მდიდრებს პირამიდებს ან პატარა წვეტიან შენობებს უდგამენ“ (რუბრუკისი 1942, გვ. 13), ხოლო ჯოინვილის ცნობით, ზემოთ აღწერილი რიტუალი მაშინ სრულდებოდა, როდესაც მდიდარი ყივჩაღი მეომარი გარდაიცვლებოდა (Wedgwood 1906, გვ. 262-263). შესაბამისად, უნდა დავასკვნათ რომ დაკრძალვისას ყურადღება ექცეოდა გარდაცვლილის ადგილს სოციალურ იერარქიაში. განსხვავებული იყო სამარხში ჩატანებული ნივთები იმის მიხედვით თუ რომელ სოციალურ საფეხურზე იდგა გარდაცვლილი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს შეიარაღებასა და სამკაულის ჩატანებისას. ვიქტორ ჩხაიძემ გამოიკვლია რუსეთის ტერიტორიაზე ყივჩაღთა სამარხები და სამარხში აღმოჩენილი შეიარაღების მიხედვით ყივჩაღებში გამოყო სამი სოციალური ფენა (Чхаидзе 2016, გვ. 302-304). ხოლო ა. ატავინიმ ოთხი სოციალური ჯგუფი გამოყო, რომელთაგან მხოლოდ პირველი და მეორე კატეგორიის ყივჩაღებს აქვთ სამკაული სამარხში ჩატანებული (წურნუშია 2013, გვ. 182).

საინტერესოა, აგრეთვე, დაკრძალვის როგორ წესს მიმართავდნენ ყივჩაღები საქართველოში, შეინარჩუნეს თუ არა მათ თავიანთი ტრადიციები. ყივჩაღები საქართველოში პირველად 1118 წელს მოდიან, ხოლო ამის შემდეგ დრო და დრო ხდებოდა მათი მოსვლა სხვადასხვა მიზნით, დასასახლებლად (სილაგაძე 1987, გვ. 67-78) ან სამსახურად (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 2008, გვ. 435). დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ყივჩაღები ქრისტიანდებოდნენ (ცხორებაჲ მეფეთმეფისა დავითისი 2008, გვ. 320). თუმცა ეს არ ნიშნავს რომ მათ დაივიწყეს თავიანთი წეს-ჩვეულებები. ამის დადასტურებაა საქართველოს ტერიტორიაზე ვანში, ზურტაკეტში და იმირის გორაზე აღმოჩენილი ყივჩაღთა ჩაშვებული სამარხები. ვანსა და ზურტაკეტში აღმოჩენილ სამარხებში შესრულებულია დაკრძალვის გაუვნებლობის რიტუალი. როგორც მამუკა წურნუშია აღნიშნავს, ამ რიტუალს იყენებდნენ მომთაბარეები, რათა თავი დაეცვათ მიცვალებულისაგან (წურნუშია 2013, გვ. 162). დაკრძალვის გაუვნებლების რიტუალის დროს ყივჩაღები გარდაცვლილის ძვლებს ამსხვრევდნენ და გადაადგილებდნენ. სამარხში ქვებსაც ათავსებდნენ. მამუკა წურნუშია ამას იმით

ხსნის, რომ ყივჩაღები უკვე გადადიოდნენ ბინადარი ცხოვრების წესზე (ნურნუშია 2013, გვ. 164). ყივჩაღები როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიანთ სცემდნენ მიცვალებულის კულტს, დაკრძალვის გაუვნებლობის რიტუალის შესრულება კი მნიშვნელოვან იმავზე, რომ გარდაცვლილი მათი წარმოდგენით შეიძლება საშიში ყოფილიყო და რადგან გარკვეულ ტერიტორიაზე უკვე ხანგრძლივად უწევდათ ცხოვრება, ამიტომ იძულებული იყვნენ თავი დაეცვათ საშიში მიცვალებულისაგან (ნურნუშია 2013, გვ. 164-165). ვიზიარებთ რა მამუკა ნურნუშიას ამ მოსაზრებას, უნდა აღინიშნოს რომ ყივჩაღებმა შეინარჩუნეს თავიანთი წეს-ჩვეულებები, მიუხედავად გაქრისტიანებისა. ქრისტიანობის მიღება მათი მხრიდან უფრო პოლიტიკური ნაბიჯი იყო და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა ყივჩაღთათვის.

ვანისა და ზურტაკეტის სამარხებში სამარხეული ინვენტარიდან უმეტესად წარმოდგენილია შეიარაღება – სხვადასხვა ფორმის ისრისპირები, ხმალი, ჯავშნის ფრაგმენტი, შტანდარტი, დანები, აგრეთვე გვხვდება ცხენის კბილი ზურტაკეტის სამარხში (ნურნუშია 2013, გვ. 167-173). ზურტაკეტის სამარხში აღმოჩენილია აგრეთვე ქვაბის სახელური, რაც, მამუკა ნურნუშიას აზრით, მიუთითებს იმაზე რომ ზურტაკეტში დაკრძალული ყივჩაღი ყივჩაღთა დაჯგუფების მეთაური უნდა ყოფილიყო (ნურნუშია 2013, გვ. 183). რაც შეეხება იმირის გორის სამარხებს, ინვენტარი უმეტესად მოიცავს სამკაულს, სამაჯურებს, მძივებს, ბეჭდებს, კითხვისნიშნის ფორმის საყურეები, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ნივთები – მაკრატელი, სავარცხელი, ძვირფასი ქსოვილი, ბალთები, ღილები, ძვლის ფირფიტები, დანა, ლურსმანი, გვხვდება აგრეთვე გაურკვეველი დანიშნულების რკინისა და ბრინჯაოს ფირფიტები. შეიარაღებიდან წარმოდგენილია მხოლოდ ისრისპირი (დოლაბერიძე 1975, გვ. 186-202). როგორც ჩანს, ყივჩაღების წარმოდგენა გარდაცვალების შემდგომ ცხოვრებაზე არ შეცვლილა და კვლავ სჯერათ რომ მიცვალებულს იმ სამყაროშიც ისევე სჭირდება ეს ნივთები როგორც სიცოცხლეში. მსგავსი სახის ინვენტარიანი სამარხები აღმოჩენილია უფრო დიდი რაოდენობით რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე ბულგარეთში. ყივჩაღებმა საქართველოშიც შეინარჩუნეს თავიანთი დაკრძალვის წესები, თუმცა გარკვეული გავლენა ქრისტიანობას მაინც უნდა ჰქონოდა, თუნდაც იმ მხრივ, რომ საქართველოში მცხოვრებ ყივჩაღთა შორის არ ფიქსირდება ადამიანის მსხვერპლად შეწირვა გარდაცვლილისათვის. მათ შეინარჩუნებული აქვთ თავიანთი წეს-ჩვეულებები, რომელიც დაკრძალვას უკავშირდება: სამარხში ინვენტარის ჩატანება, დამხრობა, დაკრძალვის გაუვნებლობის რიტუალი, დამოკიდებულება გარდაცვლილი ადამიანის მიმართ – გარდაცვლილი ცოცხალთათვის საფრთხის შემცველია, რაც ქრისტიანული სამყაროსათვის უცხოა. ვეთანხმებით მამუკა ნურნუშიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა მხოლოდ დაემატა ყივჩაღთა რწმენა-წარმოდგენებს და მათმა რწმენა-წარმოდგენებმა სინკრეტული ხასიათი მიიღო (ნურნუშია 2013, გვ. 165).

დაკრძალვის წესთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სამარხის ტიპიც. ყივჩაღებში გავრცელებული იყო ყორღანული სამარხები, რაზეც მოწმობს ჯოინვილისა და გუილიომ რუბრუკისის ცნობები, აგრეთვე არქეოლოგიური მასალები. მაგრამ გვხვდება აგრეთვე ჩაშვებული სამარხებიც, ასეთებია საქართველოში აღმოჩენილი სამარხები, ვანში ზურტაკეტსა და იმირის გორაზე. რუსუდან დოლაბერიძის აზრით, ყივჩაღებს შორის უყორღანო ჩაშვებული სამარხების ტიპი გავრცელდა XIII-XIV საუკუნეებში (დოლაბერიძე 1975, გვ. 190).

ამრიგად, ყივჩაღები თავიანთ გარდაცვლილ ნათესავებს ჯერ ყორღანებში, შემდეგ კი ჩაშვებულ სამარხებში კრძალავენ. ყორღანთან ისინი დგამენ ქვის ქანდაკებას, რაც წინაპართა კულტის თავიანთსცემაზე უნდა მიანიშნებდეს. ყივჩაღები მდიდარ მეომარს ცხენს ატანდნენ საფლავეში და, ზოგჯერ, ხდებოდა გარდაცვლილთან ერთად მისი მსახურის ცოცხლად დამარხვაც. ყივჩაღები სხვა რელიგიაზე მოქცევის შემდეგაც ინარჩუნებდნენ თავიანთი წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს, მათი რელიგია სინკრეტული ხასიათის ხდებოდა, ახალი რელიგია მხოლოდ ემატებოდა მათ რწმენას. ბინადარი ცხოვრების წესზე გადასვლა თავის მხრივ იწვევდა ცვლილებებს დაკრძალვის

ნესში, რაც გამოიხატა საქართველოში ყივჩაღების მიერ დაკრძალვის გაუვნებლობის რიტუალის შესრულებით. სხვადასხვა ნივთის სამკაულის საბრძოლო იარაღისა და აღჭურვილობის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთების სამარხში ჩატანება ყივჩაღთათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო და მიუთითებს მათ დამოკიდებულებაზე გარდაცვალების შემდგომი სამყაროს შესახებ.

ბიბლიოგრაფია:

1. რუბრუკვისი, 1942; გუილიომ რუბრუკვისი: მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში რედ. ნ. ბერძენიშვილი მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის ნაკვეთი V, თბილისი, 1942.
2. დოლაბერიძე 1975; რ. დოლაბერიძე: ფეოდალური ხანის ჩაშვებული სამარხები ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.) თბილისი, 1975.
3. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 2008; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ. ქართლის ცხოვრება თბილისი, 2008, გვ. 377-482.
4. კარპინი 1942; პლანო კარპინი: ისტორია მონღოლებისა, რომელსაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ რედ. ნ. ბერძენიშვილი მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის ნაკვეთი II, თბილისი, 1942.
5. სილაგაძე 1987; ბ. სილაგაძე: არაბი მწერალი ყივჩაღთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში ქართული წყაროთმცოდნეობა VII, თბილისი, 1987.
6. ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი 2008; ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. შანიძემ ქართლის ცხოვრება თბილისი 2008, გვ. 301-350.
7. წურნუმია 2013; მ. წურნუმია: ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის. საისტორიო კრებული ტ. 3, თბილისი, 2013.
8. Golden 1998; Golden Piter: Religions among the Qipčaq in medieval Eurasia, Central Asiatic Journal 42/2, 1998.
9. Wedgwood 1906; Wedgwood E.: The Memories of Lord Joinville. London. 1906.
10. Зеленский 2016; Ю. В. Зеленский: Находки Половецких каменных изваяний как источник по изучению географии Половецких кочевий степново Птркубания. Диалог городской и степной культур на Евразийском пространстве. Историческая география Золотой Орды. Казань, Ялта, Кишинёв. 2016, გვ. 219-220.
11. Чхаидзе 2016; Чхаидзе Виктор: Военная организация кочевников Крыма в XII–XIV веках, Диалог городской и степной культур на Евразийском пространстве, Историческая география Золотой Орды, Казань, Ялта, Кишинёв, 2016.

გიორგი ბუცხრიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი მიხეილ ქართველიშვილი

იაკობ გოგებაშვილი ირლანდიის საკითხის შესახებ

ნაშრომში განხილულია დიდი ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის და განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის შეხედულება, ირლანდიის საკითხზე. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობის ისეთი საინტერესო ფურცლის წარმოჩენა, როგორც არის მის მიერ თანამედროვე საქართველოს ბედის დაკავშირება სხვა ქვეყნების ისტორიულ მოვლენებთან და მათი გაშუქების საშუალებით სამშობლოს მდგომარეობის წარმოჩენა, რის შესახებ პირდაპირ წერის უფლებას ცენზურა უზღუდავდა. ამ საკითხს ჩვენ განვიხილავთ ირლანდიის მაგალითზე. ავტორი ყოველთვის მხარს უჭერდა, სხვა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მოღვაწეებში კი ირლანდიის საკითხი განსაკუთრებით პოპულარული იყო, სამშობლოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. მეფის რუსეთის რეაქციის პირობებში, რუსიფიკატორული პოლიტიკით შევიწროვებული ქართული საზოგადოება აპათიაში იყო ჩავარდნილი, სწორედ ამიტომ იაკობ გოგებაშვილი ცდილობს საზოგადოებას ირლანდიის მაგალითზე დაანახოს სხვადასხვა მეთოდებით ბრძოლის აუცილებლობა.

აღნიშნული საკითხით ქართული საზოგადოების დაინტერესების ნათელი მაგალითია ის, რომ ირლანდიის საკითხს გამოეხმაურა „ქართული საზოგადოებრივი აზრის თითქმის ყველა წარმომადგენელი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვრცელი მიმოხილვებით თუ პატარა ნარკვევებით, მის შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს: ილია ჭავჭავაძემ, ნიკო ნიკოლაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, გიორგი წერეთელმა, სერგეი მესხმა, დავით მიქელაძემ (ფსევდონიმით „მეველე“), ვარლამ ჩერქეზიშვილმა, არჩილ ჯორჯაძემ და სხვებმა“.⁹²

რაც შეეხება თავად იაკობ გოგებაშვილს, მან ირლანდიის პრობლემას სამი პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა, პირველი ორი გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ 1881 წელს 77-ე და 82-ე ნომრებში, ეს იყო მეთაური, ხელმოუწერელი წერილები საერთო სათაურით „ირლანდიას უთენდება“, რომლებიც შემდგომში ავტორმა, 1910 წელს, შეიტანა თავის შედგენილ „რჩეულ პედაგოგიურ თხზულებების“ პირველ ტომში, აქედან ნათლად ჩანს, ავტორისათვის მათი მნიშვნელობა, ხოლო გაზეთ „კვალის“ 1893 წლის მე-15 ნომერში გამოაქვეყნა მესამე წერილი, „დიდებული წადილი დიდებული მოხუცისა“, იაკობ სვიმონისძის ფსევდონიმით, სადაც ძირითადად საუბრობს ინგლისის პრემიერ-მინისტრის უილიამ ევარტ გლადსტონის⁹³ შესახებ, რომლებსაც სწორედ ირლანდიის საკითხის გამო აქებს და მის მიმართ დიდი პატივისცემით არის განმსჭვალული, ეპითეტი „დიდებული მოხუცი“ ამის დამადასტურებელია, წერილი კი ირლანდიელი ხალხის მხარდამჭერი პათოსით არის აღსავსე და მათი თვითმმართველობის მინიჭებისათვის ბრძოლას თვლის ავტორი, გლადსტონს ყველაზე დიდ დამსახურებად.

⁹² ვ. დონაძე, ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ასახვა ქართულ პრესაში (XIX-XX სს. მიჯნაზე). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 107, თბილისი, 1964. გვ. 173.

⁹³ უილიამ ევარტ გლადსტონი (1809-1898) დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1868-1874; 1880-1885; 1886-1892; 1892-1894).

აღნიშნული საკითხის კვლევას ქართულ საისტორიო მეცნიერებაში თავისი ტრადიცია გააჩნია, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ ორიოდ სიტყვით მასზე შევჩერდებით და მოკლედ მიმოვიხილავთ საკითხს საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ თემას ეხებოდა ზოგიერთი მკვლევარი და ამისთვის გვერდის ავლა სწორი არ იქნება.

საბჭოთა პერიოდში მოცემული საკითხი პირველად ისტორიკოსმა ვარლამ დონაძემ განიხილა და ირლანდიელი ხალხის ბრძოლის განსაკუთრებული სიმწვავე დაუკავშირა ორ საკითხს – ეროვნულს და აგრარულს. „ირლანდიელი ხალხი ერთსა და იმავე დროს ბრძოლას აწარმოებდა მინისა და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის“⁹⁴. აგრარული საკითხის დანიშნულება, გარკვეულწილად, პოლიტიკურ კონიუქტურას უკავშირდება და ეს გასაგებიცაა, რადგან საბჭოთა პერიოდში სხვაგვარად ვერც დაწერდა. თანამედროვე პერიოდში კი იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება ირლანდიის საკითხისადმი განიხილა ისტორიკოსმა გულნაზ ჯავახიშვილმა⁹⁵, რომლის ნაშრომი იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტიკის მოცემული კუთხით განხილვისათვის და საკითხის პოპულარიზებისათვის საინტერესოა, ავტორი ძირითადად მიყვება სტატიებს და მცირე შენიშვნებით შემოიფარგლება, გამოთქვამს საინტერესო შეხედულებებს, თუმცა ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე არ განიხილავს სიღრმისეულად და ზედაპირულ ახსნას გვთავაზობს.

ჩვენ იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებს, განვიხილავთ ზემოთ აღნიშნული სამ პუბლიცისტურ წერილზე დაყრდნობით და ქრონოლოგიურად მივყვებით. პირველი წერილის გამოქვეყნება დაემთხვა აღდგომის დღესასწაულს, 1881 წლის 12 აპრილს, ამასთან მანამდე ერთი თვით ადრე 13 მარტს მოკლეს რუსეთის იმპერატორი, ალექსანდრე II (1855-1881) და ბუნებრივია ამას გვერდს ვერ აუვლიდა ავტორი და ვიდრე ირლანდიაზე დაიწყებდა საუბარს ორიოდ სიტყვით ახსენა ეს ფაქტი, რადგან სწორედ ალექსანდრე მეორემ გაათავისუფლა გლეხები ბატონყმობისგან 1861 წელს, გაატარა საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და სამხედრო რეფორმები, ყოველივე ამის გათვალისწინებით, როგორც ავტორი აღნიშნავს, „დაახ, რუსეთს ამაზედ უარესი აღდგომა თავის დღეში არ გასთენებია“⁹⁶ მისი აზრით, სწორედ ამ სამწუხარო ფაქტის გამო, ვერ იზიარებს მოსახლეობა აღდგომის სიხარულს, აქვე არ ავინწყდება და ახსენებს რუსეთის ჩამორჩენილობას და კულტურული ცენტრიდან დაშორებას, „მაგრამ სანუგეშოთ, რუსეთი მხოლოდ ერთადერთი კუთხეა ხმელეთისა, ისიც კულტურულს ცენტრს მოშორებული, მხოლოდ ერთი ნაწილია, კაცობრიობისა, ისიც მეტად უკან ჩამორჩენილი“⁹⁷.

მაშინ როდესაც, იმპერატორი მოკლეს და რუსეთში სამგლოვიარო განწყობა იყო, რომელიც ანელებს აღდგომის სიხარულს, იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ამ დროს არაერთ ჩაგრულ ერს უთენდება ბედნიერი აღდგომა, სტატიის სათაური „ირლანდიას უთენდება“ სწორედ ამას უკავშირდება. ვიდრე უშუალოდ ირლანდიის მდგომარეობაზე დაიწყებს საუბარს, მოკლედ აღწერს მის გეოგრაფიულ მდებარეობას, კლიმატს და მისი აზრით, სწორედ ამიტომ დაიმსახურა ირლანდიამ „ზურმუხტის კუნძულის“ სახელი. ამის შემდეგ ავტორი გადმოგვცემს ირლანდიის ისტორიულ წარსულს, რომელსაც პირობითად ორ პერიოდად ყოფს, დამოუკიდებლობის და ქვეშევრდომობის ხანად. სამოთხედ წარმოუდგენია, ირლანდიის ისტორიის დამოუკიდებლობის პერიოდი, როდესაც „მისი ერის ცხოვრება სწორედ ასევე ჰყვაოდა, როგორც მისი მუდამ ღალანა კუნძული“⁹⁸, ავტორი მოცემულ პერიოდში, ირლანდიელთა სიმდიდრის და ძლიერების განმსაზღვრელად მინაზე კერძო საკუთრებას მიიჩნევს, ასევე საუბრობს მათ სოციალურ მდგომარეობაზე და საზოგადოების

⁹⁴ ვ. დონაძე, ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ასახვა ქართულ პრესაში (XIX-XX სს. მიჯნაზე). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 107, თბილისი, 1964. გვ. 175.

⁹⁵ გულნაზ ჯავახიშვილი, „იაკობ გოგებაშვილი და ირლანდიის საკითხი“ ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1(12), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013. გვ. 216-223.

⁹⁶ „დროება“ 1881 წელი, №77, გვ. 1.

⁹⁷ „დროება“ 1881 წელი, №77, გვ. 1.

⁹⁸ „დროება“ 1881 წელი, №77, გვ. 1.

კლანებად დაყოფაზე. ამბობს, რომ ვიდრე თავისუფალი იყო ქვეყანა მოსახლეობა ათ მილიონს შეადგენდა, განათლების და მეცნიერების დონით ინგლისზე მაღლა იდგა გარკვეული პერიოდი, რაც სიმართლეს შეესაბამება განსაკუთრებით კი შუა საუკუნეების პერიოდში, „ადრეული ქრისტიანული ძეგლები, საგანმანათლებლო და მისიონერული საქმიანობა მაშინ, როდესაც ინგლისში ჯერ კიდევ ანგლო-საქსური პირველი სახელმწიფოები ყალიბდებოდა, ირლანდიის კუნძულზე სამონასტრო ცხოვრება ვითარდებოდა, ამის გამო ირლანდიას „წმინდანთა კუნძულსაც“⁹⁹ კი უწოდებდნენ“. ამ დროს კი ირლანდიას იპყრობს ინგლისი, ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა და დასრულდა 1801 წლის 1 იანვარს „უნიონ აქტით“ და ირლანდია შეიერთა დიდმა ბრიტანეთმა სწორედ აქედან, „ირლანდიის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა“¹⁰⁰ და დაიწყო მისი ისტორიის ქვეშევრდომობის პერიოდი, რაც ქვეყნისთვის უბედურების მომტანად იქცა თუ მანამდე მინაზე თავისუფალი მფლობელობა არსებობდა და კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, ამიერიდან ის ინგლისელი ლენდლორდების¹⁰¹ ხელში გადავიდა და ირლანდიელებს სარგებლობისთვის იჯარა უნდა გადაეხადათ. ისინი კაბალურ პირობებში ჩავარდნენ ამას ავტორი ადარებს ალექსანდრე მაკედონელის დროს და აზოს მიერ თავისი მხედრებისთვის მიწების გადაცემას, „სწორედ ისე, როგორც ჩვენში ალექსანდრე მაკედონელის დროს იაზონის მხედართა დაისაკუთრეს გლეხების მამულ-დედული“¹⁰². ამის შემდეგ ავტორი საუბრობს ირლანდიელთა მძიმე სოციალურ ყოფაზე და მისით გამონვეულ მრავალ უბედურებაზე, მაგალითად, საგანგებოდ ჩერდება 1845 წლის „ეროვნულ კატასტროფაზე“ კარტოფილის მოუსავლიანობა ღარიბი ირლანდიელი მოიჯარადრეებისთვის ის ძირითადი საკვები იყო, რამაც გაუგონარი მასშტაბის შიმშილობა გამოიწვია რაც ეროვნულ უბედურებად ექცა ხალხს ასევე, მისი აზრით, სწორედ ამ გაჭირვებულმა ყოფამ, შიმშილმა და ინგლისელი მიწათმფლობელების ძალმომრეობამ გამოიწვია მოსახლეობის ათი მილიონიდან კატასტროფულად შემცირება ოთხ მილიონამდე და დაიწყო ირლანდიელთა ფართო მასშტაბიანი მიგრაცია სხვა ქვეყნებში განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში. შემდეგ ავტორი საუბრობს ზოგადად მსოფლიოში გამეფებულ უსამართლობაზე და დიდი ერების მიერ მცირეთა ჩაგვრაზე და ყოველმხრივ შევიწროვებაზე, აქ უცილობლად გულისხმობს თავის სამშობლოს ბედსაც, რომელიც რუსული იმპერიალიზმის ძალმომრეობის მსხვერპლი იყო. საერთოდ მისი თანამედროვე ქართული საზოგადოების, ირლანდიის საკითხით დაინტერესების მთავარი მიზეზი სწორედ ამ პატარა დაჩაგრული ქვეყნის ბედის მსგავსება იყო საქართველოსთან. იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ჰუმანური და კაცთმოყვარული პრინციპები, მხოლოდ სიტყვებია და დიდი იმპერიები სხვაგვარად იქცევიან სინამდვილეში და რომ მათ მოქმედების დევიზი, არის ცნობილი სენტენცია, „ვაგლახი ძლეულთა“¹⁰³ და დამპყრობელი, როგორც ველური ბარბაროსები ფიქრობენ, რომ ძლეული ხალხები უნდა გაანადგურონ და გააქრონ. „ინგლისელთა ამგვარი მოპყრობა ირლანდიის ერთან ერთხელ კიდევ ცხადად გვიჩვენებს, რომ განათლება, კაცთმოყვარეობითი მიმართულება, ჰუმანური პრინციპები ჯერეთ დაწინაურებულს კაცობრიობის ნაწილსაც კი მხოლოდ ენაზედ ადგია და ძვალ რბილში არ ჩაუტანებია. ახლანდელი კაცობრიობა უფრო მხეცთა გროვას წარმოადგენს, ვინმემ სათნო ადამიანთა საზოგადოებასა. ჯერეთ მის მოქმედებასა და ნებას მართავს ძველი დევიზი: „ვაგლახი ძლეულთა“ ჯერეთ იგი ფიქრობს სწორედ ისევე, როგორც ფიქრობენ ბარბაროსები: რაკი მოგერიე და ხელში ჩაგიგდე, თვალსაც მოგთხრი, ტვისსაც ამოგნოვ და ძალღივით დაგახრჩობ“¹⁰⁴. ავტორი განსაკუთრებით თანაუგრძნობს ირლანდიელი ხალხის აჯანყებს, რადგან მათ არავინ იცავდა, თვითონ დაიწყეს ბრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ, სწორედ მათმა შეუპოვარმა ბრძოლამ

⁹⁹ "IRISH PRIMITIVE CHURCH" By DANIEL DE VINNE. Copyright 2016 HARVARD COLLEGE PUBLISHING, გვ. 104.

¹⁰⁰ „დროება“ 1881 წელი, №77, გვ. 1.

¹⁰¹ ლენდლორდი – მსხვილი მიწათმფლობელი, რომელიც მიწას იჯარით აძლევს ფერმერებს.

¹⁰² „დროება“ 1881 წელი, №77, გვ. 1.

¹⁰³ „ვაგლახი ძლეულთა“ – „VAE VICTIS“ გამონათქვამი მიენერება გალების ბელადს ბრენუსს, რომელიც წარმოთქვა ძვ.წ.აღ. 390 წელს, რომის ალების შემდეგ, რომელიც შემდეგ უმძიმესი განსაცდელის აღმნიშვნელ ხატოვან გამონათქვამად დარჩა.

¹⁰⁴ „დროება“ 1881 წელი, №77, გვ. 2.

აიძულა ინგლისის სახელმწიფო მესვეურები, რომ ირლანდიის მიმართ მიდგომა შეეცვალათ და შეერბილებინათ დამოკიდებულება. და სწორედ ამ პერიოდში გამოდის უილიამ ევარტ გლადსტონი, აყალიბებს პირველ ლიბერალურ მთავრობას და იწყებს ბრძოლას ირლანდიის პრობლემების საკანონმდებლო გზებით გადასაჭრელად, საერთოდ უნდა ითქვას, როგორც იაკობ გოგებაშვილი ისე მისი თანამედროვეები გლადსტონის მიმართ დადებითად იყვნენ განწყობილნი, მასში ხედავდნენ დამპყრობელი ქვეყნის განათლებული წარმომადგენლის სახეს, რომელიც ცდილობს მაინც ქვეშევრდომ ერებს შეუმსუბუქოს ყოფა და ამას კანონმდებლობის გზით აკეთებს, ქართული საზოგადოების დაინტერესების მაჩვენებელია ის, რომ უილიამ ევარტ გლადსტონის შესახებ ქვეყნდება სტატიები, მისი გამოსვლები და საპარლამენტო მიმართვები აქტიურად შუქდება იმ დროის ქართულ პრესაში, იაკობ გოგებაშვილი გლადსტონს ყველაზე დიდ დამსახურებად უთვლის 1870 წელს მისი ინიციატივით დამტკიცებულ კანონს, რომლის მიხედვითაც მემამულე ვალდებული იყო აენაზღაურებინა მოიჯრესთვის იმ შემთხვევაში თუ მას მიწიდან დაითხოვდა, ასევე მემამულეს აღარ შეეძლო გაეზარდა გადასახადი ან უმიზეზოდ გაეძევებინა მიწიდან, ყოველივე ამისათვის მისი ინიციატივით შეიქმნა კომისია, რომელსაც ამ პროცესის გაკონტროლება ევალებოდა. ასევე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ გლადსტონისავე ინიციატივით სახელმწიფოს უნდა გამოეყო კომისიისთვის თანხა, რომლითაც ის ლენდლორდებისგან მიწას გამოისყიდდა და შემდეგ მცირე ნაკვეთებად დაყოფილს მიჰყიდდა გლეხებს, რომლებიც ეტაპობრივად გადაიხდიდნენ მას ამ კანონპროექტს რა თქმა უნდა ღირდოდა პალატა დიდი სიხარულით არ შეხვედრია, განსაკუთრებით კი პალატის თავმჯდომარე ბიკენსფილდი, მაგრამ მისი უეცარი გარდაცვალების შემდეგ, გლადსტონმა შეძლო კანონად ქცევა. აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემული კანონის მიმართ დადებითი დამოკიდებულება გამოხატა რადიკალმა რევოლუციონერმა ირლანდიელმა ჩარლზ პარნელმა,¹⁰⁵ რომელიც ასევე საინტერესო პიროვნებაა. ის ეროვნებით ინგლისელი იყო, მაგრამ ირლანდიელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძოდა. წერილის პირველ ნაწილს ავტორი იმედიანად ასრულებს „ღმერთმა იწებოს, ერთი დაჩაგრული ხალხის კვნესა მაინც მოაკლდება ამ ცოდვილს დედამიწასა“¹⁰⁶

1881 წლის 22 აპრილს, „დროების“ ოთხმოცდამეორე ნომერში იაკობ გოგებაშვილმა გამოაქვეყნა წერილის მეორე ნაწილი სადაც, უკვე დაწვრილებით განიხილავს გლადსტონის კანონპროექტს, რომელმაც, მისი აზრით, არამარტო ინგლისური საზოგადოების, არამედ მთელი ევროპის საზოგადოება გაჰყო და ორ დასი გამოიკვეთა პირველში შედიოდნენ მემამულეები, მსხვილი მრეწველები და ნაკლებად პოპულარული ჟურნალ-გაზეთები, ხოლო მეორე დასში კი მუშები, გლეხები და ინტელიგენციის მონიწივე ნაწილი მონიწილმდევე დასებს შორის დაძაბულობაა და დებატები გრძელდება. შემდეგ კი ავტორი განმარტავს თუ რატომ ეწინააღმდეგებიან მსხვილი მრეწველი მოცემულ კანონ პროექტს, რომ ამის შემდეგ მათ აღარ ექნებათ განუსაზღვრელი უფლებები მუშებსა და გლეხებზე რაც სოციალურ ცვლილებებს მოასწავებს, „გლადსტონის ბილს სოციალური თვისება აქვს, სოციალური ცვლილებების ქვაკუთხედს დებს. აი მიზეზი, რის გამოისათაც ბურჟუაზია მხარს აძლევს და ეხმარება ამ საქმეში ღორდებს, მემამულეებს“¹⁰⁷ შემდეგ საუბრობს ზოგადად მუშათა და გლეხთა მძიმე სოციალურ ყოფაზე, რომ მემამულეები და მსხვილი ბურჟუაზია სარგებლობს მათი მდგომარეობით და მინიმალურ ანაზღაურებას აძლევენ. „მოგესხენებათ, აწმდგომი წესწყობილება კაცობრიობისა იმ გვარია, რომ გლეხოზა და მუშა ხალხი მთლად დამოკიდებულია, სრულიად დამონავეებულია მემამულეებისა და მეფაბრიკეებისაგან, რომელნიც მათი გაჭირვებით სარგებლობენ და შრომის ფასს, რაც კი შეიძლება, ნაკლებს აძლევენ“¹⁰⁸. ისტორიკოსი გულნაზ ჯავახიშვილი, ავტორის ასეთ შეხედულებას საქართველოში ახალშემოსულ სოციალისტურ იდეოლოგიას უკავშირებს. „ეს ის პერიოდია, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი, როდესაც მარ-

¹⁰⁵ ჩარლზ პარნელი – (1846-1891) ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, იბრძოდა ირლანდიის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

¹⁰⁶ „დროება“ 1881 წელი, №77, გვ. 2.

¹⁰⁷ „დროება“ 1881 წელი, №82 გვ. 1.

¹⁰⁸ „დროება“ 1881 წელი, №82 გვ. 1.

ქსიზმი საქართველოში ახალი შემოსული იყო. სოციალისტური იდეოლოგიისადმი ქართველი ინტელიგენციის ნაწილი დადებითად განეწყო, რადგან ქართველი, და არა მარტო ქართველი, ჩაგრული ხალხების შველა ამ ახალ აზროვნებასთან დააკავშირა. გოგებაშვილი და მისი თანამოაზრენი სოციალიზმის იდეას იმ ერთადერთი სურვილით იზიარებდნენ, რომ ქართველ ხალხს უკეთესად ეცხოვრა და ყველა სოციალური ფენა თანაბრად განვითარებულიყო¹⁰⁹ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ავტორს ყოველგვარი სოციალისტური მიმართულება მოსწონს ის აქ გამოჰყოფს ორ მიმართულებას ერთ მხარეს ისინი ვინც ბრძოლისა და რევოლუციის გზას ირჩევენ და მეორე ვინც მშვიდობიან შრომას და ევოლუციურ გარდაქმნებს უჭერდნენ მხარს. გლადსტონის კანონის ანუ ბილის ასეთ პოპულარობას, სწორედ სოციალისტური იდეოლოგიის პოპულარობას უკავშირებს და ასევე ამბობს, რომ მისი გავრცელების ნათელი დადასტურება არის გლადსტონის ბილი ირლანდიის შესახებ: „წინეთ სოციალისტები მცირე რაზმს შეადგენდნენ და მათ თითქმის მთელი საზოგადოება ძალიან ავის თვალთ უცქეროდა. ეხლა კი მათმა რიცხვმა ისე იმატა, რომ მთელი ევროპის სახელმწიფოები მოფენილნი არიან სოციალისტებით, ზეგავლენა მათი ისე გაძლიერდა, რომ მრავალნი მომხრენი ჰყავთ თვით მდიდართა წოდებაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლო დროს დანიანურებულნი სახელმწიფო პირნიც აშკარად აღიარებენ საფუძვლიანობას და სამართლიანობის ბევრის მათის სწავლისა. საქმე უფრო შორს მიდის, თვით სახელმწიფო პირნი ცდილობენ ახლავე სისრულეში მოიყვანონ ზოგიერთი მოთხოვნილებანი სოციალიზმისა, ამ სახელმწიფო პირთა შორის პირველი ადგილი დაიჭირა ინგლისის პირველმა მინისტრმა გლადსტონმა, რომელმაც თავისი საირლანდიო ბილით სოციალიზმის მნიშვნელობა და უფლება აღიარა, ¹¹⁰ ავტორის აზრით, მოცემული კანონპროექტი, ისეთი რეფორმა არის, რომ ახალ ერას იწყებს კაცობრიობის ისტორიაში. ის განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ მუხლს, რომელიც ეხება სახელმწიფოს ვალდებულებას ორასი მილიონი გამოყოს კომისიისთვის, რომელმაც უნდა უზნულველყოს ლენდლორდებისგან მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა და გლეხებისთვის მცირე ნაჭრებად მიყიდვა, იმ პირობით, რომ ახალი მფლობელი ღირებულებას რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დაუბრუნებდა კომისიას ეს იყო უმნიშვნელოვანესი აქტი, რადგან ამიერიდან ირლანდიელი გლეხები მიწის მესაკუთრეები ხდებოდნენ და აღარ იქნებოდნენ დამოკიდებული მიწათმფლობელის კეთილ ნებაზე, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლო მოიჯარადე გაეძევიბინა მიწიდან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ანუ როგორც იაკობ გოგებაშვილი იმედოვნებს, „იგი სამუდამოდ თავს დააღწევს იმ ეკონომიკურ მონობას, რომელმაც ნიჭიერი და მხნე ირლანდიის ხალხი მიწასთან გაასწორა და დაადგებოდნენ ახალი ცხოვრების გზასა“.¹¹¹ ამასთან ავტორი, ვარაუდობს, რომ ირლანდიის შემდეგ სხვა ქვეყნებიც დაიწყებენ მსგავსი რეფორმების გატარებას თვლის, რომ შესაძლებელია მსგავსმა კომისიამ, მაგალითად, საფრანგეთში შეიძლება გამოისყიდოს ფაბრიკა-ქარხნები და გადასცენ მუშებს იმ პირობით, რომ ისინი ეტაპობრივად დაფარავენ გამოსასყიდ თანხას, ავტორს ალბათ სურვილი ექნებოდა მსგავსი, რამ ჩვენთანაც გაეტარებინა რუსეთის იმპერიას, რადგან მართალია ბატონყმობა ამ დროს უკვე გაუქმებული, თუმცა ბევრი ვერ ახერხებდა მიწების გამოსყიდვას და დროებით ვალდებული გლეხის სტატუსით იხდიდა იჯარას და ბოლოს მონელ წერილს ამთავრებს ინგლისისთვის დამახასიათებელ თვისებაზე საუბრით, რომ როდესაც საჭიროა შეუძლია კომპრომისზე წასვლა, რასაც ავტორი ქართული ანდაზით გამოხატავს, „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“.

¹⁰⁹ გულნაზ ჯავახიშვილი, „იაკობ გოგებაშვილი და ირლანდიის საკითხი“ ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1(12) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2013. გვ. 221.

¹¹⁰ „დროება“ 1881 წელი, №82 გვ. 2.

¹¹¹ „დროება“ 1881 წელი, №82 გვ. 2.

იაკობ გოგებაშვილი ირლანდიის საკითხს უბრუნდება 1893 წელს, და გაზეთ „კვალის“ მეტხუთ-მეტე ნომერში, აქვეყნებს სტატიას, სათაურით „დიდებული წადილი, დიდებული მოხუცისა“, იაკობ სვიმონისძის ფსევდონიმით, წერილს წინ წაუძღვარა გრიგოლ ორბელიანის პოემიდან, „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ლხინი, ერევნის სიახლოვეს“ შემდეგი სტროფი, „კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული, მის მხოლოდ ღვანლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული“¹¹². ავტორი განსაკუთრებით აქებს და პატივისცემას გამოხატავს ლიბერალური პარტიის მეთაურის უილიამ ევარტ გლადსტონის მიმართ, რომელსაც ამ დროს ბოლოჯერ აირჩიეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრად, მას ამკობს ეპითეტით „დიდებული მოხუცი“ და ამბობს, ასეთი სახელი არ რგებია არც საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს, არც ავსტრიის პრემიერს და თვით „რკინის კანცლერად“ წოდებულ ბისმარკსაც კი არ რგებია, რომელმაც როგორც ავტორი აღნიშნავს პრუსია მეორე-ხარისხოვანი ქვეყნიდან პირველხარისხოვნად აქცია და რომ სწორედ მხოლოდ გლადსტონს იცნობენ ამ სახელით, „დიდებულ მოხუცად უწოდებენ ევროპაში ინგლისის საუკეთესო შვილს უილიამ გლადსტონსა, რომელიც ამ უკანასკნელს ჟამს კვლავ შეიქმნა მთავარ მინისტრად თავის სამშობლოში.“¹¹³ და ამის შემდეგ. ამის შემდეგ კვლავ აგრძელებს მის დადებითად დახასიათებას, რაც განპირობებული იყო იმით, რომ გლადსტონი, რომელიც უკანასკნელად ედგა სათავეში სამთავრობო კაბინეტს და ენერგიულად ცდილობდა მის მიერვე წინა წლებში შემუშავებული, კანონპროექტი ირლანდიისათვის თვითმმართველობის მინიჭების შესახებ მიეღო პარლამენტს და ძალაში შესულიყო, ამ დროს ირლანდიის საკითხი მეტად გამწვავებული იყო და პერიოდულად იფეთქებდა რაც აიძულებდა ინგლისის მმართველ წრეებს დაეწყოთ მსჯელობა, მოცემულ საკითხზე, ლიბერალური პარტია დროდადრო უკავშირდებოდა ირლანდიელ დეპუტატებს. აქვე მოკლედ აღწერს ირლანდიის და ინგლისის მრავალსაუკუნოვან დაძაბულ ურთიერთობაზე რაც შეერთებით დასრულდა, ასევე ავტორი ეროვნულ და სოციალურ საკითხებს ერთმანეთს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ „ირლანდიელნი გადაიქცნენ ყმებად ინგლისელები კი ბატონებად, ოთხმოცი წლის განმავლობაში ამ ბატონყმობის წყალობით ირლანდიაში ერთი ორად და სამად შემცირდა: რიცხვი ირლანდიელთა. რაოდენობა სახნავე-სათესისა, ვაჭრობა, ალბ-მიცემა, ნაოსნობა, განათლება, და ქარხნების რიცხვი, დოვლათი, ერთი სიტყვით ირლანდია გადაიქცა ნახევრობით გაოხრებულ ქვეყნად“¹¹⁴. ავტორი აღწერს ირლანდიელთა აუტანელ მდგომარეობას თუმცა აღნიშნავს, რომ ამაში დამნაშავე არის არა მთელი ინგლისის არამედ მმართველი ფენა, ჩვეულებრივი ადამიანები, გარკვეულწილად, უთანაგრძნობდნენ კიდევ ირლანდიელთა მძიმე ყოფას, ამის ნათელ მაგალითად მას ესახება გლადსტონი, რომელმაც დაიწყო ბრძოლა ირლანდიელთა დასახმარებლად, „საშინელ და დამამცირებელ სენსა, ამ ბატონობას ინგლისისა ირლანდიაში, სასტიკი ომი გამოუცხადა ინგლისის უკეთესმა და უდიდესმა შვილმა გლადსტონმა.“¹¹⁵ იაკობ გოგებაშვილი მიუთითებს, რა გლადსტონის საპარლამენტო მოღვაწეობაზე, და აღნიშნავს, რომ მისი ბრძოლის მთავარი მიზანი იყო ირლანდიისთვის „ჰომურული“¹¹⁶ მინიჭება, და ამკობს მას ეპითეტით „დიდებული მოხუცი“ და გლადსტონს ადარებს ინგლისის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ უილიამ შექსპირი, უილიამ პიტი უფროსი, ისააკ ნიუტონი და გლადსტონის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებს გამოხატავს საინტერესო ეპითეტებით, „XIX საუკუნის უზენაესი მწვერვალი“ და „პოლიტიკური იალბუზი“.

საბოლოო შეჯამებისთვის, მოცემულ პუბლიცისტურ წერილებში კარგად ჩანს იაკობ გოგებაშვილის გულწრფელი თანაგრძნობა საუკუნეების განმავლობაში მეზობელი ირლანდიელი ხალხი-

¹¹² „კვალი“ 1893 წელი, №15. გვ. 8.

¹¹³ „კვალი“ 1893 წელი, №15. გვ. 8.

¹¹⁴ „კვალი“ 1893 წელი, №15. გვ. 10.

¹¹⁵ „კვალი“ 1893 წელი, №15. გვ. 10.

¹¹⁶ „Home Rule“– „თვითმმართველობა“ ირლანდიური პარტიის თვითდასახელება, რომელიც იბრძოდა პარლამენტის და თვითმმართველობის აღდგენისთვის.

სადმი, ის ისე ახასიათებს ამ ქვეყანას, რომ მკითხველს თავისუფლად შეუძლია პარალელი გაავლოს საქართველოს მაშინდელ მდგომარეობასთან, რომელიც რუსეთის იმპერიას ჰყავდა დაპყრობილი და ძალისმიერი მეთოდებით შეერთებული, იაკობ გოგებაშვილი ისე, როგორც სხვა ქართველი პუბლიცისტები: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ნერეთელი, არჩილ ჯორჯაძე და სხვები. სწორედ ირლანდიის მაგალითით ცდილობს მეფის რუსეთს რეაქციის პირობებში დაენახებინა ქართველი ხალხისთვის, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, და აპათიაში ჩავარდნა გამოსავალი არ არის, თუნდაც მტერი მრავალჯერ დიდი და ულმობელი იყოს. ავტორმა შემთხვევით არ დაუკავშირა აღდგომის დღესასწაულს სტატია ირლანდიის შესახებ, აღდგომა ხომ სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვება და ბოროტის ძლევის სიმბოლოა და არც სათაური არის შემთხვევით შერჩეული, „ირლანდიას უთენდება“ და გათენება, როგორც წყვდიადის ძლევა და განახლების სიმბოლო. საინტერესოდ წარმოაჩინა ინგლისის პრემიერ მინისტრის უილიამ ევარტ გლადსტონის პიროვნება, რომელიც იბრძოდა ირლანდიელთა დასახმარებლად და ამიტომაც მის მიმართ ხშირად იყენებს მრავალ ეპითეტს, სამწუხაროდ მისი მსგავსი პიროვნება რუსეთის იმპერიის მმართველ ელიტაში არ აღმოჩნდა. მაშინ, როდესაც იაკობ გოგებაშვილი ირლანდიის ანმყოზე წერდა ითვალისწინებდა მომავალს, მართალია „ჰოუმრული“ ირლანდიისთვის მხოლოდ შეზღუდულ თვითმმართველობას, მაგრამ მაინც დიდი მიღწევა იყო საქართველოში კი თვითმმართველობა თუნდაც შეზღუდული „ჰოუმრულის“ მსგავსი პირობებით ოცნების სფეროს წარმოადგენდა, თუმცა თუ მიაღწევდა დიდი მონაპოვარი იქნებოდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს გათვალისწინებით, კარგად ჩანს ქართული საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენლის დამოკიდებულება და თანაგრძნობა ჩაგრული ირლანდიელი ხალხისადმი, წერილები არის პოპულარული ხასიათის და მიზნად ისახავდა ირლანდიის ისტორიის მეტად საინტერესო ნაწილის გმირული ბრძოლის ჩვენებას თავისუფლებისათვის, ავტორი არ არის პროფესიონალი ისტორიკოსი, მისი ნაშრომი გაცნობითი ხასიათისაა თუმცა აშკარად ჩანს მისი ფართო ისტორიული ერუდიცია და ცოდნა. მის ნაშრომს აქვს როგორც ძლიერი ისე სუსტი მხარეები, თუმცა მას დადებითად შეიძლება ჩავუთვალოთ ირლანდიელი ხალხის ბრძოლის პოპულარიზება და მათი ჩაგრული მდგომარეობის გაცნობა ქართული საზოგადოებისათვის, ასევე მათი ბრძოლის მაგალითზე ამხნევებდა ქართულ საზოგადოებას. ხოლო სუსტ მხარედ შეიძლება ჩავუთვალოთ ნაშრომის წინასწარი განზრახულობიდან გამომდინარე ზოგიერთი საკითხის თუ პიროვნების განდიდება და ჰეროიკული ელფერის მიცემა.

ბიბლიოგრაფია

1. ვ. დონაძე, ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ასახვა ქართულ პრესაში (XIX-XX სს. მიჯნაზე). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 107, თბილისი, 1964.
2. გულნაზ ჯავახიშვილი, „იაკობ გოგებაშვილი და ირლანდიის საკითხი“ ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1(12) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013.
3. “IRISH PRIMITIVE CHURCH” By DANIEL DE VINNE. Copyright 2016, HARVARD COLLEGE PUBLISHE
4. „დროება“ 1881წელი, №77.
5. „დროება“ 1881 წელი, №82.
6. „კვალი“ 1893 წელი, №15.

ია სიჭინავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

ძველი ისლანდიური პოეზია და სკანდინავიური იდენტობის საკითხი მეცხრამეტე
საუკუნის ლიტერატურაში

ლიტერატურა, პოეზია და ქვეყნის კულტურული ცხოვრება ყოველთვის იმ სოციალური კლი-
მატის გამოძახილია, რომელიც მოცემულ ეპოქაში არსებობს. შესაბამისად, იმისათვის, რომ სწო-
რად აღიქვათ სკანდინავიაში მეცხრამეტე საუკუნეში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები და
იდენტობის ფორმირების თავისებურებები, მნიშვნელოვანია გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმ
დროში არსებულ ისტორიულ გარემოებებზე.

ნორვეგია 1814 წელს სამუდამოდ გათავისუფლდა დანიის მმართველობისაგან, რომელიც
400-ზე მეტი წლის წინ დაიწყო კალმარის უნიის გამოცხადებით, მართალია, ამ კავშირში ნორვეგია
სრულფასოვან წევრად ნებაყოფლობით შევიდა, მაგრამ ბოლოს დანიაზე დამოკიდებულ პროვინცი-
ად იქცა, რამაც ქვეყანაში დიდი ხნით შეაჩერა ყოველგვარი განვითარება. მეცხრამეტე საუკუნის
დასაწყისამდე პოლიტიკური და კულტურული აქტივობები იმდენად შეწყდა, რომ ძველი ხელნაწე-
რების გადაწერაზეც, არავინ მუშაობდა და სასამართლო პროცესებიც კი დანიაში მიმდინარეობდა,
ქვეყანაში ხელშეუხებელი რჩებოდა მხოლოდ მინაზე უფლება.

ნორვეგიაში გაზრდილი უკმაყოფილების ფონზე მეტად ღვივდებოდა მოსახლეობაში დამოუ-
კიდებლობის მოპოვების სურვილი, რაც შეეხება დანიას, ნაპოლეონთან ომებმა ქვეყანა საგრძნობ-
ლად შეარყია, დანიის მეფის ავგუსტ კრისტიანის გარდაცვალების შემდგომ კი ნორვეგიის გათავი-
სუფლების პროცესები შეუქცევადი გახდა.

ნორვეგიამ დანიისაგან თავი 1814 წელს დაიხსნა, მაგრამ შვედეთის ანექსიის შემდეგ თით-
ქმის მთელი საუკუნით მისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდა და 1905 წლამდე ვერ მიიღო სრულფასოვანი
დამოუკიდებლობა.

ამ სოციალურ ეკონომიკური თუ პოლიტიკური გარემოებების ფონზე, სკანდინავიის სახელ-
მწიფოებში იდენტობის ფორმირებას გააჩნდა ორი მნიშვნელოვანი ასპექტი. პირველი იყო ის, რომ
თითოეული სახელმწიფო თვითგამორკვევის საკუთარ გზას გადიოდა, მაგრამ პარალელურად სა-
ფუძველი ეყრებოდა სკანდინავიის, როგორც რეგიონის, ერთობლივ იდენტობას, ამგვარად შესაძ-
ლებელი გახდა მისი ფორმირება გეოპოლიტიკურად ისე, როგორც ის დღეს არის წარმოდგენილი.
თითოეული ნორდიკული სახელმწიფო პოლიტიკურად დამოუკიდებელია, ეკონომიკურად ძლიერი
მაგრამ ისინი იზიარებენ საერთო წინაპრებს, წარსულს, კულტურას, ისტორიას და ენასაც კი, რაც
ერთა შორის ინდენტობის ფორმირების საფუძველია.

ნორვეგიაში თვითგამორკვევის, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო და-
ნიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, უკმაყოფილების წყაროს წარმოდგენდა ქვეყანაში
სრული პოლიტიკურ-კულტურული უძრაობა და ეგრეთ წოდებული „ტვინების გადინება“. ქვეყნის
მოსახლეობის ინტელექტუალური ნაწილი დანიაში მიდიოდა განათლების მისაღებად, შემდეგ იქვე
რჩებოდა, ქმნიდა რაიმე ღირებულს და იქცეოდა სრულიად დანიის „საკუთრებად“. ამის მაგალითი
იყო წარმოშობით ნორვეგიელი ფილოსოფოსი ლუდვიგ ჰოლბერგი.

ქვეყანაში უკვე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გამძაფრდა პროტესტის ტალღა და 1940 წელს გადაიზარდა ნორვეგიის ნაციონალური რომანტიზმის სახელით ცნობილ მოძრაობაში, რომელიც შექმნეს სტუდენტებმა, მათ ვინც განათლება მიიღო დანიაში და შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში.

ინტელექტუალური წრეების დანოფილია იყო სწორედ იმის მიზეზი, რომ ის რაც ჭეშმარიტად ნორვეგიული იყო მხოლოდ სოფლად შემორჩა. ამიტომაც ნაციონალური რომანტიციზმის მთელი იდეა დაეფუძნა ეროვნული იდენტობისა და თვითგამორკვევის ძიებას ხალხში, სოფლად იქ სადაც ნამდვილ ნორვეგიას ნახავდით.

თუ ნორვეგიის ნაციონალური რომანტიზმის ხანაში შექმნილ ლიტერატურულ მხატვრულ ან მუსიკალურ ნაწარმოებებს გადავხედავთ, მათში დავინახავთ ნორდიული მითოლოგიის, ზეპირ-სიტყვიერების ფოლკლორის, მოტივებს.

გამოჩნდნენ მწერლები, რომლებიც აგროვებდნენ ძველ ნორვეგიულ მითებს, ზღაპრებს, ხალხურ მუსიკას. ამ მხრივ გამორჩეული ფიგურა იყო იორგენ მო, რომელიც ცნობილია თავისი ზღაპრების კრებულით. მისი ზღაპრების გავლენა ისეთივე დიდი იყო ნორვეგიის ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ძმები გრიმებისა გერმანიაში. მასთან ერთად მოიხსენიება პეტერ კრისტენ ასბიორნსენი, რომელიც ასევე აგროვებდა ხალხურ ზღაპრებსა და თქმულებებს და დამოუკიდებლადაც გამოსცა ზღაპრების კრებული. იდენტობის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვერგელანდმა რომელიც თავისი პოეზიისათვის ფრთხილად არჩევდა ჭეშმარიტად ნორვეგიული წარმოშობის სიტყვებს.

ხალხში გავიდა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შეგროვების მიზნით ასბიორნსენისა და მოს მსგავსად იმოგზაურა ივარ აასენმა, რომელმაც შეაგროვა იდიომები, სიტყვები, გრამატიკა და საფუძველი ჩაუყარა ნინორშკს – ახალ ნორვეგიულ ენას.

სწორედ ამ დროს, უმნიშვნელოვანესი იყო რაიმე ღირებულების გამოჩენა, რომელიც იქცეოდა ერის იდენტობის ქვაკუთხედად. როგორც უკვე აღვნიშნეთ ენის მნიშვნელობამ წინ წამოიწია და დანიის გავლენიდან ნორვეგიული ენის გათავისუფლების მცდელობები უკვე სახეზე იყო, იდენტობისათვის ასევე მნიშვნელოვან სიმბოლოს წარმოადგენდა 17 მაისი, კონსტიტუციის დღე, რომლის შემოღების იდეა ნორვეგიულ რომანტიკოს მწერალს ვერგელანდს ეკუთვნის, მაგრამ გარდატეხა მოახდინა კოდექს რეგიუსმა და ჰეიმსკრინგლამ

კოდექს რეგიუსი არის 1270 წელს ისლანდიელი სკოლარების მიერ ლათინურად ჩაწერილი, ძველ სკანდინავიური ზეპირსიტყვიერება, პოეზია, საგები და მითები. ჰეიმსკრინგლა – მეფეთა საგები კი დაწერილია ისლანდიელი პოლიტიკოსის, პოეტისა და ისტორიკოსის სნორი სტურლუსონის მიერ, მეცამეტე საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 1230 წელს.

თვითგამორკვევის მომენტში ნორვეგიას თითქმის უნიკალური შანსი გამოუჩნდა სრულყოფილად აღედგინა ერის წარსული მემკვიდრეობა ძველ ისლანდიური ლიტერატურის დახმარებით. მაგალითად ინგლისისათვის იგივე იდენტობის წყაროს დიდებული მეფე არტურის ისტორია წარმოადგენდა. მაშინ, როცა ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო იძულებული იყო, რომ ეროვნული ხასიათი, იდენტობა, ხალხური ტრადიციები ხელოვნურად შეექმნა. ნორვეგიის ხელთ ჰეიმსკრინგლას სახით აღმოჩნდა ისტორიული დოკუმენტი, რომელიც, რეალურ შუა საუკუნეების ნორვეგიას აღწერდა.

წიგნის სახელი – ჰეიმსკრინგლა პირველად გამოყენებულ იქნა მე-17 საუკუნეში და იგი მოდის ამავე წიგნის ერთ-ერთი მანუსკრიპტისაგან ნასესხები სიტყვებიდან **kringla heimsins** – რაც ნიშნავს სამყაროს წრეს სნორის. როგორც პოლიტიკოსს ნორვეგიასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა, ქვეყანაშიც იმოგზაურა და ჰეიმსკრინგლაც პრო-ნორვეგიული პოზიციიდანაა დაწერილი, საბოლოოდ წიგნში ჩანს ნორვეგია როგორც ძლიერი სახელმწიფო, ჰეროიკული მაგრამ რეალური ნორვეგიელთა წინაპრები არიან გმირები სამეფო ოჯახებიდან, რომლებიც ეფექტურად იშორებენ თავიდან მტერს.

ჰეიმსკრინგლას თარგმანები ნორვეგიაში გამოჩნდა 1838 წელს ის ყველაზე ხშირად ნაკითხვადი წიგნი იყო და ნორვეგიის ეროვნული სიმბოლო გახდა, მეოცე საუკუნის დასასრულამდე კი, ისტორიის სასწავლო სახელმძღვანელოებიც ძირითადად მას ეფუძნებოდა. დაიანა ველი ჰეიმსკრინგლას ერთ-ერთი გამოცემის ანოტაციაში წერდა: „ის, რაც სწორიმ მისცა სკანდინავიას, არ იყო მხოლოდ ისტორიული ჩანაწერი ან ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა, ან თუნდაც, ძველი ნორვეგიული ენისათვის უკვდავების მინიჭება, არამედ ჰეიმსკრინგლა იყო თავისუფლების ინსპირაცია მეცხრამეტე საუკუნის ბნელი ხანის პოლიტიკური ზენოლის პირობებში. დღეს, ორ ქვეყანას შეუძლია მადლობელი იყოს იმ დახმარებისათვის, რაც მან წარსულში თავისუფლებისათვის ბრძოლისას სწორი სტურლუსონისაგან მიიღო“.

ამგვარად, ნორვეგიაში რომანტიციზმი მოიცავს პერიოდს 1840 წლიდან 1867 წლამდე. ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრება მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა დანიის უღლიდან გათავისუფლების შემდეგ და ინტელექტუალები ეროვნული თვითგამორკვევის პროცესში, თავიანთ შემოქმედებას უკავშირებდნენ ნორვეგიის ეროვნულ ნაციონალურ იდენტობას. მათ ნორვეგია ახლიდან აღმოაჩინეს. რომანტიზმის პერიოდის ნორვეგიელი მხატვრების ძირითადი მოტივები გახდა სოფლის ცხოვრება, ნორვეგიის ბუნება, მთები, ფიორდები და პასაჟები სოფლის ყოველდღიური ცხოვრებიდან ასევე იგრძნობა პოეტურ ედასა და საგებში აღწერილი მითოლოგიური სიუჟეტების მოტივები ხელოვანებისა თუ ლიტერატორების შემოქმედებაში.

დანიის თვითგამორკვევის პროცესი თავისი გზით განვითარდა, მაგრამ აქ ნორვეგიისაგან განსხვავებით მოტივები იყო დანია-ინგლისისა და დანია-გერმანიის ომი, შლეზვიგის დაკარგვა. როგორც წესი, გარედან მომავალი საფრთხე, ერთგვარი მტრის ხატი, ერის იდენტობის გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომლის გარშემო იგი ერთიანდება. ამგვარმა ერთობამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, დანიის ლიტერატურაში წარმოშვა „ოქროს ხანა“. პარადოქსია, მაგრამ, სანამ ნორვეგია „უმცროსი ძმის კომპლექსებით“ იტანჯებოდა და დანიისაგან შემდგომ კი შვედეთისაგან თავის დაღწევას ცდილობდა მსგავსი პრობლემის წინაშე იდგა დანიაც. ინტელექტუალურ წრეებში პრობლემას წარმოადგენდა დანიის ახალგაზრდობის მეტისმეტი ევროპეიზაცია და მათზე განმანათლებლობის ფილოსოფოსების გავლენა. აქაც, დანიური რომანტიციზმისთვისაც ნიშნულია ღირებულებების ძიება ქვეყნის შიგნით და არა მის გარეთ. მაგალითად, ჰეიმსკრინგლა ითარგმნა აგრეთვე დანიურადაც, რა თქმა უნდა, ამ წიგნს ისეთი ღირებულება არ გააჩნდა დანიისათვის როგორც ნორვეგიისათვის, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჰეიმსკრინგლას დანიური თარგმანის ავტორი ქვეყნის ლიტერატურაში ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, მწერალი, ნიკოლაი ფრედერიკ სევერინ გრუნდტივი იყო და მის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანეს ნაწარ-მოებებად ჩრდილოეთის მითოლოგია და *The Fall of the Heroic Life in the North* (ჩრდილოეთის გამორული ცხოვრების დასასრული) ითვლება.

ნორდიულმა მითოლოგიამ, ისლანდიური საგებისა და ედების მოტივებმა გავლენა იქონია არა მხოლოდ მწერლობაზე, არამედ მხატვრებსა და მუსიკოსებზე, მეცხრამეტე საუკუნის მხატვრების შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სკანდინავიურ მითოლოგიას, სწორედ მათ მოტივებზე იქმნებოდა ნახატებიც, რომლებიც ჰეიმსკრინგლას პირველი თარგმანისათვის მომზადდა და მოგვიანებითაც სხვა გამოცემებშიც იყო ჩართული ილუსტრაციების სახით.

მარიამ ლაპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

ნორვეგიული ახალგაზრდები: თავისუფლება და პასუხისმგებლობა

გამოკვლევის თანახმად, თანამედროვე ნორვეგიელი ახალგაზრდობა დღეში ოთხ საათზე მეტს ატარებს სოციალურ მედიაში. ზოგი ამბობს, რომ ეს დროის ფლანგვაა, მაგრამ მე ვხვდები ეს რისთვისაც სჭირდებათ: სოციალურ ქსელში ადამიანები პირდაპირები არიან; უბრალოდ შეუძლიათ გამოვიდნენ ექაუნთიდან და დაბლოკონ ყველაფერი რაც არ მოსწონთ. მარტივია ცხოვრება, როდესაც პასუხისმგებლობა არ გაქვს, თუმცა როდესაც მსოფლიოს ყველაზე ლიბერალურ და ტოლერანტულ ქვეყანაში ცხოვრობ, როდესაც გარშემო ყოველი ლტოლვილი თუ ემიგრანტი შენი საქციელით მსჯელობს შენს ქვეყანაზე რთულია ცხოვრების სიმარტივეზე ისაუბრო. „არ ილოცო იმისათვის, რომ გქონდეს მარტივი ცხოვრება, ილოცე იმისათვის, რომ გაუძლო რთულს“. თანამედროვე ახალგაზრდობა ყოველდღიურად უდიდესი დილემის წინაშე შეიძლება დადგეს, თუმცა ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილების მიღება უმნიშვნელოვანესია: მარტივი გადაწყვეტილება რთული ცხოვრების ტოლფასია, ხოლო რთული გადაწყვეტილება – მარტივი ცხოვრების. საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებისას უნდა იაზრებდე, რომ ნებისმიერმა გადაწყვეტილებამ შეიძლება შეცვალოს შენი და გარშემომყოფების ცხოვრება. მათ აქვთ თავისუფლება, დემოკრატია და თანასწორობა, ყველაფერი რაზეც ჩვენ ვოცნებობთ, თუმცა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. მართლაც დიდი პასუხისმგებლობაა ნორვეგიელი ახალგაზრდების ამ თავისუფლებაში.

კონსტიტუცია

ნორვეგიის კონსტიტუცია პირველად მიიღეს 16 მაისს, ხოლო 1812 წლის 17 მაისს ნორვეგიის დამფუძნებელთა ასამბლეამ ხელი მოაწერა და დაათარილა იგი. ამ დღეს ნორვეგიის მოსახლეობა კონსტიტუციის დღეს აღნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ ყველას თანასწორი უფლებები აქვთ და რომ ადამიანები თავისუფლებად არიან დაბადებულნი და უნდა დარჩნენ თავისუფალნი: თუნდაც თავისუფალი სოციალურ მედიაში ოთხი საათით, თავისუფლები იმისათვის, რომ დალიონ და გააკეთონ ის რაც უნდათ, თავისუფლები ფულის დასახარჯად იმაში რაშიც სურთ, თავისუფლები იმაში უყვარდეთ ის, ვინ სურთ. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლება ფართო ცნებაა, მაინც შესაძლებელია მისი გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა. რასაკვირველია, შენი თავისუფლება სხვისი უფლებების შეზღუდვას არ ნიშნავს და სწორედ ამაში მდგომარეობს ნორვეგიელი ახალგაზრდების პასუხისმგებლობაც: მათ უნდა გაიაზრონ, რომ მსოფლიოს ყველაზე ტოლერანტულ და დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი გარკვეულ ზღვართან მთავრდება ადამიანის უფლებები. „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“.

ნორვეგია აღარ არის ის ქვეყანა, რომელიც კონსტიტუციის დაწერისას იყო (მონარქიული წყობის სახელმწიფო). მარტივადაა შესამჩნევი, რომ ნორვეგიული საზოგადოება მუდმივად ვითარდება. დღესდღეობით, ათასობით ლტოლვილი ჩამოდის ევროპაში საცხოვრებლის საძიებლად, ეს მათგან განსხვავებული კულტურის ხალხია. ადამიანები, რომელთა ღირებულებები შეიძლება ნორ-

ვეგიელებისას არ ეთანხმებოდეს და ხშირ შემთხვევაში სწორედ ასე ხდება. ბევრი შიშობს, რომ ლტოლვილები ნორვეგიის კულტურას ზიანს მიაყენებენ. კარგი იქნებოდა, რომ „ფეისბუქის“ ფუნქცია გვექონდეს და ვბლოკავდეთ ასეთ ხალხს, მაგრამ ცხოვრებაში ასე არ არის. როდესაც კონსტიტუციის დღეს აღნიშნავენ, ვფიქრობ ყველანი უნდა იაზრებდნენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და უნდა იხსენებდნენ იმას, რომ თუ მათ ღირებულებების სჯერათ, რომელიც კონსტიტუციაშია აღწერილი, თუ სჯერათ რომ ყველას უნდა ჰქონდეს თავისუფლება და თანასწორი უფლებები, მაშინ მათ არ უნდა მოახვიონ თავიანთი ღირებულებები სხვა ადამიანებს, მათ არ უნდა დახურონ კარი უცხო ადამიანების წინ, რომლებიც მათ „ღირებულებებს ემუქრებიან“. როდესაც სწორად გაქვს გააზრებული თუ რას ნიშნავს იყო თავისუფალი და, ამავდროულად, გქონდეს დაკისრებული პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნისა და ერის წინაშე, როდესაც ასეთი სტუმართმოყვარე ნაციის წევრი ხარ და საკუთარი კულტურა გიყვარს, ვერცერთი ეროვნების წარმომადგენელი ვერანაირი ზენოლის მეშვეობით ვერ შეძლებს შენში „ნორვეგიელის“ ნაშლას. ჩვენ ყველანი საზოგადოებაში იმიტომ ვცხოვრობთ, რომ ერთმანეთს ვჭირდებით, ადამიანებს ერთმანეთი სჭირდებათ. წარმატებული ადამიანები ყოველთვის ეხმარებიან, ამხნევენ და გვერდში უდგანან ერთმანეთს, ხოლო წარუმატებელ ადამიანებს მხოლოდ შურთ, სძულთ და ეზიზღებათ. სწორედ ამ პრინციპების მიმდევრობის დაცვის გამოა ახლა ნორვეგია წარმატებული ქვეყანა.

ნორვეგიელი მწერლების შეხედულებები თანამედროვე ახალგაზრდებზე

ჩემთვის ნორვეგიელი ახალგაზრდების ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ასევე თანამედროვე ნორვეგიელი მწერლის, არნე სვინგენის წიგნი „ბალადა გატეხილ ცხვირზე“. იგი ბევრისთვის საყვარელი ავტორია და მისი ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მხოლოდ მის სამშობლოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. „ბალადა გატეხილ ცხვირზე“ სიმამაცის, შიშის, სპორტისა და მუსიკის შესახებ მოთხრობილი ამბავია, მაგრამ ყველაზე მეტად ისეთი დღეების შესახებ, როცა მოულოდნელად აცნობიერებ, რომ შენი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა“. ამის გარდა, წიგნში შესანიშნავადაა აღწერილი თანამედროვე თაობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი ბავშვების დამოკიდებულება ერთმანეთისადმი, პრობლემებთან გამკლავების გზები. ყოველი მოზარდი თავისებურად უყურებს და აღიქვამს მის გარშემო მომხდარ ამბავს, ასევე შესაბამისად სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. ახალგაზრდებში პრობლემები სხვადასხვაგვარი სიმძაფრით გვევლინება, ზემოხსენებულ ნაწარმოებში კი ურთიერთობების პრობლემას ვხვდებით, რომელსაც საუბარი და ურთიერთგაგება მოგვარებადს ხდის, თუმცა არსებობს ბევრად მწვავე კონფლიქტებიც, რომლებიც რთული აღმოსაფხვრელია. შემძლია გავიხსენო კონკრეტული მონაკვეთი ნორვეგიული ინტერნეტ სერიალიდან „სირცხვილი“, რომელშიც მოზარდები საკმაოდ უხეში გზებით ცდილობენ შურისძიებას და შემდგომ ამ ფაქტის სამართალდამცავებისგან დამალვას, თუმცა თავადვე ხვდებიან, რომ მსგავსი ქმედება მხოლოდ წაახალისებს მოწინააღმდეგეს. ზემოხსენებულ სერიალში აღწერილია ნორვეგიელი ახალგაზრდების ცხოვრება, მათი შეხედულებები, დამოკიდებულებები პრობლემებთან და მოგვარების ხერხი. წიგნის ავტორი კი აღწერს და ცდილობს გაგვაცნოს ნორვეგიული სიტუაცია. მთავარი პერსონაჟის გადმოსახედიდან ცხოვრება რთულია, მაგრამ ოპტიმისტად დარჩენისა და ფაქტების რეალურად აღქმის შემთხვევაში უკეთესი გახდება, რადგან გულგატეხილობითა და მოწყენით ვერაფერს შეცვლის.

ნორვეგიელი ახალგაზრდების გამოცდილება

ნორვეგია „შუალამის მზის ქვეყანაა“. მისი ხსენებისას გვახსენდება სიცივე და ყინულოვანი მიწა, თუმცა მას ამაზე მეტის შემოთავაზება შეუძლია. ნორვეგიაში დაახლოებით 4.3 მილიონი მოქალაქეა, მათგან უმეტესობა გარეუბნებში და რაიონებში ცხოვრობს, ხოლო 465,000 დედაქალაქ ოსლოში, რომელიც მჭიდროდ დასახლებული მთავრობისა და კულტურის ცენტრია.

ბოლო წლებში ნორვეგიამ ჩამოაყალიბა საკუთარი საგანმანათლებლო სისტემა. ამის მთავარი მიზანი კი ახალგაზრდების სწავლის ხარისხის გაუმჯობესება იყო. ნორვეგიის მთავრობას მიაჩნია, რომ განვითარებული და ერუდირებული თაობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გლობალურ ბაზარზე, არამედ ქვეყნისათვის მაღალი ხარისხის ცხოვრების შენარჩუნებისათვის. ნორვეგიელებს სჯერათ, რომ ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებასა და ვარჯიშზე, არ აქვს მნიშვნელობა სქესს, ეკონომიკურ მდგომარეობას, სოციალურ-კულტურულ ფონს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. განათლება უფასოა.

მე გამოვიკითხე რამდენიმე ნორვეგიელი მოზარდი და მათი თქმით მთავარი გასართობია ფილმების ყურება, მეგობრებთან ერთად დროის გატარება, სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება, ტელევიზორის ყურება და სეირნობა. საზოგადოების აზრი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ყველაზე ღირებულად მიაჩნიათ ტოლერანტობა, სიკეთე და დამოუკიდებლობა. ყოველთვის კარგი ურთიერთობა აქვთ ახლობლებთან.

ამალიე მაგნუსენი, 20 წლის

„The family is very important in Norway. Families like to spend time together. A popular time to do this is on vacation in the mountains or by the sea. Teenagers are expected to help out around the house. Customs Punctuality, good manners, and kindness are extremely important for Norwegians. Personal privacy is respected. It is considered very rude to ask personal questions in casual conversation. Being a good friend is important, but affection is often understood rather than expressed. The biggest holiday in Norway is Constitution Day on May 17. Norwegians take to the streets in traditional folk costumes and the fun begins. Midsummer's Eve with its bonfires on the beach is also popular.“

„ჩვენთან, ნორვეგიაში ოჯახი ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მნიშვნელოვანია დროის ერთად გატარებაც. ასევე პოპულარულია არდადეგებზე მთაში წასვლა ან ზღვის პირას დასვენება. თინეიჯერები ასევე სახლშიც ეხმარებიან მშობლებს. პუნქტუალობა, კარგი მანერები და სიკეთე ყველა ნორვეგიელისთვის უმნიშვნელოვანესია. პირადი კონფიდენციალურობა ასევე დაცულია და უხეშად ითვლება პირადი კითხვების დასმა ჩვეულებრივი საზოგადოებრივი საუბრისას. იყო კარგი მეგობარი, ესეც მნიშვნელოვანია, თუმცა ხშირად სითბო გაგებული უფროა, ვიდრე ერთმანეთთან გამოხატული. ნორვეგიაში ყველაზე დიდი დღესასწაულია დამოუკიდებლობის დღე, რომელიც 17 მაისს აღინიშნება. ნორვეგიელები, გამონცობილნი ტრადიციულ ხალხურ კოსტიუმებში, ქუჩაში მიდიან და გართობაც აქ იწყება. შუა ზაფხულში ზღვის სანაპიროზე კოცონის გარშემო გართობაც პოპულარულია“.

დასკვნა

ჩვენ შეიძლება ურთიერთობით დავივალეთ, განსაკუთრებით მათგან, ვინც არ გვეთანხმება, მათგან ვინც განსხვავებულად ფიქრობს, მნიშვნელობა არ აქვს ეს სხვა კულტურის წარმომადგენელი იქნება თუ შენი ყოფილი თანაკლასელი. მშვიდობიან საზოგადოებაში თანაბარი ყურადღებით უნდა მოვუსმინოთ და ვეცადოთ გავუგოთ ერთმანეთს. ალბათ უფრო ადვილია ერთმანეთს გავუგოთ, თუ ყურადღებას მსგავსებებზე გავამახვილებთ და არა განსხვავებებზე. ვეძებოთ ის, რაზეც ვეთანხმებით ერთმანეთს, და არა ის – რაზე არ ვეთანხმებით. ალბათ თუ ჩვენ ერთმანეთში ცუდს დავინახავთ, ისინიც ცუდს გვაჩვენებენ. ჩვენ გვაქვს უფლება გავატაროთ ოთხი საათი სო-

ციალურ მედიაში ყოველ დღე იმიტომ, რომ ჩვენამდე ვილაცამ იბრძოლა თავისუფლებისათვის. მალე ეს ახალგაზრდები მოექცევიან ამ ქვეყნის სათავეში და ისინი გადანყვეტენ რომელი ფასეულობებით იცხოვრონ მომავალში. იმედი მაქვს, რომ თავისუფლებისა და თანაბარი უფლებებისთვის ბრძოლა ის ომია, რომელში ჩასაბმელადაც ყველა ახალგაზრდა მზად არის. თუ ისინი, გაზრდილები მსოფლიოს ყველაზე თავისუფალ ქვეყანაში, არ აირჩევენ გულუხვობას, მოთმინებასა და გახსნილობას, თუ ისინი არ მოძებნიან და დაიჯერებენ კარგს ერთმანეთში, თუ მათ არ შეუძლიათ იბრძოლონ სამართლიანობისთვის, მაშინ ვის შეუძლია?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, 2004 წ, №220.
2. ნორვეგიის კონსტიტუცია, 1814 წ.
3. <http://grunnloven.lovdato.no/>
4. <https://www.aspectfoundation.org/host/norway.html>

მარიამ გურგენიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: პროფესორი მურმან პაპაშვილი

ქრისტიანიზაციის პროცესის თავისებურებები სკანდინავიაში

ცნობილია, რომ ვიკინგების ეპოქაში (VIII-XI სს.) სკანდინავიელი ხალხის პოლიტიკური გაერთიანების პროცესს თან ახლდა მათში ქრისტიანობის ფართო გავრცელება და, საბოლოოდ, მისი გამარჯვება. ეს მოვლენა ფრიად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების საფუძველზე, რომ აღნიშნულ ეპოქაში „ჩრდილოელებმა“, როგორც მათ ბრიტანელები და ფრანკები უწოდებდნენ, მათ თავს საშინელი რისხვა დაატყვეს. ვიკინგთა სასტიკი, მოულოდნელი თავდასხმებით შეძრული მოსახლეობა, დამპყრობელთა გამოჩენას ღვთის რისხვად მიიჩნევდა ცოდვების გამო და ლოცულობდა, „ღმერთო დაგვიფარე ნორმანთა რისხვისაგან“.

მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის გავრცელება სკანდინავიურ საზოგადოებაში შეუქცევად პროცესად იქცა. მართალია, როგორც აღინიშნა, ჩრდილოელმა დამპყრობლებმა საშინელი რისხვა დაატყვეს თავს ევროპის ფეოდალურ სამეფოებს, თუმცა თავადაც მოექცნენ მათი გავლენის ქვეშ და იმის მიუხედავად, რომ ძალიან მკაცრად იცავდნენ თავიანთ წარმართულ სალოცავებს, წარმართულ წესებსა და რიტუალებს, გააჩნდათ მყარი წარმართული რელიგიური სისტემა, დროთა განმავლობაში, დანიის, შვედეთისა და ნორვეგიის წარმართულ ქალაქებში ფეხი მოიკიდა ახალმა სარწმუნოებამ, აშენდა ქრისტიანული ტაძრები და იქცა პილიგრიმთა ცენტრად.¹¹⁷

ეს საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე არ ჰკარგავს თავის აქტუალობას. ჩვენი ისტორიოგრაფია კი ამ თვალსაზრისით უკიდურესად მოკრძალებულია. ამიტომ იგი ჩვენთვის იქცა საინტერესო და აქტუალურ თემად. ასევე დავამატებთ: უდაოდ საგულისხმოა იმის ახსნა, რომ ვიკინგთა საზოგადოებაში, რომელიც წარმოადგენდა თითქმის მთელი ქრისტიანული სამყაროს რისხვას, მყარი წარმართული რწმენის მიუხედავად, როგორ განვითარდა სკანდინავიურ საზოგადოებაში ქრისტიანიზაციის პროცესი. რა უბიძგებდათ მათ ამისაკენ და რა პროცესები განაპირობებდა ახალი სარწმუნოების მიღების სარგებლიანობას.

ამთავითვე კი შეიძლება ითქვას, რომ ახალმა რწმენამ, მნიშვნელოვნად დააჩქარა სკანდინავიური საზოგადოების ცივილიზებულ ქრისტიანულ სამყაროსთან ინტეგრაცია, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა და ქალაქმშენებლობის პროცესი. ამასთან კავშირში, საგულისხმოა იმ მოვლენის რელიეფურად წარმოჩენა, თუ რა პირობებში უწევდათ მოღვაწეობა კათოლიკე მისიონერებს და რა მიზნები ამოძრავებდათ ამ პროცესის ინიციატივის სათავეში მყოფ რომის კათოლიკურ ეკლესიასა და ევროპული სამეფოების მონარქებს. ასევე, როგორ შეძლო წარმართულმა საზოგადოებამ, რომლის თავდასხმებმაც ცივილიზებულ სამეფოებში ფეოდალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა, ახალი მონოთეისტური რელიგიის მიღება.

აქ დასმული საკითხების კვლევა დაკავშირებულია უამრავ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენასა და ისტორიული პირის მოღვაწეობასთან, რომელთა სრულად წარმოდგენა სტატიის ჩარჩოებში შეუძლებელია. ამიტომ ყურადღება ძირითად მომენტებზე იქნება გადატანილი.

როგორც ვიცით, სწორედ ვიკინგების ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი სკანდინავიის ტერიტორიაზე სამეფოების ჩამოყალიბებას, რომლებიც შემდგომში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტი-

¹¹⁷ Else Roesdahl, *The Vikings*, (Penguin Books, 1998) (pp.165-168).

კური თვალსაზრისით მოწინავე სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. ლოგიკური იქნება იმის აღნიშვნაც, რომ დღესაც ისინი დგანან წარმატებული ქვეყნების სიის სათავეში და განვითარების მოდელს ქმნიან თანამედროვე სახელმწიფოებისათვის. ბუნებრივია, შესაბამისად ქრისტიანიზაციის პროცესის შესწავლის გარეშე რთულია ზემოხსენებული სამეფოების, ჩამოყალიბება-განვითარების შესახებ მსჯელობა.

დღეს დავას არ იწვევს, რომ სკანდინავიის მოსახლეობის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას, აღნიშნულ ტერიტორიებზე ქრისტიანული საეკლესიო ქსელის ჩამოყალიბებასა და ეპარქიების დაარსებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა (VIII-XII სს.) ისიც კარგად ცნობილია, რომ აღნიშნული პროცესების ინიციატივის სათავეში იდგა რომის კათოლიკური ეკლესია. ხშირ შემთხვევაში, სწორედ რომის პაპების ხელდასმითა და კურთხევით ინიშნებოდნენ მისიონერები ნორდიკულ და ბალტიის ქვეყნებში, მათი შემწეობით ხდებოდა ეპარქიების დაარსება და მისიონერთა დაწინაურება ღირსეული მოღვაწეობისათვის. უფრო მეტიც, სკანდინავიის სამეფოებში ქრისტიანობის გავრცელება პირდაპირ დაკავშირებულია მისიონერების მოღვაწეობასთან.¹¹⁸

წარმოშობით ნორთუმბრიელი მისიონერი ვილიბრორდი (ლათ. *Villibrordus* – 658 – 739), რომელიც შემდგომში გახდა ცნობილი, როგორც ფრიზიელთა მოციქული, თანამემწეებთან ერთად ქადაგებდა, იმ დროისათვის დანიის შემადგენლობაში არსებულ შლეზვიგში.

ვილიბრორდი ჩრდილოეთში მოხვდა ფრიზიიდან, კერძოდ 710 – 718 წწ., მეფე ონგენდუსის მეფობის დროს. ეს უკანასკნელი გამეფდა 710 წელს და წყაროებში იხსენიება, როგორც დანიის სამეფოს გამაერთიანებელი. როგორც ირკვევა, ვილიბრორდი დანიაში პატივით მიიღეს. მისცეს ნებართვა ემოგზაურა სამეფოში და მშვიდად დაბრუნებულიყო უკან მონაფეებთან ერთად.

ვილიბრორდმა რომში ორჯერ იმოგზაურა. როგორც VII-VIII საუკუნის პირველი ინგლისელი ისტორიკოსი ბედა ღირსი აღნიშნავს, ვილიბრორდი არ იყო პირველი ანგლო-საქსი, რომელმაც იმოგზაურა რომში. მისივე გადმოცემით, ეს არ იყო ჩვეულებრივი პილიგრიმული ვიზიტი. მან რომის პაპისაგან მიიღო წყალობა და ნებართვა შესდგომოდა მისიონერულ საქმიანობას.

მეორე ვიზიტისას რომში 695 წელს, სანტა ჩეჩილია ინ ტრასტევერეს (*Santa Cecilia in Trastevere*) მონასტერში პაპმა სერგიუს I-მა (687–701) მას გადასცა პალიუმი (ლათ. *Pallium* – „მოსასხამი“) და აკურთხა ვილიბრორდი ფრიზიელთა ეპისკოპოსად. ფრიზიაში საქადაგებლად დაბრუნებულმა ვილიბრორდმა უტრეხტში დააარსა მონასტერი, სადაც შემდგომში აშენდა კათედრალი და თავად გახდა უტრეხტის პირველი ეპისკოპოსი.¹¹⁹

ჩრდილოეთის ქვეყნებში აშკარა არასტაბილური პოლიტიკური ვითარება, ხელს უშლიდა მისიონერების მოღვაწეობას, რომლებიც ვფიქრობ ერთგვარად დამოკიდებულნი იყვნენ ქვეყნის სათავეში მყოფი მონარქების განწყობაზე ქრისტიანთა მიმართ, პერიოდულად იმარჯვებდა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი მტრულად განწყობილი ნაწილი და მისიონერებს ქვეყნიდან გაქცევა უწევდათ.

მსგავსი გარემოება შეიქმნა ფრიზიელთა წარმართი მეფის რედბოდის მმართველობისას, მისი ბრძანებით გადაწვეს ქრისტიანული ეკლესიები და მოკლეს არაერთი მისიონერი. ვილიბრორდი ბერებთან ერთად იძულებული გახდა გაქცეულიყო. მხოლოდ 719 წელს რედბოდის გარდაცვალების შემდეგ შეძლო დაბრუნება მოღვაწეობის გასაგრძელებლად.

ასევე ვფიქრობ საყურადღებოა, კარლოს მარტელის პროტექტორატის ქვეშ მყოფი, მაინცის არქიეპისკოპოსის ვინფრიდის მოღვაწეობა (675 – 754 წწ.) ჩრდილოეთის მიწებზე ქრისტიანობის

¹¹⁸ Wormald, Patrick, *The Times of Bede: Studies in Early Christian Society and Its Historian*, (Malden, MA: Blackwell, 2006), kindle edition.

¹¹⁹ LibriVox, 2012. *Bede's Ecclesiastical History of England*. Accessed June 8, 2017. <https://librivox.org/ecclesiastical-history-of-england-by-the-venerable-...>

გასავრცელებლად, თავის დროზე გერმანიის სამეფოში პაპმა გრეგორი III-მ გაგზავნა ქრისტიანობის საქადაგებლად, მოგვიანებით კი შეუერთდა ვილიბრორდს და სამი წელი დაჰყო მასთან.

როგორც ჩანს, მისიონერები ჩრდილოეთის ქვეყნებში სპეციალური მისიით რომის პაპების უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით იგზავნებოდნენ. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ფრანკთა იმპერია, რომის უშუალო ინტერესებში შედიოდა წარმართი ჩრდილოელების გაქრისტიანება, რაც ცხადია, მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ვაჭრობისა და დიპლომატიური ურთიერთობების თვალსაზრისით.

ვფიქრობ, როდესაც ევროპაში წარმართთა შორის ქრისტიანობის გავრცელებაზე ვსაუბრობთ, საყურადღებოა ფრანკთა მეფის კარლოს დიდის (768 – 814 წწ.) პოლიტიკური კურსი აღნიშნული მიმართულებით. კარლოს შარლემანმა ფაქტობრივად განაგრძო მამის, პიპინ მოკლეს (714 – 768 წწ.) პოლიტიკა, რომის პაპების მხარდასაჭერად, ლანგობარდებთან ბრძოლის შემდეგ (773 წ., პიემონტი), საყურადღებოა კარლოსის ბრძოლის მასშტაბები საქსონების წინააღმდეგ.

ცხადია, კარლოსს ხელს აძლევდა საქსონების დაპყრობა, გაქრისტიანება, მათი მეომრების სამხედრო ძალად გამოყენება. საქსონიაზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომლითაც შვედეთიდან შემოდიოდა რკინის მადანი, იარაღის დასამზადებლად, სწორედ ამ მიზეზების გამო იყო საქსონებთან ხანგრძლივი ბრძოლა აუცილებელი.

ერთი სიტყვით, ვილიბრორდის მოღვაწეობა, უდაოდ მნიშვნელოვანი ინიციატივის საწყის ეტაპს წარმოადგენდა ჩრდილოეთის ქვეყნებში, წარმართთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ეს უდაოდ საპასუხისმგებლო საქმე იყო, რაც ვფიქრობ, მოითხოვდა მქადაგებლებისაგან ღვთისმეტყველებაში განსწავლულობის გარდა, დიდ სულიერ სიმტკიცესა და გამბედაობას, სირთულეების გადალახვის უნარს.

სკანდინავიის ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის მისიონერსა და საეკლესიო მოღვაწეს ანსგარს (801 – 865), რომელიც შემდეგში წმინდად იწოდა. ამიტომ მასზე შედარებით ვრცლად შევჩერდებით.

ფრანკთა იმპერატორს ლუი I ღვთისმოსავს (778 – 840), დანიის უფლისწულმა ჰარალდმა, რომელსაც ნათესავი ტახტს ედავებოდა, ორჯერ მიმართა დახმარების თხოვნით. პირველი დახმარების აღმოჩენის შემდეგ, 822 წელს ლუიმ ელჩები გაგზავნა იუტლანდიაში, რეიმსის არქიეპისკოპოს ებოსა და შემდგომში კამბრეს ეპისკოპოსის ჰალიტგარის თაოსნობით. პირველ ეტაპზე ჰარალდს, რომელსაც არწმუნებდნენ მიელო ქრისტიანობა, შეეშინდა მოსახლეობის უკმაყოფილების და თავი შეიკავა, მხოლოდ მისი ელჩები მოინათლნენ ქრისტიანად. მოგვიანებით, ჰარალდს ხელახლა მოუწია დახმარებისათვის მიემართა ფრანკთა მონარქისათვის და ოჯახთან ერთად მოინათლა ქრისტიანად.¹²⁰

ჰარალდმა დანიაში მქადაგებლები გაგზავნა. ამ საქმისათვის კი კორბის მონასტრის წინამძღვარმა და იმპერატორმა ლუიმ შეარჩიეს ახალგაზრდა ბერი ანსგარი, რომელიც წარმოშობით ამიენიდან იყო და ყრმობიდანვე ამჟღავნებდა სურვილს თავი უფლისათვის მიეძღვნა.

შეთავაზებას, ანსგარი სიხარულით დასთანხმდა. თუმცა საქმე არ იყო მარტივად, მეფის გაქრისტიანებით შეუფოთებულ მოსახლეობას ახალი სარწმუნოების შესახებ მოსმენაც არ სურდა. მისიონერებს ქვეყნის სიღრმეში შეღწევის შანსი არ გააჩნდათ. ამიტომ სამხრეთ იუტლანდიაში, ქალაქ ჰადებში შეჩერდნენ და ქრისტიანული სკოლა დააარსეს. ანსგარმა გამოისყიდა ტყვე ბავშვები, ასწავლიდა მათ ქრისტიანულ მოძღვრებას იმ იმედით, რომ მათ მომავალ მქადაგებლებად გაზრდიდა. მეფე ჰარალდი დამარცხდა და ქვეყნის დატოვება მოუხდა. მოსახლეობისაგან შევიწროვებულმა მქადაგებლებმაც ქვეყანა დატოვეს.¹²¹

¹²⁰ Tschan, Francis J. *History of the Archbishops of Hamburg-Bremen*, (New York: Columbia University Press, 1959), kindle edition.

¹²¹ Adam of Bremen, *History of the Archbishops of Hamburg-Bremen* (trans.F.J. Tschan) (New York, 1975), kindle edition.

ჩრდილოელთა ცხოვრების წესი, ტრადიციები და ყოველდღიური ყოფა დაკავშირებული იყო მათ წარმართულ რწმენასთან, ღვთაება ოდინის კულტთან, რომელიც წარმოადგენდა მთავარ ღვთაებას წარმართულ პანთეონში. საზოგადოების დიდ ნაწილს წარმართები შეადგენდნენ, ამიტომაც ვფიქრობ წარმართი მონარქების ნაწილი გვერდს ვერ აუვლიდა საზოგადოების წინააღმდეგობას ახალ სარწმუნოებასთან მიმართებაში. ვფიქრობ აშკარაა, ქრისტიანიზაციის პროცესის საკმაოდ რთული და თავისებური გავრცელება აღნიშნულ საზოგადოებაში, პერიოდულად წარმართი მონარქების ნაწილი, ევროპის ქვეყნებთან წარმატებული დიპლომატიური ურთიერთობების მიზნით, ქრისტიან მისიონერებს საქმიანობის მშვიდად წარმართვის ყველანაირ პირობას უქმნიდნენ, მაგრამ არსებობდა მეორე ნაწილი, წარმართი მოსახლეობის სახით, რომელთა მოთხოვნასაც, ბუნებრივია ქვეყნის სათავეში მყოფი მონარქი გვერდს ვერ აუვლიდა. მაგალითად, ანსგარი ჩავიდა დანიაში, იუტლანდიის მეფის ერისხის მხარდაჭერით, ააგო ტაძარი ქალაქ შლეზვიგში. მეფე ვერ მოინათლა რადგან საზოგადოების წარმართული ნაწილის აგრესიის შეეშინდა, თუმცა ამბობებამ მაინც იფეთქა, ერისხი ტახტიდან ჩამოაგდეს და 854 წელს მოკლეს. შლეზვიგის მმართველმა იარლ შლეზვიგელმა ქრისტიანები განდევნა შლეზვიგიდან, მღვდლები დახოცა, ეკლესია დახურა.¹²²

ერთი სიტყვით, X საუკუნის 50 იან წლებში მისიონერებს, ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგების უფლება გააჩნდათ ჰედებში, რიბესა და ორჰუსში, დანიის უდიდეს ქალაქებში. მათი ძალისხმევით სკანდინავიის ტერიტორიაზე ფეხს იკიდებდა ქრისტიანობა, შენდებოდა ტაძრები და საეპისკოპოსო ცენტრები.

კათოლიკე მისიონერები ქადაგებდნენ მშვიდობასა და მოწყალებას, ცხოვრების წესით მაგალითს აძლევდნენ მორწმუნეებს, მონებისა და ტყვეების გამოსყიდვით, ღარიბებისათვის მოწყალების გაცემით, გმობდნენ ძალადობას და უფლის წინაშე თანასწორობას ქადაგებდნენ.

ვფიქრობ, მეფეებისათვის ახალი რწმენა დაკავშირებული იყო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასთან. ქრისტიანული ეკლესია იყო ცენტრალიზებული, ერთგვარად დამოკიდებული პოლიტიკურ ხელისუფალზე, რომელიც ხელს უწყობდა მის გაძლიერებას.

მოკლედ რომ ვთქვათ, სკანდინავიის მიწებზე ქრისტიანობის გავრცელება საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ვილიბრორდის დროს ჩაეყარა საფუძველი ქრისტიანი მისიონერების მოღვაწეობას ხოლო ანსგარის მემკვიდრეების დროს გაგრძელდა. დანყებული რთული და საპასუხისმგებლო საქმე, რომელიც მისიონერებისაგან მოითხოვდა თავგანწირვას, გამბედაობას, ღვთისმეტყველებაში განსწავლულებას, სათნოებას, მოწყალებას და რომელიც დაგვირგვინდა საბოლოოდ ნორვეგიის დანიისა და შვედეთის გაქრისტიანებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დავასკვნით: აღნიშნულ მიწაზე ქრისტიანობის გავრცელებას, ჩვენი აზრით, მეტად ართულებდა ის ფაქტორიც, რომ არცერთი სამეფო არ იყო ერთიანი და პოლიტიკურად სტაბილური. ეს, ბუნებრივია, მისიონერების მოღვაწეობას აფერხებდა, რადგან მათ არ ჰქონდათ უსაფრთხო გარემოში მოღვაწეობის შესაძლებლობა. შესაძლოა, ერთი მმართველი გაქრისტიანებულიყო ან მისიონერებისათვის მხარდაჭერა აღმოეჩინა და ამავდროულად, მის მეტოქე წარმართ მმართველს ისინი დაეხოცა ან გაედევნა საკუთარი მიწა-წყლიდან, რაც ცხადია, აფერხებდა ახალი სარწმუნოების დამკვიდრების პროცესს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მტკიცე წარმართული რწმენისა და რელიგიური სისტემის შესახებ, რომელიც არსებობდა სკანდინავიური წარმართული რელიგიის სახით და მყარად იყო გამჯდარი საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

¹²² Else Roesdahl, *The Vikings*, (Penguin Books, 1998) (pp.169-172).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adam of Bremen, *History of the Archbishops of Hamburg-Bremen* (trans.F.J.Tschan), (New York, 1975), kindle edition.
2. Tschan, Francis J. *History of the Archbishops of Hamburg-Bremen*, (New York: Columbia University Press, 1959), kindle edition.
3. Wormald, Patrick, *The Times of Bede: Studies in Early Christian Society and Its Historian*, (Malden, MA: Blackwell, 2006), kindle edition.
4. LibriVox, 2012. *Bede's Ecclesiastical History of England*. Accessed June 8, 2017. <https://librivox.org/ecclesiastical-history-of-england-by-the-venerable-...>
5. Else Roesdahl, *The Vikings*, (Penguin Books, 1998).

ანი ზირაქაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი,
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

დაგნი იული: ტრაგიკული მადონა

ნორვეგიელი მწერალი, პიანისტი და მთარგმნელი; ცნობილი პოლონელი დრამატურგის ცოლი, ედვარდ მუნკის მუზა და, გარდა ამისა, ბერლინის ავანგარდული მოძრაობის ცენტრალური ფიგურა XIX საუკუნის 90-იან წლებში – ეს გახლდათ დაგნი იული – „მისტიკური, პროვოკაციული, და ამოუხსნელად ლამაზი“, როგორც მას აღწერს მერი ქეი ნორსენგი თავის წიგნში – „თავისი ცხოვრების მანძილზე დაგნი ისე აღიქმებოდა, თითქოს ის იყო მითისა და რეალობის საზღვარზე, სენსაციონალიზმსა და სიჩუმეს შორის“. დაგნის ბურჟუაზიული წარსული წინააღმდეგობაში მოდიოდა მისი ცხოვრების ბოჰემურ სტილთან. ფაქტობრივად, მან სახელი გაითქვა არათუ თავისი შემოქმედებით, არამედ საინტერესო ცხოვრებით.

დაგნის ადრეული ცხოვრების შესახებ ვიცით ის, რომ დაიბადა 1867 წლის 8 ივნისს, ნორვეგიის პატარა ქალაქ კონგსვინგერში, მდიდარ და წარჩინებულ ოჯახში. დაგნის მამა, ჰანს ლემის იული, რომელსაც დანიური წარმომავლობა ჰქონდა, პროფესიით იყო ექიმი; აღსანიშნავია, რომ დაგნის დედა, მინდი ბლერი, იყო ოტო ბლერის და. იულებს ხუთი შვილი შეეძინათ: გუდრუნი, მათი პირველი შვილი, იყო ძალზე ლამაზი, საკუთარ თავში დარწმუნებული გოგონა; დაგნი მათი მეორე ქალიშვილი იყო; მესამე იყო ვაჟი, რომელიც ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა; მეოთხე იყო ასევე ქალიშვილი, ასტრიდი, რომელიც ეტლს იყო მიჯაჭვული, არასოდეს გათხოვილა და ბოლომდე დედასთან ცხოვრობდა; ბოლო კი იყო რაგნჰილდი, რომელიც დაგნის ყველაზე მეტად დაუახლოვდა და მოგვიანებით გახდა ცნობილი საოპერო მომღერალი. ოჯახი ცხოვრობდა 13-ოთახიან სახლში (Rolighed), ხოლო მათ მეზობელ ფერმებში კი ცხოვრობდნენ დაგნის დედის ოჯახის სხვა წევრები, მათ შორის, ოტო ბლერიც.

დაგნიმ დაამთავრა სკოლის ექვსი კლასი, თუმცა სწავლა აღარ გაუგრძელებია – ალბათ იმიტომ, რომ მას ყოველთვის ჰქონდა წინააღმდეგობის შეგრძნება და სიძულვილი ყოველგვარი „აკადემიურის“ მიმართ. თინეიჯერობის ასაკში მან ისწავლა პიანინოზე დაკვრა, მალე დახელოვდა ამ საქმეში და დიდ სიამოვნებასაც იღებდა ოჯახის წევრებისა და მეგობრების წინაშე თავისი ნიჭის გამოვლენით. მოგვიანებით, 21 წლის ასაკში, მან დაიწყო მუშაობა თავისი ბიძაშვილების აღმზრდელად. ცნობილია, რომ დაგნის აღსაზრდელები ძლიერ უყვარდა, ხოლო ბავშვები დიდი სიყვარულით იხსენებდნენ დაგნის იუმორის გრძნობასა და მის მიერ მოყოლილ ისტორიებს. პერიოდულად დაგნი სტუმრობდა სხვა ნათესავებს ბერგენში. აღსანიშნავია, რომ მას ძალიან ხიბლავდა ამ ქალაქის სოციალური და კულტურული ცხოვრება. ერთი წლის შემდეგ კი დაგნი კვლავ თავის მშობლიურ სახლს დაუბრუნდა.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაგნი ქრისტიანიაში (თანამედროვე ოსლოში) ან ცხოვრობდა, ან ხშირად დადიოდა პიანინოს გაკვეთილებზე. ხშირად მასთან ერთად იყო რაგნჰილდიც. ამ პერიოდში დები იულები დაუახლოვდნენ ქრისტიანიელ ახალგაზრდა ხელოვანებს – მწერლებსა და მხატვრებს. 1892 წლის თებერვალში კი დაგნი და რაგნჰილდი გაემგზავრნენ ბერლინში. ამ ვიზიტის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, თუმცა, სავარაუდოდ, გოგონები იქ მუსიკალური განათლების მისაღებად ჩავიდნენ. შემოდგომაზე დაგნი მშობლებს დაუბრუნდა, თუმცა ის იქაურობას ვეღარ ეგუებოდა და კვლავ ბერლინში დაბრუნება სწადდა.

1893 წელს დაგნი მართლაც დაბრუნდა გერმანიაში. ამავე წლის მარტში კი იგი პირველად გამოჩნდა კაფე „შავ გოჭში“. ცნობილია, რომ კაფეში მისვლამდე დაგნი იქ ჯერ თავისი ფოტოსურათი გაგზავნა, ინტერესის გაღვიძების მიზნით, რაც მან შეძლო კიდეც. „შავი გოჭი“ იყო ბერლინის ყველაზე ავანგარდული ხელოვანების შეხვედრის ადგილი, მათ შორის იყვნენ მუნკი, სტრინდბერგი, პრშიბიშევესკი, რომელთათვისაც დაგნი თავიდანვე იქცა მუზად და ტრფობის ობიექტად. კაფეში დაგნი ცნობილი იყო ზედმეტსახელით „დუშა“ (Ducha), რაც პოლონურად „სულს“ ნიშნავს“. სიფხიზლეში იგი იყო ჩუმი, სიმთვრალეში კი ყველაფერზე შეეძლო ლაპარაკი. როგორც მაიერ-გრეიფი იხსენებდა, დაგნის ჰქონდა „მე-14 საუკუნის მადონას ფიგურა და სიცილი, რომელსაც კაცები ჭკუიდან გადაჰყავდა. მას ეძახდნენ „დუშას“ და ის სვამდა აბსენტს ისე, რომ არ თვრებოდა“.

სწორედ აქ შეხვდა ის ედვარდ მუნკს. ცნობილია, რომ მუნკი კაფეში იჯდა და სვამდა, როდესაც კარი წითურთმიანმა ქალმა შეაღო, იქაურობა მოათვალიერა და პირდაპირ მისკენ გაინია; იგი მაგიდას მიუჯდა, მუნკის ჭიქას ხელი დასტაცა და ღვინო ერთი ამოსუნთქვით გამოცალა. ამ დღიდან დაგნი მიიღო „ბოჰემის დედოფლის“ „ტიტული“, მისი სილამაზე კი იქცა სახელგანთქმული მხატვრის შთაგონების წყაროდ. „უნდა გამოსცადო ის, რათა შეძლო მისი აღწერა“ – წერდა მუნკი დაგნიზე. მისი ტილოების უმრავლესობაზე სწორედ დაგნია გამოსახული. დაგნისა და მუნკის ურთიერთობა ორ წელიწადს გაგრძელდა.

იღუმალი, თუმცა აშკარა სირთულეებით აღსავსე იყო დაგნის ურთიერთობა სტრინდბერგთან. იოჰანი დაგნისთან შეხვედრის პერიოდში იყო 44 წლის, დაოჯახებული. მან ისარგებლა თავისი ცოლის ქალაქში არყოფნით და დაგნისთან წამოიწყო ურთიერთობა, რომელიც სამ კვირამდე გაგრძელდა. უცნობია, რა დამოკიდებულება ჰქონდა დაგნის იოჰანის მიმართ, თუმცა ფაქტია, რომ მას ქალთან მართლაც ძლიერი გრძნობები აკავშირებდა. მოგვიანებით დაგნის პიროვნება კვლავ გამოჩნდა სტრინდბერგის ცხოვრებაში, თუმცა ამჯერად როგორც ლიტერატურული პერსონაჟი.

დაგნი „შავ გოჭში“ გაცნობილი არაერთი მამაკაცით იყო მოხიზლული, თუმცა, საბოლოოდ, მან სტანისლავ პრშიბიშევესკიზე შეაჩერა არჩევანი. სტანისლავი გახლდათ პოლონელი ნოველისტი, დრამატურგი, პოეტი; ღარიბი, ალკოჰოლიკი და პათოლოგიური მატყუარა, რომელიც გატაცებული იყო ნიცშეს ფილოსოფიით, სატანიზმითა და ბერლინის ბოჰემური ცხოვრებით. დაგნის თანახმად, მათი ქორწინება სრულიად მოულოდნელი იყო – ერთ დღეს ისინი ქალაქში წაანყდნენ გერმანულ მარკას, რომელიც საკმარისი იყო ქორწინების მოწმობის მისაღებად. სტანისლავს ამ დროისათვის უკვე ჰყავდა ცოლ-შვილი, თუმცა მას დაგნი თავდავინყებით შეუყვარდა, ცოლ-შვილი მიატოვა და 1893 წლის ზაფხულის მიწურულს დაგნიზე იქორწინა.

ქორწინების პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში წყვილი მოექცა „შავი გოჭის“ საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ამ პერიოდისათვის ისინი ცდილობდნენ სკანდინავიელი ხელოვანების ცნობადობის გაზრდას და, გარდა ამისა, არ წყვეტდნენ ერთმანეთის შთაგონებას. სტანისლავმა ამ პერიოდში შექმნილი ყველა ნამუშევარი დაგნის მიუძღვნა. თავის მხრივ, დაგნიმ დაწერა მოკლე თხზულება („Rediviva“), რომელიც პირველად 1893 წლის დეკემბერში გამოჩნდა და, გარდა ამისა, დაწერა პიესა („Den sterkere“), რომელიც 1896 წელს გამოქვეყნდა ნორვეგიაში.

წყვილს ორი შვილი ეყოლა – ვაჟი, ზენონი, 1895 წელს და ქალიშვილი, ივა, 1897 წელს. დაგნიმ დედამისს მიაბარა ორივე, თვითონ კი სტანისლავთან ერთად მოგზაურობდა ევროპის ქვეყნებში: გერმანიაში, დანიაში, საფრანგეთსა თუ ესპანეთში. აქ ისინი ახალ შემოქმედებს ეცნობოდნენ.

1896 წელს მომხდარმა ტრაგედიამ მეტად გაართულა წყვილის ურთიერთობა. სტანისლავის ყოფილმა ცოლმა სუიციდით დაასრულა სიცოცხლე, მისი თვითმკვლელობა კი სწორედ სტანისლავს დაბრალდა. იგი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს რამდენიმე კვირით. ამ სკანდალის შედეგად წყვილი მიატოვეს ძველმა მეგობრებმა, რამაც სტანისლავზე უარყოფითად იმოქმედა – იგი დეპრესიაში ჩავარდა და აღარაფრის კეთება აღარ შეეძლო. ამ პერიოდის განმავლობაში დაგნი არა მხოლოდ თავისი ქმრის საქმეებს აგვარებდა, არამედ პიანინოზე დაკვრას ასწავლიდა ბავშვებს და ამით შოუ-

ლობდა ფულს. 1897 წელს დაგნი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, რათა მშობლებისაგან მიეღო მორალური მხარდაჭერა და დალოდებოდა თავისი მეორე შვილის დაბადებას.

1898 წელს ცოლ-ქმარი კვლავ შეხვდა ერთმანეთს კრაკოვში, სადაც სტანისლავი დაინიშნა ერთ-ერთი ავანგარდული პოლონური ჟურნალის „ცხოვრების“ („Zycie“) გამომცემლად. კრაკოვში ბოჰემური ცხოვრების სტილის მქონე საზოგადოებისათვის იგი იყო გმირი – სტანისლავს იმდენად აფასებდნენ, რომ მის ოჯახს ბინაც კი უქირავეს. მიუხედავად ამისა, მათი ქორწინება თანდათან უკან-უკან მიდიოდა. იანვარში გარდაიცვალა დაგნის მამა, რამაც ქალი ძლიერ დაამწუხრა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა სტანისლავის ახალმა სასიყვარულო რომანებმა.

1901 წელს ცოლ-ქმარი თბილისში დაპატიჟა ვლადისლავ ემერიკმა. ის გახლდათ დაგნის ქმრის მეგობარი და ჭიათურის მარგანეცისა და ბაქოს ნავთობის საბადოების მფლობელის შვილი. პრშიბიშევსკიმ თბილისში წასვლაზე უარი განაცხადა – სავარაუდოდ, მიზეზი იყო ის, რომ მას სხვა ქალთან ჰქონდა რომანი – ხოლო დაგნი კი დააიმედა, შენ ვაჟი წაიყვანე, მე კი გოგონასთან ერთად მოგვიანებით ჩამოვალ. არსებობს რამდენიმე თეორია იმის შესახებ, თუ რატომ გაემგზავრა დაგნი მასთან ერთად:

- ერთი მოსაზრების თანახმად, ემერიკი აპირებდა, დახმარებოდა წყვილს რუსეთში ახალი ცხოვრების დაწყებაში;
- მეორე მოსაზრება კი გადმოგვცემს, თითქოს სტანისლავმა გამოიყენა ემერიკი, რათა დაგნი თავიდან მოეშორებინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაგნი, რომელიც მოგზაურობდა პასპორტის გარეშე, ხშირად უგზავნიდა ტელეგრამებს თავის ქმარს და პირადობის დამადასტურებელ საბუთებს სთხოვდა, მათ გაგზავნას კი სტანისლავი უკვე კარგა ხანია ჰპირდებოდა.

ემერიკი და დაგნი თბილისში სასტუმრო „გრანდ ოტელში“ დაბინავდნენ. ნორვეგიელი ქალი ქართველ მამაკაცებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა – ცნობილია, რომ სასტუმროს ნომერში ხშირად მიჰქონდათ ყვავილებით სავსე კალათები უცნობი თაყვანისმცემლებისაგან.

1901 წლის 5 ივნისს, შუადღით, მოხდა საბედისწერო ფაქტი – ემერიკმა მძინარე დაგნი ერთი გასროლით გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ კი თავი მოიკლა. მოგვიანებით სასტუმროს ნომერში შესულმა პოლიციელებმა აღმოაჩინეს ხუთი წერილი, რომლებიც ემერიკს წინა დღეს დაეწერა: ერთით სასტუმროს პატრონს უბოდიშებდა, მეორით – მსხვერპლს, დანარჩენებით კი – მის ქმარსა და შვილს. მკვლელობის რეალური მიზეზი დღემდე არაა დადგენილი: ზოგმა ეს ეჭვიანობას მიაწერა, ზოგმა – ემერიკის არასტაბილურ პიროვნებას, ზოგიც მიიჩნევდა, რომ მკვლელობა დაგნის ქმრის მიერ იყო შეკვეთილი. ბოლო ვერსიას განამტკიცებს ემერიკის მიერ დაგნის ქმრისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „მე გავაკეთე ის, რაც შენ უნდა გაგეკეთებინა... ვკვლავ იმ მომენტში, როცა ამას ყველაზე ნაკლებად მოეღოს“. ზენონისათვის განკუთვნილ წერილში კი ის დაგნის შესახებ წერდა: „ის იყო არაამქვეყნიური... ზედმეტად ზეციური იმისთვის, რომ მისი ნამდვილი არსება შეეცნოთ... ის იყო ღმერთი“.

ამ დროისათვის დაგნის რეპუტაცია მეტად შელახული იყო სკანდინავიაში, თუმცა ედვარდ მუნკი ამ აზრს არ იზიარებდა. ინტერვიუში, რომელიც მან ერთ-ერთ გაზეთს (Kristiania Dagsavis) მისცა, მუნკი დაგნის აღწერდა, როგორც ინტელექტუალს, კულტურულ, კეთილ ქალს, რომელიც სერიოზულობით ეკიდებოდა მწერლობას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა „შავი გოჭის“ შემოქმედებით ცხოვრებაში“. „დაგნის გარდაცვალების შემდეგ მუნკი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც სკანდინავიურ ჟურნალ-გაზეთებში დადებითად აფასებდა ქალის პიროვნებას“ – წერს ნორსენგი.

რამდენიმე ლექსის გარდა, დაგნის შემოქმედება მოიცავს ოთხ პიესას და ხუთ მოკლე პროზაულ ნაწარმოებს. მისი ყველა პიესა მოგვითხრობს სასიყვარულო სამკუთხედის შესახებ – ან ორი ქალი იბრძვის ერთი მამაკაცისთვის, ან ერთ ქალს უწევს, გააკეთოს არჩევანი ორ მამაკაცს შორის. დაგნის შემოქმედებიდან მხოლოდ ერთი პიესა და ოთხი პროზაული ნაწარმოები გამოქვეყნდა მისი

სიცოცხლის მანძილზე, შესაბამისად, 1896 და 1900 წლებში. მის ორიგინალ ხელნაწერებს კი მხოლოდ XX საუკუნის 70-იან წლებში მიაგნეს, როდესაც განახლდა ინტერესი ქალი მწერლებისადმი. ნორვეგიაში ისინი 70-იანი წლების მეორე ნახევარში გამოქვეყნდა.

დაგნი იული დაასაფლავეს 1901 წლის 8 ივნისს – იმ დღეს, როცა 34 წლის უნდა შესრულებულიყო. იგი დღემდე განისვენებს თბილისში, კუკიას სასაფლაოზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლილეჰამერი, ა., 2009. „დაგნი იული“. ინტერნეტი, https://nbl.snl.no/Dagny_Juel#-Kilder_og_litteratur ბოლო ნახვა, 26 მარტი, 2019.
2. ქალთა მუზეუმი. თ.გ. „დაგნი იული“. ინტერნეტი, <https://kvinnemuseet.no/dagny-juel> ბოლო ნახვა, 26 მარტი, 2019.
3. ლინბლადი, კ., 2017. „დაგნი იულის სასტიკი მკვლელობა“. ინტერნეტი, <https://www.dagbladet.no/kultur/dagny-juel-ble-brutalt-drept-sa-fikk-sonnen-et-brev-fra-drapsmannen/68716830> ბოლო ნახვა, 26 მარტი, 2019.
4. Tidsånd. თ. გ. „დაგნი იული“. ინტერნეტი, <https://tidsaand.no/person/dagny-juel> ბოლო ნახვა, 26 მარტი, 2019.
5. შელია, რ., 2015. „მისტიკური მკვლელობა თბილისში“. ინტერნეტი, <https://www.kvirispalitra.ge/history/24748-mistikuri-mkvleloba-thbilisshi.html> ბოლო ნახვა, 26 მარტი, 2019.
6. ობოლენსკი, ი., 2016. „ედვარდ მუნკის ტფილისში ტრალიკულად გარდაცვლილი მადონა“. ინტერნეტი, <https://sputnik-georgia.com/columnists/20160625/232296228.html> ბოლო ნახვა, 26 მარტი, 2019.
7. კვიციანიძე, თ., 2007. „შეხვედრა ბედისწერასთან“. ლიტერატურა და ხელოვნება, №9, თბილისი 2007.
8. ლორია, კ., თ.გ. „დაგნი იული – მუზა, მითი თუ შემოქმედი?!...“ ინტერნეტი, [http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.13&d=HASH fe019df 1b0e 15b319b1ff0.46&fbclid=IwAR21j4QybvzxbGrv5Zyk6vWhJgr-6Uiaw_ oAFDv WKKm 5Cx FP dpIKL6CYMko](http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.13&d=HASH%20fe019df%201b0e%2015b319b1ff0.46&fbclid=IwAR21j4QybvzxbGrv5Zyk6vWhJgr-6Uiaw_0AFDvWKKm5CxFPdpIKL6CYMko).

ს ა რ ჩ ე ვ ი

სამართალმცოდნეობა	7
ვახტანგ ნოღაიდელი, თამარ კაპანაძე	7
ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, როგორც ქართული სამოსამართლო სამართლის განვითარებისა და უფლებათა დაცვის სტანდარტების კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმი.....	7
მედიცინა	18
ანა დემურაშვილი, დავით ჯიბლაშვილი	18
აბსტინენციის სინდრომი.....	18
მარიამ ასპანიძე, ლიკა გიგია	20
თანკბილვის ანომალიების თავისებურებები.....	20
ჟურნალისტიკა	23
შალვა ბერიანიძე	23
ელექტრონული მედიის ზოგადი პრინციპების გამოყენების ტენდენციები საქართველოში.....	23
განათლების მეცნიერებანი	27
თინათინ იზორია	27
ნიგნის კითხვის ხელშეწყობა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში.....	27
ნინო ქამუშაძე.....	32
CLIL გაკვეთილის გეგმა და მისი მნიშვნელობა სასწავლო პროცესისთვის.....	32
მარიამ სეხნიაშვილი, ნინო კალანდია	37
მშობლებზე მოქმედი გარემოფაქტორების გავლენა გადაწყვეტილების მიღებისას სკოლის შერჩევის პროცესში.....	37
ლანა ფორჩხიძე	42
ათეიზმის კათედრის იდეოლოგიური მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1960- 1965 წლებში.....	42
ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ლიტერატურათმცოდნეობა	47
თათია სიბაშვილი	47
სენეკას "ფედრადან" სარაკეინის "ფედრას სიყვარულამდე".....	51
მარიამ რაზმაძე	51
ანტიუტოპიური ელემენტები დევიდ მიჩელის „ღრუბლიან ატლასში“.....	51
ნუნუ ბალავაძე	55
პოეტის შიში და თამაში-კაცი „მთავარი გამთამაშებელი“ მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების ქართულ პოეზიაში.....	55
მაია კობიაშვილი	60
ბელადის რეფლექსიები ქართულ მწერლობაში.....	60
ნინო თოდუა	68
ნაცარქექია და მძლეთამძლე – ყვარყვარიზმის პირველსახე.....	68
ქეთევან სამადაშვილი	73
ალექო შულღაძის „გადამალვა“ – ეგზისტენციალური წინააღობის გადალახვა.....	73
ანა გოგილაშვილი	78
ძმისმკვლევლობის ბიბლიური მოტივი გურამ გეგეშიძის რომანში „ცოდვილი“.....	78
ნინო ოქროპირიძე, ნონა სრესელი	82

ქალის არჩევანის უფლება სიყვარულსა და ქორწინებაში ალექსანდრე ყაზბეგის რამდენიმე მხატვრული ტექსტის მიხედვით.....	82
ელენე დოიაშვილი, ნელი ბერიძიშვილი	87
ელენე დარიანი – მკითხველთან მოთამაშე ავტორი, თუ პაოლოს მისტიფიკაცია	87
კლარა გელაშვილი	93
ომის ქრონიკები გურამ ოდიშარას შემოქმედებაში	93
ლიდა კანთელაშვილი	103
ფერთა სიმბოლიკა ტიცციან ტაბიძის პოეზიაში.....	103
ლალი კუკავა	109
ავტოპორტრეტი, როგორც თვითგამოხატვის ერთ-ერთი საშუალება	
ცისფერყანწელთა შემოქმედებაში	109
ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ენათმეცნიერება	115
ნატო ახალაია	115
– დ სუფიქსის ზმნური ფუნქციისათვის მეგრულ-ლაზურში.....	115
1. ახალაია 2017: ნ. ახალაია, ნასახელარი ზმნები მეგრულ-ლაზურში, თბილისი, 2017.....	118
თამარ ჩანქსელიანი	119
შესაძლებლობის შეზღუდულობის გამომხატველი უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურა სვანურში	119
მარიამ დოლბაია	127
ილიას ენა ერთი პოემის მიხედვით	127
მარიამ ტურძილაძე, ანნა კაცაძე	130
არის თუ არა აქტი გრამატიკული კატეგორია	130
ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ისტორია.....	135
თეა გოგოლიშვილი	135
პილიგრიმები და ჯვაროსნული ლაშქრობების სამართლიანობის აღქმა უილიამ ტვიროსელთან ..	135
ნინო კაკალაშვილი	140
ყივჩალთა დაკრძალვის წესი (ნარატიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით).....	140
გიორგი ბუცხრიკიძე	144
იაკობ გოგებაშვილი ირლანდიის საკითხის შესახებ	144
ჰუმანიტარული მეცნიერებანი: სკანდინავისტიკა.....	151
ია სიჭინავა	151
ძველი ისლანდიური პოეზია და სკანდინავიური იდენტობის საკითხი მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში.....	151
მარიამ ლაპიაშვილი	154
ნორვეგიელი ახალგაზრდები: თავისუფლება და პასუხისმგებლობა	154
მარიამ გურგენიძე	158
ქრისტიანიზაციის პროცესის თავისებურებები სკანდინავიაში.....	158
ანი ზირაქაშვილი	163
დაგნი იული: ტრაგიკული მადონა	163

გამომცემლობის რედაქტორი
გარეკანის დიზაინი
დამკაბადონებელი

მაია ეჯიბია
მარიამ ებრალიძე
ეკატერინე თეთრაშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge